საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№36 (79)
6 – 12 ოქტომბერი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

**საქართველოში დღეს ნეო-ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურაა**
16

ნოდარ ჯავახიშვილი:
## ჩვენ გვყავს მტერი, ბანდიტი, კორუმპირებული ხელისუფლება
6




14

**ერევანში მინისტრ ვაშაძეს სულ «იეს ჩემ ასელ» აძახებინეს**



რამაზ კლიმიაშვილი:
**მხოლოდ სააკაშვილსა და მის ზედამხედველებს სჭირდებათ ქართველი ბიჭების ავღანურ სასაკლაოზე გაშვება**
4

მერაბ ჯიბლაძე:
**რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით – აფრიკის ქვეყნებისკენ**
9

6 — 12 ოქტომბერი, 2010 წელი. №36 (79)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფორუმის ხორუმი და სააკაშვილის კოშმარი

**„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“, — მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაზა ძალიან ხშირად გვესმის, ყველაფერი ისევ ძველებურად გრძელდება. შემოდგომა, რომელიც, ოპოზიციიის წარმომადგენელთა ადრინდელი განცხადებების თანახმად, სამართლიანობისთვის ბრძოლის აპოგეად უნდა ქცეულიყო, დიდი ხანია, დადგა, თუმცა არანაირ ვულკანის ამოფრქვევას, მეტიც, ჩაიდნის რამდენადმე შესამჩნევ ადუღებასაც კი ადგილი არ ჰქონია. საინტერესოა, რას აპირებს რადიკალური ოპოზიცია, თუ, რა თქმა უნდა, რაიმეს საერთოდ აპირებს.**



### ფორუმის ხორუმი

შემოდგომაზე პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას ორი პოლიტიკური ძალა გეგმავდა: „ეროვნული ფორუმი“ და „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. **ორივემ სექტემბერში გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა კითხვაზე, რამდენად შეესაბამებოდა ეს ნაბიჯები საპროტესტო ელექტორატის მოლოდინს, ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ალბათ, არ არსებობს.**

„ეროვნული ფორუმი“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თითქოსდა წინასწარ გაჟღერებული ალგორითმის მიხედვით მოქმედებდა: ჩატარდა შეხვედრები რეგიონებში, შეგროვდა ხელმოწერები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით, აღნიშნული მოთხოვნა პარლამენტში შეიტანეს და სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ „ფორუმმა“ მოძრაობის ტრაექტორია ისე მკვეთრად შეცვალა, როგორც ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავი იცვლის ხოლმე. მოულოდნელად გამოცხადდა, რომ იწყება მოსახლეობასთან შეხვედრების ახალი ეტაპი, რომელიც (სხვადასხვა ინფორმაციით) 1,5-2 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

## თუ დღევანდელი მიდგომა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, ნდობის ლიმიტი „ფორუმის“ მიმართ საკმაოდ სწრაფად ამოიწურება

ამავე მომენტიდან **„ფორუმის“ ლიდერების გამოსვლები მედიაში სანთლით საძებნი გახდა, ხოლო მათი საუბრები სამომავლო გეგმებზე ფრიად ბუნდოვანი შეიქნა. ძველი სცენარი, რომლის თანახმად პარლამენტში ხელმოწერების შეტანის შემდეგ „ფორუმს“ უნდა წაეყენებინა ულტიმატუმი ხელისუფლებისადმი და წარმოდგენილი წინადადებების სასწრაფო განხილვა მოეთხოვა (იგულისხმებოდა, რომ უარს მასშტაბური საპროტესტო აქციები მოჰყვებოდა), როგორც ჩანს, უარყოფილ იქნა ან მისი განხორციელება გადაიდო.** დიდი ხანია, არაფერი ისმის ყრილობის ჩატარებაზეც. არადა, ივნისში გამართულ კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის შემოდგომის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად მოიაზრებოდა.

**სახეზეა აშკარა ცვლილებები როგორც მოქმედების ტაქტიკაში, ისე საინფორმაციო პოლიტიკაში. ბოლო ორი კვირაა ინფორმაციას „ფორუმის“ ამჟამინდელი მოქმედების და სამომავლო გეგმების შესახებ მხოლოდ ძლიერ დაინტერესებული ადამიანი თუ მოიპოვებს.** თავად „ეროვნული ფორუმის“ მესვეურები ამ ვითარებას, ხანდახან იმით ხსნიან, რომ ხელისუფლებისგან თავიანთ გეგმებს საგულდაგულოდ მალავენ და ისე ნილბავენ, ნებისმიერ გამოცდილ მზვერავს რომ შეშურდება (ცნობილი ანეგდოტის არ იყოს: შტირლიცი რაიხსტაგთან წითელარმიელის ფაფახით რომ დაბოდიალობდა და გარმონზე უკრავდა), თუმცა ოტელოსავით ეჭვიან **საპროტესტო ელექტორატს მყისვე შესაბამისი კითხვები გაუჩნდა: ხომ არ გვიღალატეს? ხომ არ გაიყიდნენ?**

ასეთი კითხვების გაჩენის ფაქტი თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ საინფორმაციო პოლიტიკაში „ეროვნულმა ფორუმმა“ სერიოზული შეცდომები დაუშვა. ოპერატიული გეგმების შენიღბვის აუცილებლობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება გაურკვევლობაში უნდა დატოვო და მასთან კომუნიკაციის პროცესში ელემენტარული წესები უგულებელყო. ფაქტია, **თუ დღევანდელი მიდგომა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, ნდობის ლიმიტი „ფორუმის“ მიმართ საკმაოდ სწრაფად ამოიწურება** (უახლოეს მომავალში ეს ტენდენცია შეიძლება აშკარად გამოკვეთილი გახდეს). რასაკვირველია, კომუნიკაციის პროცესში აქტიურობის შემცირება დასაშვებია და ხანდახან აუცილებელიც კი, თუმცა არა იმ მოლოდინებით აღსავსე ემოციურ ფონზე, რომელიც საპროტესტო ელექტორატში შემოდგომასთან დაკავშირებით გაჩნდა, მის გაღვივებაში კი ერთ-ერთი წამყვანი როლი სწორედ „ფორუმს“ ეკუთვნის.

სხვა საქმეა, თუ „ფორუმის“ ხელმძღვანელობამ დაინახა, რომ მისი პირვანდელი სამოქმედო გეგმა

## გამოხმაურებები



**ილია II,
უწმინდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი:**

ადამიანმა ლუკმაპურისთვის არ უნდა დატოვოს სამშობლო. ასეთი ადამიანი უფრო მეტს კარგავს, ვიდრე იძენს. კარგავს ჩვენი წინაპრების მფარველობასა და ლოცვას.

*„კვირის პალიტრა“*



**მიხეილ სააკაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი:**

ჩვენ ერთდროულად გვყავს პოლიტიკური პარტნიორები და ოპონენტები. ისინი პარტნიორები არიან მთავარ საკითხებში, მაგრამ ძალიან მწვავედ გვაკრიტიკებენ სხვა საკითხებში. მათი ძირითადი სიძლიერეც იმაშია, რომ შეუძლიათ, მთავარ ჩარჩოში ჩვენთან ერთად იყვნენ და თამაშის ერთი წესით ვითამაშოთ. ამიტომაც აქვთ მათ დიდი შანსი, მოგვიგონ. თუმცა, როცა შენ ჭადრაკს ეთამაშები ვინმეს, ის კი შაშს გეთამაშება, ცხადია, ვერასოდეს მოგიგებს... აქ, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ჭადრაკს ვგულისხმობ და არა ნონა გაფრინდაშვილს.

*პირველი*



**ედუარდ შევარდნაძე,
ექსპრეზიდენტი:**

რუსეთის გარეშე აფხაზეთსა და ოსეთს ვერ დავიბრუნებთ. ამიტომ ურთიერთობა როგორმე უნდა დალაგდეს. ამ ურთიერთობის აღდგენა მარტო პრეზიდენტზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსი ხალხი, რომ მათთან მეგობრობა, მეზობლობა გვინდა, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა ეს ჩვენს პრეზიდენტს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნინო ბურჯანაძე,
„დემოკრატიული მოძრაობა —
ერთიანი საქართველოს“
თავმჯდომარე:**

ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ არ ვავნოთ ქვეყანას და უახლოეს მომავალში მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გავათავისუფლოთ იგი სააკაშვილისა და მისი რეჟიმისგან. რაც მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში, მით ნაკლები იქნება ხელისუფლების მხრიდან ძალადობის საფრთხე. ასი ათას კაცს ქუჩაში ვერც ერთი პოლიციელი ვერ დაუპირისპირდება, შეიძლება ვანოს პირადი გვარდია — 300 კაცი დაუპირისპირდეს, ისიც ვერ გაბედავს.

*„ყველა სიახლე“*



**თინა ხიდაშელი,
რესპუბლიკური პარტიის
ერთ-ერთი ლიდერი:**

ეს არის დამარცხებულის პოზიცია, როცა პოლიტიკური პარტიები ითხოვენ, მიშა სააკაშვილს აეკრძალოს პრემიერის პოსტის დაკავება. ამ ქვეყნის პრობლემა მარტო მიშა სააკაშვილი კი არა, მთელი „ნაცმოძრაობაა“. ჩემთვის არაფერი არ შეიცვლება ამით, მომავალ არჩევნებში თუ ისევ „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს და სააკაშვილის ნაცვლად მერაბიშვილი ან გიგი უგულავა გახდება პრემიერ-მინისტრი, ან „ნაცმოძრაობიდან“ ამოზრდილი ახალი ლიდერი.

*„ალია“*



**ზურაბ ტყემალაძე,
„მრეწველთა“ ლიდერი:**

თუ ეროვნულ ბანკს აქვს საშუალება, ეროვნული ვალუტის კურსი დაიჭიროს, რატომ არ იჭერს? როცა ინფლაციაა, ვალუტის გამყარება რას ნიშნავს? თუ ინფლაციაა და საქონელი ძვირდება, ლარი როგორღა მყარდება?! ერთი ეს გამაგებინეთ!

*„ყველა სიახლე“*



**თემურ მირიანაშვილი,
ედუარდ შევარდნაძის
ყოფილი მრჩეველი:**

ამერიკელებმა სააკაშვილი გაწირეს და, ეს მგონი, უკვე სააკაშვილმაც იცის, მიუხედავად იმისა, რომ სულელია!.. საქმეს ისეთი პირი უჩანს, სააკაშვილს ჩემზე დიდი გულშემატკივარი აღარ ჰყავს, რადგან ჩემ გარდა არავინ ეუბნება: მიშა, გაანებე თავი ყველაფერს და იმკურნალე! ჩვენც გვეშველება და იქნებ შენც გეშველოს რამე!

*„ასავალ-დასავალი“*

## მოკლედ




### კონსტიტუცია — სამოქალაქო დაპირისპირების საფუძველი

**„თავისუფალი აზრის სახლის“ მიერ მომზადებულ პეტიციაში ნათქვამია, რომ ახალი კონსტიტუცია ქვეყანას ავტოკრატიზმისკენ მიაქანებს. ეს კი, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირების საფუძველი გახდეს.**

ამის თავიდან ასაცილებლად არასამთავრობო ორგანიზაციების თაოსნობით, პარლამენტის შენობასთან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან კონსტიტუციის ახალი პროექტის გაწვევასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გაიმართა.

**აქციის მონაწილეებმა საზოგადოებას მოუწოდეს, ბოიკოტი გამოუცხადონ ქვეყანაში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმას. აქციაში 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია და 500-მდე ადამიანი მონაწილეობდა.** მათგან უკლებლივ ყველას იმედი აქვს, რომ კიდევ მრავალი ადამიანი შეუერთდებათ.



### ადვილად მოსანელებელი საქართველო

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ ერთი ხმაურიანი ინტერვიუ ამჯერად უკრაინულ „ბულვარ გორდონას“ უსახსოვრა და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ევროპული სახელმწიფოებისათვის ადვილად მოსანელებელია.**

„ვფიქრობ, რომ ნატოსა და ევროკავშირში აუცილებლად შევალთ. საქართველო პატარა ქვეყანაა. **მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე ყურადღება რუსეთთან მტკივნეული ურთიერთობების გამოა გამახვილებული, სინამდვილეში, ევროპული სახელმწიფოებისთვის ადვილად მოსანელებლები ვართ.**

ამასთან, უძველესი ქრისტიანული კულტურა გვაქვს, რომელიც ევროპულ ღირებულებებს სრულიად იზიარებს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ნატოსა და ევროკავშირში იმაზე ადრე შევალთ, ვიდრე ზოგიერთები ფიქრობენ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დღეს «ალიანსი» ფორმალურად არ არსებობს, თუმცა მისი რეანიმაცია 2012 წლის არჩევნებისთვის სავსებით რეალური ჩანს

◀ არ მუშობს და, უბრალოდ, არაფერი აქვს სათქმელი ან, თუ კრიზისი საკუთრივ ამ პოლიტიკური ძალის შიგნით შეიქმნა, თუმცა ამაზე ერთი შეხედვით არაფერი მიანიშნებს. სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დაველოდოთ „ეროვნული ფორუმის" შემდგომ ნაბიჯებს და მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილება ტაქტიკური მონახაზის შეცვლის შესახებ, შესაძლოა, სწრაფად, სპონტანურად იქნა მიღებული (რატომ?), რამაც საინფორმაციო პოლიტიკის შესაბამისი კორექტირებისთვის, უბრალოდ, დრო არ დატოვა. ნაშთში კი სულ ორი ვარიანტი გვრჩება: **ან „ეროვნული ფორუმის" პოტენციალი დასახული მიზნების მიღწევას არ ჰყოფნის, ან საქმე, უბრალოდ, თამაშიდან გასვლასთან და შესაბამისად გაწელილ პოლიტიკურ აგონიასთან გვაქვს. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ „ფორუმა" რეალურად გადაწყვიტა ხელისუფლების აღება და ყველა რესურსი ამ ამოცანის გადაწყვეტას დაუქვემდებარა.**

საერთოდ, რევოლუციების (წარმატებული თუ ნაკლებად, მნიშვნელობა არ აქვს) წინა პერიოდში იმ პარტიებს, რომლებმაც ხელისუფლებაში მოსვლა გადაწყვიტეს, ყოველთვის ფუნქციონირების განსაკუთრებულ რეჟიმში გადასვლა და გარკვეული ამბივალენტურობა ახასიათებთ, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს კონსპიროლოგიური ვერსია ბევრმა ადამიანმა გაიზიაროს.

**ვიდრე „ეროვნული ფორუმის" მოგზაურობა ბერმუდის სამკუთხედში გრძელდება, ფილარმონიაში გადავინაცვლოთ, სადაც 29 სექტემბერს „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" მოსამზადებელი კონფერენცია გაიმართა, და თვალი გადავავლოთ ნინო ბურჯანაძის პოზიციებს, რადგან ამ თავყრილობის მთავარ ორგანიზატორად სწორედ ის მოიაზრება.**

## Мадам, уже падают листья

თავად ღონისძიება ფილარმონიაში კარგად ჩატარდა, თუმცა საინფორმაციო სივრცეში ის ვერ გახდა ისეთი მასშტაბის მოვლენა, როგორიც უნდა გამხდარიყო მის მომზადებაზე დახარჯული დროისა და რესურსების გათვალისწინებით. აქ საუბარი არა იმდენად უშუალო გაშუქებაზეა, რამდენადაც საინფორმაციო „კვალზე", იმაზე, თუ რამდენად მყარად ჩარჩა საზოგადოების მეხსიერებაში ეს ღონისძიება და მასზე გაჟღერებული იდეები. **პლიუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფილარმონიაში საზოგადოების უფრო მეტი საინტერესო წარმომადგენელი გამოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მინუსად კი ის, რომ სხვა პარტიების ნეგატიური დამოკიდებულება ამ თავყრილობის მიმართ საკმაოდ მკაფიოდ გამოითქვა.** „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" ჩატარება ნოემბრის ბოლოს გადაწყდა, შუალედში გაიმართება კიდევ ერთი მოსამზადებელი შეხვედრა ბათუმში. როგორც ცნობილია, იქ ჩატარებულ ნებისმიერ აქციას ხელისუფლება ძალზე მტკივნეულად აღიქვამს, შესაბამისად, გარკვეული ექსცესების ალბათობა არ უნდა გამოვრიცხოთ.

**რამდენად ადეკვატური იყო ფილარმონიაში ჩატარებული ღონისძიება იმ მოლოდინისა, რომელიც საპროტესტო ელექტორატში არსებობს? (იგულისხმება ზოგადი მოლოდინი და არა — კონკრეტულად ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით), ალბათ, ნაკლებად, რადგან ის გაცილებით მკაფიო ფორმულირებებსა და სამოქმედო გეგმებს მოითხოვს, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პრეტენზია ყოვლისმომცველ პასუხებზე ბურჯანაძეს არ ჰქონია.** ეს ჯერ განაცხადია, ერთგვარი ტესტი, რომელიც მთლიან სტრატეგიაში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია (თუ ეს სტრატეგია, რასაკვირველია, არსებობს და საქმე უბრალოდ ტესტური, ტაქტიკური ნაბიჯების ერთობლიობასთან არ გვაქვს), **ისევე, როგორც „ფორუმის" შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ნინო ბურჯანაძე ელოდება დროის რაღაც პერიოდს ან რაღაც იმპულსს უახლოეს მომავალში და გადამწყვეტ მოქმედებაზე მხოლოდ ამის შემდეგ გადავა.** ჯერჯერობით კი მობილიზაციას ახდენს, რაც აშკარად იგრძნობა. მობილიზაცია თავისთავად, პრეფერანსის „მიზერი" არ არის, რომელიც შეიძლება გამოაცხადო მაშინ, როდესაც მოგეხასიათება, გერმანელი ფელდმარშლები რომ იტყოდნენ, „მობილიზაცია ეს (უკვე) ომია" და სააკაშვილის ხელისუფლება ამას, როგორც ჩანს, მშვენივრად აცნობიერებს.



**მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება გვაქვს პერსონალურად ნინო ბურჯანაძესთან, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილს, ოპოზიციური სპექტრიდან, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად სწორედ მისი ეშინია და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.** ის სააკაშვილს „მოხარშულს" იცნობს და იოლად შეუძლია ამა თუ იმ მოქმედებაზე მისი რეაქციები გათვალოს. ბურჯანაძეს, აგრეთვე, შეუძლია სავსებით ადეკვატური იყოს საერთაშორისო ასპარეზზე, იგი კვლავ ინარჩუნებს სერიოზულ კონტაქტებს უცხოეთში. ამასთანავე, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელისუფლებაში დაბრუნება; ბევრი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისგან განსხვავებით, მან ხელისუფლების გემო, ფასი და არსი, ასე თუ ისე, იცის. ამას უნდა მივუმატოთ მყარი კავშირები ძველი და ახალი ელიტის წამყვან წარმომადგენლებთან (თუ გნებავთ, სიტყვა **ელიტას** მივუწეროთ **ე. წ.**, თუმცა ამით არაფერი შეიცვლება). **თუ სააკაშვილს ეჩვენება, რომ მის ზურგს უკან ვიღაც დგას** (საშინელებათა ფილმებში არის ხოლმე ასეთი ეპიზოდი)**, მისი წარმოსახვა, სავარაუდოდ, კარნახობს, რომ ეს ნინო ბურჯანაძეა.**

გასული წლის განმავლობაში ბურჯანაძის პოზიციები, ასე თუ ისე, გამყარდა. თუ ათვლის წერტილად ოპოზიციის იმ მიტინგებს ავიღებთ, სადაც იგი არასასურველი სტუმარი იყო, ვნახავთ, რომ გარკვეული პროგრესი სახეზეა, თუმცა, მისი ყოფილი თანაგუნდელები რომ იტყვიან, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია", თანაც იმდენად ბევრი, რომ სათუოა, ჩასატარებელი სამუშაოები წლევანდელი შემოდგომის ჩარჩოებში ჩაეტიოს.

**თუ ნინო ბურჯნაძის გარშემო შემოკრებილი ძალები და „ეროვნული ფორუმი" ხელისუფლებას კომბინირებულ დარტყმას მიაყენებენ (თუნდაც ნოემბერში), მათ წარმატების შანსები ნამდვილად ექნებათ, თუმცა ამ დარტყმის რეალურ შესაძლებლობაზე ჯერჯერობით არაფერი მიანიშნებს.** უცნობია ისიც, აქვთ თუ არა ამ ორ ძალას მომავლის ერთიანი ხედვა და არსებობს თუ არა მათ შორის კოორდინაცია.

## ალიანსი-1, ალიანსი-2, ალიანსი-2012

ვიდრე, „გარღვევის ძალები" (სამხედრო ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ) ნოემბრისათვის ემზადებიან, სხვა ოპოზიციური პარტიები თავს მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ. **მმართველი ძალის თემატური კრიტიკა დღევანდელ პირობებში ფრიად მომგებიანი საქმეა, რადგან ხელისუფლება ძალისხმევას ნამდვილად არ იშურებს და გართულებული ეკონოკიკური სიტუაციის ფონზე არაპოპულარულ ნაბიჯებს ერთი მეორის მიყოლებით დგამს.** ეს, რა თქმა უნდა, ძალზე სახალისოა, თუმცა ამჯერად ჩვენ გვაინტერებს ქართული ოპოზიციური პარტიების ზოგადი პერსპექტივები. უყურადღებოდ, ალბათ, არც ის ძალები უნდა დავტოვოთ, რომლებიც ადგილობრივი არჩევნების დროს „ალიანსში საქართველოსთვის" გაერთიანდნენ. **დღეს „ალიანსი" ფორმალურად არ არსებობს, თუმცა მისი რეანიმაცია 2012 წლის არჩევნებისთვის** (შესაძლოა, ოდნავ განსხვავებული შემადგენლობით) **სავსებით რეალური ჩანს.**

წარმოვიდგინოთ ასეთი სცენარი: რადიკალური ოპოზიცია, რომელიც უახლოეს მომავალში წარმატების მიღწევას ქუჩის აქციებით შეეცდება, დამარცხდა და ბრძოლის ეს მიმართულება საპროტესტო ელექტორატის თვალში უპერსპექტივო გახდა. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ალიანსმა საქართველოსთვის"-2 წლევანდელ არჩევნებთან შედარებით მეტი ხმა მიიღოს. ამის შემდეგ, **გამორიცხული არაა, რომ ძია სემის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ თანდათან ჩამოყალიბდება ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებში ამომრჩევლის ნების გამომხატველად წარმოდგენილი იქნება ორი ძირითადი ძალა: დღევანდელი მმართველი და (პირობითად) „ალასანიას ალიანსი" (შეგვიძლია საერთო სურათს ანტურაჟისთვის „ქრისტიან-დემოკრატები" და სხვა აქსესუარები დავუმატოთ).** ამ სისტემის ფარგლებში იქნება კოალიციები, კრიზისები, კონსულტაციები, შესაძლოა, „ხავერდოვანი გადატრიალებებიც" კი, მაგრამ არ იქნება არჩევანი, როგორც ასეთი, რადგან ამ ძალებს საქართველოს საგარეო ორიენტაციაზე იდენტური ხედვა აქვთ, ხოლო საქართველოს ეკონომიკის, განათლების და ა.შ. განვითარებაზე — თითქმის იდენტური. უბრალოდ, ერთ-ერთი მათგანი მეორეზე ცივილურად (ჯერჯერობით) გამოიყურება.

ეს ყველაფერი უკვე იყო ნიკარაგუაში, სალვადორში, ჰონდურასში, მოკლედ, ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც აშშ-ის კონტროლს ექვემდებარებ(ოდ)ა. **ეს არჩევანის ერთგვარი ილუზიაა ორ (ან სამ) ძალას შორის, რომელთაც საბოლოო ჯამში ერთი ორიენტაცია და მსოფლმხედველობა აქვთ. აღწერილი სცენარი სავსებით რეალური გახდება იმ შემთხვევაში, თუ 2010-11 წლებში რადიკალური ოპოზიცია დამარცხდება და, ამასთანავე, რაიმე ფაქტორი არ აიძულებს აშშ-ს, საქართველოს გაკონტროლებაზე უარი თქვას.**

**ბამორიცხული არაა, რომ ძია სემის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ თანდათან ჩამოყალიბდება ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებში ამომრჩევლის ნების გამომხატველად წარმოდგენილი იქნება ორი ძირითადი ძალა: დღევანდელი მმართველი და (პირობითად) «ალასანიას ალიანსი»**

**დიმიტრი მონიავა**

## გაფრაზებული



**კახა კაციტაძე,**
**სამხედრო ექსპერტი:**

ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, საქართველოს დავით აღმაშენებელი სჭირდებაო! არა, ბატონებო! საქართველოს დღეს დავით აღმაშენებელი კი არა, ქართული ფსიქიატრიული სკოლის დამფუძნებელი — მიხეილ ასათიანი სჭირდება.

*„ასავალ-დასავალი"*



**ვალერი გელბახიანი,**
**პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი ცნობილი იურისტი:**

ახლა თუ სააკაშვილმა ჯარი გამოიყვანა, ხალხს იარაღით დაერია და სისხლი დაღვარა, იგი ჩაუშესკუსავით დაამთავრებს და თუ ამას გადაურჩა, როგორც მინიმუმ, მილოშევიჩის ბედი გარანტირებული ექნება — მას ჰააგის ტრიბუნალი გაასამართლებს, ამაში გარწმუნებთ!

*„ასავალ-დასავალი"*



**ირაკლი ალასანია,**
**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი:**

ის მოსახლეობა, რომელიც გმირულად რჩება საზღვრისპირა ზონაში და ამყარებს ქართულ სახელმწიფოებრიობას ადმინისტრციულ საზღვართან, უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს. ნიქოზს, ისევე როგორც სხვა სოფლებს, არა აქვს ელემენტარული პირობები თავის სარჩენად. მთავრობამ დაუყოვნებივ უნდა გამოყოს თანხა, რათა არ დაიცალოს სოფლები. მიხეილ სააკაშვილი ვალდებულია, ჩავიდეს და დაამშვიდოს ხალხი.

*„კვირის პალიტრა"*



**კობა არაბული,**
**მწერალი:**

ნონა გაფრინდაშვილის გამოჩენა ბევრს არ აწყობს. ის არის მეტად სახიფათო ფიგურა პოლიტიკის „საჭადრაკო დაფაზე". ეს მტკიცე, მშვიდი და ჭკვიანი ქალბატონი არ ჩამოუვარდება არც ჰილარი კლინტონს, არც ანგელა მერკელს, გნებავთ, არც ტეტჩერს. ვიტყოდი, კიდევაც აღემატება მათ. იგი ბრძენია და გონიერი. მას შეუძლია სწორი „საჭადრაკო სვლის" მოფიქრება ამ რთულ ვითარებაში. ნონა გაფრინდაშვილი შეცვლის ისტორიის მდინარებას და ძალიან ბევრ ოპოზიცინერს თუ პოზიციონერს დააშამათებს!

*„ასავალ-დასავალი"*



**სულხან მოლაშვილი,**
**კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე:**

ყველაზე დიდ საშინელებათა ფილმებში ვერ ნახავთ იმას, რაც პენიტენციარულ სისტემაში ხდება. მომაკვდავი პატიმრები ერთ რამეს ნატრობენ მხოლოდ — მათი ცხედრები გაუხრწნელი და შეურყვნელი გადასცენ მათ ჭირისუფლებს!

*„ასავალ-დასავალი"*



**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**

ნატოსა და ევროკავშირთან რუსეთის მომავალი თანამშრომლობა დადებითად მესახება. ჩემი მიზანია რეალური ევროატლანტიკური უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც საქართველო და რუსეთი მშვიდობიანად და ჰარმონიულად იცხოვრებენ.

*„კვირის პალიტრა"*



**ეკა ბესელია,**
**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ლიდერი:**

2004 წლიდან, ანუ „ვარდების რევოლუციიდან" დღემდე, 100 ათასზე მეტი ადამიანია სისხლის სამართლის წესით გასამართლებული. 150 ათასზე მეტი ადამიანია ადმინისტრაციული წესით დასჯილი. რამდენიმე ათეული ათასი ადამიანია ან ქონებაჩამორთმეული, ან სხვადასხვა დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების ქვეშ მოქცეული... ხელისუფლება მიზანმიმართულ პოლიტიკას ეწევა, რომ ქართველი ერი გამოაცხადოს კრიმინალურ მასად.

*„ალია"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაჟღერებულნი



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:**

ჩემთვის დღემდე გაურკვეველია „ეროვნული კრების“ ორგანიზატორების მიზნები, გეგმები და სქემა...

*„ალია“*



**ვასილ მაღლაფერიძე,**
**მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი:**

სასამართლო დარჩება ისეთივე, როგორიც არის, მხოლოდ პასუხისმგებლობა გადავა სახელმწიფოდან უბრალო ადამიანებზე.

*„ყველა სიახლე“*



**თენგიზ სიგუა,**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

მთელს აჭარაში, იცით, რამდენი საწოლია? 7700 მხოლოდ. როგორ მიიღებ 2 მილიონ ტურისტს? ხომ თქვა, გაისად აჭარა ორ მილიონ ტურისტს მიიღებსო. ერთ ლოგინში თუ ხუთ ტურისტს ჩააწვენ, კი, ბატონო. ანდა, ახლა რომ გამოაცხადეს, ქობულეთთან დაკავშირებით, 15 წლით ვათავისუფლებთ, ოღონდ სასტუმროები ააშენონო. კი, ბატონო, ააშენონ, მაგრამ 3-4-მილიონიანი სასტუმროები ეს არის 30-40-კაციანი სასტუმრო. ის ვერანაირად ვერ გაზრდის მნიშვნელოვნად საწოლების რაოდენობას. ამიტომ ეს ყველაფერი არის ბლეფი.

*„ალია“*



**ნესტან კირთაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

დღეს, ერთიან ქართულ სახელმწიფოს შანსი წართმეული აქვს და ის მხოლოდ ისტორიული შანსის ამარაა დარჩენილი...

*„ალია“*



**ზურაბ აბაშიძე,**
**პოლიტოლოგი:**

მე ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს ძალიან დიდ პატივს მივაგებ, მაგრამ მას, როგორც პოლიტიკოსს, არ ვიცნობ და მასთან პოლიტიკურ დებატებში არ შევალ!..

*„ალია“*



**ეკა ჩხეიძე,**
**მსახიობი:**

სააკაშვილი რომ ნაყინის გამყიდველის ამპლუაში დავინახო, ფარული კამერა არ მეგონება. მიშა ისეთი აქტიურია, ხან თვითმფრინავს მოახტება და ხანაც მაშველი რგოლით ზღვაში შერბის. ერთხელ ავტობუსის საჭეს მიუჯდა და დიდი ამბავი, თუ ნაყინსაც გაყიდის.

*„ყველა სიახლე“*

# მხოლოდ სააკაშვილსა და მის ზედამხედველებს სჭირდებათ ქართველი ბიჭების ავღანურ სასაკლაოზე გაშვება

## ევროკავშირში თურქეთის შემდეგ თუ მიგვიღებენ (ე.ი. არასოდეს), ნატოში — რუსეთის შემდეგ!



**„მინდა, გაცნობოთ მეტად არასასიამოვნო ამბავი — ჩვენთან ჩამოდის რევიზორი!“** — ალბათ, ასე, XIX საუკუნის დიდი უკრაინელი მწერლის სიტყვებით, მიმართა სააკაშვილმა თავის საველონიკოს, რომ თბილისში რევიზიისა და ინსპექციისთვის ჩამოდიოდა ნატოს მდივანთუხუცესი. არადა, სააკაშვილის ტელევიზიებმა ნატოს ეს ინსპექტორი ლამის მსოფლიო ლიდერად წარმოგვიჩინეს.

სინამდვილეში, ისევე, როგორც ყველა მდივნის, რასმუსენის პირდაპირი მოვალეობა არის ნატოს ასამბლეისა თუ სამიტისთვის დოკუმენტების მომზადება და მისი ქსეროასლების დარიგება. რას იზამ, მასზე უფრო მაღალი თანამდებობის პირები სააკაშვილს აღარ კადრულობენ და მისმა ტელეარხებმა ვიღაც ხომ უნდა გააპიარონ! მაღალი თანამდებობის ხალხი ივნისში გვესტუმრნენ და სააკაშვილს მშვიდობიანი წასვლა შესთავაზეს, მან კი ანჩხლი და უზნეო ბავშვივით თავისი გრძელი ფეხები გაფარჩხა და იკივლა „არ წავალ!!!“.

**ხუმრობა იქით იყოს და მაინც რატომ გვესტუმრა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი? საქმე ისაა, რომ სწორედ მისი მოვალეობაა, მოამზადოს ვარშავაში 12 ნოემბერს დაგეგმილი ნატოს 56-ე ასამბლეისა და 19 ნოემბერს ლისაბონში უმაღლესი დონის სამიტის მასალები. ვარშავის ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია ალიანსის გაფართოება-არგაფართოების პერსპექტივები და რასმუსენიც სწორედ იმიტომ ჩამოვიდა თბილისში, რომ დაასაბუთოს საქართველოს საკითხის უვადოდ გადადების აუცილებლობა.** ლისაბონში უმაღლესი დონის სამიტზე კი პრეზიდენტი მედვედევიცაა მიწვეული და იგი იქ სიტყვით გამოსვლას გეგმავს. არადა, დასავლეთ ევროპაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა ნატოში რუსეთის გაწევრების შესახებ, რასაც ამერიკა და ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ეწინააღმდეგებიან. მედვედევი თანახმაა, ხოლო პუტინის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. ამ ფონზე სააკაშვილის მოთხოვნა, რომ ნატოს ამ სამიტზე განიხილონ აგვისტოს სამდღიანი ომის შედეგები, მურმანის ეკალივითაა.

ამერიკაში ბოლო ვიზიტის დროს ბაქრაძე აქტიურად ლობირებდა სააკაშვილის აკვიატებულ სურვილს, რომ ნატოს სამიტის დოკუმენტებში ტერმინი „ოკუპაცია“ ეხსენებინათ, მიუხედავად კუშნერის დამცინავი კომენტარისა. მაგრამ, ცხადია, რომ, როდესაც ნატოს სამიტი ასე ცდილობს რუსეთის მოთაფვლას და ნატოში შეტყუებას, ასეთ რამეს იქ არ გააკეთებენ. **რაც მთავარია, ნატოს ამ სამიტმა უნდა გადაწყვიტოს ამ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის სტრატეგია შემდეგი ათწლეულის განმავლობაში.**

და აქ დგება საკითხი – ბუქარესტის სამიტზე მიღებულ განცხადებას, რომ უკრაინასა და საქართველოს „ოდესმე“ ნატოში მიიღებდნენ, რა უყონ? **ევროპაში სიდიდით მეორე ქვეყანამ, უკრაინამ, უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ნატოში გაწევრების არავითარი სურვილი არ გააჩნია,** თუმცა ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადი უკვე შეიტანა. **ისევე, როგორც ეს გააკეთეს ევროპის ყველაზე წარმატებულმა ქვეყნებმა, ფინეთმა და ავსტრიამ, რომლებიც ევროკავშირის წევრებია, მაგრამ ნატოზე უარი თქვეს.**

ნატოს საერთო სტრატეგიას თანდათან გამოეთიშა თურქეთიც. ის განაწყენებულია ევროკავშირის წევრობაზე მიღებული მტკიცე უარით. მას რეგიონში ყველაზე მძლავრი და ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი არმია ჰყავს და ნატოს კოლექტიური „სამხედრო ქოლგა“ ნამდვილად აღარ სჭირდება. **თურქეთი თანდათანობით აძლიერებს ზეგავლენას ოსმალეთის იმპერიის ყოფილ წევრებსა და რუსეთის იმპერიის თურქულენოვან ქვეყნებზე და ამიტომ უკვე დაიმსახურეს ტერმინი „ნეოოსმალები“.** აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ მხოლოდ თურქეთი იყო ▶

## მოკლედ



### პრეზიდენტი კულტურის ამაღლებას მოითხოვს

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა მმართველ გუნდსაც და ოპოზიციასაც განუმარტა, რომ „ახალი რედაქციის კონსტიტუციით გათვალისწინებული სისტემა ბევრად უფრო დახვეწილ პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს“ და ამისთვის მომზადება დაავალა.** „ჩვენ ბევრად უფრო რთულ სისტემაზე გადავდივართ იმ გაგებით, რომ ეს რამდენიმე სახელისუფლო ცენტრზე გადანაწილებული საკონსტიტუციო მოდელია და არა ერთ ცენტრზე კონცენტრირებული. შესაბამისად, ეს სისტემა ბევრად უფრო დახვეწილ პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დააკონკრეტა, „ამას, პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობის“ გასაგონად“ ვამბობო. როგორც ჩანს, ყველაზე ნაკლები პოლიტიკური კულტურა სწორედ იქ ეგულება.



### თარგამაძე დევიდ კემერონს შეხვდა

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს დევიდ კემერონს შეხვდა და პირადად მიულოცა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მეთაურობა, შემდეგ კი მადლობა გადაუხადა საქართველოსთვის გაწეული დახმარებისთვის და 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მხარდამჭერი ვიზიტისთვის.** გიორგი თარგამაძე და პარტიის საერთაშორისო მდივანი გიორგი რუხაძე ქალაქ ბერმინგემში „კონსერვატიული პარტიის“ ყრილობაზე იმყოფებიან. ყრილობის ფარგლებში დაგეგმილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიების ლიდერთა შეხვედრები, რომლებშიც ქართველი „ქრისტიან-დემოკრატებიც“ მიიღებენ მონაწილეობას.



### ნუშიც გვქონია

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს აშკარა წინსვლა აქვს — აქამდე თუ ბაყაყებისა და ლოკოკინების ექსპორტზე აგებდა ქვეყნის მომავალს, ახლა ნუში გაახსენდა.** „ნუშის სამშობლო საქართველოა. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაინტერესებულ ფერმერებთან ერთად ფრანცისკო ვარგასი, როგორც ნუშის კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე მკვლევარ-მეცნიერი, მოიწვია. ამასთან, ნუში კაკლოვანთა შორის მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია და მისი ფასი ყოველწლიურად იზრდება. ამიტომ საქართველოში მისი მოყვანა რეკომენდებულია როგორც მარკეტინგის, ისე რენტაბელობის თვალსაზრისით“, — აცხადებენ სამინისტროს წარმომადგენლები.



### ჯონდიმ გაიღვიძა

**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მეორე მოსმენისას „ქართული დასის“ აღშფოთებულმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ დაასკვნა, რომ ხელისუფლება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიზანმიმართულ შესუსტებას ცდილობს.** მას შემდეგ, რაც მთელი საქართველო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ანალოგიური შეფასებების ტალღამ ათასჯერ მაინც წალეკა, ბაღათურიას, როგორც იქნა, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „საპარლამენტო უმრავლესობამ კარგად იცის, მათი კანდიდატი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ველარ გაიმარჯვებს და ამიტომ დაჰყავს მინიმუმამდე პრეზიდენტის უფლებები“. სამწუხაროდ, ბატონ ჯონდის არ განუმარტავს, რატომ ვერ გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებზე „მათი“ კანდიდატი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**საააკაშვილმა პირველად თქვა, რომ ნატოში გაწევრება მისი აკვიატებული აზრი არ არის. ამით მან პირველად აღიარა საზოგადოების წინაშე, რომ მისი საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარმა კომპონენტმა სრული კრახი განიცადა**

◀ ნატოს გენერალურ მდივნად რასმუსენის დანიშვნის წინააღმდეგი.

ნატოს საბჭოს ბოლო სხდომაზე, როგორც ამას გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ერთმანეთს ორი ხედვა დაუპირისპირდა — **აქვს თუ არა ნატოს უფლება ევროპის გარეთ ჩაებას კონფლიქტებში? ნატოს წესდებაში პირდაპირ წერია, რომ ამ ალიანსის წევრებს მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვთ იარაღის გამოყენების უფლება — თავდაცვის მიზნით ან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით.** სწორედ ასეთი რეზოლუციის შედეგად შევიდნენ ნატოს ჯარები ავღანეთში, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამის წინააღმდეგი იყვნენ და, როდესაც ორი წლის შემდეგ ამერიკამ ერაყში შესვლა გადაწყვიტა, ანალოგიური რეზოლუცია გაერომ აღარ მიიღო და შედეგად დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა უარი თქვეს ერაყში ჯარების გაგზავნაზე.

**სიმბოლური იყო, თბილისში რასმუსენის ერთდღიან ვიზიტსა და ნატოს წარმომადგენლობის გახსნას რომ დაემთხვა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში ქართველი სამხედროების დაღუპვა. ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ასეთ მოვლენას ხალხის საპროტესტო ტალღა მოჰყვებოდა, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნით.**

ჩვენთან კი, მცირე გამონაკლისის გარდა, ოპოზიციური პარტიები ხმას არ იღებენ. არადა, რაში გვჭირდება ისეთი „ოპოზიცია“, რომელიც ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხში (არა მარტო ამაში) ხელისუფლებას უჭერს მხარს. საერთოდ, მინდა, მათ შევახსენო ანბანური ჭეშმარიტება, რომ ოპოზიცია მხოლოდ მაშინ გქვია, თუ განსხვავებული პოზიცია გაქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ბევრს მოვითხოვ „ოპოზიციისგან“, მაშინ, როდესაც მათ „მხოლოდ“ საკრებულოსა და პარლამენტში ორიოდე სავარძელზე აქვთ პრეტენზია...

**გვჭირდება კი ჩვენ ამ ომში მონაწილეობა და რას წარმოადგენს ეს ომი? სააკაშვილს რომ ეს პოსტის შესანარჩუნებლად სჭირდება, ცხადია! გავიხსენოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ერთი წლის წინათ, 14 ოქტომბერს, რადიო „ეხო მოსკვის“ ეთერში გამოსვლა რუსეთში ოფიციალური ვიზიტისას. იქ მან დააზუსტა, თუ რისთვის უჭერს ამერიკა მხარს ჩვენს ქვეყანას: „საქართველო ჯარისკაცებს გვაძლევს ავღანეთში საომრად.“** არც აქ და არც მოსკოვის უნივერსიტეტში ანალოგიურ გამოსვლაში მას ერთხელაც არ უხსენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; არც ერთი სიტყვა არ თქმულა 6-პუნქტიანი შეთანხმების შეუსრულებლობაზე ან ეთნიკურ წმენდასა და უამრავ ახალ დევნილზე. სამაგიეროდ, თქვა, რომ **„საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავს უნდა იკავებდნენ პროვოკაციებისაგანო“.**

**აი, აქედან ცხადი ხდება, რომ მხოლოდ სააკაშვილსა და მასთან დაახლოებულ ერთ-ორ პირს სჭირდება ქართველი ბიჭების სასაკლაოზე გაშვება, მაშინ, როდესაც ამ ომის გაგრძელებას ამერიკაში სულ ბოლოს გამოკითხულთა მხოლოდ 27% უჭერს მხარს.**

მე აქ მინდა დავასახელო ნატოს წევრი ის ქვეყნები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგეები არიან და არც მალავენ ამას: **გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. სწორედ ეს შვიდი წარმატებული დასავლეთ ევროპული ქვეყანა არ უშვებს საქართველოს ნატოში და მომავალშიც ასე იქნება.** სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ეს კარგად იციან, მაგრამ ეს პოლიტიკური ბანკროტები მხოლოდ თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობენ და მათი ერთადერთი გამოსავალი საქართველოს მოსახლეობის მოტყუებაა, რაც თავიანთი ლაქია ტელევიზიებით არცთუ ცუდად გამოსდით.

საინტერესოა, აქვს თუ არა თვითონ ამ ალიანსს მომავალი? აი, აქ კი აზრები იყოფა: **ევროპაში ბევრს მიაჩნია, რომ, თუ ნატოს ოჯახს შევადარებთ, ასეთი ოჯახი, ყველასთვის აშკარაა, რომ დაშლის პირას არის. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ნატომ შეცდომა დაუშვა, როცა ავღანეთის ოპერაციაში ჩაება და ევროპის გარეთ ყოველგვარ ოპერაციებზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვას უარი.**

ზოგიერთები კი უფრო შორს მიდიან და ნატოდან ამერიკის გასვლას მოითხოვენ. საინტერესოა, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მეტამორფოზა: თუ ორიოდე წლის წინათ იგი პრეზიდენტი გახდა, როგორც „პროამერიკელი“ პოლიტიკოსი, დღეს ევროპაში ამერიკის პოზიციას პირველი სწორედ თავად აკრიტიკებს.

ახლა განვიხილოთ, თუ რა იდეებია წამოყენებული ნატოს სამიტზე და რამდენად რეალურია მათი განხორციელება. როგორც ჩანს, ნატოს გაფართოება მაინც გაგრძელდება და ამის კანდიდატებად დასახელებულია სამი ბალკანური სახელმწიფო, რომლებსაც, დიდი ხანია, მინიჭებული აქვთ „მაპი“, ანუ გაწევრების პროგრამა. მაგრამ **ყველაზე მოულოდნელი მაინც იყო გერმანიის წინადადება ნატოში რუსეთის მიღების შესახებ, რასაც საფრანგეთმა და იტალიამაც დაუჭირეს მხარი.**

**მათი არგუმენტები შემდეგია:**

**მშვიდობის შესანარჩუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია ძველი მტრების ახალ წესრიგში ჩართვა, ანუ ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილება პანევროპული წყობისა არის რუსეთის ამ ალიანსში გაერთიანება;**

**რუსეთის ნატოში თანდათანობითი ინტეგრაცია გააცოცხლებდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს, გახდიდა რა ევროპას ამერიკის უფრო ძლიერ გეოპოლიტიკურ პარტნიორად;**

**რუსეთის ნატოში ინტეგრაცია ევროატლანტიკურ თანამეგობრობას გაუფართოებდა გავლენის არეალს;**

**რუსეთის ნატოში ინტეგრირება აუცილებელია ახალი სუპერსახელმწიფოს — ჩინეთის სულ უფრო ფანტასტიური ეკონომიკური და სამხედრო ზრდის ფონზე;**

**რუსეთის ნატოში ინტეგრაცია საშუალებას მისცემდა საქართველოს, უკრაინასა და დსთ-ს წევრებს, ისე გამხდარიყვნენ ამ ალიანსის წევრები, რომ რუსეთი არ გაეღიზიანებინათ.**

სააკაშვილი მოინდომებდა კი ასეთ ნატოში შესვლას?

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია და ცოტა ძნელად შესასრულებელი ჩანს, მიუხედავად პრეზიდენტ მედვედევის თანხმობისა. **უფრო რეალური ჩანს, ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი კომენტატორების აზრით, რომ გაისად ნატოს ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, იქ სრული დამარცხება ევროპამ და ამერიკამ ერთმანეთს გადააბრალონ და საბოლოოდ წაიჩხუბონ.** აქამდე შიგნით არსებულ დაპირისპირებას ხელს უშლიდა ის, რომ მათ საერთო მტერი ჰყავდათ საბჭოთა კავშირის სახით, და თუ საერთო მტრის სტატუსი ვინმეს არ მიანიჭეს, ამ ორგანიზაციას არსებობის გამართლება აღარ ექნება. ასე რომ, ლისაბონის სამიტი შეიძლება ამ ალიანსის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

**სააკაშვილმა პირველად თქვა, რომ ნატოში გაწევრება მისი აკვიატებული აზრი არ არის. ამით მან პირველად აღიარა ქართული საზოგადოების წინაშე, რომ მისი საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარმა კომპონენტმა სრული კრახი განიცადა.** როგორც ვნახეთ, საქართველოს ნატოში გაწევრების ერთადერთი შანსი, თუკი ასეთი სურვილი იქნებოდა ჩვენი მხრიდან, მხოლოდ რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ექნებოდა. ასე რომ, ჩვენს ევროატლანტიკურ სამინისტროსა და მათ ჯიბის ექსპერტებს შევახსენებ: **ევროკავშირში თურქეთის შემდეგ თუ მიგვიღებენ (ე.ი. — არასოდეს), ნატოში — რუსეთის შემდეგ! ნამდვილად „ბრწყინვალე“ პერსპექტივა აქვს სააკაშვილის საგარეო-პოლიტიკურ კურსს!**

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# უწყვეტი ზოლი

**დააჯარიმეთ ეს ადამიანი, ბატონო ვანო! თუ არ დაგემორჩილათ, გასკვანჩეთ, „კაპოტზე“ თავი არტყმევინეთ, გამოიყენეთ სპეცსაშუალებები ხელკეტიდან დაწყებული ცრემლსადენი გაზით დამთავრებული, თუ წინააღმდეგობა გაგიწიათ, აუშვით ძაღლები და ცხენებით სდიეთ, ესროლეთ რეზინის ტყვიები, ისევე გაბედულად, როგორც ჩვენ გვესროდით.**

ხელი არ აგიკანკალდეთ; ეს ადამიანი აუცილებლად უნდა დაისაჯოს, ბატონო ვანო! არანაირი ტოლერანტობა, არავითარი დანდობა! გარწმუნებთ, საზოგადოება ამას სრული გაგებით შეხვდება და, თუ საჭირო იქნება, მხარშიც ამოგიდგებათ, განსაკუთრებით ცხენებით დადევნების სახალისო პროცესში. პირადად მე პირობას ვდებ, რომ პენსიაზე თქვენს დამსახურებულ გასვლამდე (ამბობენ, აპირებთ, თან მალე, უფრო სწორად გიპირებენ, თან სწრაფად) ვივლი მაისურით „მე მიყვარს ჩემი პოლიცია“, მიუხედავად იმისა, რომ მე ის არ მიყვარს, მეტიც, მისი ნამოქმედარიდან გამომდინარე, „ჩემს პოლიციად“ რაღაცნაირად ვერ აღვიქვამ, ისევე, როგორც უამრავი თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი; თუმცა ყველაფრის გამოსწორება შეიძლება; მთავარია, აღსრულდეს კანონი, ხოლო დანარჩენს როგორმე მოევლება.

**საუბარი, როგორც უკვე მიხვდით, მიხეილ სააკაშვილს ეხება. გასულ კვირას კახეთში ერთ-ერთი პროპაგანდისტული აქციის ჩატარების დროს მან, მანქანის საჭესთან მჯდომმა, ცინიკურად გადაკვეთა მკაფიოდ გახაზული უწყვეტი ზოლი, შემხვედრი მიმართულებით მოძრავი მანქანებისთვის განკუთვნილ ხაზზე გადავიდა და საკმაო დროის განმავლობაში ასე მოძრაობდა, ქმნიდა რა ავარიულ სიტუაციას და აშკარა საფრთხეს გარშემო მყოფთათვის. ეს ნახა ყველამ, ვინც აღნიშნული მოვლენის ამსახველ რეპორტაჟს უყურებდა.**

ბატონო ვანო, ვინ მისცა ამ ადამიანს მართვის მოწმობა? ვინ მიუშვა ის საჭემდე ქვეყანაში, რომელიც, ავტოსაგზაო შემთხვევების თვალსაზრისით, რეგიონში პირველ ადგილზეა, სადაც ყოველ 18 საათში ერთხელ ავარიის შედეგად ადამიანი იღუპება?! **როგორ შეიძლება მართვის მოწმობის მიცემა იმისთვის, ვისაც საზოგადოების დიდი ნაწილი სამბორბლიან ველოსიპედსაც კი არ ანდობს?** ავიღოთ 28 სექტემბრის უკრაინული გაზეთი „ქუოტვთპ ბრპლრნთ და გადავხედოთ ინტერვიუს მიხეილ სააკაშვილთან, მაგალითად ამ ფრაზას: **„ყველა მასწავლებელს, რომელიც ისწავლის ინგლისურს და დაეუფლება კომპიუტერს, ჩვენ ახლა ხელფასს ვუორმაგებთ. ის, სხვათაშორის, უკვე აღწევს 400-600 დოლარს“.** ყველას, ვინც ამ ფრაზას წაიკითხავს, შეიძლება გაუჩნდეს მყარი ეჭვი, რომ ამის მთქმელს მართვის მოწმობის აღებისთვის საჭირო ერთ-ერთ ცნობასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში არ აქვს. რა 400-600 დოლარი? ალბათ, სასწრაფოდ შესამოწმებელია, წითელი მწვანე ხომ არ ჰგონია, ხოლო საკუთარი მანქანა — იური გაგარინის კოსმოსური ხომალდი?! იქამდე კი, უმჯობესი იქნება, მისი მართვის მოწმობა სადმე უსაფრთხო ადგილას ინახებოდეს.

**პოლიტიკა, რაღაც თვალსაზრისით, საგზაო მოძრაობას ჰგავს, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა ერთხელ უკვე მოატრიალა საჭე, ისე, რომ საპირისპირო მიმართულებით მოძრავ ტანკს (რა მნიშვნელობა აქვს, ჟანგიანი იყო თუ უჟანგავი) დაგვაჯახა.** შესაძლოა, თავად მძღოლს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ სადღაც მიქრის, ვიღაცას უსწრებს, თუმცა მისი მდგომარეობა იმ მომენტს მაგონებს „ნუ არგრლმ!-დან, როდესაც მგელი მანქანას ამსხვრევს, მიწაზე ზის და ატრიალებს საჭეს, მიუხედავად იმისა, რომ მანქანისგან, ამ ჰაერში გამოკიდებული საჭის გარდა, არაფერი დარჩენილია. ტრასა კი ძველებური ცხოვრებით ცხოვრობს, სადღაც მიქრიან ელეგანტური ლიმუზინები და გამჭვარტლული ტრაილერები და თითო-ოროლა თავი თუ მოტრიალდება, რათა თვალი გააყოლოს კომიკურ ფიგურას, რომელიც გზის პირას ზის და დამსხვრეული მანქანიდან მოგლეჯილ საჭეს ატრიალებს; ზოგიერთი ავტომობილის ფანჯრიდან ხურდასაც კი ისვრის, დიდი მადლობა ამისთვის, კეთილო ხალხო, თქვენ გაიხარეთ...

ტრასაზე ჩვენი მანქანის ნამსხვრევები ნებისმიერ მძღოლს შეახსენებს, რომ უწყვეტი ზოლის გადაკვეთამდე უნდა დაფიქრდე იმაზე, რომ შენს ზურგს უკან ცოცხალი ადამიანები სხედან. ჩვენ კი სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვიჯდეთ გზის პირას, ვუყუროთ, თუ როგორ ატრიალებს ეს ადამიანი მოგლეჯილ საჭეს, ღიღინებს „დუ-დუ-დუ-დუ, აბა, ჩქარა...“-ს და იცინის, განუწყვეტლივ იცინის. როდესაც ეს საბოლოოდ მოგვბეზრდება, ალბათ (თუნდაც მრავალფეროვნებისთვის), საჭეს წავართმევთ.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ



### ნაფიცმსაჯულობა ამოქმედდა

**1 ოქტომბრის შემდეგ თბილისის მასშტაბით ჩადენილ განზრახ მკვლელობებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ და გადაწყვეტილების მიღება სწორედ მათი ვერდიქტის საფუძველზე განხორციელდება.** მსაჯულები შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევიან ამომრჩეველთა სიიდან. მსაჯული ვერ იქნება იურისტი, სახელმწიფო პოლიტიკური პირი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი. მოქალაქეობრივი ვალის სხვა მიზეზებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით 1000-დან 1 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმა დაეკისრება.



### ბიუჯეტი შეგვიმცირეს

**როგორც ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა ბრძანა, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული შემოსავლები და ხარჯები მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებლებზე 30 მილიონი ლარით ნაკლებია.** პროექტი 6 მილიარდ 960 მილიონი ლარით განისაზღვრა, ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი — 4.5%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ამჯერად მთლიანი შიდა პროდუქტის 29%-ის ფარგლებშია, მაგრამ მისი შემცირება ეტაპობრივად გაგრძელდება და 2013 წელს 25%-ს არ გადააჭარბებს. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის გათვალისწინებით, გაისად სახელმწიფო უწყებებში ხელფასები არ გაიზრდება.



### ოპოზიცია „საარჩევნო კოდექსს“ ცვლის

**ოპოზიციურმა პარტიებმა ერთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, როგორც იქნა, რაღაც ერთობლივიც მოახლაფორთეს „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტის სახით.** პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის 75 წევრი უნდა აირჩეს ერთიანი პარტიული სიით, პროპორციული სისტემით, ხოლო 75 დეპუტატი — პროპორციული სისტემით რეგიონული სიებით. ამომრჩეველთა სიები უნდა შედგეს ბიომეტრიული პარამეტრების შემცველი პირადობის მოწმობების საფუძველზე. ხმის მიცემა უნდა მოხდეს ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით; ყველა საარჩევნო უბანზე უნდა დამონტაჟდეს ვიდეოთვალი და სხვ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გამოხმაურებები



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

მიშა არის ჩვენი შემარცხვენელი და დამღუპველი, გაიგეთ. ახლა ამერიკაში რომ იყო წასული, თავდაყირა იდგა თურმე და ერთი რესტორანი არ დატოვა, რომ არ ექეიფა. ორი სპეციალური რეისი გააკეთა ლას-ვეგასში, კაზინოების ქალაქში. ეს არის გახრწნილი არსება, რომელიც სასწრაოდ არის დასაპატიმრებელი. ჩვენს ბიუჯეტს ყრიდა იმ კაზინოებში, აბა, ბებიამისი მზიას ბიუჯეტს ხომ არ დახარჯავდა?!

*„ალია“*



**გუგული მაღრაძე, ქალთა პარტიის თავმჯდომარე:**

ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სოლიდარობისა და სამართლიანობის გარეშე არანაირი მომავალი არა გვაქვს არც ჩვენ და არც ჩვენ, შვილებს და ვიქნებით ასე, ჩამორჩენილი და ვიღაცა ჯგუფის ხელში სათამაშო ქვეყანა.

*„ალია“*



**ბორის ჩოჩიევი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელი პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში:**

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არანაირი საოკუპაციო ძალები არ არსებობს. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებული 2008 წლამდე იყო, მაგრამ ეს იყო ქართული საოკუპაციო ძალები. საბედნიეროდ, რუსეთის წყალობით ჩვენ მათგან გავთავისუფლდით და დღეს რუსეთის ჯარები მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია... უკვე დროა, საქართველომ გაიგოს, რომ დემარკაციას ახორციელებენ არა ჯარები, არამედ კომისია, რომელიც უმაღლესი პოლიტიკური სტრუქტურების გადაწყვეტილებით იქმნება.

*პირველი*



**კრისტიან ვულფი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი:**

ეჭვგარეშეა, რომ ქრისტიანობა და იუდაიზმი გერმანიის ნაწილია. ეს ჩვენი იუდეურ-ქრისტიანული ისტორიაა, მაგრამ ახლა გერმანიის ნაწილი ისლამიც გახდა.

*afp.com*



**ლუკა კურტანიძე, ფალავანი, ორგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრი:**

მივმართავ მას, ვინც დღეს პრეზიდენტად ჰყავს საქართველოს: შე დალოცვილიშვილო, შენმა შვილებმა ედუარდმა და ნიკოლოზმა, მინდა, რომ ჩვენს შვილებთან ერთად ლაღად და ბედნიერად იცხოვრონ. შენ რა გინდა? შენი არასწორი მართვით ქვეყანა იღუპება.

*„ასავალ-დასავალი“*



**რამაზ კლიმიაშვილი, პოლიტოლოგი:**

რომელიმე ქვეყანაში ამხელა მსხვერპლი რომ ყოფილიყო, თუ მთავრობა შესაბამის ზომებს არ მიიღებდა და უარს არ იტყოდა სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობაზე, ოპოზიცია აუცილებლად გამოვიდოდა ხელისულების წასვლის მოთხოვნით, ხალხი ჩამოაგდებდა მთავრობას. ერთადერთი არის ჩვენი ლაქია ხელისუფლება, რომელიც ბედნიერია ქართველი ბიჭების დაღუპვით, რადგან ამით ერთგულებას უმტკიცებს ამერიკას და ხალხს ატყუებს, ნატოში გვიღებენო.

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კუკავა, „კონსერვატორების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

არ მჯერა, რომ „სახალხო კრება“ არის გზა, რომელიც რაიმე პოლიტიკურ შედეგს ან ხელისუფლების შეცვლას მოიტანს.

*„ალია“*

### ნოდარ ჯავახიშვილი:

# ჩვენ გვყავს მტერი, ბანდიტი, კორუმპირებული ხელისუფლება



**ნოდარ ჯავახიშვილი 15 წლის წინათ შეძენილი, საქარე მინა დაბზარული, საკმაოდ შელახული „ჟიგულით“ რომ მოვიდა დანიშნულ დროზე, დანიშნულ ადგილზე, გითხრათ, გამიკვირდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. არ ვიქნები მართალი იმ შემთხვევაშიც, თუ დაგიმალავთ ჩემს ანტიპათიურ დამოკიდებულებას გუშინ გამომცხვარი მინისტრების მიმართ, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას საქვეყნო ასპარეზზე უძვირფასესი ავტომანქანების შეძენით იწყებენ. მაშინ, როცა ნოდარ ჯავახიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად მუშაობდა, სხვა დრო იყო და სხვა ეთიკური ნორმები მოქმედებდა? მაგრამ ამ ახალ დროებაში საკუთარი კეთილდღეობის მოწყობა ხალხის სამსახურად, ნორმად რომ ითვლება, ესაა ეთიკურად ღირებული და კორუფციის დამარცხების ნიშანი? რა მოგახსენოთ! მოგახსენებთ კი იმას, რომ ნოდარ ჯავახიშვილი არასოდეს იკადრებდა იმ უზნეობას, რასაც დღევანდელი ცხვირმოუხოცავი ბობოლები კადრულობენ. იგი პატიოსანი კაცია და შეკითხვებსაც პატიოსნად გასცემს პასუხს. დავიწყოთ.**

## ვის ელოდება კატასტროფა?

**— ბატონო ნოდარ, გაძვირების ის ციკლი თუ ცუნამი, რომლის პირველმა ტალღამ ფრიად მტკივნეულად დაგვარტყა, როგორც ჩანს, სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანს, აპოკალიფსამდე. ეს ჩემი ემოციური შეფასებაა. როგორია თქვენი, პროფესიონალის თვალით დანახული სინამდვილე? გაშიფრეთ, თუ შეიძლება.**

— შეკითხვის ბოლო ნაწილიდან დავიწყებ. კატასტროფა არავითარ შემთხვევაში არ იქნება. თუ ესენი ასევე გააგრძელებენ, ბოლოსდაბოლოს, ყველა გაიგებს, რომ ქართველობას ხვალინდელი დღე აღარ აქვს და ხალხი დაიბრუნებს თავის დაკარგულ უფლებას საკუთარ სახელმწიფოზე და კინწისკვრით გაყრის ამ მედროვეებს. კატასტროფა და აპოკალიფსი მათთვის დადგება.

ახლა ფასების მომატების შესახებ. დავიწყებ იმით, რომ გაძვირება არც ერთ ქართველს არ უნდა უკვირდეს. არაერთხელ მითქვამს, განმიცხადებია მასმედიის საშუალებით, რომ ქვეყანა, რომელიც ფაქტობრივად არაფერს აწარმოებს, ძალიან მგრძნობიარეა ნებისმიერი ცვლილების მიმართ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკაში ხდება. იმ დღეს რაღაც შოუ რომ მოგვიწყო პრეზიდენტმა თავის პრემიერ-მინისტრთან და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად — თურმე ხორბლის წარმოება ახლა უნდა დავიწყოთ, პირველი ორი ათასი ტონა ხორბლის თესლი უკვე შემოუტანიათ, ამ თესლიდან შემდეგ უფრო მეტ სათესლე მასალას მივიღებთ და უნდა შევუდგეთ ხორბლის მოყვანასო. ეს ლათაიები იმას ხომ არ მიგვანიშნებს, რომ 7 წლის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა პირველად ახლა გაიგეს, რომ პურს, რომელსაც ყოველდღე ჭამდნენ რესტორნებსა თუ შინ, მოყვანა სჭირდება? რომ ეს არის უაღრესად რთული, შრომატევადი დარგი, ტრადიციული საქართველოსთვის, რომელიც პირწმინდად მოსპეს და გაანადგურეს!

ჩვენი ხორბლით მაქსიმუმ 9 პროცენტით ვართ უზრუნველყოფილი. დანარჩენი შემოგვაქვს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ნებისმიერი რყევა მსოფლიო ბაზარზე შესაბამის გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკასა და ბაზარზე. ეს ყველაფერი ადვილად აღსაქმელია და პრინციპულად ნორმალური ვითარებაა იმ სიტუაციისთვის, როცა არანორმალურად იმართება ქვეყანა.

**— გამოდის, რომ, თუ მსოფლიო მასშტაბის ცვლილებებზეა დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა, მართვის სიავკარგე მეორადია?**

— არა. საქმე ის არის, რომ ფასების ზრდა საქართველოში არ არის არც მსოფლიო ფასების რყევით გამოწვეული და არც რაიმე სხვა ეკონომიკური პრობლემით. მთავარი აქ არის ჩვენი ხელისუფლების უსაზღვრო კორუმპირებულობა.

## რატომ აძვირებენ პურს?

— ჩვენი ხელისუფლება და ბევრი ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი გამუდმებით ხაზს უსვამს იმას, რომ კორუფციის დონე საქართველოში მნიშვნელოვნად არის შემცირებული. პირდაპირ ვაცხადებ, რომ დღეს შექმნილი ვითარება არის კორუფციის აპოგეა: იმპორტის ყველა პოზიციის წილში ზის სააკაშვილი და მისი ხელისუფლება.

მიაქციეთ ყურადღება: ფინანსური კრიზისის პერიოდში ფასების მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა მსოფლიოში. ამან გამოიწვია ის, რომ საქართველოში იმპორტიორების შემოტანილი პროდუქციის შემოტანის ღირებულება მნიშვნელოვნად, ზოგადად ეკონომიკისთვის კატასტროფულად დაეცა, მაგრამ ფასები არ შემცირებულა! ყველა სხვა ქვეყანაში გამოცოცხლებასთან ერთად ფასები თანდათან იზრდება, მაგრამ პიკს აღარ აღწევს.

ჩვენი ღრმად პატივცემული და ეკონომიკის სიღრმეებში ჩახედული პრეზიდენტი რომ ლაპარაკობს, მსოფლიოში პურზე ფასი გაიზარდაო, რატომ არაფერი უთქვამს მაშინ, როცა მსოფლიოში ხორბალი გაიაფდა, ჩვენთან რატომ არ დაეცა ფასი?

მაგალითად: (პირობითად ლარებში ვიანგარიშოთ) ორი ლარი გახდა მსოფლიოში საწვავი (პიკია), შემდეგ დაეცა ფასი ერთ ლარამდე და შემდეგ მოემატა 20 პროცენტი. ეს მომატება არც ერთ ქვეყანაში არ აღიქმება დიდ უბედურებად — იყო ორი, გახდა ლარი და 20 თეთრი. ჩვენთან 2 ლარიდან ლარამდე არ გაიაფებულა და, მატების ტენდენციის თანახმად, 20 თეთრით გაძვირდა, ანუ 2 ლარი და 20 თეთრი გახდა.

ასეთი რამ ხდება იმიტომ, რომ **ჩვენ გვყავს მტერი, ბანდიტი და, რბილად რომ ვთქვა, უღრმესად კორუმპირებული ხელისუფლება.** ამიტომაა ძნელად ასატანი ეს პრობლემა.

უნდა მიხვდეს ხალხი, რომ ესენი ასეთ დამოკიდებულებას გააგრძელებენ, სანამ კუდის რიკამდე არ გაატყავებენ ადამიანებს, საკუთარ მოქალაქეებს. ჯობია, ახლავე ამოვიღოთ ხმა და გავრეკოთ ესენი კისრისტეხით!

**— მიგაჩნიათ, რომ ხალხი მზადაა საამისოდ?**

— სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ასე განსჯის: დღეს ხომ გვაქვს პური და ამიტომ მოვითმინოთ. და ელოდება, როცა მართლა არ ექნება პური... იყო დრო, როცა საშუალო ქართველი უპრობლემოდ მიირთმევდა ხიზილალას, ზუთხს და ა.შ. თანდათან უკან-უკან წავედით, დავედით კარტოფილზე. ახლა პურზე დავრჩით. ამიტომ არის ასე მტკივნეული პურის გაძვირება. პურის გაძვირება ჩვენნაირ ქვეყანაში ავტომატურად იწვევს ფასების ზრდას ყველა დანარჩენ პროდუქციაზე... პურია ჩვენი რაციონის მთავარი პროდუქტი.

ოფიციალურ სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, 2009 წელს თურმე 8 პროცენტით შემცირებულა პურის ფასი. საქართველოში ვერავინ გაიგო, — ისე. ილუზიონისტები არიან ეს მამაცხონებულები, გენიალურად გვატყუებენ.

დავუშვათ, მართალია ამათი სახელმწიფო სტატისტიკა, მაშინ აგვიხსნან, რატომ შემცირდა 8 პროცენტით და არა ორმოცით, როგორც მთელ მსოფლიოში?!

რატომ ამაზე არ ლაპარაკობს ჩვენი ხელისუფლება?!

**— ჩვენ რატომ არ ვლაპარაკობთ, ვინც უშუალოდ განვიცდით ამ ყველაფერს?! ასეთი სპეციფი-** ▶

**ფასების ზრდა საქართველოში არ არის არც მსოფლიო ფასების რყევით გამოწვეული და არც რაიმე სხვა ეკონომიკური პრობლემით. მთავარი აქ არის ჩვენი ხელისუფლების უსაზღვრო კორუმპირებულობა.**

**გამოდის ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრი და აცხადებს, აღმოვაჩინეთ სავაჭრო დეფიციტის დაბალანსების საუკეთესო საშუალება, ბაყაყები უნდა მოვაშენოთო. შე მამაძაღლო, ძროხა გაწყვიტე, ღორი და ცხვარი გაწყვიტე, ქათამი გაწყვიტე და ბაყაყით გინდა შეცვალო?**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**კური საკითხების შესახებ კი არა, იმაზეც ვდუმვართ, რომ არსად, არც ერთ მაღაზიაში გასაყიდ პურს არ ადევს ფასის მაჩვენებელი. რადგან, თუ გამოდებენ ფასის მაჩვენებელს, მაშინ წონაც შესაბამისი უნდა იყოს...**

— არა მარტო წონა. ყველა პროდუქტი უნდა იყოს ეტიკეტირებული, ანუ მარკირებული და უნდა ეწეროს ყველაფერი, მათ შორის, შემადგენლობა, საფუარის ქიმიური დანამატების არსებობა პურში, რათა ადამიანმა იცოდეს, რა საწამლავსაც გვაჭმევენ. მაგრამ ეს რომ დააწერონ, ვილაც ნახავს ამას, წაიკითხავს და იტყვის, რომ ამ საქონელში ფული კი არ უნდა გადაიხადოს, არამედ მინიმუმ დაიჭიროს, თუ არ მოკლას იმ წუთას ის, ვინც თავის ხალხს ასე იმეტებს.

პური ჩვენთან არ ძვირდებოდა, პურის წონა მცირდებოდა, ნახევარი კილოც კი არ იყო ჩვენ რომ კილოგრამი გვეგონა კარგა ხანს. ახლა სამასი გრამია.

**— ასეთი მაქინაცია კი მილიონობით ლარის შოვნის უტყუარი საშუალებააო.**

— რასაკვირველია! ჩვენ ახლა ხორბალზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ყველა პოზიციაში ასეა — საწვავი, ხორცისა და რძის პროდუქტები, ყველაფერში ასეა. თითო ლიტრი გაყიდული საწვავიდან 50 თეთრი სააკაშვილს მიაქვს. რასაკვირველია, იგი თვითონ არ დადის ჩემოდნით და არ აგროვებს ფულს. აქ დახვეწილი, მრავალსაფეხურიანი სქემა ფუნქციონირებს. ეს ფარული სისტემაა, თორემ წარმოებაში აშკარა მეწილეები არიან და არც მალავენ ამას.

**— ესე იგი, ბატონო ნოდარ, საქართველოს მოქალაქეებს ისღა დაგვრჩენია, რომ ახლავე გავიქცეთ მაღაზიებში და დავიწყოთ პროდუქტების შესყიდვა, სანამ კიდევ უფრო არ გაძვირებულა?**

— არა, ბატონო, არა! ეს გამოსავალი არ არის. ერთ მშვენიერ დღეს მაინც მივალთ შიმშილის ზღვარზე. მაგრამ პრობლემა უფრო დიდია, — ჩვენი უბედურება ისაა, რომ ხელისუფლება ამ ეკონომიკური მეთოდითაც ცდილობს, პატივი და ღირსება აჰყაროს ქართველ ხალხს. ასე გრძელდება უკვე რამდენიმე წელიწადია. საქმე იქითკენ მიდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდებით, ოღონდ პურის ნატეხი ვინმემ გადმოგვიგდოს და მზად ვიქნებით, ერთგულად ვემსახუროთ „მოწყალების“ გამცემს.

უკანასკნელი არჩევნები, გაყალბებასთან ერთად, ამის მაჩვენებელი არ იყო?

სადამდე მივედით! მახსენდება ჯანსუღ ღვინჯილიას „სული აღმაშენებელი“ — რა მდგომარეობა იყო საქართველოში დავით აღმაშენებლის გამეფების წელს: თბილისში არაბი ამირა იჯდა და კმაყოფილი ქართველები „ბედნიერად“ ცხოვრობდნენ, არც ერთი არ გრძნობდა საკუთარ თავს ღირსებააყრილად და შეურაცხყოფილად. დღესაც



**უნდა მიხვდეს ხალხი, რომ ესენი ასეთ დამოკიდებულებას გააგრძელებენ, სანამ კუდის რიკამდე არ გაატყავებენ ადამიანებს, საკუთარ მოქალაქეებს. ჯობია, ახლავე ამოვიღოთ ხმა და გავრეკოთ ესენი კისრისტეხით!**

იგივე ხდება: ნახეთ — ყოველ საღამოს რესტორნები სავსეა, ქეიფობენ კმაყოფილი ქართველები. ესაა ჩვენი ყველაზე დიდი სადარდებელი დღეს. თორემ ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან, ჩვენ თუ ვერ მოვიცილებთ, ისინი თვითონ მოგვცილდებიან. ეკონომიკასაც დავაყენებთ ფეხზე. მაგრამ დაგვრჩება კი ქართველი კაცი?

გადით და ჰკითხეთ ახალგაზრდებს — რა დამოკიდებულება აქვთ პრეზიდენტის მიმართ. მოსწონთ! მის ზნეობაში ხინჯს ვერ პოულობენ! ხელიდან გვეცლება ქართველთა თაობა.

## ბაყაყებით დაბალანსებული დეფიციტი

**— ბატონო ნოდარ, ჩვენ დღევანდელი ყოფის გაძვირება-გაიაფებას მაინც ობივატელის თვალით შევხედეთ. საკითხავია, გვაქვს კი სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკის განვითარების?**

— ჩვენ? ვინ ჩვენ? მე ძალიან მწყინს, თუ მე და თქვენ გავთანაბრდებით ამ სახელმწიფოსთან. ამ ხელისუფლებასთან, **ამ სახელმწიფოსთან მე საერთო არაფერი მაქვს გარდა იმისა, რომ ვარ ქართველი და ესენი ჩემი, როგორც ქართველი კაცის, მტრები არიან; მე — იმათი მტერი.**

ამათ, რა თქმა უნდა, აქვთ პროგრამა: ქართველი ერის ეკონომიკური დაბეჩავების გზით მისი სულიერი განადგურება. ეს ყველაფერი დეტალურად აქვთ გაწერილი და შესანიშნავად ასრულებენ, მაგრამ არ გამოგიქვეყნებენ.

გამოდის ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრი და აცხადებს, აღმოვაჩინეთ სავაჭრო დეფიციტის დაბალანსების საუკეთესო საშუალება, ბაყაყები უნდა მოვაშენოთო. შე მამაძაღლო, ძროხა გაწყვიტე, ღორი და ცხვარი გაწყვიტე, ქათამი გაწყვიტე და ბაყაყით გინდა შეცვალო?

**7 წლის განმავლობაში ქვეყნის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა პირველად ახლა გაიგეს, რომ პურს, რომელსაც ყოველდღე ჭამდნენ რესტორნებსა თუ შინ, მოყვანა სჭირდება?**

ერთი ჟურნალისტი მირეკავს ახლახან და მეუბნება, რამდენიმე ათასი დოლარის ღირებულების ბაყაყი უკვე გაუყიდიათო. ვეუბნები: შვილო, არითმეტიკა იცი? კიო. მაშინ იანგარიშე. სავაჭრო ბალანსი სხვადასხვა დროს სამ მილიარდზე მეტია. ამ რამდენიმე ათასით როდის უნდა დააბალანსონ დეფიციტი? ბაყაყი ფრანგების ყოველდღიური კერძი არ არის.

ეს ერთი. მეორე. იმათი ბაყაყის ერთი ბარკალი ჩვენი ბაყაყის ხელაა. ვის ჭირდება ეს შენი ბაყაყი?!

**— მტერი, მტრობა ახსენეთ და აქედან გამომდინარე — ასეთი შეკითხვა: რუსეთმა რომ შეწყვიტა თავისი ხორბლის ექსპორტი, ეს მოგვაწოდეს, როგორც ჩვენი მტრების თავდასხმა საქართველოზე და სწორედ ამან გამოიწვია პურის გაძვირება.**

— რუსეთს აქვს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესი. ჩვენ მიმართ მტრულად თუ მეგობრულად იქნება განწყობილი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ნებისმიერი ქვეყანა თავისი ინტერესით ხელმძღვანელობს. რა, მარტო რუსეთი აწარმოებს ხორბალს? ოთხჯერ მეტს ჩინეთი აწარმოებს, ასევე — ინდოეთი, კანადა, აშშ, არგენტინა, ბრაზილია და უამრავი სხვა ქვეყანა; აგერ — უკრაინა, ყაზახეთი.

**თუ 1960 წელს მოგვყავდა 700-800 ათასი ტონა ხორბალი, 1998-ში, იმ გაჭირვებულ დროს, — დაახლოებით 500 ათასი ტონა, რა სიკვდილი დაგვეტაკა ისეთი, რომ ახლა ასე დავჩაჩანაკდით?!**

ვეკითხები — რატომ შენ არ აწარმოებ შენს ქვეყანაში, როცა ჩვენ ისტორიულად ხორბლის ექსპორტიორი ქვეყანა ვიყავით? ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს მოთხოვნილებას მთლიანად ვაკმაყოფილებდით. მართალია, მიწა გვაქვს ნაყოფიერების თვალსაზრისით ცოტა შელახული, მაგრამ ჩაიხედეთ ოფიციალურ სტატისტიკაში: რამდენი ჰექტარი სავარგული გვქონდა მოხნული და დათესილი 2003 წელს და რამდენია დღეს? დაინახავთ, რომ ერთი მესამედიც არ გვაქვს დამუშავებული. ხორბალი, კარტოფილი, სიმინდი, ხილი, ყურძენი, ჩაიზე აღარ ვლაპარაკობ, ციტრუსები და ასე შემდეგ, ყველაფრის მოსავალი კატასტროფულად არის შემცირებული მას შემდეგ, რაც ესენი მოვიდნენ.

თუმცა არც გვატყუებენ, არც გვიმალავენ, რომ მაინც და მაინც ასე აკეთებენ, რადგან ასეთია მათი მიზანი. როცა გეუბნებიან, სინგაპურად უნდა ვაქციოთო საქართველო, შენ, ქართველმა კაცმა, ხომ უნდა ჩაიხედო ენციკლოპედიაში, შეხვიდე გუგლში, ვიკიპედიაში მაინც, ნახო, რას წარმოადგენს სინგაპური! ნახავ, რომ 70 ათას ჰექტარზე, დაახლოებით საჩხერის რაიონის ოდენა ტერიტორიაზე, 5 მილიონი კაცი ცხოვრობს. სად უნდა მოხნან, დათესონ და მოიყვანონ მოსავალი? ასეთებად უნდა, რომ გვაქციოს.

მიუხედავად იმისა, რომ მცირემიწიანები ვართ, ასჯერ მეტი გვაქვს მათთან შედარებით მიწა, რომელიც ამათი გამოისობით გამოუყენებელია. **თუ 1960 წელს მოგვყავდა 700-800 ათასი ტონა ხორბალი, 1998-ში, იმ გაჭირვებულ დროს, დაახლოებით 500 ათასი ტონა, რა სიკვდილი დაგვეტაკა ისეთი, რომ ახლა ასე დავჩაჩანაკდით?!**

**— სასტუმროები, ტურისტები, 10 მილიონი... ამ ბიზნესის განვითარებაზე რას იტყვით?**

— ამერიკელი მილიონერი ჩამოვა იმიტომ, რომ, ვთქვათ, ანანურის ციხე ნახოს და გენმოდიფიცირებული, პესტიციდებით სავსე თურქული პროდუქცია ჭამოს აქ? მდიდარი კაცი ყველაზე მეტად თავის ჯანმრთელობას უფრთხილდება და ამ მიმართულებით სრულად ფლობს ინფორმაციას. ისინი შემთხვევის წყალობით, სახელმწიფო ქონების მითვისების ხარჯზე გამდიდრებული ქართველი და რუსი მილიონერები ხომ არ არიან, გაუნათლებელი ადამიანები... როცა ქვეყანას ხარისხის კონტროლის არავითარი სტრუქტურა და საშუალება არ აქვს და ოფიციალურად, კანონით, ხარისხის კონტროლის ამოქმედება 2015 წლამდე გადაწიეს, ასეთ ქვეყანას ენდობა ვინმე? აქ ჩამოვა და თავს მოაწამლინებს იმიტომ, რომ ანანურის ციხე ნახოს ან ჩამოწერილი მუსიკოსების კონცენტებს დაესწროს ბათუმში?!

სააკაშვილი კი მილიონი ტურისტის ჩამოსვლით გვაბოლებს. როდემდე უნდა დავბოლდეთ?

## ვინ კარნახობს სააკაშვილს ასეთ პოლიტიკას?

— აიღეთ დალესის დოქტრინა, წაიკითხეთ და, თუ ვინმე აღმოაჩენს, რომ თუნდაც ერთ მუხლში ასცდება დალესის დებულებები ჩვენს რეალობას, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას, შემომილაწუნოს სახეში. მე მივუბრუნდები და ვაკოცებ ლოყაზე.

წაიკითხოს, ვისაც ჯერ არ აქვს წაკითხული და ნახავს, როგორაა ყველაფერი ზუსტად გაწერილი: პატარა და ღირსეული ერი როგორ უნდა აქციონ უღირსად განათლების რეფორმიდან დაწყებული, სოციალური პირობების, ეკონომიკის მოშლით გაგრძელებული და მისი ამოწყვეტით დამთავრებული.

ეს პოლიტიკა ყველა სფეროს ეხება, მათ შორის, სპორტსაც. სულ ახალი მაგალითი: ჩვენი ძიუდოისტების მწვრთნელი, რომელიც ევროპამ, თუ არ ვცდები, ოთხჯერ აღიარა, რამდენჯერმე — მსოფლიომ, როგორც საუკეთესო მწვრთნელი, ცუდი მწვრთნელობის გამო ამათ გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

შოთა ხაბარელიც, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა უდიდესი წარმატებები, სანამ არ გააგდეს, არ მოისვენეს.

ეს და ბევრი ასეთი მაგალითი ერთადერთ რამეზე მიგვითითებს: ამათ ყველაფრის წარხოცვა და მოსპობა სურთ. ისეთი ქვეყანა უნდათ, სადაც ალმა ათის „კაირატი“ თბილისის „დინამოს“ ხუთით ნოლს მოუგებს, სადაც თამარ მეფეს ვიღაც მუწუკებიანი მწერალი ისე წარმოგვიდგენს, რისი გამეორებაც კი მკრეხელობაა, **ილია ჭავჭავაძის წარმომავლობა ეჭვქვეშაა დაყენებული, ერეკლე II, სააკაძე სამშობლოს მოღალატეები არიან... გორში რა, ბევრჯერ იყო ჩასული სააკაშვილი? ერთხელ ჩავიდა და ისიც ცხვირით მიწას თხრიდა — სად დაინახა და როდის მოუშალა ნერვები სტალინის ძეგლმა, რომ მიუხტა და დაამხო?!**

**მაგრამ ერთი რამ უნდა ტვინში ჩაგვინერგოს — თახსირების შთამომავალი ხარ შენ კერძოდ და მთელი ქართველობა ერთად აღებული.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**აიღეთ დალესის დოქტრინა, წაიკითხეთ და, თუ ვინმე აღმოაჩენს, რომ თუნდაც ერთ მუხლში ასცდება დალესის დებულებები ჩვენს რეალობას, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას, შემომილაწუნოს სახეში.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოს მილიონ-ნახევარი მოქალაქე დღეში დოლარ-ნახევრით «ირჩენს თავს»

**აშშ-დან დაბრუნებულ „გადაღლილ“ მიხეილ სააკაშვილს დასვენებაც არ აცალეს, საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ეწვია. სტუმარმა გაგვამხნევა, დაგვაიმედა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და ასე „დაიმედებული“ დაგვტოვა. სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტზე, მის გამოსვლებსა და რასმუსენის სტუმრობის მნიშვნელობაზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**





## ჰამლეტ ჭიპაშვილი: მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე იყო ერთი დიდი ტყუილი

**— ბატონო ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტს, მის გამოსვლას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე?**

— ეს იყო ერთი დიდი ბლეფი, დიდი ტყუილი. სიტყვა, რომელიც სააკაშვილმა გაეროს ასამბლეაზე წარმოთქვა, მისი ამერიკელი თანაშემწეების დაწერილია. არაფერი ქართული მასში არაა.

სააკაშვილს არაფერი ესაქმება რუსეთის ჟურნალისტიკასთან და ადამიანის უფლებების დამცველებთან. მან თქვა, რომ რუსებმა მოკლეს პოლიტკოვსკაია, ასტემიროვა. არანაირი უფლება არ აქვს სააკაშვილს, ამ თემებზე ისაუბროს. ვითომ საქმე გააკეთა. ბოლო ხანებში აშშ-ის ადმინისტრაციამ შეწყვიტა საუბარი რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევათა ფაქტებზე. მაგრამ აყვირებს ისეთ ტიპაჟს, როგორიც არის სააკაშვილი. სააკაშვილი ამერიკელების დაქირავებულია და აჟღერებს იმას, რაც ამერიკელებს სურთ.

**— სააკაშვილმა აშშ-ში გამოსვლების დროს ბევრი ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე...**

— თუ საქართველოს სურს რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება, მიხეილ სააკაშვილმა იმ ტონით რუსეთის ხსენებას, რა ტონითაც აშშ-ის ტრიბუნებიდან საუბრობდა, თავი უნდა დაანებოს! ეს კიდევ უფრო ძაბავს და ამწვავებს ურთიერთობას. მისი ყველა გამოსვლა იყო რუსეთის ზღვარგადასული ლანძღვა-გინება. არ შეიძლება ერთმა სახელმწიფომ ასეთი უშვერი სიტყვებით ლანძღოს მეორე სახელმწიფო. მით უმეტეს, როდესაც იმ მეორე სახელმწიფოს ხელშია ფაქტობრივად შენი მომავლის ბედი.

**— სამაგიეროდ, ამერიკის მიმართ გამოხატა სააკაშვილმა დიდი სიმპათია, თანაც არა ერთხელ...**

— მისი დამოკიდებულება ამერიკელებისადმი უკიდურესად მლიქვნელური იყო, რაც არც ერთი ქვეყნის ხელმძღვანელს არ ეკადრება. არაფერი შეცვლილა. თუ წინათ ჩრდილოეთს „უძვრებოდა“ ჩვენი ხელისუფლება, ახლა გეოგრაფია შეიცვალა და ცხრა მთას იქით, რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ ამერიკელს ეპირფერება. გარდა ამისა, გაკეთდა არასერიოზული განცხადებები; კერძოდ, საქართველოში სიღარიბის დაძლევაზე, რითაც თავი მოიწონა ჩვენმა პრეზიდენტმა. ეს იყო სააკაშვილის მიერ ნათქვამი ყველაზე დიდი სისულელე და ტყუილი, რაც კი აქამდე უთქვამს. **როდესაც სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში დაძლეულია სიღარიბე, მაინტერესებს, რა აქვს მხედველობაში. საქართველოში არის 800 ათასზე მეტი პენსიონერი. პენსიონერის საშუალო შემოსავალი თვეში 80 ლარს არ აღემატება. ამავე დროს, სახელმწიფოში ოფიციალურად საარსებო მინიმუმად მიჩნეულია ამაზე ორჯერ და სამჯერ მეტი თანხა. მაშ, როგორ დაძლიეს სიღარიბე?! ეს არის საკუთარი ხალხის შეურაცხყოფა. გაეროს კვლევის შედეგებით, საქართველოს მილიონ-ნახევარი მოქალაქე დღეში დოლარ-ნახევრით „ირჩენს თავს“. ამის ცოდნა, ეტყობა, ჩვენს პრეზიდენტს არ უნდა! ეს არის სიღარიბის დაძლევა და მდიდარი მოსახლეობა?!**

დიდი ოვაციით ისაუბრა სააკაშვილმა იმაზეც, თუ როგორ გავიმარჯვეთ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლაში. მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას კორუფციასთან ბრძოლა არ მოუგია. ეს არის ჭეშმარიტება. კორუფციის გამო ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელი ზის ციხეში, ასევე მოუწევს სააკაშვილსაც მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პოსტს დატოვებს. **საქართველოში ებრძვიან ერთი ლარის ჯიბეში ჩამდებს, მაშინ, როცა ხელისუფლება მილიონობით დოლარს იჯიბავს. დღეს კორუფციაში მაღალი ეშელონები არიან ჩართულნი. სააკაშვილის გამოსვლები აშშ-ში არის თავიდან ბოლომდე სიცრუე და საქართველოს შეურაცხყოფა.** ჩვენთან რომ ოპოზიცია სათანადო დონეზე იყოს და საზოგადოებასაც ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობა გააჩნდეს, პრეზიდენტი ვერ გაბედავდა ამდენი ტყუილის თქმას უმაღლესი ტრიბუნიდან.

**— გასულ კვირას საქართველოში იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. მან საკმაოდ დამაიმედებელი განცხადებები გააკეთა ნატოში საქართველოს გაწევრების თაობაზე. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტი ჩვენი ქვეყნისთვის?**

— არანაირი მნიშვნელობა ამას არ აქვს. ამით უფრო ღიზიანდება რუსეთი. საქართველოს ნატოში არ შეიყვანენ. რასმუსენმა განაცხადა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, მაგრამ ამას ის პირობებიც მოაყოლა, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს. ამ პირობებს კი საქართველო ვერასდროს ვერ შეასრულებს იმიტომ, რომ კონფლიქტური სიტუაცია აქვს თავის მეზობელ რუსეთთან. საქართველოში არ არის სასამართლო სისტემა ისეთი, როგორიც საჭიროა, ჯარი არ არის იმ პარამეტრების, როგორიც ნატოს ესაჭიროება და ა.შ

**საქართველო ჯარისკაცების რაოდენობით ერთ-ერთი პირველია ავღანეთში. გასულ კვირას იქ 4 სამხედრო დავკარგეთ და, კიდევ სადამდე გაგრძელდება ქართველი ბიჭების ავღანეთში ჩახოცვა, არავინ იცის.**

ის ქვეყნები, რომლებიც ავღანეთში იბრძვიან, ამბობენ, რომ უნდა გამოიყვანონ საკუთარი ჯარები. მართალია, დღეს უკვე ოპოზიციაშია ინგლისის ლეიბორისტული პარტია, მაგრამ მისმა ახალმა ლიდერმა ედვარდ მილიბენდმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ინგლისმა შეცდომა დაუშვა ავღანეთში შესვლითო.

სააკაშვილს სულაც არ აინტერესებს 1000 კაცი დაიღუპება იქ თუ 5000. მისი მთავარი მიზანია, აშშ-ის ადმინისტრაციასა და ნატოს ასიამოვნოს. რასმუსენიც იმიტომ ჩამობრძანდა საქართველოში, რომ კაი ბიჭები ხართო, შეაქოს; თან უთხრას, რომ თქვენ აუცილებლად შეხვალთ ნატოშიო, მაგრამ რასმუსენს ვინ ეკითხება საქართველოს ნატოში შესვლას? რასმუსენი არის ნატოს შტაბ-ბინის ჩინოვნიკი. საქართველოს ნატოში გაწევრება კი დამოკიდებულია ნატოს წევრ ქვეყნებზე და არავითარ შემთხვევაში — რასმუსენზე. ამის შესახებ არც რასმუსენი უნდა გვატყუებდეს და არც ვილაც აპატურაი და ვილაც სიმონსები. არც საქართველოს მოსახლეობამ უნდა მოიტყუოს თავი ამ სისულელეებით. **სანამ გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, სხვა სერიოზული ქვეყნები არ დაუჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება! ამ ქვეყნებს კი ხსენებაც კი არ უნდათ არც სააკაშვილის და არც საქართველოსი.**

ასეთ დროს რა მნიშვნელობა აქვს, რას დაჰპირდება რასმუსენი საქართველოს?! ვერ შევა საქართველო ნატოში, კიდევ დიდხანს მოუწევს პამპულაობა!

> **საქართველოს ნატოში გაწევრება კი დამოკიდებულია ნატოს წევრ ქვეყნებზე და არავითარ შემთხვევაში — რასმუსენზე. ამის შესახებ არც რასმუსენი უნდა გვატყუებდეს და არც ვილაც აპატურაი და ვილაც სიმონსები. არც საქართველოს მოსახლეობამ უნდა მოიტყუოს თავი ამ სისულელეებით**

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ქართული ჩაი კონკურენტუნაროა

**მიუხედავად იმისა, რომ ქართული ჩაის წილი ადგილობრივ ბაზარზე ორჯერ გაიზარდა, მას უცხოური ჩაისთვის კონკურენციის გაწევა მაინც უჭირს. ყველაფერი ამჯერადაც მოსახლეობის დაბალ მსყიდველუნარიანობას და არასაკმარის პოპულარიზაციას დაბრალდა.** საქართველოს ჩაის ასოციაციის ხელმძღვანელის, თენგიზ სვანიძის თქმით, გაჭირვებულ მოსახლეობას საზღვარგარეთიდან შემოტანილი საღებავებით გაჯერებული იაფფასიანი ჩაის ყიდვა ურჩევნია. არადა, ფასში სხვაობა არც ისე დიდია — დღეისთვის 100 გრამი ქართული ჩაის ფასი ბაზარზე 2 ლარიდან იწყება, საზღვარგარეთიდან შემოტანილისა — 1,5 ლარიდან. სამწუხაროდ, არავის უთქვამს, როგორ აპირებენ ან, საერთოდ, აპირებენ თუ არა ამ პრობლემების გადაჭრას.



### ყველაზე ცოტა ინვესტიცია

**მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი საუკეთესო ბიზნესგარემოს შექმნას იბრალებს, მაგრამ ინვესტორები საქართველოში ფულის დაბანდებას რატომღაც არ ჩქარობენ. კავკასიის რეგიონში ინვესტიციების შემოდინების მხრივ კვლავ ბოლო ადგილზე ვართ.** აზერბაიჯანში იანვარ-აგვისტოში 1,37 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, სომხეთში იანვარ-ივნისის მონაცემებით — 327,5 მილიონი დოლარის, ხოლო საქართველოში წლის პირველი ნახევარში მხოლოდ 273 მილიონი დოლარი დააბანდეს. ციფრებიდან აშკარად ჩანს, რომ რეგიონში ლიდერის პოზიცია ისევ აზერბაიჯანს უჭირავს და ისეთი უმსხვილესი ქვეყნები, როგორიც ბრიტანეთი და ამერიკაა, ფულს იქ აბანდებენ; ჩვენგან კი, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, შემოტანილი კაპიტალიც გააქვთ.



### ორი კორეა ვერ მორიგდა

**სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პირველად განახლებული სამხედრო მოლაპარაკებები, რომლებიც სასაზღვრო პუნქტ პხანმუნჯომის დემილიტარიზებულ ზონაში იმართებოდა, უშედეგოდ დასრულდა.** განხეთქილების მიზეზად იქცა სეულის მოთხოვნა ფხენიანისადმი, ბოდიში მოეხადა 26 მარტს ყვითელ ზღვაში ჩაძირული სამხრეთკორეული კორვეტისა და მის ბორტზე დაღუპული 46 სამხედრო მეზღვაურის გამო. ფხენიანმა კატეგორიულად უარყო ამ ამბავთან საკუთარი კავშირი და ყველაფერს „სეულისა და ვაშინგტონის პროვოკაცია“ უწოდა. განსახილველი თემა ორ კორეას შორის სადავო ყვითელი ზღვის სასაზღვრო ზოლი უნდა ყოფილიყო და შედეგად სეული დაძაბულობის ნაწილობრივ მაინც შერბილებას იმედოვნებდა.



### რა ღირს ევროკავშირის წევრობა?

**ევროკავშირის გათვლით, თითოეული გადასახადების გადამხდელი ბრიტანელი ქვეყნის ევროკავშირის წევრობისთვის წელიწადში 440 ფუნტს იხდის, დაახლოებით 312 ფუნტი კი სუბსიდიების სახით უკან უბრუნდებათ.** ამასთან, ბრიტანეთის წილი ევროკავშირის ბიუჯეტში 6,7 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს და მხოლოდ საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის ხვედრით წილებს ჩამორჩება. შედარებისთვის: პოლონეთის წილი ევროკავშირის ბიუჯეტში სულ 2,4 მილიარდია, მაგრამ პოლონელები სუბსიდიის სახით წელიწადში გადახდილზე 166 ფუნტით მეტს იღებენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბრიტანეთში დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ნაიჯელ ფარაჯა უკვე ეჭვობს, სჭირდებათ კი ეს გაერთიანება ბრიტანელებს?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით — აფრიკის ქვეყნებისკენ

**დასაქმების რამდენიმე კომპანიის გამოკითხვის შედეგად იმ პროფესიების რეიტინგი გაირკვა, რომელთა წარმომადგენლებს საქართველოში დასაქმების ყველაზე მაღალი შანსი აქვთ. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა გაყიდვების აგენტებზეა. შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებითაა დისტრიბუტორი, მიმტანი, სასტუმროს პერსონალი, ბუღალტერი, სარეკლამო აგენტი, მზარეული, მცხობელი, საბანკო სფეროს სპეციალისტი (სხვადასხვა პოზიცია), ოფის-მენეჯერი, ჯანმრთელობის დაზღვევის სპეციალისტი, კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი.**



**ჰარვარდის უნივერსიტეტს ერთი სტუდენტის განათლება 100000 დოლარი უჯდება, გადასახადი კი 10000 დოლარია, ჩიკაგოს უნივერსიტეტს — 60000 დოლარი, როცა გადასახადი 6000 დოლარის ტოლია. ჩვენთან კი გადასახადი 10%-ის ნაცვლად 200%-ია, რადგან თანხის ნახევარი ბიუჯეტის შევსებაზე მოდის**

„ჩემი შვილიშვილი დოხტური უნდა გამევიდეს“, — ამბობდა ოლღა ბებია და მასაც, ისევე, როგორც იმდროინდელი საზოგადოების თითქმის ყველა წევრს, ექიმის დიპლომი ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

დღესაც არსებობს პროფესიები, რომელთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსაკუთრებულია — მოსწონთ და აღიარებენ და მოდურად და პრესტიჟულად მიაჩნიათ.

**საინტერესოა, როცა პრეზიდენტი ემიგრირებულ ქართველებს მუდმივად საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს, რა სამსახურს სთავაზობს მათ. ეს, რა თქმა უნდა, პროპაგანდაა. უცხოეთში ნასწავლი ქართველი სამშობლოში არ დაბრუნდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნიჭს საჭირო გარემო სჭირდება.**

პოლიტიკური გარემოც ისეთია, აქ რომ გენიოსი ჩამოვიდეს, იმასაც დაასამარებენ. ამიტომ არ შეიყვანეს (ან გამოყარეს) ასეთი ხალხი პარლამენტში. სახელმწიფო სექტორში ასეთებისთვის თითქმის ყველა კარი ჩარაზულია. კერძო სექტორმაც ადგილები შეამცირა კრიზისის გამო, საკუთარ დეიდაშვილ-მამიდაშვილებს ასაქმებენ მხოლოდ. თუ გაიჭირვე, მუშის ადგილის პოვნა შეიძლება მხოლოდ. **ისედაც სულ ამას ამბობს სააკაშვილი, კვალიფიციური მღებავები, მეთუნუქეები, მეწაღეები გვჭირდებაო. თუმცა ისე ჭირს სამუშაოს პოვნა, ცოტა ხანში მანდაც, ალბათ, ნაცნობობა გახდება საჭირო.** ასეთია აწმყო და კარგა ხანს ასე იქნება.

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მოსახლეობას ასეთი ამოცანა დაუსახა: ვიყოთ სხვათა მოსამსახურე ერი, გონებრივად ჩლუნგი, ვგავდეთ ცხვრის ფარას, რომელსაც საითაც უნდა, იქით წაიყვანს. ევროპელებისთვის კი ისიც გასაკვირია, რომ გვაქვს ტრადიციული საოპერო თეატრი და დასი,** მაშინ, როდესაც ამსტერდამში თანამედროვე საოპერო თეატრის შენობა დასის გარეშეა, სადაც საოპერო სპექტაკლი მხოლოდ ორჯერ იმართება წელიწადში და ისიც — საგასტროლოდ ჩასული დასების მიერ.

რისთვის ასწავლის მაშინ მშობელი შვილს, თუკი სამსახურის პერსპექტივა ამ ქვეყანაში აღარაა? რისთვის აბარებენ პრესტიჟულ ფაკულტეტებზე? თანაც **ამ ბოლო დროს სწავლის ფასმა ისე აიწია, მხოლოდ ერთეულებს აქვთ ჩაბარების შემთხვევაში სწავლის გაგრძელების საშუალება.** როცა სასწავლებლის დაფინანსებას სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრავს, მაშინ ლექტორს ნაკლებად ედარდება, ისწავლის თუ არა სტუდენტი, განათლების ხარისხი ეცემა. **ჰარვარდის უნივერსიტეტს ერთი სტუდენტის განათლება 100000 დოლარი უჯდება, გადასახადი კი 10000 დოლარია, ჩიკაგოს უნივერსიტეტს — 60000 დოლარი, როცა გადასახადი 6000 დოლარის ტოლია. ჩვენთან კი გადასახადი 10%-ის ნაცვლად 200%-ია, რადგან თანხის ნახევარი ბიუჯეტის შევსებაზე მოდის.** ამჟამად მშობელი ფულს იხდის შვილის უცოდინარობისთვის. ადრე ამას ქრთამი ერქვა, დღეს კი ოფიციალურადაა დაკანონებული.

## მერაბ ჯიბლაძე:

## გამოსავალი მხოლოდ ისაა, რომ, რაც შეიძლება ამაღლდეს საზოგადოების განათლების დონე. სხვა ამ ქვეყანას არაფერი უშველის

**მერაბ ჯიბლაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე:**

— არავითარი მისწრაფება აღარაა იმისკენ, რომ ისეთ პროფესიებს დაეუფლონ, როგორიცაა, მაგალითად, ექიმობა. სკოლის ბრალიცაა ეს. ინტელექტუალური შრომა ჩვენთან დაფასებული არაა. ინტელექტუალური სამუშაო ადგილი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არის. ეს ტენდენცია 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. **როდესაც საქართველო განვითარებადი ქვეყანა გახდა, შესაბამისად, მისი მოსახლეობაც განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენლები უნდა გამხდარიყვნენ. ჩავდექით აფრიკის ქვეყნების რიგში ეკონომიკით, შესაძლებლობებით და ახლა საჭიროა, განათლების დონეც აფრიკელთა განათლების დონეს შევუსაბამოთ. რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით — აფრიკის ქვეყნებისკენ, რადგან ამერიკას ჩვენ არ ვჭირდებით.** განვითარებული ქვეყნის შესაფერისი მხოლოდ მაღალი გადასახადები გვაქვს. ესაა გზა, რომლითაც ქვეყნის მესვეურნი ხალხის გაღატაკების ხარჯზე მილიარდელები ხდებიან. **ამიტომ განაცხადა რიხით სააკაშვილმა გერმანელ ჟურნალისტთან, რიხტერთან: „ჩვენ ათი მილიარდერი გვყავს“. არადა, ამას ამბობს ღატაკი ქვეყნის პრეზიდენტი.**

მომსახურების ქვეყნად გადავიქეცით უკვე. ეს მოსალოდნელიც იყო და განსაზღვრულიც. ტურიზმი ყოფილა თურმე ჩვენი ნომერ პირველი საზრუნავი. მაღალგანვითარებად ქვეყნებში ერთ ტურისტზე 2 მომსახურე პერსონალი მოდის. დაითვალეთ ახლა. მაღალგანვითარებულ ტურიზმს მაინც ვერ მივაღწევთ. ისევ და ისევ ღარიბი ტურისტები ჩამოვლენ აქ. **გამოსავალი მხოლოდ ისაა, რომ, რაც შეიძლება ამაღლდეს საზოგადოების განათლების დონე. სხვა ამ ქვეყანას არაფერი უშველის.**

## ნინო მაჭარაშვილი:

## რისთვის ვიკლავდი ამდენი წელი სწავლით თავს, თუ სამსახურს ვერ ვიშოვიდი? უკვე იმედი გადამეწურა, რომ ოდესმე ჩემი პროფესიით ვიმუშავებ

**ნინო მაჭარაშვილი, ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების სპეციალისტი:**

— ორი წელია, მაგისტრატურა დავამთავრე. სტუდენტობის დროს თავს ვიკლავდი სწავლით და წარმატებულ სტუდენტადაც ვითვლებოდი. დარწმუნებული ვიყავი, დამთავრების შემდეგ სამსახურს ადვილად ვიშოვნიდი. მაგრამ არც ინგლისურის და არც კომპიუტერის ცოდნამ მიშველა. **ორი წელია, CV-ით ხელში დავდივარ გასაუბრებებზე, მაგრამ ჩემთვის ადგილი არსად აღმოჩნდა. ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი ამ ყველაფერს. რისთვის ვიკლავდი ამდენი წელი სწავლით თავს, თუ სამსახურს ვერ ვიშოვიდი? რა აზრი აქვს ამ ქვეყანაში განათლების მიღებას, თუ მაინც მიმტანად ან გამყიდველად უნდა იმუშაო?**

**უკვე იმედი გადამეწურა, რომ ოდესმე ჩემი პროფესიით ვიმუშავებ.**

ახლა გამყიდველობაზეც თანახმა ვარ, დავიღალე უკვე პრესტიჟულ სამსახურზე ოცნებით. არ მინდა, იმ სტუდენტებს, ვინც ახლა სწავლობს, იმედი გადავუწურო, მაგრამ ამ ქვეყანაში არავინ აქცევს განათლებას ყურადღებას. იშვიათად თუ უმართლებს ვინმეს. ცოტა ხანში უნივერსიტეტებსაც დახურავენ და მხოლოდ ის პროფესიული სასწავლებლები იქნება, პრეზიდენტი და ქალაქის მერი მათი გახსნით ძალიან რომ იწონებენ თავს. ჩვენ ხომ მაინც მომავალი მოსამსახურე ერი ვართ!

**ლილი მიროტაძე**



**P.S.** ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა მომავლის პროფესიები, რომლებიც ჯერ არ არსებობს, მაგრამ შეიძლება უახლოეს მომავალში გაჩნდეს. ესენია:
1. სხეულის ნაწილების მწარმოებლები (ადამიანები, რომლებიც ალკოჰოლიზმით იტანჯებიან ადრევე შეუკვეთავენ ახალ, გაძლიერებულ ღვიძლს, ძველის ნაცვლად, მწეველები კი ახალ, სუპერ-ფილტვებს, რათა შესაძლებელი იქნეს დღეში 100 სიგარეტის მოწევა);
2. ნანო-ექიმები (2030 წლისთვის ექიმები პაციენტებს არამარტო აპენდიციტს ამოკვეთენ, არამედ ყველა მსურველს შესაძლებლობას მისცემენ და შესთავაზებენ მეხსიერების დამატებით რესურსს);
3. გმპ ფერმერები (ასეთი ფერმერები მოიყვანენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს იმ დეფიციტის აღმოსაფხვრელად, რომელიც გამოწვეული იქნება დედამიწის მოსახლეობის ზრდით);
4. ვერტიკალური ფერმერები (ისინი იმუშავებენ ვერტიკალურ ცათამბჯენ სათბურებზე, რომლებიც შეცვლის სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივ საქმიანობას);
5. ვირტუალური მასწავლებელი (დისტანციური სწავლება დროთა განმავლობაში განდევნის ჩვენთვის კარგად ნაცნობ სტაციონარულ სწავლებას და, შესაბამისად, ასეთ პროფესიებზე მოთხოვნა გაიზრდება);
6. კლიმატის შემცვლელი სპეციალისტი (კლიმატის ცვლილება დღეისთვის უკვე ფაქტია და „კიოტოს პროტოკოლი“ იმის დადასტურებაა, რომ მომავალში პრობლემა მხოლოდ დამძიმდება);
7. კოსმოსური ხომალდების მფრინავები (ეს პროფესია გახდება ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც ტროლეიბუსის მძღოლი);
8. კოსმოსური ექსკურსიამძღოლები (კოსმოსური ტურისტების მრავალრიცხოვნობის გამო თავისთავად დადგება საკითხი ექსკურსიამძღოლებისაც);
9. პოლიციელი მეტეოროლოგი (ყურადღებას მიაქცევენ ამინდის მანიპულაციებს);
10. ელექტრონაგვის ექსპერტები (ქსელში ადამიანზე არასასურველი ინფორმაციის გამანადგურებლები).

ასე რომ, თუ გინდათ მომავალში სამსახურის გარეშე არ დარჩეთ, იქნებ ამ პროფესიებიდან რომელიმე აირჩიოთ. თუ მზადებას დღეიდან დაიწყებთ, მომავალს უკვე მომზადებული შეხვდებით. შეიძლება დღეს არც თუ მიმზიდველად მოგეჩვენოთ ეს პროფესიები, მაგრამ დამიჯერეთ, არც თუ შორეულ მომავალში ამ (საკმაოდ შემოსავლიან) პროფესიებზე დიდი მოთხოვნა იქნება და თქვენც აქედანვე დაიჭირეთ თადარიგი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# კოლექტიური პოლიტ-სკლეროზი «ოქროს» ახალ პარტიაში

**„ეს არ იქნება პოლიტიკური პარტია, ეს იქნება პოლიტიკური გაერთიანება ან ცოტა უფრო მეტი," — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა იმ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რომელიც თურმე სოზარ სუბართან, ზურაბ ნოღაიდელთან, ლევან გაჩეჩილაძესა და სხვა პირებთან მოლაპარაკებების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს. მოკლედ, უკვე მერამდენედ, ქვეყნის ყოფილი გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ახალი გაერთიანების შექმნაზე ალაპარაკდა. ერთ დროს ქვეყნის მთავარსარდლის მარჯვენა ხელისა და საკვანძო ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელის პოსტზე ოქრუაშვილის მოღვაწეობის პერიოდის გახსენებისას, მისი წარმოდგენა ოპოზიციაში და ხელისუფლებასთან უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვა ცოტა სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა.**



გაოპოზიციონერებულ ხელისუფალს, რომელმაც ქვეყანაში რევოლუციის შემდეგ რეპრესიების მთელი კასკადი მოაწყო, რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, შეუერთდნენ „რუსთავი 2"-ის წამყვანი სახეები: ნანა ლეჟავა და ნათია ლაზაშვილი, რომლებიც მალევე ჩამოშორდნენ პარტიულ საქმიანობას; ადვოკატი ეკა ბესელია, რომელმაც ასევე მიატოვა ოქრუაშვილის გუნდი; პარლამენტარები კახა კუკავა, კოკა გუნცაძე, გია ცაგარეიშვილი და ა.შ. (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ოქრუაშვილის პარტია მალე მიატოვეს აღნიშნულმა პოლიტიკოსებმა).

**ახლა ოქრუაშვილი ისევ ძალებს იკრებს და, თითქმის ერთი წელია, ახალ ოპოზიციურ გაერთიანებაზე საუბრობს. საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული რომ არ იყოს, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა ამ ადამიანის ხელისუფლებაში მოსვლის ალბათობას.** მაგრამ, როცა მისი ადვოკატობის შემდეგ, მის პარტიაში შესვლა გადაწყვიტა ეკა ბესელიამ, რომელსაც ოქრუაშვილის გენერალური პროკურორობისა და შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ხშირად ჰქონდა შეხება იმ უსამართლობასთან, რომელიც ოქრუაშვილის მიერ ამ უწყებებში დამკვიდრდა (ეტყობა, ბესელიამ დაიჯერა, რომ შეიძლება ბოროტების სათავე დიდ ჰუმანისტად და სამართლის მოდარაჯედ იქცეს), როცა ოქრუაშვილისკენ ისწრაფვის ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომლის წლიური ანგარიშები სავსე იყო ოქრუაშვილისა და მისი გუნდის დანაშაულებრივი საქმიანობით, ამ ქვეყანაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

შეგახსენებთ რამდენიმე ფაქტს, რომლებიც მაშინ სოზარ სუბარმა გამოაქვეყნა. სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ:

**„2004 წლის 23 აპრილს დაკავებულ იქნა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. სასამართლომ მას შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, აღმკვეთი ღონისძიების სახით. მისი წამების ფაქტი გამოვლინდა იმავე წლის ივნისში.Pპროკურატურის მიერ, 2004 წლის 5 ივლისს, საქმე აღიძრა 332-ე მუხლის მე-3 (ბ) ნაწილის მიხედვით, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციით. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა საპყრობილის ის ექიმები, რომლებმაც, მისი მტკიცებით, სამსახურეობრივი გულგრილობის გამო ვერ გამოავლინეს მოლაშვილის სხეულზე დაზიანებები მისი საპყრობილეში შეყვანისას, დღემდე არ გამოვლენილა თავად ძალადობის დანაშაულში ეჭვმიტანილი.**

**გარდა ამისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოლაშვილის მიმართ არაჰუმანური მოპყრობა განხორციელდა მე-7 საპყრობილეში ისეთ საკანში მოთავსებით, რომლის პირობები მთლიანობაში გაუსაძლისი იყო,** ასევე, იგი უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან შედარებით. მას არ ჰქონდა უფლება, ესარგებლა ინფორმაციით და ტელევიზორით.

2003 წლის 24 დეკემბერს გენერალურ პროკურატურაში იმყოფებოდა ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა, რომელიც დაკითხვის შემდეგ დააკავეს. ამ დროს მას დაემართა ინფარქტი და ტვინის ინსულტი, რის გამოც გადაყვანილ იქნა სპეციალურ კლინიკურ საავადმყოფოში. მომდევნო 48 საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა მის მიმართ ბრალის წაყენება, რის გამოც გაუქმდა მისი ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება.

**2004 წლის 16 იანვრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დავით მირცხულავას მიღებული ჰქონდა ინფარქტი და თავის ტვინის ინსულტი, რის გამოც არ შეიძლებოდა მისი ეტაპირება საპყრობილეში. 16 იანვარსვე მოხდა ბრალის წაყენება მის დაუსწრებლად. იმ დროს, რომელიც მითითებულია ბრალის წაყენების დროდ, მირცხულავას ჰქონდა სტენოკარდიული შეტევა.**

17 იანვარს ასეთ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა აღმკვეთი ღონისძიების სახით. გასაჩივრების შედეგად, აღმკვეთი ღონისძიება ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ. იმავე დღეს იგი გადაყვანილ იქნა ჯერ საპყრობილეში, ხოლო შემდეგ ციხის საავადმყოფოში.

დაახლოებით 2 თვის შემდეგ დავით მირცხულავას ჩაუტარდა შარდის ბუშტის ქირურგიული ოპერაცია სიმსივნური წარმონაქმნების ლიკვიდირების მიზნით. ოპერაციის მომდევნო დღეს მოხდა მისი გადაყვანა ციხის საავადმყოფოში, რითაც საფრთხე ისევ შეექმნა მის ჯანმრთელობას, ვინაიდან სრულყოფილად არ მოხდა პოსტოპერაციული რეაბილიტაცია. 17 მაისს მირცხულავამ კვლავ გადაიტანა სტენოკარდიული შეტევა, თუმცა მეორე დღეს იგი გადაყვანილ იქნა მე-6 საპყრობილეში".

2004 წლის 9 ოქტომბერს, გორის შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორის შემოწმების დროს, სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა დაკავებულ გიორგი მიგრიაულს, რომელსაც სახეზე ეტყობოდა ფიზიკური ზეწოლის კვალი. მისი განმარტებით, ღამით დააკავეს კასპში, თავის საცხოვრებელ ბინაში. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წაიყვანეს გორის პროკურატურაში. მის დაკავებაში პოლიციელებთან ერთად მონაწილეობდა შიდა ქართლის სამხარეო პროკურორი დავით წითური. **პროკურატურაში მიყვანისას, მიგრიაული შეიყვანეს გორის პროკურორის, ბაბაჯანაშვილის კაბინეტში, სადაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. დაკავებულის მტკიცებით, მას პირადად სცემდა ბაბაჯანაშვილი, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.** მიგრიაულს აღენიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: ჩალურჯებული თვალები, დასიებული სახე, სისხლნაჟღენთები მარჯვენა ყურის არეში, სიგარეტისგან მიყენებული დამწვრობა მუცლის არეში, უამრავი სისხლჩაქცევა ხელებისა და ფეხების არეში. Mმისი მტკიცებით, ეს არაფერი იყო იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლასთან შედარებით, რაც მასზე განხორციელდა. კერძოდ, **ბაბაჯანაშვილმა პირში ჩაუდო მას იარაღი და გაისროლა, შემდეგ იმ მოტივით, თითქოს იარაღმა მისცა „ასეჩკა", იგივე გაიმეორა რამდენჯერმე.**

სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილია საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რომლებიც ოქრუაშვილის კადრს, მიხეილ ქარელს, უკავშირდება. ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მოქმედებდა პროკურატურა ქარელის სასარგებლოდ და რა მდგომარეობაში აგდებდნენ ისინი კერძო მეწარმეებს. ანგარიშში ვკითხულობთ:

**„ვარდების რევოლუციის" შემდეგ შიდა ქართლის რაიონში ქონების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო. „დიდი გაკულაკების" პროცესი, როგორც ამას გორელები უწოდებენ, მიხეილ ქარელის გუბერნატორად დანიშვნის დღიდან დაიწყო.**

საჯარო რეესტრში კერძო მესაკუთრეთა ქონება გორის რაიონის გამგებლის — ნუგზარ პაპუნაშვილის სახელზე გადაფორმდა. ბიზნესმენი, რომელმაც საკუთარი ბაზარი, ინდსაწარმო „ლიახვი" გორის გამგეობას აჩუქა, ჯემალ წიკლაურია. მეწარმეს სამართალდამცავებთან პრობლემები ბაზარში, საკონტროლო სასწორის არარსებობის გამო 2004 წლის იანვარში შეექმნა. **წიკლაური 2004 წლის მარტში დააპატიმრეს. რწმუნებულ ქარელის მხრიდან ზეწოლა საპყრობილეშიც გაგრძელდა. პროკურატურის თანამშრომლების გარდა, ციხეში ქარელიც იყო შესული და ბაზრის ჩაბარებას მოითხოვდა. 4-თვიანი პატიმრობის შემდეგ ის საკანში აიძულეს, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ნოტარიულ აქტზე მოეწერა ხელი და თავისუფლების სანაცვლოდ 228 000 ლარად შეფასებული ბაზარი გამგეობისთვის ეჩუქებინა.**

გორის ბაზრობა, შპს „კომერსანტი 95"-ის დოკუმენტაცია და საწარმო გორის რაიონის პროკურატურამ 2004 წლის ივნისში დალუქა.

სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ:

„პროკურატურის მიერ შედგენილ შუალედურ აქტს არ დაეთანხმა საწარმოს დირექტორი და ერთ-ერთი მეწილე თეიმურაზ ბლუაშვილი: „მე განვაცხადე პროტესტი და ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას. ვხედავდი, რომ პროცესი მიდიოდა მიზანმიმართულად, თანხას კი სპეციალურად ზრდიდნენ, მაგრამ აქამდე არ მიმიშვეს, ადვოკატის აყვანის საშუალება არ მომცეს. მეუბნებოდნენ, რომ გარიგება ხდებოდა პროკურატურასთან, საგანგაშო არაფერი იქნებოდა, თუ რაღაც თანხას ჯარიმის სახით გადავიხდიდი. თუმცა ბოლოს დამიძახეს და განმიცხადეს, უნდა ჩაგვაბარო ობიექტიო". გორის სამხარეო პროკურატურაში გარიგება რომ ვერ შედგა, თეიმურაზ ბლუაშვილი იმავე დღეს დააპატიმრეს. 48-საათიანი პატიმრობის შემდეგ გულით ავადმყოფი ბლუაშვილი გორის რაიონულ სასამართლოში მიიყვანეს. **„ციხიდან გამომიყვანეს, სასამართლოში მოსამართლე გოჩიტაშვილთან მიმიყვანეს და ბრალი მაღიარებინეს. როცა სასამართლოში პოლიციის თანხლებით მივედი, იქ რომ მეთქვა, არ ვაღიარებო, ისევ უკან უნდა შევებრუნებინე. მითხრეს, რომ 88% გადააბარეო, როცა ვკითხე 12% ვის რჩება-მეთქი, ეს შენი საქმე არ არისო. მიმიყვანეს და 88%-ზე მომაწერინეს ხელი. ქონების გადაცემა მაიძულა პროკურატურამ, როგორც ვატყობ, პროკურატურა იყო შემსრულებელი, დამკვეთი კი იყო მხარის ხელმძღვანელობა".**

ეს მხოლოდ მცირე ამონარიდია იმ ბრალდებებიდან, რომელთაც სოზარ სუბარი ოქრუაშვილის უწყებასა და მის თანაგუნდელებს უყენებდა. **ოქრუშვილის მიერ სასტიკ და უსამართლო დამოკიდებულებაზე, კორუფციაზე მაშინდელი ოპოზიციონერები ქსელებსა და ნახაზებს ქმნიდნენ, თუმცა ბესელიასავით დღეს ეს აღარავის ახსოვს.**

ჟენევაში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობს და ოქრუაშვილის გუნდში ვიხილავთეროსი კიწმარიშვილსაც, რომელსაც თავის დროზე ტელევიზია სწორედ ოქრუაშვილის მეგობრის სასარგებლოდ, მისი დიდი ძალისხმევით დაათმობინეს. მოკლედ, ხელისუფლებაში დაბრუნებისა თუ რევანშის სურვილი ქართულ პოლიტელიტაში იმდენად ძლიერია, რომ მან სხვადასხვა დროს ოქრუაშვილ-სუბარ-ბესელია-ნოღაიდელ-კიწმარიშვილი და თვით ბურჯანაძე-ზურაბიშვილიც კი დააკავშირა.

**სოფო გელაშვილი**

**ოქრუაშვილისკენ ისწრაფვის ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომლის წლიური ანგარიშები სავსე იყო ოქრუაშვილისა და მისი გუნდის დანაშაულებრივი საქმიანობით**

**ხელისუფლებაში დაბრუნებისა თუ რევანშის სურვილი ქართულ პოლიტელიტაში იმდენად ძლიერია, რომ მან სხვადასხვა დროს ოქრუაშვილ-სუბარ-ბესელია-ნოღაიდელ-კიწმარიშვილი და თვით ბურჯანაძე-ზურაბიშვილიც კი დააკავშირა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როცა არჩევანი არ გაქვს, მხოლოდ აჯანყება გრჩება

## რამდენად შესაძლებელია ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით?

**არსებული ხელისუფლების პირობებში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის პერსპექტივებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო" ოპოზიციის წარმომადგენლებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა და ერთადერთი კითხვა დაუსვა: რამდენად შესაძლებელია ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით?**



**მანანა ნაჭყებია,**
**„ახალი მემარჯვენეები":**

— გვინდა თუ არა, ჩვენი, „ახალი მემარჯვენეების", იდეოლოგია ითვალისწინებს, რომ ხელისუფლების შეცვლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით. ვინაიდან, **რამდენჯერაც მოხდა რევოლუცია, იმდენჯერ ქვეყანამ უარესი შედეგი მიიღო. სწორედ აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენ ხელისუფლების შეცვლის სხვა გზა, გარდა არჩევნებისა, არ გვაქვს.** მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიები არ უნდა აწყობდნენ აქციებს და არ უნდა მიმართავდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის იმ ფორმას, რასაც საპროტესტო გამოსვლები ჰქვია.



**თემურ შაშიაშვილი,**
**მოძრაობა „თეთრები":**

— არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ დღევანდელ პირობებში, ვგულისხმობ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით, შეუძლებელია. დღეს სააკაშვილსა და მთლიანად მის გარემოცვას აქვს ელიტარული კორუფციის ისეთი დონე, რომ, **თუ მთელი ერი ფეხზე არ დადგება და რაღაც არნახული მხარდაჭერა არ ექნება დემოკრატიულ არჩევნებს, ესენი ცოცხალი თავით ძალაუფლებას არ დათმობენ,** რადგან ეშინიათ, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ფარდა აეხდება ყველა მათ დანაშაულებრივ ქმედებას, კორუფციულ გარიგებას, რის გამოც პირადად სააკაშვილს საბრალდებო სკამი არ ასცდება.

არ ვამბობ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლება ვერ შეიცვლება, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ, სანამ საზოგადოება გონს არ მოვა და არ მიხვდება, რომ ფულზე ხმების გაყიდვა ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვისაა საზიანო, ეს შეუძლებელია.



**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი:**

— რაც უნდა გაუმჯობესდეს და გაჯანსაღდეს საარჩევნო გარემო, **სანამ ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი არიან, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით გამორიცხულია.** ეს ფაქტია და ამაში არაერთხელ დავრწმუნდით. მაგრამ, თუ არ გვინდა ამის დაჯერება, სხვა საკითხია...

დღეს რადიკალურად წოდებული ოპოზიციის ლიდერების მთავარი სალაპარაკო თემა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ, თუ ეს პრობლემა მოგვარდება, ხელისუფლების შეცვლა ადვილად მისაღწევი იქნება. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ადამიანები შეკრულები არიან „ნაცმოძრაობასთან", რადგან შეუძლებლად მიმაჩნია, დღეს საღად მოაზროვნე ადამიანს გულწრფელად სჯეროდეს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არჩევნების გზით რამის მიღწევა შეიძლება.



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტია:**

— იმ მრავალგზის გაყალბებული არჩევნების შემდეგ, რაც დღემდე ქვეყანაში ჩატარებულა, **საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, ბუნებრივია, დაკარგული აქვს იმის რწმენა, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. მაგრამ მე პირადად ეს სავსებით რეალურად მიმაჩნია იმ შემთხვევაში, თუკი ოპოზიცია სწორად მოიქცევა** და არ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რაც მან აქამდე არაერთხელ დაუშვა...



**ლაშა ჩხარტიშვილი,**
**კონსერვატიული პარტია:**

— დღევანდელი საარჩევნო კოდექსისა და პოლიციური რეჟიმის პირობებში, რაც უნდა მოვინდომოთ, **ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით შეუძლებელია. მაგრამ, თუ ჩვენ მივაღწევთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, პოლიციის ზეწოლის შემცირებას და, რაც მთავარია, მედიის თავისუფლების ხარისხის გაზრდას, რა თქმა უნდა, ეს რეალური გახდება** და საზოგადოებას მიეცემა იმის საშუალება, რომ ხელისუფლება მშვიდობიანად შეცვალოს.



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტია:**

— ხელისუფლება არჩევნების გზით იცვლება იქ, სადაც არჩევნები ტარდება, მაგრამ, როდესაც ქვეყანაში არჩევნებად წოდებულ პროცესს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთელი მისი რეპრესიული მანქანა, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გვინდა თუ არა, ეს რეალობაა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, თუმცა, სამწუხაროდ, ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ამას არა თუ ვერ ხედავს, მიაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი საშუალება სწორედ არჩევნებია.

ბევრჯერ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ მე მათ არ ვთვლი ნამდვილ, ჭეშმარიტ ოპოზიციონერებად, რადგან **ყველა ის პოლიტიკური ძალა თუ ცალკეული სუბიექტი, რომელიც დაჟინებით ამტკიცებს და გაიძახის, არსებული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არჩევნებიაო, შეკრულია სააკაშვილთან, მერაბიშვილთან და მთლიანად იმ ბანდიტურ ხროვასთან, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია.**



**კობა დავითაშვილი,**
**ხალხის პარტია:**

— იმის ილუზია, რომ ხელისუფლება არჩევნებში დამარცხებას შეეგუება და ამ ფორმით შეიცვლება, ნამდვილად არ უნდა გვქონდეს. მაგრამ, მეორეს მხრივ, **არჩევნები აუცილებელია იმისთვის, რომ, თუკი ხელისუფლება მის გაყალბებას შეეცდება, რაშიც, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, ამას მასობრივი პროტესტი და მღელვარება მოჰყვეს,** რაც, სხვა თუ არაფერი, კიდევ ერთხელ დაანახებს თუნდაც დასავლეთს, რომ ეს ხელისუფლება არ არის დემოკრატიულად არჩეული და, შესაბამისად, არ არის ლეგიტიმური.



**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემია":**

— არჩევნების გზით რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი ყოფილიყო, მე მგონი, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, **დღევანდელი ჩვენი საარჩევნო კოდექსი გათვლილია იმაზე, რომ სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა" რაც შეიძლება დიდხანს იყოს ხელისუფლების სათავეში. აქედან გამომდინარე, სანამ არ მოხდება რამე სერიოზული გარღვევა, მნიშვნელოვანი ცვლილება საარჩევნო კოდექსში, რა თქმა უნდა, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შეუძლებლად მიმაჩნია.**



**ლელიკო ჯაფარიძე,**
**სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა:**

— იმ კანონმდებლობის, კონსტიტუციის პირობებში, რომელიც დღეს გვაქვს, ასჯერ, ათასჯერ რომ ჩატარდეს არჩევნები, ეს იქნება ისევ და ისევ სააკაშვილისა და მერაბიშვილის ნება-სურვილს მორგებული რაღაც ანომალიური პროცესი, რითაც, ბუნებრივია, რამე შედეგს ვერასოდეს მივაღწევთ. ასე რომ, **დემოკრატიულ არჩევნებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდება ამ ავტორიტარული რეჟიმის წნეხისგან; მანამდე კი ეს წარმოუდგენელია.** ის პოლიტიკოსები, ვგულისხმობ ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც აცხადებენ, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით დღევანდელი კანონმდებლობის პირობებშიც შეიძლებაო, ნებით თუ უნებლიეთ ემსახურებიან იმ მიზანს, რომ სააკაშვილს, რაც შეიძლება დიდხანს შეუნარჩუნდეს ძალაუფლება და ლეგიტიმაცია, რისი პრობლემაც ამ ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდანვე ჰქონდა.



**რეზო მიშველაძე,**
**მწერალი:**

— სიმართლე გითხრათ, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით საერთოდ არ უნდა ჩნდებოდეს ასეთი კითხვა, იმიტომ, რომ **ამ რეჟიმის პირობებში ეს არა თუ რეალური არ არის, არამედ ოცნებაც კი ზედმეტია ამაზე. ერთადერთი, ვისაც ეს შესაძლებლად მიაჩნია, ოპოზიციაა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), რომლის წარმომადგენლებიც თუთიყუშებივით იმეორებენ, არჩევნები ჩვენი ერთადერთი ხსნა და გამოსავალიაო.** სინამდვილეში თვითონ ყველაზე კარგად იციან, რომ ასე არ არის, მაგრამ საქმე გვაქვს გაყიდულ პოლიტიკურ ძალებთან, მედროვეებთან, რომელთათვისაც არ არსებობს არანაირი პრინციპი, ღირსება და თავმოყვარეობა. არსებობს მხოლოდ ფულისა და პირადი კეთილდღეობის ინტერესი, რისთვისაც მზად არიან, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ და შავი თეთრად მოაჩვენონ.



**დაჩი ცაგურია,**
**მოძრაობა „7 ნოემბერი":**

— ქვეყანაში, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და კანონის უზენაესობა, ქვეყანაში, სადაც კონსტიტუცია მთლიანად მორგებულია ერთი ადამიანისა და მისი გარემოცვის ინტერესებს, მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები. **ეს არ მოხდება, რადგან ტირანია და ავტორიტარიზმი გამორიცხავს დემოკრატიას, თუმცა შეუძლებელი არაფერია** და, თუ ქართველი ხალხი ოპოზიციასთან ერთად ბოლომდე სწორი სტრატეგიით იბრძოლებს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, რა თქმა უნდა, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით შესაძლებელი იქნება.

რუბრიკას უძღვება **ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი:**

თუ ჩვენ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებიდან არ გავუშვით, მალე საქართველოსგან აღარაფერი დარჩება.

*„ალია“*



**ელიზბარ ჯაველიძე,**
**მწერალი, პუბლიცისტი:**

დღეს ამბობენ, მიშა ღორმუცელააო, ამბობენ — მშიშარააო, ამბობენ — ცხვირით მიწას ხნავსო, ამბობენ — ჩიტირეკიააო, ამბობენ — ჭკუაზე ვერ არისო (მქუხარე ტაში), მაგრამ მთავარს არ ამბობს არავინ, მიშა ასრულებს სატანისტურ მოვალეობას და მისი მთავარი მიზანი არის, რომ მოსპოს და გააჩანაგოს ქართველი ერი. სააკაშვილმა დუქნად გადააქცია საქართველო, ამ დახლიდარებმა არ დაგვიტოვეს არც მიწა, არც წყალი, არც ჰაერი, არც ტყე, არც მიწისქვეშეთი!

*„ალია“*



**რეზო მიშველაძე,**
**საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე:**

არავითარი სიკეთე მათგან არ წარმოდგება, ეს არის ხელისუფლებასთან შეთანხმებული ოპოზიცია. ჩვენ დროს გავიყვანთ, ხანდახან, მიშიკო, გაგაკრიტიკებთ, ხანდახან ნახევრად მიმხრჩვალ მიტინგებსაც ჩავატარებთ და შენ ეს ყველაფერი სერიოზულად არ მიიღო, ჩვენ სხვა ნაბიჯს არ გადავდგამთ. ჰოდა, არის ახლა საქართველო გასუსული, გაჩერებული.

*„ალია“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

რასმუსენს და ნატოს საქართველო აინტერესებთ, როგორც ტერიტორია და როგორც რუსეთთან სავაჭრო სივრცე. ამიტომ ვინც უნდა იყოს აქ პრეზიდენტი, რასმუსენი ჩამოვა და თავის ინტერესებს დაიცავს. ის სააკაშვილით კი არ არის მოხიბლული, ვიდრე მეორე მონას იპოვიან, მასთან ექნებათ მისვლა-მოსვლა.

*„ყველა სიახლე“*



**სოზარ სუბარი,**
**ყოფილი სახალხო დამცველი:**

ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს შეიძლება ამდენი ბოროტება არ ჩაედინათ, მათ ხელში აბსოლუტური ძალაუფლება რომ არ იყოს თავმოყრილი და სააკაშვილის ავადმყოფური იდეების გამტარებლები არ იყვნენ.

*„ყველა სიახლე“*

# ხელისუფლება ჯერ ბიზნესს აძარცვინებს ხალხს და მერე ამ ბიზნესს თვითონვე ძარცვავს

**ცოტა ხნის წინათ „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ ასოციაციამ განაცხადა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის დახარჯული მილიონების საკითხის გარკვევას აპირებს. ხელისუფლება ხშირად აპელირებს, რომ ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას და ამისთვის სერიოზულ თანხას ხარჯავს, თუმცა აყვავებული ბიზნესი, დიდი ხანია, არ გვინახავს. პირიქით, ბოლო დროს ბიზნესმენების დაკავება და დატერორება ტრადიციად იქცა.**
**რა მდგომარეობაა ბიზნესის განვითარების მხრივ საქართველოში და როგორ იხარჯება მისი განვითარებისთვის გამოყოფილი მილიონები? — ამის თაობაზე „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ ასოციაციის ხელმძღვანელი მერაბ ჯანიაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო მერაბ, რატომ გადაწყვიტეთ საშუალო ბიზნესისთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის შესწავლა?**

— თუნდაც იმიტომ, რომ ნათლად ჩანს, რა სიტუაციაშია დღესდღეობით მცირე და საშუალო ბიზნესი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მიმართულებით ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მხრიდან დიდი თანხები დაიხარჯა, ჩნდება საკმაოდ სერიოზული და საფუძვლიანი ეჭვები, რომ ეს თანხები მიზნობრივად და ეფექტურად არ დახარჯულა, თორემ წარმოუდგენელია, მათ შედეგი არ მოეტანათ. იყო პროექტები, როცა საერთაშორისო ორგანიზაცია ბანკებს ან სახელმწიფო სტრუქტურებს სესხს აძლევდა მცირე და საშუალო ბიზნესის დასაკრედიტებლად, რათა ამით ამ სექტორის განვითარებისთვის ხელი შეეწყოთ. **4.5-მილიარდიანი დახმარების ფარგლებშიც იყო საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები გამოყოფილი მცირე მეწარმეობისთვის, მაგრამ სად წავიდა და რა მიზნით დაიხარჯა, ვერ გეტყვით, ფაქტია, რომ მათგან რეალური შედეგი ჯერჯერობით ქვეყანას არ აქვს.**

**— ეს შესაძლოა იმაზეც მიუთითებდეს, რომ სახელმწიფოს არ აქვს სწორი პოლიტიკა, ანუ ვერ ახდენს სწორად დაკრედიტებას. მაგალითად, იყო „იაფი კრედიტის“ პროექტი და რეალურად გაიცა სესხებიც ამ მიმართულებით, მაგრამ ეს ბიზნესები ვერ განვითარდა.**

— რა თქმა უნდა, ორივე მიმართულებაზე შეიძლება ვისაუბროთ, იმაზეც, რომ სახელმწიფოს არ აქვს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეობას შეუწყობს ხელს, მაგრამ ძირითადად მსხვილ ბიზნესს ლობირებენ. ის თანხები სწორად რომ მიმართულიყო, ქვეყანაში ასეთი სიტუაცია არ იქნებოდა. დღეს საქართველოში მთლიანი ბიზნესის ბრუნვაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი 15 პროცენტია, როცა, მაგალითად, ათი წლის წინათ, ანალოგიური მაჩვენებელი 33 პროცენტი იყო. გამოდის, რომ უფრო უკან წავიდა საქმე.

როდესაც საუბარია „იაფი კრედიტის“ პროგრამაზე, ეს ერთი შეხედვით იყო კარგი იდეა, მაგრამ არასწორად განხორციელდა. ამ პროგრამის ფარგლებში გაიცემოდა სესხები, მაგრამ კორუმპირებულობის ხარისხი იყო მაღალი. ჩვენს ასოციაციას ჰქონდა ამასთან შეხება. **სესხს იღებდა მხოლოდ ის, ვინც სახელმწიფო ჩინოვნიკთან იყო დაახლოებული და ამ სესხის ამღები ადამიანებიც უმეტესად ბიზნესს კი არ იწყებდნენ, უბრალოდ, სხვა რამეში ხარჯავდნენ ფულს. მაგალითისთვის ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: „იაფი კრედიტის“ ფარგლებში, ერთ-ერთ კომპანიას მიეცა სესხი ორ-ნახევარი თუ სამი მილიონის ოდენობით თვითმფრინავის შესაძენად, მაშინ, როდესაც სესხის ზღვარი იყო 100 ათასი და თანაც თვითმფრინავი საერთოდ არ შედიოდა ამ სესხის მიზნებში.** ანუ პროგრამა იყო კარგი, იდეა იყო კარგი, მაგრამ განახორციელეს ცუდად.

**— უკვე გამართული ბიზნესები, როგორიც იყო „ელიტ ელექტრონიქსი“ თუ სხვები, აღმოჩნდა სერიოზული წნეხის ქვეშ. ეს უკვე ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ექცევა ხელისუფლება თავისუფალ ბიზნესს...**

— ყველა ვხედავთ, რომ ბიზნესზე, რბილად რომ ვთქვათ, ხდება სერიოზული ზეწოლა. განსაკუთრებით იმ ბიზნესმენებზე, რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან დაახლოებულნი. მე მართლთა გამიჭირდება ისეთი მსხვილი ბიზნესმენების ჩამოთვლა, რომლებიც ან ხელისუფლებასთან არ არიან დაახლოებული, ან ვიღაც არ ლობირებს მის ბიზნესს სახელმწიფო ჩინოვნიკის დონეზე. გაცხადებულია, რომ საქართველოში ვითარდება თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი ვაჭრობა და, ასე ვთქვათ, ლიბერალურ ეკონომიკას ვაშენებთ, გაუქმებულია ყველანაირი რეგულატორები... ჩემი აზრით, ზუსტად რეგულატორის, **ანტიმონოპოლიურის გაუქმებაა ლობირების ერთ-ერთი ფაქტი იმ მსხვილ ბიზნესმენებზე, რომლებსაც თითქმის ყველა სექტორში მონოპოლიური სიტუაცია უკავიათ და ხალხს არაადექვატურად მაღალ ფასებს ახდევინებენ პროდუქტებში. მთავრობის მხრიდან ასეთი პოლიტიკაა: ხელისუფლება ჯერ ბიზნესს აძარცვინებს ხალხს და მერე თვითონ ძარცვავს ბიზნესს. სადამდე მივალთ ამ პოლიტიკით, ძნელი სავარაუდოა.** უნდა აღინიშნოს ის ფაქტებიც, როდესაც თავისუფალი ბიზნესმენები, რომლებიც არ იყვნენ დაახლოებულნი სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, იგივე „ელიტ ელექტრონიქსის“ მაგალითი და კიდევ ბევრი შეიძლება დავასახელოთ ამ მიმართულებით.

**— თქვენ დაიწყეთ კვლევა იმ თანხების მიზნობრიობისა და საერთოდ მისი ასავალ-დასავალის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარებოდა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებს. როდის გექნებათ დასკვნები მზად?**

— კვლევა დაახლოებით წლის ბოლოს დასრულდება.

**—საჯარო ინფორმაციაზე სერიოზული შეზღუდვებია სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან, თუ გეძლევათ თავისუფლად მუშაობის საშუალება?**

— საკმაოდ ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებით არამხოლოდ ამ კვლევებში, არამედ სხვა მიმართულებითაც საჯარო ინფორმაციის მოპოვების მხრივ. ამ კვლევის ფარგლებში იყო გარკვეული მიმართვები სახელმწიფო ორგანოების მიმართ, რომლებსაც შეეძლოთ დაგვხმარებოდნენ, თუნდაც პარლამენტს აელო პასუხისმგებლობა, სერიოზული გამოძიება ჩაეტარებინა ამ თანხების განკარგვაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, თუმცა, მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენი ძალებით ვახერხებთ მუშაობას.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ოპოზიციამ მილიონერი იშოვა

**კულუარული ინფორმაციით, ქართულ ოპოზიციაში, შესაძლოა, მალე ახალი ფული და ახალი ლიდერი გამოჩნდეს. საუბარია რუსეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველ ბიზნესმენ ლევან ვასაძეზე, რომელთანაც ოპოზიციის წარმომადგენლები ბოლო პერიოდში აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.** თავად ვასაძე ჯერჯერობით ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, თუმცა, როგორც ამბობენ, ფარული შეხვედრები მაინც იმართება. ეს სწორედ ის ვასაძეა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილის გუნდს აფინანსებდა, მერე კი რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ ან ფუნქციები ვერ გაინაწილეს და მაშინ ხელისუფლებაზე განაწყენებულ ვასაძესაც შურისძიების დრო დაუდგა. არც ოპოზიციაა წინააღმდეგი — ვასაძისნაირი მილიონერი ნამდვილად არ აწყენთ.



### ოქრუაშვილი ახალ პარტიას ქმნის

**ირაკლი ოქრუაშვილის პარტია „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ დაშლის პირასაა. ის, უკვე დიდი ხანია, დატოვეს ცნობილმა სახეებმა და ვინც დარჩა, ისინიც მიდიან.** პარტიის ლიდერმაც კი არ მოინდომა კაპიტანივით ჩაჰყოლოდა ჩაძირულ გემს და იოლი გამოსავალი მონახა — ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას შეუდგა. ამ საქმისთვის, შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძე და სოზარ სუბარი ამოიყენოს გვერდით, მომავალშიც მარტოს რომ არ მოუწიოს ჩაძირული გემის კაპიტნობა.

მართალია, ვერავინ გაიგო, რაში სჭირდება ოქრუაშვილს ისედაც დაშლილი პარტიის დაშლა და ახლის შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი პოლიტიკოსების ქმედებებს ახსნას ვერ ვუძებნით.



### კონსტიტუცია — სამოქალაქო ომის პერსპექტივა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელის, ადვოკატ ლია მუხაშავრიას თქმით, „ახალ კონსტიტუციაში სამოქალაქო ომის პერსპექტივაა“ და ხელისუფლების ქმედებას კონსტიტუციური გადატრიალების მორიგ მცდელობად აფასებს.** „დღეს მივიღეთ აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით ორი ცენტრი: პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რაც სახიფათოა. პრეზიდენტს ექვემდებარება თავდაცვა და შეიარაღებული ძალები, საკადრო თვალსაზრით; პრემიერ-მინისტრი კი ძალისმიერი უწყების მინისტრს დანიშნავს. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის უთანხმოების შემთხვევაში, შეიძლება ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყოს,“ — აცხადებს მუხაშავრია.




### დაუბრუნეთ კონსტიტუცია სააკაშვილს

**არასამთავრობო ორგანიზაციებმა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — დავით ბაქრაძისადმი სპეციალური მიმართვა მიიღეს.** „ვეწინააღმდეგებით და დაუშვებლად მიგვაჩნია ახალი კონსტიტუციის იმ სახით მიღება, რაც ე. წ. საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა და რომლის მიღებასაც საქართველოს პარლამენტი დაჩქარებული წესით ცდილობს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მოთხოვნებს და მოვითხოვთ, საქართველოს პარლამენტმა შეწყვიტოს ქვეყნის განვითარებისთვის დამღუპველი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა და დაუბრუნოს იგი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორს, პრეზიდენტ სააკაშვილს“, — ნათქვამია მიმართვაში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



ნანა კაკაბაძე:

# წამება და არაადამიანური მოპყრობა პენიტენციალური სისტემის მართვის ფორმაა

**პენიტენციალურ სისტემაში რომ სერიოზული პრობლემებია, ამაზე უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ღიად საუბრობენ. საზოგადოებისთვის უცხო არაა, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ციხეებში არც თუ ისე იშვიათად მიმართავენ. გარდა იმისა, რომ ციხეებში გაუსაძლისი მდგომარეობაა, არ არსებობს ჯანდაცვის სისტემა, ამას მალე ისიც დაემატება, რომ პატიმრებს განათლების უფლებასაც ჩამოართმევენ. სასჯელაღსრულების სისტემაში დღევანდელ სიტუაციაზე სასაუბროდ ნანა კაკაბაძეს მივმართეთ.**



**— შემოდის კანონი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებისთვის გადარიცხული ფული 12%-ით დაიბეგრება. უნდა აღინიშნოს, რომ საპატიმრო ადგილებში დასაქმებული პატიმრების საშემოსავლო განაკვეთიც 12%-ს შეადგენს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ხელისუფლება ისეთ ხელგაშლილობას იჩენს საკუთარი კეთილდღეობისთვის, რომ სულაც არ ადარდებს უაზრო ხარჯები. ახალი ინოვაციები შემოდის გახარჯული ბიუჯეტის შესავსებად და განსაკუთრებული ზეწოლა თავისუფლებაშეზღუდულ ადამიანებზე ხორციელდება. ის დაბეგვრები, რაზეც თქვენ მეკითხებით, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც ხელისუფლება დღეს ამ ადამიანებს უკეთებს. ისინი ხშირ შემთხევაში უკანონოდ იმყოფებიან სასჯელის ქვეშ და მხოლოდ იმის გამო, რომ დამნაშავეებად არიან მიჩნეულნი, მათზე რეკეტს ახორციელებენ. **თუკი გარეთ მყოფი ადამიანი იმაზე დავობს, რატომ მოიმატა ფასებმაო, ციხეში მყოფი ადამიანი იმაზე დავობს, რატომ მოხვდა იქ.** ამიტომ აღარავინ აქცევს ყურადღებას ამ პრობლემებს.

ამ ბოლო დროს ადამიანს ერთადერთი საფიქრალი აქვს: გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდეს. საკმაოდ გამარტივდა კანონი იმისთვის, რომ ნებისმიერი ადამიანი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღმოჩნდეს. თუ გინდათ, ავიღოთ ცვლილებები, რაც ახლა შედის პოლიციის შესახებ კანონში. **ადამიანი თურმე შეიძლება გონივრული ეჭვის საფუძველზე გააჩერო და დაათვალიერო, რაც ჩხრეკვას ნიშნავს. აბა, ისე როგორ უნდა შეატყო ადამიანს, რა უდევს ჯიბეში, თუ არ გაჩხრეკ?! გამოდის, შეგიძლია ამ ჩხრეკის დროს ჩაუდო მას ისეთი რამ, რაც კანონდარღვევად ითვლება, არა? რადგან თუ გონივრული ეჭვი არ გამართლდა, გამოდის, ეს უგუნური ეჭვია და მან შეიძლება გაჩხრეკის გამო სასამართლოში გიჩივლოს. ადამიანი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, პოლიციის დანახვაზე უნდა გარბოდეს. თუ მიეპარა პოლიცია, აღმოჩნდება ციხეში. შეიძლება საზოგადოებაში პოლიციასა და მოქალაქეს შორის ასეთი დამოკიდებულების გაჩენა? ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება პოლიციურ რეჟიმს ამყარებს.**

## ჩვენი საამაყო ციხეები სადიზმითა და გაუსაძლისი პირობებით კავკასიაში პირველ ადგილზეა

— განსაკუთრებით სასტიკად იმ მსჯავრდებულებს ეპყრობიან, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ რეჟიმის წინააღმდეგ, ადგილზე შექმნილ მძიმე პირობებსა და ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზე საჩივრებს წერენ. ცოტა ხნის წინათ ქსნის სასჯელაღსრულების 7 დაწესებულებაში პატიმრებმა შიმშილობაც კი დაიწყეს. მათი პროტესტის მიზეზი დაწესებულებაში პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა და მათი უფლებების უხეშად დარღვევა იყო.

— ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემზე, როცა ამბობენ, რომ წამების ფაქტებს აქვს ადგილიო. წამების ფაქტები დემოკრატიულ ქვეყნებშიცაა. ასეთი მოპყრობა საქართველოში პენიტენციალური სისტემის მართვის ფორმაა, აქ ასე მართავენ ციხეებს და ეს გამონაკლისის სახით არ ხდება, წამებას ექვემდებარება ყოველდღიურად თითქმის ყველა პატიმარი.

**— მალე შეიძლება ძალაში შევიდეს კანონი, რომელიც პატიმრებს განათლების უფლებას წაართმევს. ამასთან დაკავშირებით თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ იგი?**

— როცა ადამიანს ყოველგვარი კანონისა და დასაბუთების გარეშე თავისუფლების უფლებას ართმევ და თანაც იცი, რომ ამაზე არანაირი პასუხი არ მოგეთხოვება, ბუნებრივია, ამის შემდეგ განათლების უფლებას კი არა, სიცოცხლის უფლებასაც შეგიძლია შეეხო. როგორ შეიძლება პატიმარს განათლების უფლება წაართვა? თავისუფლებაშეზღუდული პირის იურიდიული განმარტება იმას ნიშნავს, რომ მას გარკვეული უფლებები აქვს შეზღუდული. რაც საზოგადოების უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული, ის უფლებები აქვს შეზღუდული, თორემ ყველა სხვა დანარჩენი მისთვის არავის შეუზღუდავს.

**— ცოტა ხნის წინათ ევროპის წამების პრევენციის კომიტეტმა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით საკმაოდ კრიტიკული დასკვნა დადო. ამის პარალელურად ხელისუფლება ამაყობს პენიტენციალურ სისტემაში მიღწეული წარმატებებით. ამ დასკვნის შემდეგ თუ მაინც აღიარებს ხელისუფლება, რომ საქმე არც ისე კარგადაა და შეეცდება მის გამოსწორებას?**

— მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა საკმაოდ კრიტიკულია, ვფიქრობ, მაინც შორსაა იმ რეალური სურათისგან, რაც დღეს პენიტენციალურ სისტემაში არსებობს. **კავკასიის მასშტაბითაც რომ ავიღოთ, საქართველო ღირსებისშემლახავი მოპყრობით პირველ ადგილზეა. პატიმართა გადაჭარბებული რაოდენობითაც შეგვიძლია „ვიამაყოთ“, ციხეებში ჯანდაცვის არარსებობითაც. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი საამაყო ციხეები სადიზმითა და გაუსაძლისი პირობებით პირველ ადგილზეა.** მართალია, ეს დასკვნა დიპლომატიურ ენაზე იყო, მაინც აბსოლუტურად გასაგები უნდა ყოფილიყო ყველასთვის, თუ რა მძიმე მდგომარეობაა დღეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება არც კი შეეცდება, გააუმჯობესოს მაინც სიტუაცია. **ბოლო დროს საერთაშორისო ორგანიზაციების მომრავლებული კრიტიკული დასკვნები იმაზე მიუთითებს, რომ იმ მითს, რასაც აქამდე ხელისუფლება ავრცელებდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, დროებითი ეფექტი ჰქონდა. თანდათან, როცა საკუთარი თვალით ნახეს, ყველა მიხვდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ტყუილი იყო.**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### ავღანეთში კიდევ ოთხი ქართველი დაიღუპა

**ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს ოთხი ქართველი სამხედრო მოსამსახურე — პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი, სერჟანტი დავით ცეცხლაძე, კაპრალები გიორგი კოლხიტაშვილი და ნუგზარ კალანდაძე დაიღუპნენ.** თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ისინი 30 სექტემბერს საღამოს სამხრეთ ავღანეთში ნაღმზე აფეთქდნენ.

ეს ის მსხვერპლია, რომლის ფასადაც პრეზიდენტი სააკაშვილი გაეროს ტრიბუნიდან იწონებს თავს და რომლის წყალობითაც ნატოსა და მისი მოკავშირეების პარტნიორობას იბრალებს. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ავღანეთის „ანტიტერორისტულ ოპერაციად“ წოდებულმა ამერიკულმა ავანტიურამ ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლე შეიწირა.





### კუკავას ისევ ოქრუაშვილთან უნდა

**კახა კუკავა ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში გადაბარგებას აპირებს, საამისოდ კი წინასწარ გეგმავს ოქრუაშვილთან კონსულტაციას.** ვინაიდან პარტიის რიგით წევრობას ნაჩვევი არ არის, ამიტომ გადაბარგებამდე ზრუნავს მომავლ პარტიაში საკუთარი ადგილის განსაზღვრაზე და თავდაცვის ყოფილ მინისტრსაც წინასწარ სწორედ ამ მიზნით ხვდება.

კუკავასთვის ეს პოლიტიკური პარტნიორის შეცვლის პირველი შემთხვევა არ არის. სანამ ოპოზიციაში გადაინაცვლებდა, პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით შევიდა. კუკავა ოქრუაშვილს მაშინაც შეხვდა, როდესაც ახლად გაოპოზიციონერებული ექსმინისტრი ძველი პარტიის ჩამოყალიბებას იწყებდა, მაგრამ მაშინ ოქრუაშვილს კუკავას ამბიციურობა არ მოეწონა და უარით გამოისტუმრა.



### კრება დარჩა მხიარული

**სახალხო კრებას ამოფარებულმა ნინო ბურჯანაძემ ბევრი ეცადა, როგორმე საკუთარ ბანაკში გადმოებირებინა დანარჩენი ოპოზიციონერები და მათ მხარდამჭერთა ხარჯზე ეცადა არსებული რეჟიმის შეცვლა, მაგრამ ვერ გამოუვიდა.** ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სახალხო კრების პირველ კონფერენციაზე პოლიტიკოსებიდან მხოლოდ ეკა ბესელია და ნინო ბურჯანაძე მივიდნენ, ნათელაშვილმა კი, რომელსაც დარბაზში ვერავინ ხედავდა, წერილობით დაადასტურა, მეც თქვენთან ვარო. გამოთქმა „კრება დარჩა მხიარული“ აქამდე არც ერთ შეკრებას არ მოხდომია ისე კარგად, როგორც ამ კონფერენციას — ვერავინ გაარკვია, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული თავყრილობა ან რა შედეგის მომტანი შეიძლებოდა გამხდარიყო.



### ბაგაფში აფხაზურის სწავლას მოითხოვს

**აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მკაცრად გააფრთხილა ყველა სახელმწიფო მოხელე დაუყოვნებლივ შეისწავლონ აფხაზური ენა. როგორც გაირკვა, აფხაზეთში ბევრმა საჯარო მოხელე აფხაზურს ცუდად ფლობს ან საერთოდ არ იცის.** შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში საქმის წარმოება და მთავრობისა და პარლამენტის სხდომებიც რუსულ ენაზე მიმდინარეობს. 35 დეპუტატიდან 2 თურქს კი არც რუსული ესმის და თარჯიმნები სჭირდებათ. „თუ სახელმწიფო ვართ, რატომ არ ხდება საქმის წარმოება აფხაზურ ენაზე? რატომ არ გვაქვს ჩვენი ფულადი ერთეული? რატომ იცავენ ჩვენს საზღვრებს რუსები და აფხაზები?“ – ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც აფხაზეთის მოსახლეობას ჯერ არ მიუღია.

გსურთ, გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სომეხმა ჟურნალისტებმა მინისტრ ვაშაძეს სულ «იეს ჩემ ასელ» აძახებინეს და გააფრთხილეს — «ცავატანემ, მეორედ არ შეგეშალოს, თორემ შავ დღეს დაგაყრით!»



**მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პრინციპები, მიზნები და ამოცანები. მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ასეთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. თუნდაც ერთ გამონაკლის შემთხვევაში მსგავს თეორიას არსებობის უფლება აღარ აქვს და აი, რატომ: მე აღმოვაჩინე საქართველოში მცხოვრები, ეროვნებით ქართველი, ადამიანის მაგვარი არსება, რომელსაც ცხოვრებაში არც პრინციპები გააჩნია და არც სხვა რაიმე ღირსება.**
**მას ლეიბორისტების ლიდერი, შალვა ნათელაშვილი ხშირად ჯამბაზს, კლოუნს, ტაკიმასხარასა და უვიც ადამიანს უწოდებს. იგი სიამოვნებით მონაწილეობს უგემოვნოდ დადგმულ შოუებში და საზოგადოებას თავისი უნიკალური, ტყიური ხმითა და გამოხედვით აცინებს. ახლა კი, ბატონებო და ქალბატონებო, თქვენს წინაშეა მისი აღმატებულება, „ნაცმოძრაობის“ სუპერჯამბაზი კობა ხაბაზი! ტაში!**

არ ვიცი, სხვაგვარად როგორ წარმოგიდგინოთ პიროვნება, რომელმაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი ვერ დაამთავრა და რომლის „კარიერული აღმასვლაც“ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტობიდან იწყება. დღეს უკვე სტაჟიან პარლამენტარ ხაბაზს თურმე პოლიტიკოსობაზეც აქვს პრეტენზია და „ბრძნულ“ რჩევა-დარიგებებსაც უხვად იძლევა. მაგალითად, იგი თავის ნაცნობებს კობა დავითაშვილისა და კახა კუკავას საშვილიშვილოდ შეზიზღებისკენ მოუწოდებს.

**კობა ხაბაზი, პარლამენტარი:**
**„თუ ოპოზიცია გაერთიანებას დააპირებს, ჩვენ მათ ხელს ყოველთვის შევუშლით. ხალხში არსებობს ოპოზიციური მუხტი, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ არჩევნებში გამარჯვებას ვახერხებთ.**



**სამწუხაროა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ვერ ისწავლა საკუთარი, ნეგატიური ემოციების გამოხატვა. პირადად მე ყველა ჩემს კოლეგასა და ნაცნობს მოვუწოდებ: თუ მათ ქუჩაში შემთხვევით კახა კუკავა ან კობა დავითაშვილი შეხვდებათ, მათდამი ზიზღი გამოხატონ“.**

რას ერჩი ამ ხალხს, შენგან განსხვავებით, უმაღლესი განათლება მაინც აქვთ მიღებული და რამდენიმე პარტიის გამოცვლის შემდეგ საკუთარიც შექმნეს. მართალია, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე არც მათ უკეთებიათ, მაგრამ მეტ-ნაკლებად გამართულად მაინც მეტყველებენ და, რაც მთავარია, შენნაირი ხმის ტემბრი არ აქვთ.

„ტვინის ნაჟურიაო“ რომ იტყვიან, ხაბაზს მრავლად აქვს ანალოგიური განცხადებები გაკეთებული, მაგრამ ეს ნამეტანი მაგარი გამოუვიდა.

**„შემიძლია მოგიყვანოთ მრავალი ქვეყნის მაგალითი, სადაც ერთი პარტია ქვეყნის სათავეში 60 წელიწადზე მეტიც კია. დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ჩვენ გავიმარჯვებთ“.**

ჯერ ერთი, შენი გონებრივი შესაძლებლობების მქონე კაცმა, შეიძლება დიდი-დიდი ათი ქვეყანა ჩამოთვალოს. მეორეც, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ათი სახელმწიფოდან ერთიც არ აღმოჩნდება ისეთი, როგორიც შენს „ნათელ“ წარმოსახვაშია. მესამე, ჩემმა მტერმა გიყურათ თქვენ კიდევ სამოცი წელი, ხომ მთლად გადაჯიშდა და ალიგავა პირისაგან მიწისა მრავალჭირნახული ქართველი ერი.

თუმცა იმედი არ უნდა დავკარგოთ. აგერ „დიდი ლეიბორისტი“ შალვა ნათელაშვილი, ზღაპრული პერსონაჟის მსგავსად, ამ უსაშველო მდგომარეობიდან გამოსავალს გვთავაზობს: თურმე „დრაკულა სააკაშვილის“ დასამარცხებლად ერთად ყოფნა და გარეთ გამოსვლაა საჭირო.

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტების ლიდერი:**
**„თუ მთელი საქართველო არ გამოვა გარეთ, მაშინ ეს საქართველო სწორედაც რომ დრაკულა სა-**





**ააკაშვილის ღირსი ყოფილა“!**

ფრიად ემოციური ვინმეა ნათელაშვილი, თორემ ქართულ ოპოზიციაზე გაგულისებული „ენის ამოგლეჯვით“ ჩვენ არ დაგვემუქრებოდა. როგორც ვამჩნევ, შალვას სააკაშვილზე მეტად ე. წ. ოპოზიცია ეზიზღება და ამას არც მალავს.

**„სააკაშვილზე უარესია ასეთი ოპოზიცია! და არავინ მომთხოვოს ასეთი ოპოზიციის გვერდით დგომა, თორემ შეიძლება ენა ამოვაგლიჯო!.. ოქრუაშვილმა რაც მილიარდები წაიღო, ის ჩადოს ოპოზიციურ მოძრაობაში! მარტო ამას შევთავაზებ ოქრუაშვილს! სხვა არაფრის მაქნისი ეგ არ არის, სააკაშვილზე უარესია“!**

მაშინ, როცა შალვა ყველასა და ყველაფერზე ბრაზობდა, გიჟდებოდა და ხტოდა, დავით ზურაბიშვილი დონალდ ტრამპის ბიოგრაფიას იკვლევდა და თავისთვის „კაიფობდა“, ტრამპი ცოლებს ნასკებივით იცვლისო.

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**
**„ტრამპი არის ძალიან ექსტრავაგანტური, ქალების მოყვარული კაცი, მთელი ამერიკა მასზე ლაპარაკობს. ძირითადად, კაზინოებისა და სასტუმროების აშენებითაა დაკავებული. ყოველ სამ წელიწადში ცოლებს იცვლის“...**

ოჰ, დავით, დავით, შენი „სალადაოც“ რომ გახდება დონალდი! რა ჭირს, ბიჭო, ტრამპს შენი დასაცინი? კაცმა მილიარდები იშოვა, „გულაობს“, არაფერს იკლებს, შენი ქვეყნის პრეზიდენტს პატარა ბავშვივით ექცევა, ემასხარავება, „ჩემო მიშიკო, თუ ჭკვიანად იქნები, კაკასაც გაჭმევო“. შენ კიდევ, „რესპუბლიკელებს“ ვერ გასცდენიხარ და დღემდე ირაკლი ალასანიას იმედად ხარ.

ალასანიაზე გამახსენდა, ეს ადამიანი ჩემზე რომანტიკოსი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც თვითონაც ვერ გაურკვევია, რა უნდა და სადამდე შეიძლება ითამაშოს ორმაგი თამაში, სახელწოდებით „სააკაშვილის სატყუარა“. ალასანია ბოლო დროს ისეთ განცხადებებს აკეთებს, იფიქრებ, ახლად დაფრთიანებული იელოველია და საცაა, გორის ციხიდან საუკუნის ფრენას განახორციელებსო.

**ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**
**„ჩემი გზა არის უალტერნატივო, ამიტომაც მხარდაჭერა საზოგადოებაში ძალიან დიდია. ამას მე ვგრძნობ სწორედ რეგიონებში სიარულის დროს. არავის არ უნდა არეულობა და დესტაბილიზაცია, ყველას უნდა მშვიდობიანი ცვლილება საქართველოში. აი, ამას ემსახურება სწორედ ჩემი ძალისხმევა, რომ შევცვალო საარჩევნო გარემო“.**

ირაკლი ალასანიას ჯვარი სწერია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გრიგოლ ვაშაძეს ამას წინათ თურმე ისეთი განცხადებები გაუკეთებია, მთელი სომხეთი გადაურევია და ახლა იქ ჩასული დიპლომატისთვის ჩვენს „ახპერებს“ ლამის ულვაშები დაუწიწკნიათ. როგორც ირკვევა, ვაშაძემ თბილისში თქვა: **„რუსული სამხედრო ბაზები სომხეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას უქმნის საფრთხესო“.**

ერევანში მყოფ ვაშაძეს ჟურნალისტებმა ულვაში მაგრად მოქაჩეს, შენ ვინ გეკითხება, სომხეთისა და ბაზების ამბავსო. შეცბუნებული მინისტრი უმალ სხვაგვარად აჟღურტულებულა, დედას გეფიცებით, იეს ჩემ ასელ — ეგ მე არ მითქვამსო.

**„მე არ განვიხილავ სომხეთის უსაფრთხოების საკითხებს და არც ასეთი განცხადება გამიკეთებია, მაგრამ საქართველოს აქვს უფლება, გააკეთოს განცხადება სამხრეთ კავკასიაში რუსული ბაზების ყოფნის შესახებ. სინამდვილეში, რუსული ბაზები საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტისთვის წარმოადგენს“.**

მოკლედ, სომხებმა გრიგოლი დაინდეს, ცოცხალი დაბრუნდა ბედკრულ საქართველოში, მაგრამ გააფრთხილეს: „ცავატანემ, მეორედ არ შეგეშალოს, თორემ შავ დღეს დაგაყრითო!“

**გიორგი გორგაძე**

## მოკლედ



### ამერიკელებს დამარხვით ემუქრებიან

**მაჰმუდ ახმადინეჯადმა თეირანის ბირთვულ პროგრამაზე ამერიკელი სამხედროების შესაძლო თავდასხმის საპასუხოდ განაცხადა, რომ ამერიკელ პოლიტიკოსებს „დამარხავს“.** დასავლეთის მისამართით ახმადინეჯადმა შემტევი რიტორიკა და შეურაცხმყოფელი სიტყვებიც არ დაიშურა. რამდენიმე ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსანმა ცოტა ხნის წინათ აღნიშნა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე შეტევის იდეა სამომავლო გეგმებთან ერთად განიხილება. „მწარმოებელმა, შესაძლოა, დაგმარხოთ თქვენც, თქვენი გეგმებიც და გვამებიც“, — განაცხადა ახმადინეჯადმა და ამერიკის მისამართით მტრული განწყობა იმ ჟესტით დაადასტურა, რომელსაც ირანელები საუბრისას მხოლოდ მოსისხლე მტრის მიმართ იყენებენ.



### სააკაშვილი ჩინურს გვასწავლის

**ქვეყანა, ხალხი, მომავალი თაობა და ქართული ენა ახალი განსაცდელის წინაშეა. საქართველოს პრეზიდენტს მას შემდეგ, რაც ბავშვების გაინგლისურენოვნების პრობლემა მოაგვარა, ჩინურის სწავლების მოთხოვნილება გაუჩნდა.** „ყველას ჩინური ენის სწავლისკენ მოვუწოდებ, თუმცა არა მგონია, თავად ოდესმე შევძლო ამის გაკეთება“, — განაცხადა სააკაშვილმა უკრაინულ გამოცემა „ბულვარ გორდონ“-ისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში. მადლობა ღმერთს, საამისოდ უკვე აქ მყოფი ჩინელების დარაზმვაზე ან ახლების ჩამოყვანაზე ჯერ არაფერი გადაუწყვეტია. სამაგიეროდ, ისე თავმომწონედ ირწმუნება, ჩემს ქვეყანაში მასწავლებლებს ხელფასი 600 დოლარამდე აქვთო, რომ, სავარაუდოდ, ჩინურის მასწავლებლები განსაკუთრებული მოწვევის გარეშეც მოგვადგებიან.



### მართვადი ოპოზიცია

**ნინო ბურჯანაძის პარტიაში „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“ მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის ნაწილის მიერ მომზადებული საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებული მოთხოვნა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის დიდ საფრთხეს შეიცავს.** მათი განცხადებით, ამ მოთხოვნათა ავტორები სწორედ ხელისუფლების მიერ მართული ძალები არიან და მათ საარჩევნო ინიციატივებში „ხელისუფლების ხელი ურევია“. ცვლილებები კი ვითარებას არსებითად არ ცვლის. „ქვეყანაში მძვინვარებს ავტორიტარიზმი, რომელსაც შექმნილი აქვს მრავალშრიანი ჯავშანსისტემა და ამ სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს ხელისუფლების მიერ მართვადი, ოპოზიციად შერაცხული პარტიები წარმოადგენენ“, — აცხადებენ პარტიაში.



### ლეიბორისტები სააკაშვილის წინააღმდეგ

**ლეიბორისტულმა პარტიამ „ხალხის შეკვეთა და თავისი დანაპირები შეასრულა“ და საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების მოთხოვნით სარჩელი გააგზავნა.** პარტიის ლიდერის — შალვა ნათელაშვილის განცხადებით, „ადამიანების საწინააღმდეგო და სამხედრო დანაშაულთა ჩადენის გამო სააკაშვილის დაპატიმრების მოთხოვნით“ წარდგენილ სარჩელში შემზარავი ჩამონათვალია. „ტერორიზმი, მასობრივი მკვლელობები, თავდასხმა მშვიდობიან ობიექტებზე, ქალაქებზე, სოფლებზე, საკუთარ მოქალაქეებზე, ოპოზიციაზე, ახალგაზრდობის მასობრივი მოსპობა, პოლიტპატიმართა მთელი არმია და მათი წამება. ვფიქრობთ, რომ სამართლიანმა სასჯელმა არ უნდა დააყოვნოს“.

# მათ გასაგონად, ვისაც მიშას ტვინი აქვს ნაჭამი

**დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ საუკუნის შემდეგ ჟამთაალმწერლები მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდს საქართველოში შავი მაგებისა და ჯადოქრების აღზევების ხანად მონათლავენ. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ჩვენს ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობისა“ და სააკაშვილის გაბატონება. ამბობენ, შავი მაგების დახმარება რომ არა, რომლებმაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოაჯადოვეს, მიშა ამდენს ვერც მიაღწევდა და ვერც გაგვიბედავდაო.**



ჯადო, ყველამ იცის, რაც არის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უძველესი მეთოდის გამოყენებით უახლესი ჯადოს დამზადებასთან. ალბათ, გაგიგონიათ გამოთქმა: „ვირის ტვინი აქვს ნაჭამიო“. ჯადოქრები სწორედ ამ „პრეპარატს“ იყენებდნენ ვინმეს გამოსაშტერებელ-გამოსათაყვანებლად, რათა საკუთარი ზრახვები იოლად განეხორციელებინათ.

**ერთ-ერთი ვერსიით, როცა „ნაცმოძრაობამ“ ქართველი ხალხის ზომბირება გადაწყვიტა, სააკაშვილმა, როგორც შავ მაგიაში კარგად გარკვეულმა პიროვნებამ, საოცარი რამ მოიფიქრა: ხალხს ათასნაირი შელოცვებით შთაგონებულ ჩემს ტვინს ვაჭმევ, სამუდამოდ დავიმონებ და სამარადისოდ ვიმეფებო.**

ცხადია, ამ ჩანაფიქრს ოცდამეერთე საუკუნეში მარტო მიშა ვერ განახორციელებდა. ამიტომ სააკაშვილის ტვინის და მისი ნაჟურის საზოგადოებისთვის მიწოდების საკითხის მოგვარება ვითომ დამოუკიდებელ, სინამდვილეში კი სახელმწიფო ტელევიზიებად ქცეულ, ტელეკომპანიებს დაევალათ, რომელთაც პრეზიდენტის დაკვეთა უდრტვინველად აღასრულეს.

**გამოხდა მცირე ხანი. „სახელმწიფო ტელევიზიები“ ხალხს უხვად აწვდიდნენ იმ სისულელეებს, რომელთაც სააკაშვილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აკეთებდა, ხოლო მის სამსაათიან საჯარო გამოსვლებს პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ და ამით პრეზიდენტის გადიქტატორების პროცესს ხელს აქტიურად უწყობდნენ. მოკლედ, ასე და ამგვარად, პიარ-პიარით მოვედით 2010 წლამდე და...**

**ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა მრავლისმნახველმა თვალებმა „სახ-ტელევიზიით“ მორიგი საკვირველება იხილა. ეს გახლდათ ქართული ეროტიკული ფილმის „სიყვარული ვენახში“ ახალი ვერსია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფილმიდან სექსუალურ-ძალადობრივი კადრები იყო ამოჭრილი. როგორც ჩანს, რეჟისორს კომედიის გადაღება ჰქონდა გადაწყვეტილი.**

სცენარის მიხედვით, კახეთს მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი თავისი დამქაშებიანად იმ დროს ესტუმრნენ, როცა გახურებული რთველი იყო. იგი ერთ-ერთ სოფელში, ჩვეულებრივი გლეხის ვენახში, დაცვებიან-„პიკაპებიანად“ ელვის სისწრაფით შეიჭრა და ყურძნის კრეფა დაიწყო. გაკვირვებული ხალხი მიშას თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა და ხმას ვერ იღებდა. ამოიღებდა და...

როგორც იქნა, ასმა კაცმა ერთი „პიკაპი“ ყურძნით გაძეძგა, საჭეს სააკაშვილი მიუჯდა, უკან ვენახის მეპატრონე ცოლ-ქმარი დაისხა და... მერე თვითონ მიშამ ისე და იმდენი დაისხა, რომ ალბათ, მთელი საქართველოც ვერ დაკრეფდა. პრეზიდენტს შავი სათვალე არც მოუხსნია, ისე ჩარეკა გლეხები ყურძნის ჩასაბარებლად. თუმცა მოსახდენი შუა გზაში მოხდა.

მისმა აღმატებულებამ, როგორც სჩვევია, ამჯერადაც ბევრი იბოდიალა, ისაო, ესაო, ესაო და ისაო. ერთი სიტყვით, საცოდავ ცოლ-ქმარს ტრაბახით ლამის ყურები გამოუჭედა. მართალია, სცენარში სიმართლის თქმა არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მიშა, რაც ენის წვერზე მოადგებოდა, ყველაფერს აფრქვევდა.

**მიხეილ სააკაშვილი: „სად არ ვყოფილვარ სანახავად, საჭმელად, ეგ ყველაფერი იციან, ესე უნდა იყოს იმიტო, რო ყველა ადამიანი, ყველა უნდა გადავადგილდებოდეთ, სუყველა უნდა ვვითარდებოდეთ, შენ თუ შენთვის ჩაიკეტე და შენთვის იქ უკანა ოთახში ჭამე ჩუმად და ყველას გაებუტე, ყველას გაეპარე, იმით საქმე არ გამოვა“.**

წარმოიდგინეთ, როგორი მადა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ სულ ჭამა-სმა ელანდებოდეს. დალოცვილო, პრეზიდენტი „კაცი“ ხარ, ცოტა თავი მაინც შეიკავე. თორემ ჩვენ კარგად ვუწყით, რომ ყველგან და ყველაფერს მადიანად მიირთმევ. რას ვიზამთ, ეტყობა, სცენარით ასე იყო გათვლილი (რეჟისორისა და სცენარის ავტორის ვინაობას განზრახ არ გიმხელთ, ამ საიდუმლოს ბოლოსთვის ვინახავთ).

მოკლედ, სააკაშვილი ისე შევიდა ლაყბობის აზარტში, რომ გამოსვლა გაუჭირდა. საწყალ გლეხებს მთავარი განსაცდელი წინ ელოდათ: მიშამ მათთვის მეფისა და „რესტორანას“ შესახებ ანეკდოტის მოყოლა გადაწყვიტა.

**„თბილისში, იცით, რო ახალი გატაცება ჰქონდათ თბილისელებს ამ ერთი წლის წინ, მეფის ტახტის მემკვიდრე ჩამოიყვანეს ესპანეთიდან, მეფედ უნდა ეკურთხებინათ და თავის მეგობარი ჰყავს ერთი ამ დავით ბაგრატიონს, ჰქვია „რესტორანა“, რო დათვრება, მერე შემოდგება მაგიდაზე, დაიდგამს ჭიქას, მერე ბოთლს დაიდგამს, მერე ჭიქას, ბოლოს ჭიქას, ურტყავს და ტეხავს და მერე ენას გამოყოფს და არ ექცევა ეს ღვინო, პირდაპირ სვავს. ცირკის ნომერი აქ, რაა!**

**ესენი წამოსულები იყვნენ თელავში, შემოდგა მაგიდაზე, შემოახტუნეს, დაიდგა ჭიქა, ბოთლი, ჭიქა, ბოთლი, დაარტყა ყველაფერი, მაგრამ ბოლო ჭიქა გაუტყდა, სახეზე ცოტა სისხლი წამოუვიდა, ჩაჯდა მანქანაში, გვერდზე მოისვა ჩვენი მეფე, დავითი და მოდიან. თან მოდიან „რვიანებით“, ნასვამები არიან. გააჩერა წინანდალთან პატრულმა. ჩახედეს, მაგარი მთვრალები ხართო, შენ მაგარი ნაცემიც ხარო, აბა, გადმოდიო. არა, უფროსო, ერთიორი ჭიქა დალეული მაქო, მაგრამ ცემით არ ვუცემივარო.**

**აი, გითხრათ, ეხა როგორ იყოო, ჭიქა დავიდგიო, მერე ბოთლი, ჭიქა, ბოთლიო... ესე რტყმევა-რტყმევითო და ბოლოს ცოტათი გამეჭრაო. — ჰმ... — ჩაიხითხითა პატრულმა, — ჩვენ ქალაქელებს სულელები ხო მარ გგონივართო? ნახე, რას მეუბნება ეს ნაცემი მძღოლიო, სულელები ვგონივართ ამათ თელაველებიო, რაღაც ჭიქაო, რაღაც ბოთლიო, იმის მაგივრად, რომ მითხრას, ვინ ცემა კაცურადო. — ეგ რა არი, ჯოო, — ეუბნება მეორე პატრული, — ეს მეორე მეუბნება, თქვენი მეფე ვაარო.“**

სააკაშვილმა ანეკდოტის მოყოლა დაასრულა და უგვანი ხითხით-ქირქილი დაიწყო. ცხადია, ცოლ-ქმარიც ნაძალადევად გაიღიმიჯა, პრეზიდენტს არ ეწყინოსო. მოკლედ, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ნატოს გენერალური მდივნის, ანდრეს ფოგ რასმუსენის საქართველოში ვიზიტზე უფრო მნიშვნელოვანი, სწორედ მიშას ოცო-ბოდია იყო. რატომ?

იმიტომ, რომ „სახ-ტელევიზიით“ გადაცემულმა ამ უმსგავსობამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეს „კაცი“ თავის ჭკუაზე ვერ არის. პრეზიდენტი კადრულობს ყველაფერს, რასაც „ტეტია გლეხიც“ კი არ იკადრებდა. მისგან სხვას არც უნდა მოველოდეთ. აგერ, მონადქცეულმა პარლამენტმა მიშას „შარვალ-კოსტუმი“, ანუ საქართველოს კონსტიტუციის ახალი პროექტი მეორე მოსმენითაც დაამტკიცა და ფაქტობრივად, მის აღმატებულებას აღმატებულ ხარისხში ყოფნის ვადა საუკუნოდ გაუხანგრძლივა.

უგემოვნოდ გადაღებული ფილმის ამბავს, რომლის რეჟისორიც და სცენარის ავტორიც თავად მიხეილ სააკაშვილია, კიდევ იოლად გადავიტანდი, უკრაინულ გამოცემა „ბულვარ გორდონა“-სთვის მიცემული ინტერვიუ რომ არ წამეკითხა. პრეზიდენტი უკრაინელ ჟურნალისტებს ამაყად მოუთხრობდა ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობით პროცესებზე მაშინ, როცა ნახევარი საქართველო შიმშილით იხოცება. მეტიც, მიშამ მასწავლებლების ანაზღაურების შესახებ ისეთი სიცრუე თქვა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის წამკითხავ პედაგოგებს თმები ყალყზე დაუდგებათ.

**მიხეილ სააკაშვილი: „დღეს ყველა მასწავლებელს, რომელიც ინგლისურს ისწავლის და კომპიუტერს აითვისებს, ჩვენ ხელფასებს გავუორმაგებთ. ის, სხვათა შორის, უკვე აღწევს 400-600 დოლარს“.**

ახლა კი, იმ თავზარდამცემ განცხადებას გთავაზობთ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, ხაზს ვუსვამ, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს შესახებ გააკეთა. თურმე, ჩვენი საცოდავი სამშობლო **„ევროპული სახელმწიფოებისთვის იოლად მოსანელებელი ქვეყანა“** ყოფილა. გამოდის, რომ მრავალსაუკუნოვანი ერი, თავისი მიწაწყლიანად, სრული ევროინტეგრაციის შემდეგ, მხოლოდ ევროპის ინტერესების „გასანოყიერებლად“ თუღა ივარგებს. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქვეყნის ხელისუფლებისთვის სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირადი გამორჩენა დგას, ანუ, თუ სააკაშვილს ბოლომდე ჩავყვებით, საქართველო ევროპულ სივრცეში მხოლოდ საკვების მონელების შედეგად დარჩენილი „ნარჩენების“ ფუნქციას შეასრულებს!

**მიხეილ სააკაშვილი: „საქართველო პატარა ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე ყურადღება რუსეთთან მტკივნეული ურთიერთობების გამოა გამახვილებული, სინამდვილეში, ევროპული სახელმწიფოებისთვის ადვილად მოსანელებლები ვართ“.**

ღმერთო, შენ გვიშველე!.. ამის შემდეგ, რაღა ვთქვა და რით განუგეშოთ?! ქართველებო, ერთი თხოვნა შემისრულეთ: გამოიღვიძეთ, თუ მართლა მიშას ტვინი არ გაქვთ ნაჭამი! გამოიღვიძეთ, ხალხო, თორემ!.. მე გამოგაღვიძებთ!..

**გიორგი გორგაძე**

## გაფრაზებული



**გურამ ფირცხალავა,**
**მსახიობი:**

ის „რიჟა“ ფრანგი კაცი, საგარეო საქმეთა მინისტრი, მშვიდად იდგა და მიწაზე მოხოხიალე ჩვენს პრეზიდენტს დასცინოდა. ამისთანა რაღაცას რომ ვნახავ, სიცოცხლე აღარ მინდა. წარმოიდგინეთ, თვითმფრინავის ხმის შეეშინდა კაცს და ეს კაცი რომ პრეზიდენტი იქნება, არ მინდა, ძმაო, ცხოვრება ასეთ ქვეყანაში!

*„ასავალ-დასავალი“*



**მარიამ ცაცანაშვილი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი:**

რაც უფრო მატულობს ხალხის რისხვა, ჩვენი ოპოზიცია უფრო განზე დგება. ოპოზიციის ლიდერები უფრთხიან, რომ არ აღმოჩნდნენ იმ საქმის სათავეში, რომელსაც მერე ვერ მიიყვანენ ლოგიკურ დასასრულამდე.

*„კვირის ქრონიკა“*



**ირაკლი ალასანია,**
**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

მე დარწმუნებული ვარ დიდ გამარჯვებაში ხალხთან ერთად, მომავალ არჩევნებში. დღეს ჩვენში დასავლეთი ხედავს სააკაშვილის ალტერნატივას და ამიტომაც დარწმუნებული ვარ ჩვენს წარმატებაში.

*„კვირის ქრონიკა“*



**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი:**

დღეს დასავლურ ფილოსოფიაში სერიოზულად დგას პრობლემა — არის თუ არა საჭირო ზნეობა? დასავლეთმა ზნეობრივ კატეგორიებზე უარი თქვა და გამოაცხადა, რომ თავისუფლება ყოველგვარ ზნეობაზე მაღლა დგას. ადამიანს დაუპირისპირეს მაიმუნი, როგორც თავისუფალი ქცევის არსება, რომელიც აზროვნების თვალსაზრისით, მხოლოდ 5 პროცენტით განსხვავდება ადამიანისგან ანუ დასავლელი იდეოლოგების აზრით, მაიმუნი ადამიანზე უფრო ბედნიერია, იმიტომ, რომ მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს.

*„კვირის ქრონიკა“*



**თენგიზ სიგუა,**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

ოპოზიციის უდიდესი ნაწილი უკვე მიხვდა, რაშია საქმე, უკვე ყველა გრძნობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამშვიდა შიდა პოლიტიკური ძალები, 2013 წლამდე წყნარად იყავით, არავინ ხელისუფლებას არ შეცვლის, არჩევნებისთვის მოემზადეთო.

*„კვირის ქრონიკა“*



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:**

მე არანაირი პრეტენზია არა მაქვს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან და არც იმ ცვლილებებთან, რაც არის შეტანილი... რადგან მე მეტს არც ველოდი. მეტიც: მე მივმართავ ხელისუფლებას, რაც შეიძლება მალე მიიღოს და დაამტკიცოს ახალი ვარიანტი, რომ მალე დამთავრდეს ეს ყველაფერი.

*„კვირის ქრონიკა“*



**ლევან ბერძენიშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

როგორც ნაპოლეონმა გადაავლო თვალი ფრანციას ბარათაშვილის ლექსში, ისე ნინო ბურჯანაძემ გადაავლო თვალი საქართველოს, ვერავინ დაინახა და დაიჯერა, კანდიდატი ვიქნებიო. თუ სააკაშვილი შეიძლება იყოს, ნინოც შეიძლება იყოსო, — იფიქრა. არადა, სააკაშვილი იყო იმიტომ, რომ აღემატებოდა ნინოსაც, ზურასაც... ეს კარგი სულაც არ იყო. სჯობდა, განათლებული პრეზიდენტი გვყოლოდა ან ოჯახში გაზრდილი მაინც, მაგრამ შანსი არ ჰქონდა სხვას. დღესაც ასეა. შანსი არავის აქვს.

*„ვერსია“*

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ირაკლი სესიაშვილი:

# საქართველოში დღეს ნეობოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურაა

**სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებაზე, მთლიანად კავკასიის რეგიონის მიმართ რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესებზე, ასევე პრეზიდენტ სააკაშვილის ,,ახალ" ინიციატივაზე ,,ერთიან კავკასიასთან" დაკავშირებით, გვესაუბრება ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი.**

**— როგორია დღეს ძალთა გადანაწილება სამხრეთ კავკასიაში და ვინ ინარჩუნებს დომინანტის როლს?**

— სტუდენტიც კი უპასუხებს ამ შეკითხვას. თუ რეგიონში განლაგებულ სამხედრო ბაზებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ რუსეთი რეალურად ინარჩუნებს დომინანტის როლს. რუსეთმა სომხეთთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც ერთად უზრუნველყოფენ სომხეთის უსაფრთხოებას. რუსეთს გიუმრიში აქვს ბაზა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაზარდოს ყოველგვარი პოლიტიკური დაბრკოლებების გარეშე.

**აგვისტოს ომის შემდეგ მივიღეთ საკმაოდ მძიმე სურათი როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში, რამაც, ფაქტობრივად, შეცვალა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება.**

2008 წლის შემდეგ, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური არეალი უფრო გაფართოვდა. მხედველობაში მაქვს, რუსეთის საბრძოლო გემები აფხაზეთის საზღვაო წყლებში. ამას ემატება სამხედო აეროდრომები აფხაზეთში, რომლებიც, ფაქტობრივად, კავკასიონის ქედს აქეთაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი 2007 წლიდან გამოსულია ეუთოს შეთანხმებიდან ევროპის შეიარაღებასთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი მოქცეულია გარკვეულ კვოტებში, ეუთოს შეთანხმებიდან გამოსული რუსეთისთვის კი ასეთი შეზღუდვები აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, **რუსეთს შეუძლია რეგიონში სამხედრო ძალა იმდენით გაზარდოს, რამდენითაც სურს, მაშინ, როცა ჩვენ (დანარჩენ სახელმწიფოებს), საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ გვაქვს ადეკვატური თავდაცვის საშუალება, საბრძოლო რესურსის ყოლის შემთხვევაშიც კი.** გარდა ამისა, დე იურე აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც არის საქართველოს ტერიტორია, შესაბამისად, ეუთოს შეთანხმებით, ჩვენი კვოტები უნდა ვრცელდებოდეს ამ ადგილებზეც. სწორედ ამ მიზეზით თავის დროზე გავიყვანეთ რუსული სამხედრო ბაზები, მათ შორის ოფიციალურად — გუდაუთიდანაც, თუმცა დღეს ისინი ჩვენს კვოტაში არიან შემოჭრილნი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვოტებს ყურადღება პირდაპირი მნიშვნელობით არ ექცევა.

**— ვინაა დაინტერესებული რეგიონში არასტაბილური გარემოს შექმნით?**

—პირდაპირ რომ ვთქვათ, არასტაბილური ვითარება ხელს აძლევს რუსეთს-თქო, არ იქნება მართალი. რუსეთისთვის სტაბილურობა მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია რეგიონის პოლიტიკური კონტროლი. მაგალითად, **დღეს რუსეთს სულაც არ სჭირდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არასტაბილური ვითარება და კრიმინალური სიტუაცია, იმდენად, რამდენადაც ის არის დე ფაქტო იურიდიული სუბიექტი და აქვს პასუხისმგებლობა ამ ორ სეპარატისტულ რეგიონზე.**

მაგრამ, თუ რუსეთმა დაინახა საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივა, რომელიც ჯერჯერობით საქართველოს არ აქვს, იგი შეეცდება, გარკვეული პროვოკაციებით შექმნას არასტაბილური რეგიონის სურათი.

**— რას ფიქრობთ ორი მნიშვნელოვანი რეგიონის — თურქეთისა და ირანის სამომავლო პოლიტიკაზე კავკასიასთან მიმართებაში?**

— დღეს თურქეთი არის, თუ შეიძლება ითქვას, საკმაოდ რთული რეალობის წინაშე; პარალელურად ეს რეალობა ევროკავშირისა და შეერთებული შტატების წინაშეც გაჩნდა. თურქეთი დასავლეთს იმის იმედით ეჭირა, რომ შემდგომ იგი ევროკავშირის წევრი გახდებოდა, მაგრამ დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამის პერსპექტივა ანკარას არ აქვს. თუმცა ამავე პერიოდში თურქეთი ძალიან გაძლიერდა როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით და ამ ფონზე მან ორმაგი თამაში დაიწყო, ანუ **თურქეთი ცდილობს, ერთის მხრივ, ჰქონდეს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა და მეორეს მხრივ, დამოუკიდებლად აწარმოოს რეგიონალური პოლიტიკა და დაიმკვიდროს ლიდერის პოზიციები ერაყის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის საკითხებთან მიმართებაში.**



ფაქტობრივად, მას სურს, რომ დომინანტი გახდეს რეგიონალური პოლიტიკის მართვის კუთხით. გარდა ამისა, მას აქვს მჭიდრო კავშირი მუსლიმანურ ქვეყნებთან და, ცხადია, ეს ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონალურ პოლიტიკაში.

**აგვისტოს ომის შემდეგ მივიღეთ საკმაოდ მძიმე სურათი როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში, რამაც, ფაქტობრივად, შეცვალა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება. 2008 წლის შემდეგ, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური არეალი უფრო გაფართოვდა**

რაც შეეხება ირანს. ირანი, ვფიქრობ, ასევე რთულ გეოპოლიტიკურ არეალში იმყოფება, რამდენადაც ის ძლიერი და განვითარებული ქვეყანაა. მას აქვს სრულიად დამოუკიდებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რეგიონში მოსახლეობის თვალსაზრისითაც ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ იგი დგას სერიოზული საფრთხეების წინაშე, რადგან მის გარშემო არსებულ ქვეყნებს (ინდოეთს, პაკისტანსა და ისრაელს) უკანონოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით აქვთ ბირთვული იარაღი. ამიტომ **ირანის სწრაფვა, ჰქონდეს ბირთვული იარაღი ნაწილობრივ საფუძვლიანია. თუმცა დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობს, არ მოხდეს ბირთვული იარაღის გავრცელება და არ ენდობა ირანის პოლიტიკას, რომელიც არადემოკრატიულია.** შესაბამისად, ცხადია, ეს კონფლიქტი სახეზეა. ამ კონტექსტში კავკასია კიდევ უფრო იკვეთება და რამდენიმე ინტერესის საგანი ხდება იმდენად, რამდენადაც სამხრეთ კავკასია არის გარკვეულწილად ხიდი არა მარტო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებითაც. ამიტომ ამ ფონზე ინტერესები აქვს როგორც თურქეთს, ასევე ირანს.

**— ანუ შესაძლებელია, შეიქმნას თურქულ-ირანული ალიანსი, რომელიც უფრო მძლავრი, ანგარიშგასაწევი ძალა იქნება კავკასიაში?**

— თურქეთი, როგორც დასავლეთთან დაახლოებული მუსლიმანური ქვეყანა, გარკვეულწილად იდეოლოგიურად უდგება იმ საკითხს, რომ მას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა რელიგიურ პარტნიორებთან. ამიტომ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მას სურს, იყოს შუამავალი მუსლიმანურ ქვეყნებთან (მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანური რელიგიის კუთხით განსხვავებაა მათ შორის) და გარკვეული დამაკავშირებელი როლი შეასრულოს პოლიტიკურ კონფლიქტებში.

**— საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი გახსნილი პოლიტიკა თურქეთთან სამომავლოდ ხომ არ დააზარალებს ისევ და ისევ საქართველოს და ახალ კონფლიქტურ სიტუაციას ხომ არ შექმნის ეს ყოველივე აჭარასთან მიმართებაში?**

— ძალიან რთულია ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერა. ჩვენ გვინდა ინვესტიციები და თან გვინდა, რომ ამას არ მოჰყვეს ეკონომიკური ოკუპაცია. ამიტომ ამ შემთხვევაში საჭიროა, ხელისუფლებამ მაქსიმალურ გონიერებას მოუხმოს, შეეცადოს, დააბალანსოს არსებული სიტუაცია და არ დაუშვას ის, რომ რომელიმე რეგიონის ძირითადი სტრატეგიული ობიექტი თუ ეკონომიკური მართვის ბერკეტი ხელში ჩაუვარდეს სხვა ქვეყანას, მათ შორის რუსეთსაც. როდესაც თავიდან მოხდა ენერგოსისტემების გასხვისება, რუსებმა ჩვენი ენერგორესურსების 80% საკუთარი მართვის ობიექტად გაიხადეს. ამიტომაა საჭირო გარკვეული ყურადღება ამ მიმართულებით.

**ჯერჯერობით არ იკვეთება თურქეთის აგრესიული ეკონომიკური ინტერვენცია, მაგრამ, თუ-კი საქართველო ეკონომიკურად მომგებიანი გახდება, განვითარდება ტურიზმი და ინფრასტრუქტურა, შესაძლოა, ამ ინვესტიციებმა სერიოზული სახე მიიღოს.**

როგორც წესი, ეკონომიკურ კავშირებს მოჰყვება დემოგრაფიული ცვლა, ხალხთა შორის მიმოსვლა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ევროკავშირი მკაცრად მოითხოვს ჩვენგან მიგრაციის პრობლემების რეგულირებას და ამ კონტექსტში მე გაუმართლებლად მიმაჩნია, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს მარტივად რომ შეუძლია საქართველოში შემოსვლა. ეს გარკვეულწილად უნდა რეგულირდებოდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ძალიან ბევრი რისკფაქტორი. რამდენიმე ნაბიჯით როგორც კი წავიწევთ წინ ეკონომიკაში, მსგავსი საფრთხეები და რისკები მაშინვე გაორმაგდება.

**— როგორ შეაფასებთ პრეზიდენტ სააკაშვილის გაეროში გამოსვლას. რას ნიშნავს რუსეთისთვის სააკაშვილის „ახალი" ინიციატივა „ერთიან კავკასიასთან"** ▶

## მოკლედ




### დასავლეთ საჰარამ სამხრეთ ოსეთი აღიარა

**მაროკოს მიერ ოკუპირებულმა დასავლეთ საჰარამ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, შესაბამისი დოკუმენტების შედგენა კი მხოლოდ დროის საკითხია.** ამის შესახებ ალჟირში ჩატარებულ კონფერენციაზე „ნაციის უფლება — თვითგამორკვევა" გახდა ცნობილი. კონფერენციას ედუარდ კოკოითის ოფიციალური წარმომადგენელი კონსტანტინე კოჩიევი ესწრებოდა. ალჟირელებმა მკაცრად დაგმეს საქართველოს აგრესია მშვიდობიანი სამხრეთ ოსეთის მიმართ. ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისგან განსხვავებით, ამ ინფორმაციას უკვე გამოეხმაურნენ რუსი ექსპერტები. მათი აზრით, კოსოვოს პრეცენდენტის შემდეგ, რომელიც დასავლელმა მოთამაშეებმა დაუშვეს, ფაქტობრივად, მოხდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მსოფლიო აღიარებაც.



### მექსიკაში მეთერთმეტე მერი მოკლეს

**მექსიკაში შტატ მიჩოაკანის ქალაქ ტანსიტაროს მერის მოვალეობის შემსრულებელი მოკლეს. 2010 წელს ქვეყანაში ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მკვლელობის ეს უკვე მეთერთმეტე შემთხვევაა.** მიჩოაკანის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ცნობით, გუსტავო სანჩესის ცხედარი ქალაქ ურუაპანის გზაზე იპოვეს. წინასწარი მონაცემებით, ჩინოვნიკი ქვებით ჩაქოლეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოკლულია სანჩესის მოადგილეც. გუსტავო სანჩესი ტანსიტაროს მერის მოვალეობის შესრულებას 2009 წლის დეკემბერში შეუდგა, მაშინ არჩეულმა მერმა თანამდებობაზე უარი თქვა. დანიშვნიდან მოკლე ხანში კი ტანსიტაროს პოლიციის 60 თანამშრომელი დაითხოვა და ისინი ფედერალური პოლიციელებით ჩაანაცვლა.



### ჩრდილოეთ კორეაში „ტახტის მემკვიდრე" გამოაჩინეს

**ქვეყნის მასმედიამ პირველად გამოაქვეყნა უცვლელი ხელმძღვანელის, კიმ ჩენ ირის უმცროსი ვაჟისა და მისი სავარაუდო მემკვიდრის, კიმ ჩენ უნის ფოტოები.** ფოტოზე ქვეყნის მომავალი მმართველი 200-მდე მაღალჩინოსანთან და სამხედრო პირთან ერთადაა აღბეჭდილი. ყველა მათგანი ორიოდე დღის წინათ გამართული შრომის პარტიის კონფერენციის დელეგატი იყო. კიმ ჩენ უნი შუა რიგში ზის და მამისგან მხოლოდ ერთი ადგილი აშორებს.

ადრე კიმ ჩენ ირის სავარაუდო მემკვიდრედ მისი უფროსი ვაჟი, კიმ ჩენ ნამი ივარაუდებოდა, მაგრამ მან მამის თვალში მთლიანად დაკარგა ავტორიტეტი, როდესაც 2001 წელს იგი იაპონიაში დომენიკის რესპუბლიკის მოქალაქის ყალბი პასპორტით დააკავეს.



### სანქციები ირანელი მაღალჩინოსნებისთვის

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გეიტნერმა განაცხადეს, რომ ირანის რვა მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სანქციები დაწესდება.** ამერიკის მთავრობამ ისინი თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანთა უფლებების დარღვევაში — ოპოზიციონერთა რეპრესიებში დაადანაშაულა. სანქციები ჩინოვნიკებისათვის ამერიკული აქტივების ბლოკირებასა და მათთვის ვიზების მიცემაზე აკრძალვის დაწესებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ამერიკის მოქალაქეებს ეკრძალებათ, რაიმე სახის ბიზნესსაქმიანობა აწარმოონ მათთან ერთად. ჰილარი კლინტონის განცხადებით, ამ ადამიანების ხელმძღვანელობითა და მფარველობით ირანში ხალხს „სცემდნენ, აწამებდნენ, აშანტაჟებდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ".

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **დაკავშირებით და რა კონტრზომები შეიძლება მიიღოს მოსკოვმა ამ ინიციატივის საპასუხოდ?**

— „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ამგვარი ჰუმანური ინიციატივები, რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ან პრეზიდენტი ავრცელებენ, დაგვიანებულია. ეს ყველაფერი 2008 წლამდე რომ მომხდარიყო, ფეხზე ამდგარი, ტაშით შევხვდებოდით ამ გადაწყვეტილებებს. მაგრამ დღეს ურემი გადატრიალებულია, გზა კი ჩანს, მაგრამ ამ მიზანთან ურმით მივაღწევთ თუ არა, კაცმა არ იცის. ამიტომ, მიმაჩნია, რომ **პრეზიდენტ სააკაშვილის გაეროში გამოსვლა განკუთვნილი იყო ამერიკელების ან იქ მსხდომი დელეგატებისთვის. მან ძალიან ბევრი ტყუილი თქვა, რომელიც შეეხებოდა თუნდაც ქვეყანაში არსებულ ეგრეთ წოდებულ პროგრესს.**

რაიმე მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა არ ნიშნავს პირდაპირ პროგრესს ან იმას, რომ ქვეყანა სწორად ვითარდება. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია დააგოს ასფალტი, თუმცა ეს არ იქნება ამ ქვეყნისთვის სტაბილურობის გარანტი.

ძირითადი, რაც სახელმწიფოს სჭირდება, ესაა პოლიტიკური სტაბილურობა. **საქართველოში დღეს პოლიტიკური სტაბილურობა არაა. უფრო მეტიც, სახეზეა ბოლშევიკური მმართველობა, როდესაც ერთი პოლიტიკური ძალა არის სრული, აბსოლუტური ძალაუფლების მატარებელი, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო დონეზე.** ერთი სიტყვით, საქართველოში დღეს ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურაა. იდევნებიან პოლიტიკური ოპონენტები, არის დიქტატორული მმართველობის სერიოზული ნიშნები, ჯარი და პოლიცია პოლიტიზირებულია. ეს ყველაფერი თავისთავად მიანიშნებს, რომ საქართველო ძალიან შორსაა დემოკრატიული მმართველობისგან. ამიტომ რაიმე ტიპის წარმატებაზე საუბარი ზედმეტია.

**ჰუსეინსაც კი ჰქონდა გარკვეული ძლიერი ეკონომიკა ერაყში, მაგრამ ის ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა პროგრესის მამად.** შემიძლია ბევრი მაგალითი მოვიყვანო მსოფლიო ისტორიიდან, როცა ქვეყნები ეკონომიკურად უძლიერესები იყვნენ, მაგრამ ეს სიძლიერე დამყარებული იყო პიროვნულ ან ერთპარტიულ ურთიერთობებზე. თუნდაც ავიღოთ აზერბაიჯანი, რომელიც ეკონომიკურად, სოციალურად მტკიცე ქვეყანაა, მაგრამ იქ არანაირი პოლიტიკური სტაბილურობა არ არსებობს. ამიტომ დასავლეთი ვერ ენდობა აზერბაიჯანს და არ უხსნის კარებს.

თუ ვინმე შემეკითხება, რა უნდა გაკეთდეს, ვეტყვი, რომ **დღეს საქართველოს სჭირდება არა უბრალოდ დემოკრატია, არამედ სტაბილური დემოკრატია,**

**ის ზღაპრები, რომელთაც გაეროს ტრიბუნიდან გვიყვებოდა ბატონი პრეზიდენტი, შეერთებული შტატებისა და ევროპის თვალში პოლიტიკური ქულების ჩასაწერად სჭირდებოდა**

**რომელსაც ექნება სერიოზული საფუძვლები, ფესვები. თუნდაც ის, რომ ქვეყანაში რაღაც ტიპის წესრიგია დამყარებული, არ ნიშნავს, რომ იგი სამართლიანობას ემყარება.**

მიმაჩია, რომ არსებული წესრიგი გამოწვეულია იძულებით და არა რეალობით. ამიტომ, **ის ზღაპრები, რასაც გაეროს ტრიბუნიდან გვიყვებოდა ბატონი პრეზიდენტი, შეერთებული შტატებისა და ევროპის თვალში პოლიტიკური ქულების ჩასაწერად სჭირდებოდა.**

გარდა ამისა, არის გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემებიც, მითუმეტეს, რომ საქმე გვაქვს არა ხელისუფლების სისტემურ მართვასთან, არამედ რაღაც პიროვნულ მართვასთან, მიმაჩნია, რომ **სააკაშვილი დღეს არის ვირტუალურ სივრცეში. არსებული რეალობისგან თავის დასაღწევად მან შეიქმნა ეგრეთ წოდებული რომანტიკული სივრცე ვირტუალური საქართველოს სახით, სადაც ყველაფერი კარგადაა.**

— **ანუ, თქვენი აზრით, პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნის პრეზიდენტის მოწოდება ვერ ჩაითვლება რეალური შედეგის მომცემ ინიციატივად?**

— არა, ამას რეალური შედეგი არ მოჰყვება. პირველი, იმიტომ, რომ დაგვიანებულია და მეორეც, სიტუაციის კონტროლის სადავეები ჩვენ ხელთ არ გვაქვს. მშვიდობა თუ გინდა, შეიძლება ეს მშვიდობა დაამყარო, მაგრამ, რომ დაამყარო, ამისთვის ინსტრუმენტები უნდა გქონდეს. ეს ინსტრუმენტები თუ არ გაქვს, რამდენიც უნდა იყვირო, მაგალითად პაკისტანისა და ინდოეთის, ისრაელ-პალესტინის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, ეს ურთიერთობები მაინც არ მოგვარდება. ასე რომ, სააკაშვილის ინიციატივა, მხოლოდ უმოქმედო ინიციატივად დარჩება.

— **ხომ არ იქცა სააკაშვილის ხელისუფლება თეთრი სახლის ადმინისტრაციის ინსტრუმენტად, რომელსაც იგი რუსეთის გასაღიზიანებლად იყენებს. უფრო მეტიც, იგი ამ ინსტრუმენტის მეშვეობით მოსკოვისთვის ყოვლად მიუღებელი პროცესების ინიცირებას ახდენს და რამდენად უსაფრთხოა ეს როლი საქართველოსთვის?**

— შეიძლება გარკვეული პერიოდის მანძილზე, აგვისტოს ომამდე, როდესაც გარკვეულწილად გამოკვეთილი სუბიექტი ვიყავით რეგიონში და გვქონდა რაღაც ზეამბიციები, შეიძლებოდა რუსეთზე ზეწოლა საქართველოს პრობლემების გამო. მაგრამ ეს ასე აღარ არის. **აგვისტოს ომის შემდეგ, მიუხედავად ურთიერთობების გაფუჭებისა დასავლეთსა და რუსეთს შორის, დღეისათვის ეს კავშირები აღდგენილია. უფრო მეტიც, რუსეთმა სერიოზული სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო დასავლეთთან, მათ შორის საფრანგეთთან, შეერთებულ შტატებთან, ესპანეთთან.** ლიცენზიების მიყიდვაზეც კი მიდგა საქმე. ასე რომ, შემიძლია თქვენს კითხვას პირდაპირ ვუპასუხო — არა.

— **30 სექტემბერს საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი ეწვია. თქვენი აზრით, რა სიახლეების მომტანი იქნება ეს ვიზიტი?**

— ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა საკუთარი პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის ავღანეთში ქართული ჯარის საკმაოდ დიდი კონტინგენტი გაგზავნა, ჩემთვის გასაგებია. მაგრამ, **თუკი სააკაშვილი გვეუბნება, რომ „მოდელირებული ქრონიკა“ არის მაქსიმალურად ახლოს რეალობასთან, მაშინ არაადეკვატურია მოქმედება, როდესაც ქვეყანა სერიოზული საფრთხეების წინაშეა და ამ დროს 2000-მდე ჯარისკაცს გზავნის ავღანეთში. ეს ერთმანეთთან შეუთავსებელი პოლიტიკაა.** მაგრამ ამ ნაბიჯით სააკაშვილმა იმას მიაღწია, რომ, თუ ვინმე ჩამოდის, ყველა მადლობას გვიხდის ამ ნაბიჯისთვის და თან დასძენს, რომ ასეთ გაჭირვებულ და რთულ ვითარებაში მყოფ საქართველოს უფრო მეტი წვლილი შეაქვს მსოფლიო პრობლემატიკის მოგვარებაში, ვიდრე გერმანიას, საფრანგეთსა თუ სხვა განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ რასმუსენის მადლობები სრულიად ბუნებრივი იყო. საქართველო გარკვეულწილად ვალად აწევს ნატოს. ერთი არის, რომ პირობა მოგვცა გაწევრებისა; მეორეა, რომ ამ პირობის შესრულება ამ ფორმით გაუჭირდება, იმიტომ, რომ ბევრი წევრი სახელმწიფო საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგი იქნება. ამიტომ, მე ვფიქრობ, ნატო შეეცდება, ახალი ფორმულა გამოძებნოს, იქიდან გამომდინარე, რომ ახალი მიდგომების მოფიქრება ხდება საქართველოს მაგალითზე, ავიღოთ თუნდაც „აიპაპი“, „მაპი“. ეს ყველაფერი ნატომ სწორედ საქართველოსთვის შექმნა.

საერთო ჯამში, ადრე თუ გვიან ნატოს მოუწევს საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. არა მგონია, ეს საქართველოს ნატოში გაწევრება იყოს...

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

**თურქეთი ცდილობს, ერთის მხრივ, ჰქონდეს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა და მეორეს მხრივ, დაიმკვიდროს ლიდერის პოზიციები ერაყის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის საკითხებთან მიმართებაში**

## გაღიზიანებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

ბელარუსის ხელისუფლება ყოველთვის გამოირჩეოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში გარეშე მტრის ხატის შექმნისკენ მისწრაფებით. უბრალოდ, ადრე ამ როლს ამერიკა, ევროპა, მთლიანად დასავლეთი ასრულებდა. ახლა ერთ-ერთ უმთავრეს მტრად რუსეთია გამოცხადებული... ამ ყველაფრის უკან ქვეყნებისა და, შესაბამისად, ხალხების წაჩხუბების სურვილი ნათლად ჩანს.

*nevsru.com*



**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ნიშა მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციაა, ეს კი სამშენებლო მასალებს, ქაღალდს და სხვა მსგავს პროდუქციას მოიცავს. სწორედ რუსეთში და არა სადმე სხვაგან უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, უნდა შედიოდეს გადასახადები ბიუჯეტში და უნდა ვითარდებოდეს ეგრეთ წოდებული სატყეო ტერიტორიები.

*putin.ru*



**იური ლუჟკოვი,**
**მოსკოვის ყოფილი მერი:**

საკუთარი ღირსებისთვის ვიბრძოლებ. მათ კი, ვისაც ჩემი დაჭერა სურს, თუ ამის საფუძველი ექნებათ, მინდა ვუთხრა, რომ ყველაფრისთვის მზად ვარ!

*The New Times*



**ალექსანდრე გრუშკო,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

რამდენადაც ნატო საქართველოს „ტერიტორიული მთლიანობიდან“ გამოდის, გვეუბნებიან, რომ რუსეთმა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სამხედრო ბაზები უნდა გაიყვანოს. ეს ბაზები იქ მიმღები სახელმწიფოების თანხმობის საფუძველზე იმყოფება, რაც შესაბამის შეთანხმებებშია დაფიქსირებული. გარდა ამისა, იქ განლაგებული ჩვენი ბაზების ამოცანაა, აღარ დაუშვან აგვისტოს ტრაგედია.

*ინტერფაქსი*



**ჰამიდ ყარზაი,**
**ავღანეთის პრეზიდენტი**

ჩვენი შვილები სკოლებში ვერ დადიან ბომბებისა და ტერაქტების გამო. ჩვენი მასწავლებლები სამსახურში ვერ დადიან საბრძოლო მოქმედებების გამო... მე არ მინდა, რომ ჩემი შვილი მირვაისი უცხოელი გახდეს. მე მინდა, რომ ის ავღანელად დარჩეს.

*მედიანიუსი*

## მოკლედ



### აშშ-ს სასიკვდილო ინექცია გაუთავდა

**ფარმაცევტული კომპანია Hospira აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებული „სასიკვდილო ინექციის“ ერთ-ერთი კომპონენტი — ანესთეტიკი ნატრიუმის ტიოპენტალი გათავდა. მოწოდება 2011 წლის მაისამდე ვერ განახლდება. ასე რომ, სიკვდილმისჯილებს მოცდა მოუწევთ.** აშშ „სასიკვდილო ინექციას“ სამი პრეპარატის შერევით ამზადებს და ამ მეთოდით სიკვდილმისჯილების განაჩენი სისრულეში ქვეყნის 33 შტატში მოჰყავთ. დეფიციტის გამო სიკვდილით დასჯის გრაფიკი ზოგიერთ შტატში უკვე აირია და თუ შტატების კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების ხარჯზე დასჯის მეთოდი არ შეიცვლება, 17 სიკვდილმისჯილს სავარაუდოდ მომავალი წლის გაზაფხულამდე ამერიკელები სიკვდილსაც ვერ აღირსებენ.



### ეკვადორის პრეზიდენტი გადარჩა

**ეკვადორში აჯანყებულ პოლიციელებთან შეტაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით თავში დაჭრეს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი რიკარდო პატინო, დაშავდა პრეზიდენტი რაფაელ კორეაც.** არეულობა პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას მოჰყვა. კორეა იმუქრებოდა, რომ სახელმწიფო ხარჯების შემცირებას გააგრძელებდა და პოლიციას უფლებებს შეუზღუდავდა. მოგვიანებით აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს საავადმყოფოს, სადაც დაზარალებული პრეზიდენტი იმყოფებოდა და, ვიდრე ჯარმა სპეცოპერაცია არ ჩაატარა, კორეამ შენობიდან გამოსვლა ვერ მოახერხა. ტყვეობა 10 საათს გაგრძელდა. კორეამ მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. სპეცოპერაციის შემდეგ ეკვადორის აჯანყებული პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გადადგა.



### აზერბაიჯანი შირაქის ველს ყიდულობს

**„ეროვნული ფორუმის“ იდეოლოგიური მდივანი გუბაზ სანიკიძე „სარწმუნო წყაროზე“ დაყრდნობით ირწმუნება, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ქვეყანაში მოქმედ მსხვილ ბიზნესმენებს საქართველოში „ყველაფრის ყიდვისკენ“ მოუწოდა.** მისი თქმით, ეს სააკაშვილის „ბოროტი პროექტების“ შედეგია. „უკვე გასაყიდადაა გამზადებული შირაქის ველი და ერთ-ერთ ყველაზე პოტენციურ მყიდველად სწორედ აზერბაიჯანი მოიაზრება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სააკაშვილის პროექტი, „აზერბაიჯან-საქართველოს კონფედერაციის“ შექმნა, საქართველოს აზერბაიჯანისთვის მიერთებისკენაა მიმართული, რადგან საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანი ბევრად უფრო მდიდარი, მრავალრიცხოვანი და ტრადიციების მიმდევარი ქვეყანაა“, — განაცხადა სანიკიძემ.



### გაიხსნას ახალი აეროპორტი!

**მესტიაში აეროპორტის სამშენებლო სამუშაოები ისეთივე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, როგორც ეს თავის დროზე თბილისის აეროპორტის მშენელობისას ხდებოდა.** შედეგად, თბილისის აეროპორტს იმის გამო, რომ ყოველ ქარსა და წვიმაში სახურავი ეხდებოდა, ხუმრობით კაბრიოლეტი შეარქვეს. ამ მხრივ რა პერსპექტივა აქვს მესტიის აეროპორტს, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ის ექსპლუატაციაში წლის ბოლომდე შევა და სახელმწიფო ბიუჯეტს პრეზიდენტის მორიგი ახირება, რომელიც მან 30 აგვისტოს აჭარაში სტუმრობისას გაგვანდო, 8 მილიონი ლარი დაუჯდება. „მესტიის აეროპორტი თანამედროვე სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, ამიტომ ჩემი დავალებაა, 2010 წლის ბოლოს ახალი აეროპორტი გაიხსნას“, — ასეთი იყო ბრძანება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართველ ტანკისტებს ისევ ეძებენ



**ევროსაბჭოს ექსპერტები რუსულ და ოსურ მხარეებს ცხინვალში დაკარგული ქართველი ტანკისტების მოსაძებნად სამუშაოების გაგრძელებისკენ მოუწოდებენ.** ბრიუს პეგისა და ნიკოლას სებირის შესაბამისი რეკომენდაცია ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიშშია შესული. კერძოდ, საუბარია ქართული ტანკის (საბორტო ნომერი 406) ეკიპაჟის წევრებზე — გიორგი რომელაშვილზე, ზაზა ბირთველაშვილსა და ოთარ სუხიტაშვილზე. ტანკი 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალის ბრძოლებში მონაწილეობდა და სოფელ თამარაშენისკენ მიიწევდა. ტანკზე შეტევა საფარიდან განხორციელდა და შემდეგ მასთან კავშირი გაწყდა („ინტერპრესნიუსი“).

# შავი ზღვის ფლოტმა წვრთნები ჩაატარა



**სამშაბათს დასრულდა შავი ზღვის ფლოტის წვრთნა, რომელშიც მონაწილეობდა 20-ზე მეტი ხომალდი. წვრთნები ნოვოროსიისკის საზღვაო ბაზის რაიონსა და ყირიმის სანაპირო ზოლში მდებარე პოლიგონებზე გაიმართა.** წვრთნის გეგმის თანახმად, ორი მოიერიშე დაჯგუფება და საზღვაო დესანტის გადმოსხმის ძალები გაიშალა; გეგმა პირობითი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დესანტირებისთვის რთულ ზოლში ტაქტიკური საზღვაო და საჰაერო დესანტის გადმოსხმას ითვალისწინებდა; კიდევ ერთ ამოცანას სადესანტო ხომალდების საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.



# რას უმიზნებენ აზერბაიჯანელები?



**კეიპტაუნში, შეირაღების საერთაშორისო გამოფენაზე, აზერბაიჯანის წარმოების სნაიპერული შაშხანა „IST-12,7“ წარმოადგინეს. ორი წლის წინათ აზერბაიჯანელებმა „Istiqlal“-ი (IST-14,5 - Anti-Material Rifle) წამოადგინეს, ახალი შაშხანა, მისი გაუმჯობესებული ვარიანტია.** მწარმოებელთა მტიცებით, „IST-12,7“-დან გამოშვებულ ტყვიებს 100 მეტრიდან 90%-იანი ალბათობით 20 მმ-იანი ჯავშნის გახვრეტა შეუძლია. ახალ შაშხანას მჭიდში 7 ვაზნა აქვს (ძველს ხუთი ჰქონდა). ლულის სიგრძე: „IST-12,7“-ის — 1100 მმ., ხოლო „IST-14,5“-ის — 1300 მმ-ია. ორივე შაშხანის გამოყენება -50-დან +50 გრადუსამდე ტემპერატურის პირობებში შეიძლება.

# გლუვლულიანი კარაბინები სამხედროებს ნაკლებად სჭირდებათ

**რუსეთში გლუვლულიან იარაღთან დაკავშირებით საინტერესო დისკუსია მიმდინარეობს. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის შსს-ს სპეცდანაყოფებში ახალი გლუვლულიანი კარაბინების „КС-К“-ს (კალიბრი 18,5 მმ.) მიწოდება დაიწყო, ამასთან დაკავშირებით ორი კითხვა წამოიჭრა: რამდენად მიზანშეწონილია ამ კარაბინებზე გადასვლა საპატრულო სამსახურის იმ ქვედანაყოფებისთვის, რომელთა თანამშრომლები ამჟამად „АКС-74У“-თი არიან შეიარაღებულნი და საჭიროა თუ არა ასეთი იარაღი სახმელეთო ჯარებში?**







ვიზუალურად, „КС-К“-ი კალაშნიკოვის ავტომატს ჰგავს, თუმცა მისი უშუალო წინამორბედი უშუალოდ ლეგენდარული „АК“-ი არაა, არამედ — კარაბინი „Сайга“. მისი სიგრძე საბრძოლო მდგომარეობაში 970 მმ-ია, დაკეცილი კონდახით 725 მმ; მასა მჭიდის გარეშე 3,8 კგ-ია, მჭიდში 8 ვაზნაა, შესაძლებელია 6 ტიპის სპეციალური, მათ შორის არალეტალური ვაზნის გამოყენება. რუსეთის შსს-ს სპეცრაზმელების პირველადი შეფასებები არაერთგვაროვანია. ძირითადად, ის დადებითია, თუმცა გარკვეული პრეტენზიებიც გამოითქმის იმის გამო, რომ კარაბინის საშტატო ნაწილის შეცვლა პიკატინის სამაგრის მქონე ანალოგიური დეტალით შეუძლებელია, რაც დამატებითი მოწყობილობების დამაგრებას სათუოს ხდის, აგრეთვე, იმის გამო, რომ მარცხენა მხრიდან ცეცხლის რეჟიმების გადამყვანი დუბლირებული არ არის, რაც ზოგადად „АК“-ის ოჯახის დამახასიათებელი თვისებაა.

**ახალი კარაბინის გულშემატკივრები ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ სპეცრაზმელებს ნებისმიერი იარაღის მიმართ პრეტენზიები არასოდეს გამოელევათ და კვლავ უბრუნდებიან საინტერესო საკითხს — რამდენად საჭიროა მსგავსი იარაღი სახმელეთო ჯარებში?**

პირველად სამხედრო ევოლუციის თანამედროვე ეტაპზე გლუვლულიანი თოფები, კერძოდ 1897 და 1912 წლების მოდელების „Winchester“-ები (კალიბრი 12 მმ.), წინა ხაზზე I მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსნება შეისწავლეს დასავლეთ ფრონტზე განვითარებული ბრძოლების გამოცდილება და 1917 წელს ევროპაში გაგზავნილ ამერიკულ კონტინგენტს ეს თოფები საკმაო რაოდენობით გაატანეს (ოცეულში 3-4 „Winchester“-ი იყო). ამაში გარკვეული ლოკიკა ნამდვილად იყო, **I მსოფლიო ომის დროს წარმოქმნილი პოზიციური კრიზისის პირობებში ბრძოლა ხშირად ახლო მანძილებზე მიდიოდა, ხოლო, როდესაც ერთი მხარე მეორეს სანგრების წინა ხაზში შეუვარდებოდა, დისტანცია მებრძოლებს შორის მინიმალური ხდებოდა. ამ დროს „Winchester“-ი (მასზე ხიშტიც იყო დამაგრებული) ქვეითების სტანდარტულ შაშხანებზე უფრო ეფექტური ხდებოდა. თუმცა ამერიკულმა წამოწყებამ მრავლისმნახველი ევროპული არმიები დიდად არ დააინტერესა, ისინი სხვა გზით წავიდნენ.** ამ თვალსაზრისით, ომის ახალ გამოწვევებზე გერმანელების პასუხი გახდა ლუის შმაისერის (ლეგენდარული ჰუგო შმაისერის მამა) „Maschinen Pistole Modell 1918“ („MP-18/1“), რომელმაც რუსი კონსტრუქტორის — ფედოროვის ავტომატთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ავტომატური იარაღის შემდგომ განვითარებას.

თუმცა ამერიკელები არ ისვენებდნენ და თავისი საყვარელი გლუვლულიანი თოფები ყველა შემდგომ ომში მიჰქონდათ. გარკვეული თვალსაზრისით, II მსოფლიო ომის დროს წყნარი ოკეანის კუნძულებზე იგი ეფექტურიც აღმოჩნდა, სადაც ჯუნგლებში ხშირი იყო მოულოდნელი საცეცხლე კონტაქტი რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე, აგრეთვე, კორეასა და ვიეტნამში. დღესაც ერაყსა და ავღანეთში ამერიკელი სამხედროები კარაბინ „M1014“-ს იყენებენ, აგრეთვე, აშშ-ის არმიის შეიარაღებაში რჩება „Mossberg 500“ და „Remington 870“.

**იარაღის სრულყოფის მიუხედავად, მთავარი პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. როდესაც ბრძოლა თანამედროვე ავტომატური იარაღისთვის და შაშხანებისთვის საშუალო დისტანციაზე მიდის, ასეთი კარაბინით შეიარაღებული ქვეითი ქვედანაყოფისთვის იარაღი უსარგებლო ხდება; მისთვის ეფექტური სროლის სიშორე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „FRAG-12“-ის ტყვიებს იყენებს, 200 მეტრს არ აღემატება (რეალურად ნაკლებია).** ასე რომ, მას სხვა იარაღის ტარებაც უხდება, რაც არარაციონალურია. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იყო კომპანია „Knight's Armament“-ის წინადადება: „Remington 870“-ი კონდახის გარეშე, მოკლე 25-სანტიმეტრიანი ლულით, „M16“-ის ან „M4“-ის ლულის ქვეშ მაგრდებოდა, თუმცა კითხვა — რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ქვეითისთვის ამ დამატებითი მოწყობილობის თრევა — პრაქტიკულად უპასუხოდ დარჩა.

**საბოლოო ჯამში, მთავარი კითხვა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: უღირთ თუ არა სამხედროებს ამ დამატებითი იარაღის ქონა ქვედანაყოფებში (რაც გასაგებ პრობლემებს უკავშირდება) იმის გამო, რომ ის რიგ სიტუაციებში (მოულოდნელი ბრძოლა ახლო დისტანციაზე, კარების გამონგრევა ახლო მანძილიდან და ა.შ.) შეიძლება სხვა საშტატო საშუალებებზე გარკვეულწილად უფრო ეფექტური აღმოჩნდეს? პასუხი ამ შემთხვევაში, ალბათ, უარყოფითი იქნება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „КС-К“-ის ან „M1014“-ის ტიპის კარაბინები სრულიად უსარგებლოა. სამართალდამცავებმა, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მსგავსი იარაღი შეიძლება ეფექტურად გამოიყენონ.**



# როგორც იქნა, ქვეითებიც გაახსენდათ

**აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, რომ თვის ბოლომდე ახალი საბრძოლო მანქანა GCV-ის (Ground Combat Vehicle) შექმნის პროგრამის დაწყების შესახებ შეიარაღების მწარმოებელ წამყვან კომპანიებთან კონსულტაციებს გამართავს.** მან მოძველებული „M-113“ და „Bradley“ უნდა შეცვალოს. ახალი საბრძოლო მანქანის შექმნაზე 7 წელიწადია გამოყოფილი, მათგან ტექნოლოგიების შემუშავების ფაზაზე — 2 წელი; ამ პროგრამის რეალიზაციას პენტაგონი ანულირებული MGV (Manned Ground Vehicles) პროგრამის ნაცვლად აპირებს, რომელიც ახალი საბრძოლო მანქანების ოჯახის შექმნას ითვალისწინებდა.



# ამერიკელი სამხედროები იზოლაციაში მოექცნენ

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ჩრდილოეთ კაროლინაში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ სამხედროებსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის საშიში გაუცხოება გაჩნდა.**

„სულ უფრო ნაკლებ ადამიანს სურს, აშშ-ის არმიის რიგებში იმსახუროს“, — თქვა მან. „BBC“-ის ცნობით, გეითსმა გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ახლობლები და ნათესავები ავღანეთისა და ერაყის საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობენ, ამიტომ იქ მიმდინარე მოვლენებს, როგორც რეალურს, ისე არ აღიქვამენ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რას დავეძებთ ავღანურ ჯოჯოხეთში?

**ავღანეთში კიდევ ოთხი ქართველი სამხედრო დაიღუპა. ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ დადგა რთული კითხვების წინაშე: რატომ იმყოფება ჩვენი კონტინგენტი ავღანეთში?, რისთვის იღუპებიან იქ ჩვენი ჯარისკაცები? — ამ კითხვებს ვერ გავექცევით, ისინი სასწრაფო და გააზრებულ პასუხს მოითხოვენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არაა, შედეგები გაცილებით მძიმე აღმოჩნდეს.**



ავღანეთიდან ბოლო თვის განმავლობაში ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მოდის. მხოლოდ სხვადასხვა წყაროების შეჯერებით (იქნება ეს „ISAF"-ის ოფიციალური განცხადებები, ადგილზე მყოფი კორესპონდენტების რეპორტაჟები, ნატოს სამხედროების თუ მათი მოწინააღმდეგეების ინფორმაცია, რომელსაც ისინი სხვადასხვა საიტებზე თუ სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ) ხდება შესაძლებელი საერთო სურათის რეკონსტრუქცია, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივი, რადგან ბრძოლების მიმდინარეობის შესახებ ძალიან ბევრი დეზინფორმაცია ვრცელდება.

სხვადასხვა წყარო მიხედვით, განვითარებული მოვლენები შემდეგ სურათს გვაძლევს: **ბოლო ორი კვირის განმავლობაში ძირითადი ბრძოლები ყანდაღარის მიდამოებში მიმდინარეობდა. იგი 15 სექტემბერს დაიწყო.** პირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის 101-ე სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფები ჟარის ოლქში თალიბების გამაგრებულ პოზიციებს უტევდნენ (ჟარი და პანჯვაი ქალაქთან ახლოს მდებარე, კანდაგარის პროვინციის ოლქებია). **ოპერაციის დასაწყისში მასში 4,8 ათასი ამერიკელი და ავღანელი სამხედრო მონაწილეობდა, მათ შორის, დაუზუსტებელი ინფორმაციით, იყო 101-ე დივიზიის სამი ბატალიონი და რეინჯერების რაზმი.** თავიდან შეტევა სოფელ მაკუანის მიმართულებით განვითარდა. პირველადი ინფორმაციის თანახად, სოფელს წინააღმდეგობა არ გაუწევია და მისკენ მიმავალ გზაზე სამხედროებმა მხოლოდ ერთი თვითნაკეთი ნაღმი აღმოაჩინეს. საღამოს კი გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ „წინააღმდეგობა ძლიერდება", ხოლო ინფორმაცია მაკუანის დაკავებს შესახებ არ გავრცელებულა. ავღანეთის ცენტრალური ხელისუფლების წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ოპერაციის პირველ საათებშივე ათეულობით სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაიჭრა. ერთ-ერთმა ავღანურმა საიტმა გვაუწყა, რომ კანდაგარის საავადმყოფოებში დაჭრილების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები გაჩნდა.

მომდევნო სამი დღის განმავლობაში ჟარისა და პანჯვაიში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ნატოს ჯარების რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდა. ისინი პირვანდელი გეგმის განხორციელებას, კანდაგარის ტრასის სამხრეთით მდებარე ე. წ. ზელენკის გაწმენდას, ცდილობდნენ. ძალაში რჩებოდა, აგრეთვე, ყანდაგარის გარშემო ბლოკპოსტების მოწყობის გეგმაც. ამერიკულ მედიაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ბრძოლაში ჩართული ჯარისკაცები გადაღლილები არიან, ხოლო მაღალჩინოსან სამხედროებს არ სჯერათ, ყანდაღარის გარეუბნების გაკონტროლებას თუ შეძლებენ. თალიბების წყაროები ირწმუნებოდნენ, რომ „აგრესორს დიდი ზარალი მიაყენეს". ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადი გახდა, რომ, მარჯასთან გამართული ბრძოლებისგან განსხვავებით, მეამბოხეებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს.

**20 სექტემბერს, პირვანდელი გეგმის თანახმად (ამ დროისთვის მიდამოები თალიბებისგან გაწმენდილი უნდა ყოფილიყო), კანდაგარში უნდა ჩასულიყო ავღანეთის ცენტრალური ხელისუფლების მეთაური ჰამიდ კარზაი, თუმცა თალიბებმა იმ ადგილს, სადაც ვერტმფრენი უნდა დაშვებულიყო, რაკეტა ესროლეს, რომელიც ვერტმფრენებისგან 45 მეტრში ჩამოვარდა.**

21 სექტემბრიდან ამერიკელებისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თალიბების რაზმებს შორის კოორდინაციის ნეიტრალიზება გახდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ისინი მოულოდნელად მოხერხებულად მანევრირებენ და ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებენ. ამავე დროს, კონტაქტური ბრძოლები, სავარაუდოდ, მინელდა და დაიწყო ტრასის მიმდებარე ტერიტორიის დამუშავება არტილერიის, „A-10"-ების, „Apache"-ბისა და „Kiowa Chopper"-ების გამოყენებით, ამ ოპერაციაში, აგრეთვე, ჩაერთო ორი "F-15, რომლებიც „ზელენკაში" 500 და 1000-ფუნტიან ბომბებს ყრიდნენ. ამავე დროს, იმ ზონაში, რომელსაც ამერიკელი სამხედროები აკონტროლებდნენ, ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე იჭრებოდა ხეები. 22 სექტემბერს „დუმილის ბლოკადა" კანდაგარის ოპერაციის გარშემო კანადელმა ჟურნალისტმა გაალღვია, რომელიც მეზობელ რაიონში განლაგებულ კანადურ კონტინგენტს ესტუმრა. კანადელები ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ და დაჭრილებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენით იყვნენ დაკავებულნი. მედიაში დაჭრილი ამერიკელი სამხედროების შემზარავი სურათები გავრცელდა.

**ოპერაციის დასაწყისში მასში 4,8 ათასი ამერიკელი და ავღანელი სამხედრო მონაწილეობდა, მათ შორის, დაუზუსტებელი ინფორმაციით, იყო 101-ე დივიზიის სამი ბატალიონი და რეინჯერების რაზმი**

**მომდევნო დღეებში ცხადი გახდა, რომ პირვანდელი შეტევა, რომელიც 22 სექტემბრამდე ვითარდებოდა, ჩაიშალა. ამერიკელები უტევდნენ 5 დასახლებულ პუნქტს და შეღწევა მხოლოდ ერთში, ზალქანში, შეძლეს, სადაც ალყაში მოექცნენ; თალიბებმა ამ სოფლის პერიმეტრის დანაღმვა დაიწყეს.**

24 სექტემბერს თალიბები კონტშეტევაზე გადავიდნენ, დასახლებულ პუნქტ დია შოპანთან მათ ამერიკული ჯავშანტექნიკის, როგორც მინიმუმ, 1 ერთეული და 4 მანქანა გაანადგურეს, ნაღმმტყორცნებისა და ყუმბარმტყორცნების გამოყენებით შეუტიეს არგხანდაბის ბაზას, სადაც ამერიკელებმა, ასევე, გარკვეული ზარალი განიცადეს. 25 სექტემბერს 8 ათასმა ამერიკელმა სამხედრომ და დაუდგენელი რაოდენობის ავღანურმა სამთავრობო ძალებმა დაიწყეს შეტევა ალყაში მოქცეული ამერიკული ნაწილების დებლოკირების მიზნით, ამ შეტევაში 72-ტონიანი „Assault Breacher Vehicles"-ი გამოიყენებოდა.

როგორც ინფორმაციის შემდგომი ანალიზიდან ჩანს, ოპერაცია „Dragon Strike"-ი სამი მიმართულებით ვითარდებოდა, ორი დარტყმა დემონსტრაციული იყო, ერთიც დებლოკირებაზე ორიენტირებული. „ISAF"-ის ოფიციალური სპიკერის — იოზეფ ბლოცის განცხადებიდან ცხადი გახდა, რომ ეს ოპერაცია იმპროვიზაციას წარმოადგენდა, რომელიც „მოულოდნელობებს" მოჰყვა. ამ მომენტისთვის ოპერაციაში უკვე 30 ათასი სამხედრო იყო ჩართული და მასში აქტიურად გამოიყენებოდა ავიაცია და ჯავშანტექნიკა. გაჩნდა ინფორმაცია, რომ ოპერაციაში ტრასასთან აქტიურად ჩაერთნენ ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები, დადასტურდა ერთი ეკიპაჟის დაღუპვა.

27-ში ამერიკელებმა განაცხადეს, რომ თალიბები მოლაპარაკების დაწყებას ითხოვენ. იმავე დღეს თალიბებმა დაიწყეს ნადირობა ავღანური სამთავრობო პოლიციის პატრულებზე კანდაგარში. მინიმუმ სამი პოლიციელი დაიღუპა, მოკლეს 6 ჩინოვნიკი. მეორე დღეს განახლდა მძიმე ბრძოლები ტრასის მიდამოებში, თალიბებმა როგორც მინიმუმ ერთი დაჯავშნული მანქანა ააფეთქეს, ამ კოლონის საშველად გაგზავნილი ჯგუფი დანაღმულ ველზე მოხვდა, სადაც ოთხი მანქანა დაზიანდა და განადგურდა.

ჟირის ოლქში დემონსტრაციული დარტყმა წარუმატებლად დასრულდა, 200-მდე ვერტმფრენებით გადასროლილმა მედესანტემ და რეინჯერმა სცადეს, დასახლებულ პუნქტ პაჰმოლთან პლაცდარმი შეექმნათ, მაგრამ იქ თალიბების მომზადებული პოზიციები დახვდათ. რატომღაც იმავე დღეს სარდალმა დევიდ პეტრეუსმა საუბარი დაიწყო „ადგილობრივი საზოგადოებებისთვის 200-მილიონიანი დახმარების აღმოჩენის შესახებ", რაც ზოგიერთმა კომენტატორმა თალიბების მატერიალური დაინტერესების მცდელობად აღიქვა.

**29 სექტემბერს ამერიკულ მედიაში გაჩნდა ცნობები, რომ ცეცხლის შეწყვეტის არანაირ მოთხოვნას თალიბების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამერიკელმა სამხედროებმა აღიარეს, რომ აგრხანდაბის მიდამოებში მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს.** სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპერაციაში „Dragon Strike" ჩაერთნენ აშშ-ის სამთო მსროლელთა მე-10 დივიზიის ქვედანაყოფები, რომლებიც ახლახან ერაყიდან გადაისროლეს. ამ დღეს ამერიკელებმა ორი ტაქტიკური დესანტის გადმოსხმა სცადეს, ერთ-ერთი მათგანი სოფელ მალანგოში 101 დივიზიის 50-მა მებრძოლმა წარმატებით განახორციელა, მეორე სოფელ პაჰმოლთან უშედეგოდ დასრულდა.





სოფელ სინ მასჯიდს, სადაც წინა დღეს ჩაიშალა დესანტირება, ჯავშანტექნიკამ და ქვეითებმა შეუტიეს. თალიბებმა ჯავშანტექნიკის ორი ერთეული გაანადგურეს, ამერიკელებმა უკან დაიხიეს. გააფთრებული ბრძოლა გაიმართა სოფელ კოლაკ დურახისთან. თალიბებმა აღიარეს, რომ დიდი დანაკარგი განიცადეს, რაც ძალზე იშვიათად ხდება, თუმცა ამ სოფლის აღება ამერიკელებმა ვერ მოახერხეს.

**კანდაგარში თალიბებმა აქტიურად შეუტიეს პატრულებს, დაიღუპა სამი ამერიკელი სამხედრო; დასახლებულ პუნქტ სურ ხასანგში ავღანურ-ამერიკულმა პატრულმა შენობიდან თალიბების დროშის ჩამოხსნა სცადა, ის დანაღმული აღმოჩნდა; დანაკარგის ზუსტი ოდენობა უცნობია (2-დან 8-მდე).**

30 სექტემბერს გამთენიისას ამერიკელებმა და ავღანელებმა დაიწყეს შეტევა სოფელ სანგ-ე-სარზე, დაკარგეს 1 ერთეული ჯავშანტექნიკა და უკან დაიხიეს. ამის შემდეგ აქტიური შეტევები არ ყოფილა, მიმდინარეობდა ძალების გადაჯგუფება. ამავე დღეს თალიბებმა გამოაცხადეს, რომ სარაკეტო შეტევა განახორციელეს კანდაგარის აეროდრომზე, ამავე დღეს შეუტიეს კოლონას აეროდრომის სიახლოვეს. ცნობილი გახდა, რომ ამ აეროდრომზე საჰაერო ძალების „F-15"-ებს საზღვაო ქვეითთა კორპუსის „F-18 Hornet"-ებიც დაემატა. 1 ოქტომბერს თალიბებმა დაიწყეს შეტევები ნატოს მომარაგების კოლონებზე, რომლებიც პაკისტანიდან მიემართებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს 30 ბენზინმზიდი განადგურდა.

**1 ოქტომბრისათვის, ოფიციალური მონაცემების თანახმად, ბრძოლებში დაიღუპა 114 თალიბი და „ISAF"-ის 59 სამხედრო.** იმ დღეს მხოლოდ ავიაცია მუშაობდა, კოალიციის ჯარები იკავებდნენ პოზიციებს გზების გაყოლებაზე. ის, რომ მათი მდგომარეობა ჟირის ოლქში კანდაგარ-გერათის ტრასის გარშემო მყარი არ ჩანდა, წინა ხაზზე გამოჩნდნენ კანადელები, რომლებიც მომდევნო დღეებში, სავარაუდოდ, პანჯვაის ოლქში იმოქმედებდნენ. კომენტატორები, აგრეთვე, ელოდებოდნენ საბრძოლო მოქმედებების ზონაში სამთო მსროლელების მე-10 დივიზიის ძირითადი ძალების გამოჩენას. თალიბებმა იმ დღეს სოფელ ზალქანში ალყაშემორტყმულ მედესანტეებს შეუტიეს, რომელთა დახსნა იმ დროისთვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა (ამ სოფელთან გასულ წელს 19 კანადელი სამხედრო დაიღუპა).

**ამავე დღეს თალიბების ლიდერმა მოლა ომარმა განაცხადა, რომ თალიბებმა კანდაგართან დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. ანალოგიური განცხადება ოდნავ მოგვიანებით დევიდ პეტრეუსმაც გააკეთა, ოღონდაც, ცხადია, მან თქვა, რომ გაიმარჯვეს ამერიკელებმა და დასძინა „რომ თალიბების პროპაგანდას გასაქანი არ უნდა მივცეთო". ჭეშმარიტება, ალბათ, სადღაც ამ ორ განცხადებას შორის ძევს. მძიმე ბრძოლები კანდაგართან გრძელდება. გრძელდება ომიც და ინტენსიურმა საბრძოლო მოქმედებებმა შეიძლება იმ რაიონშიც იფეთქოს, სადაც ქართველი სამხედროები არიან განლაგებულნი. ალბათ, დროა, პასუხი გავცეთ კითხვებს: რას აკეთებს ქართული კონტინგენტი ავღანური ჯოჯოხეთის შუაგულში? რატომ ვაგზავნით იქ ჩვენს სამხედროებს?**

გვერდები მოამზადა
**გიორგი გიგიბერია**

გსურთ, გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

მინდია უგრეხელიძე:

# მალე მოეკითხება მათ, ვინც ვიღაცის საამებლად ერის ინტერესებით ვაჭრობს

## პოლიტიკურ გვამებს ჭირისუფალი ასაფლავებს და სხვის იმედად არ უნდა ვიყოთ

**მინდია უგრეხელიძისთვის ჩამოსართმევი ინტერვიუს პირველი შეკითხვა, რა თქმა უნდა, წინასწარ მქონდა მოფიქრებული და დალაგებული, მაგრამ მკითხველისთვის ყველაფერი გასაგები და ნათელი რომ იყოს, როგორც გამორჩეული ქართველი იურისტი, მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი გურამ უგრეხელიძე (რესპონდენტის მამა) წერდა:**

**„მოხუცი უცქერს ვიტრინაში წიგნებს და საგნებს,
არაფერს ეძებს და ამიტომ ვერც რამეს აგნებს,
ავტორს ბევრს ხედავს, მაგრამ მათში ვინ რას გააგნებს?“**

**მკითხველის „გასაგნებად“ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს დაგისახელებთ: მინდია უგრეხელიძის მასშტაბური წარმატებების აღიარების დასტურია ის, რომ იგი არჩეულია აშშ-ის ქალაქების ოსტინის, ჰიუსტონის, პასადინას საპატიო მოქალაქედ, მის საპატივცემულოდ ტეხასის შტატის კაპიტოლიუმზე აღიმართა ტეხასის დროშა, 1999-2008 წლებში იყო ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს მოსამართლე, წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს, იყო გაზეთ „ახალი საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და ა.შ. და ა.შ.**



ფოტო ევროსაბჭოს არქივიდან

### აშკარა თვალთმაქცობა

**— ბატონო მინდია, თქვენ, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, აშშ-ში, ევროპასა და ჩვენს ქვეყანაში ცნობილ იურისტს, მდიდარი ჟურნალისტური გამოცდილებაც გაქვთ დაგროვებული. აქედან გამომდინარე, პირველი შეკითხვა პროვოკაციული იქნება: პირველად რა შეკითხვას დაუსვამდა ჟურნალისტი მინდია უგრეხელიძე საქართველოს საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრ მინდია უგრეხელიძეს, ჩვენი პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით უკვე მიღებული კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით?**

— იმდენი შეკითხვაა დასასმელი, რომ ძნელი იქნება პირველის გამორჩევა. ამიტომ აჯობებს, ქრონოლოგიურ პრინციპს მივყვეთ.

რით დაიწყო ყოველივე ეს? ჯერ შეიქმნა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია, შემდეგ — სახელმწიფო კომისია.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, როგორც წესი, იქმნება ქვეყნის პირველი პირის ხელმძღვანელობით. მაგრამ ჩვენთან კომისიას სათავეში ჩაუდგა სხვა კაცი და, ბუნებრივია, რომ სხვადასხვა წრეებში დაიბადა ეჭვი: ხომ არ არის ასეთი „სიახლე“ თვალთმაქცობა? მაგრამ, ვინაიდან ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გვაქვს, ეს უნდა მივიღოთ როგორც უკეთილშობილესი მიზნებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება, ალალი და უსაყვედურო *(ღიმილი)*. მაგრამ ამის დაჯერება ძნელია და აი, რატომ: როცა თავმჯდომარე პირველი პირია, ის ვერ ითვალთმაქცებს, უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია; ხოლო სხვას, არა პირველ პირს, სანამ რამეს იტყოდეს, უხდება ბევრ ლაბირინთში გავლა, ბევრ რამეზე დაფიქრება და ა.შ., მოკლედ ლავირება.

**— ტყუილსა და მართალს შორის?**

— ზოგჯერ ასეც ხდება... სამწუხაროდ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ჩართული არ აღმოჩნდა პარტიების ფართო სპექტრი. მათ იმთავითვე უარი თქვეს. რატომ? არ ვიცი. ამ გარემოებამ გადამაწყვეტინა, მეც უარი მეთქვა კომისიის წევრობაზე.

**— ?**

— იმიტომ, რომ მაშინ ხელი უნდა მომეწერა ისეთი რამისთვის, რომელიც ჩემთვის, როგორც იურისტისთვის და მოქალაქისთვის, იმთავითვე არალეგიტიმური იქნებოდა.

**— აპრიორი?**

— აპრიორი იმიტომ, რომ, თუ თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი გარეთ არის, განსაკუთრებით, ის ნაწილი, რომელიც კრიტიკულადაა განწყობილი, აზრთა ჭიდილის გარეშე რომელ ჭეშმარიტების მიღწევაზე შეიძლება ილაპარაკო?

ამიტომ გავაგრძელე მოღვაწეობა იმ საზოგადოებრივ კომისიაში, რომელშიც იმთავითვე გახლდით.

როცა სახელმწიფო კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი რაღაც ეტაპზე დასრულებულად ჩაითვალა და გადაეცა პრეზიდენტს, მან კი პარლამენტში შეიტანა, მას შემდეგ, რაც გამოცხადდა მისი საყოველთაო განხილვა, იმთავითვე წარმოიშვა შეკითხვები.

პირველი დიდი შეკითხვა, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელია ისევე, როგორც ბევრი სხვა, ასეთი იყო: რატომ მისცეს ასე მოკლე დრო პროექტის დასამუშავებლად მაშინ, როცა ამ კონსტიტუციის მთელი კორპუსი თუ არა, მისი ნაწილი ძალაში უნდა შევიდეს რამდენიმე წლის შემდეგ? გაუგებარი დარჩა ასეთი აჩქარების მიზეზი. მეტი დრო რომ მიეცათ, პროგრესიც ხელშესახები იქნებოდა, მოვარაყებაც — ღირსეული. მეეჭვება, რომ ეს კეთილშობილური განზრახვით არ არის ნაკარნახევი.

თქვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამჟამად საქართველოს მართავს საკმაოდ მძლავრი ჯგუფი, ბალაკირევის Могучая кучка *(ღიმილი)*, რომელიც სასხვათაშორისოდ არაფერს აკეთებს — ყველაფრის უკან არის რაღაც მოსაზრება. ასე რომ, გამოთქმა — ყვავიც არ დაიყრანტალებს სათანადო მოტივის გარეშე — სიტუაციას სრულად ესადაგება *(ღიმილი)*.

რა აქვთ ჩაფიქრებული, ამის განსაზღვრა ამჟამად ძნელია. ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, გვიან გაიცემა, როცა შედეგებს მოვიმკით.

ასეთია პირველი შეკითხვა ქრონოლოგიის მიხედვით.

### კონსტიტუციური ბოდვა

**— შედეგად რა მივიღეთ? „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც ჯაბა ხუბუამ ჩამოგართვათ, ეს შედეგი თქვენ ბოდვად შეაფასეთ.**

— თქვენც შემიძლია იგივე დაგიდასტუროთ, თუმცა ვნანობ, რომ ასეთი მჭახე და უხეში გამოთქმა ვიხმარე. რატომ ვთქვი ასე? იმიტომ, რომ შემუშავებული პროექტი კონსტიტუციის მწვერვალად გამოაცხადეს, თითქოს ეს არის ევროპული მოდელი და არნახულად პროგრესული ნაბიჯი. ამგვარ უსინდისობას, ისეთი პასუხი ეკადრებოდა!

ის, რაც შემოგვთავაზეს, არავითარი ევროპული მოდელი არ არის! შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოდელი არც არსებობს! არსებობს, ძირითადად, სამი მოდელი, ასევე ჰიპერმოდელები, ისეთი, როგორიც ჩვენთანაა — ჰიპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა. მე პირადად მეჩვენება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემს მშობლიურ მართლმსაჯულების განშტოებას საკმაოდ დიდი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ის, რომ თავის დროზე აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ, ფაქტობრივად, ჯორჯ ბუშს პრეზიდენტობა მიუსაჯა, ადასტურებს ჩემს დაეჭვებას. ეს — ცნობისთვის.

როცა სახელმწიფო კომისიის წევრები ლაპარაკობენ, რომ ის, რაც მათ გააკეთეს, არის ევროპული მოდელი, ყოვლად უსაფუძვლოა, რადგან ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ევროპულ ქვეყანას, რომელსაც ასეთი კონსტიტუცია აქვს.

ამას საყვედურად კი არ ვამბობ, არამედ ფაქტის კონსტატაციის მიზნით.

**— ესე იგი, ჩვეული წატრაბახებაა?**

— თვალში ნაცრის შეყრაა, ევროპული მოდელით სურთ გაგვაკვირვონ, რომელსაც „პირველად საქართველოში“ ამკვიდრებენ. სინამდვილეში ეს არათუ არ არის ევროპული მოდელი, არამედ არც შეიძლება იყოს.

კონსტიტუცია ადამიანთა ცხოვრების წესს განსაზღვრავს ამა თუ იმ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში. იმდენად სპეციფიკურია თითოეული ერის, თითოეული ხალხის სახელმწიფო ცხოვრების მოთხოვნილებანი და აუცილებლობანი, რომ შეუძლებელია, დაემთხვეს სხვა რომელიმე ერის მოთხოვნილებებსა და აუცილებლობებს.

ამიტომ ის, რასაც გვიმტკიცებენ, არის ბლეფი.

**— ტყუილია?**

— რა თქმა უნდა, ტყუილია. მით უმეტეს, რომ ეს კონსტიტუცია ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საერთოდ წაუყენებენ კონსტიტუციას და, ზოგადად, — კანონს.

**— შეიძლება გაშიფროთ?**

— კონსტიტუციის ამოცანა და მოწოდებაა, ისეთი ლეგიტიმური და კანონიერი საფუძველი შეუქნას ყველა სხვა კანონსა და მათ საფუძველზე ხელისუფლების მოქმედებას, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მოქალაქეების კეთილდღეობას, მათი, ვინც ან ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, ან დროებითაა ჩამოსული და ერთიც და მეორეც უნდა ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური უფლებებიდან დაწყებული და პირადი ულებებით დამთავრებული, ყველა უფლება უნდა იყოს არა მარტო გათვალისწინებული, არამედ — გარანტირებულიც. ესე იგი, დემოკრატია მაქსიმალურად უნდა იყოს მითანადებული იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ამ ერს თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე გააჩნია. საზოგადოება დაცული უნდა იყოს სხვადასხვა, როგორც გარეშე, ასევე შიდა რისკებისგან.

კონსტიტუცია განსაკუთრებით სასიკეთოდ უნდა მოქმედებდეს კრიზიკულ შემთხვევებში, როცა სიტუაცია ჩიხში შედის.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დემეტრაშვილისა და შარმანაშვილის ეს კონსტიტუცია არა თუ არ უშლის ხელს ახალი პრობლემების წარმოშობას, არამედ უთუოდ შეუწყობს ხელს მათ წარმოქმნას. იგი ისე უგნურადაა შედგენილი, რომ ჰარმონიის ნაცვლად ქვეყანაში დაამკვიდრებს შესაძლო აფეთქების ხელისშემწყობ სიტუაციებს. პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტსა და მთავრობას შორის ფუნქციები ისეა გადანაწილებული, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ორი პოლარული საშიშროების წარმოქმნა. პირველი — გაანეიტრალონ ერთმანეთი, რაც ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების პარალიზებას გამოიწვევს; მეორე — დაეჯახონ ერთმანეთს, რაც ფეთქებადს გახდის ვითარებას და, არ არის გამორიცხული, შეიძლება გადაიზარდოს სამოქალაქო ომში.

### პრეზიდენტის იმპიჩმენტს შეუძლებელს ხდიან

**— ორგანული კანონის შესახებ თქვენი შენიშვნის თაობაზე ორიოდ სიტყვის თქმას გთხოვთ.**

— ორგანული კანონი ჰქონდეს ქვეყანას და მერე ამოიღო კანონების იერარქიიდან (რის გაკეთებასაც აპირებდნენ), არის ისეთივე უაზრობა, ჯანმრთელ ადამიანს რომ ამოჰკვეთონ ერთი თირკმელი გამოჯანმრთელების მოტივით.

> **ორგანული კანონი ჰქონდეს ქვეყანას და მერე ამოიღო კანონების იერარქიიდან (რის გაკეთებასაც აპირებდნენ), არის ისეთივე უაზრობა, ჯანმრთელ ადამიანს რომ ამოჰკვეთონ ერთი თირკმელი გამოჯანმრთელების მოტივით**

ამ ჩანაფიქრის პოლიტიკური მიზანდასახულება იმთავითვე ნათელი იყო: ორგანული კანონი ძალიან მაღალი კვორუმით მიიღება, ძალიან გართულებული პროცედურაა, რადგან უკავშირდება სახელმწიფო მოწყობის, ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების საკითხებს. კონსტიტუციის ახალი ვარიანტის ავტორები იმისთვის, რომ ვიღაც ერთპიროვნულ მმართველს თავის განზრახულობათა დასაკანონებლად წინააღმდეგობა არ შეხვდეს, „ცხოვრება რომ გაუადვილდეს“, შეეცადნენ ამ წინაღობის მოშლას. არადა, ყველა გონიერი ერი ცდილობს, დაამკვიდროს მეტი მეხამრიდი და მუხრუჭი, რათა შემთხვევით არ გაძვრეს ისეთი კანონი, რომელიც ამ ერს საზიანოდ მოუბრუნდება. ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ სულ მიკვირდა, ვის შეიძლება მოსვლოდა აზრად ორგანული კანონის ამოღება?

ამ კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ჩანდნენ, არამედ უპირატესად სხვები. ძირითადად, სხვაგან და სხვა რეჟიმში კეთდებოდა ტექსტი.

**— არ გაშიფრავთ?**

— არაა მიზანშეწონილი, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი, თითქმის ყველანი, ჩემი მოწაფეები არიან და არ ეგების მასწავლებლის მიერ მათი მოხსენიება ამ კონტექსტში. ისტორია ყველაფერს გაშიფრავს და თავის სახელს დაარქმევს. მოჰკითხავს კიდეც, რადგან ერის ინტერესებით ვაჭრობა და თამაში არ შეიძლება ვილაცების საამებლად. ვაფრთხილებ, რომ ეს აუცილებლად მოხდება.

ბევრი ვიფიქრე, რატომ დასჭირდათ ამ ნორმის ამოღება კონსტიტუციიდან? ასეთი უაზრობა იმთავითვე იმიტომ იყო შეგდებული, რომ „ვაჭრობის" შედეგად ამოეღოთ და გამოეყენებინათ, როგორც დათმობის ნიღაბი, როგორც დემოკრატიული განხილვის დასტური.

**— ვირეშმაკული ფანდი იყო?**

— არ მინდა ასეთი მკვეთრი შეფასების მიცემა...

ახლახან მოვისმინე, რომ არისო ქვეყნები, სადაც საერთოდ არ აქვთ ორგანული კანონი.

ჯერ ერთი. არის ქვეყნები, სადაც სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურა გაცილებით მაღალია და ბევრი რამ, რაც ჩვენთვის აუცილებელია, იმათ არ სჭირდება.

ინგლისს დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნია, მაგრამ ინგლისელებისთვის კონსტიტუცია არის ჩვევების, ჩვეულებების, ნორმების, აკრძალვების, რელიგიური მოთხოვნების მთელი სისტემა, რომელიც დიდ ბრიტანეთშია დამკვიდრებული.

იმ სისტემაში არ არის მკვეთრად გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისულება. პირადად შევხვდი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ლორდ-კანცლერს, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის ლორდთა პალატის სპიკერი (ასე არ უწოდებენ, მაგრამ ლორდთა პალატის პირველი პირია), ანუ საკანონმდებლო ხელისუფლების პირველი პირი, არის იუსტიციის მინისტრი, აღმასრულებელი ხელისუფლების ძალიან დიდი უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანი და, ამავე დროს, არის იმ სასამართლოს ხელმძღვანელი, რომელიც საკუთრივ პარლამენტშია და იგივეა, რაც ჩვენთან უზენაესი სასამართლო. გამოდგება ეს მოდელი ჩვენთვის?

**— მაგრამ ფაქტობრივად ხომ ჩვენთანაც ასეა ერთი პიროვნების ხელშია მოქცეული მთელი ძალაუფლება.**

— ასე რომაა, იმიტომაც ბორგავს ხალხი... ასეთი შეუთავსებლობის შესახებ რომ ვუთხარი ლორდ-კანცლერს, მან მიპასუხა: ამაზე თქვენ იფიქრეთ, ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა, ჩვენ ეს საკითხი არ გვაწუხებსო.

**— ჰოდა, ხალხი ფიქრობს და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს აყენებს. იმპიჩმენტის პრობლემაზე მინდა გკითხოთ პარლამენტში და მის ფარგლებს გარეთ, ანუ სახალხო იმპიჩმენტის თაობაზე.**

— საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში არის გათვალისწინებული იმპიჩმენტის გარკვეული პროცედურა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რუსული მოდელის ერთგვარი მიბაძვაა. მჭლე და განუვითარებელი მოდელია ელცინის დროინდელი რუსეთისა, ამჟამად ისიც კი გაცუდებულია. კონსტიტუციის ახალი ვარიანტის მიხედვით, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება იმპიჩმენტი, თუ აქამდე უზენაესი სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა აუცილებელი იყო, ახლა უზენაესის ხსენებაც არ არის და თვით დანაშაულის ნიშნების არსებობაზეც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მისცეს დასკვნა. ეს ნონსენსია!

გეკითხებით, შეიძლება ფეხმოტეხილი ავადმყოფის მკურნალობა თვალის ექიმმა იკისროს? ესენი კი სწორედ ასეთ მდგომარეობას ქმნიან, რაც ნიშნავს, რომ იმპიჩმენტში წინასწარვეა ჩადებული ისეთი მექანიზმი, რომელიც არაკომპეტენტურს ხდის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას.

მე მიმაჩნია, რომ ამ საქმეში საერთოდ არ უნდა იყოს გარეული სასამართლო. იმპიჩმენტი არის პოლიტიკური პროცესი და პრეზიდენტის ან სხვა დიდმოხელის გადასაყენებლად საკმარისია ეჭვის გაჩენაც კი.

სახალხო იმპიჩმენტის იდეა ძალიან საინტერესოა. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს? პარლამენტში შეტანას აზრი არ აქვს, რადგან, პრაქტიკულად, ერთპარტიულია და საკითხი გარანტირებულად დაბლოკილი იქნება.

ხალხი ასე მსჯელობს ან აქვს უფლება, იმსჯელოს ასე: ბატონებო, ჩვენ მოგეცით მანდატი, გახდით ჩვენი რჩეულები და ამის შესაბამისად მართავთ ქვეყანას, მათ შორის, მოგეცით იმპიჩმენტის უფლებაც. ჩვენ ახლა გვსურს იმპიჩმენტის უფლების გამოყენება და გეუბნებით გააკეთეთ! მაგრამ არ აკეთებთ და ვერც გააკეთებთ. ამიტომ, ნება გვიბოძეთ, დავიბრუნოთ ეს მანდატი და განვახორციელოთ ეს მოთხოვნა უფრო მეტი ლეგიტიმაციით, რადგან საყოველთაო სახალხო ნება გაცილებით მეტია, ვიდრე ხალხის რჩეულთა პოლიტიკური ნება, რადგან ხალხია ხელისუფლების წყარო.

იმპიჩმენტის მოთხოვნაზე თუ შეგროვდება სათანადოდ დასაბუთებული ხელმოწერების დიდი რაოდენობა, ხალხს ეძლევა უფლება, განახორციელოს ის, რაც მას სურს.

მოკლედ, ეს არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი პოლიტიკური პროცესი, რომელმაც, როგორც ჩანს, უნდა შეარყიოს მავანთა პოზიციები.

## ვინ დაკრძალავს პოლიტიკურ გვამებს?

**— უკვე დადგა ის მომენტი, როცა ხელისუფლებას აღარ შეუძლია ქვეყნის მართვა, ხალხი კი ჯერ მზად არ არის, აიღოს ხელში ძალაუფლება?**

— ახლა, მე მგონი, ძალიან საინტერესო ეტაპზე ვიმყოფებით, საბედისწერო შემობრუნების პუნქტია, როცა მალე ყველაფერი უნდა გაირკვეს. ერთის მხრივ, აშკარად გამოიკვეთა, რომ ხალხს უჭირს, შეეგუოს ერთპიროვნულ, თვითნებურ, ძალმომრეობით გადაწყვეტილებებს, რომლებშიც არ არის ასახული მოსახლეობის ნამდვილი ნებასურვილი. მაგრამ, მეორე მხრივ, ნამეტანი დავაჟკაცებული მეჩვენება ზოგიერთი, რომლებიც ყინჩად იქცევიან და, არ ვიცი, სხვებს აშინებენ, არ ვიცი, თავს იიმედებენ, როგორც შეშინებული ბავშვი ღამით მარტოდმარტო სიარულისას მიიმღერის საკუთარი თავის დასამშვიდებლად.

მგონია, რომ ახლა გაცილებით სწრაფად განვითარდება მოვლენები, ვიდრე აქამდე.

ერთი კია: სამოქალაქო საზოგადოებამ არ შეიძლება მთელი თავისი პასუხისმგებლობა დააკისროს ან ხელისუფლებას, ან ოპოზიციას.

**— ძალიან მომეწონა, ბატონო მინდია, ერთი ფრთიანი გამოთქმა, რომელიც თქვენს ინტერვიუში ამოვიკითხე: „უცხოელები გვეუბნებიან ასეთ რამეს: თქვენს პოლიტიკურ გვამებს ჩვენ ვერ დავასაფლავებთ, მესაფლავეები თქვენ თვითონ უნდა იშოვოთო".**

— ეს მითხრა ერთმა ძალიან ცნობილმა და გამოცდილმა პოლიტიკოსმა, როცა ევროპის საბჭოში გამოვედი მოხსენებით ლიდერების როლის შესახებ კრიზისის პირობებში. იქ პირდაპირ მკითხეს, დათვი რომ გალიაში იჯდეს და თათს ილოკავდეს, შეუვარდებით და განცხრომაში ხელს შეუშლითო? არა-მეთქი. მაგრამ, თუ მაინც შეუვარდებით, გარეთ მაინც ნუ გამოათრევთ. თუ გამოათრევთ, იცოდეთ, რომ მარტო თქვენ კი არ დაგემუქრებათ, ევროპასაც დაემუქრებაო.

იოლად გასაშიფრი ალეგორიაა. მეორეც ასეთივეა: პოლიტიკურ გვამებს, ჩვეულებრივ, საკუთარი ჭირისუფალი ასაფლავებს და სხვის იმედად არ უნდა იყოთო.

**— ლეიბორისტებმა ახლახან განაცხადეს, რომ დემეტრაშვილ-შარმანაშვილის კონსტიტუცია ხელს უწყობს ერთი ხელმძღვანელი პირის ერთი სავარძლიდან მეორეში გადაბრძანებას და შემდეგ უკან დაბრუნებას, ერთი კლანის დამკვიდრებას ხელისუფლების სათავეში.**

— ხელს უწყობს, რა თქმა უნდა. პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერ-მინისტრად გადასვლა, გასაგებია. მაგრამ გამორიცხული არ არის სხვა მაკვარანცხული კონსტრუქციები შეიქმნას. ვიცნობ რა ამ ადამიანებს, მათი ტვინის ხვეულებს, მოულოდნელობანი გამორიცხული არ არის...

საუბრის დასაწყისში თქვენი შემოთავაზება, ჩემი თავისთვის მევე დამესვა შეკითხვა, რჩება ძალაში?

**— რა თქმა უნდა.**

## ვინ იცინის ბოლოს?

— მაშინ ასეთ შეკითხვას დავსვამ: რატომ წარიმართა განხილვის პროცესი ასე უკუღმართად? იმიტომ, რომ შეკითხვებსა და შენიშვნებს კი არ უპასუხებდნენ, არამედ თავისას ამბობდნენ.

მაგალითად: ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო წინადადება, რომელიც ერთმა ბანაკმა ამ პროექტის განხილვისას შემოიტანა, ასეთი იყო: ორი ვადით არჩეულ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, ხუთი წლის განმავლობაში ან პრემიერ-მინისტრის, ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობებზე მუშაობის, ან პარლამენტის სპიკერად არჩევის უფლება.

მეორე ბანაკი ბატონ დემეტრაშვილის მეთაურობით უპასუხებს: ასეთი აკრძალვა ადამიანის უფლებების დარღვევააო.

პირველი ბანაკი: თუ ადამიანის უფლების დარღვევაა, გვითხარით, რა ჰქვია იმ უფლებას, რომლის დარღვევაც, თქვენი აზრით, მოხდება ამ შემთხვევაში? არსებობს პრემიერ-მინისტრად არჩევის უფლება? რომელი საერთაშორისო პაქტის ან კონვენციის რომელი მუხლით არის იგი გათვალისწინებული?

დემეტრაშვილი უპასუხებს: როგორ? ეს ხომ პოლიტიკური უფლებაა!

მისი მოწინააღმდეგენი: პოლიტიკურ უფლებათა კატეგორია არსებობს, მაგრამ პოლიტიკური უფლება ხომ არის საარჩევნო და სხვა უფლებები. რომელია მათ შორის? რომელი მუხლია?

რა ქნას ახლა დემეტრაშვილმა? პასუხი არ არის. ამიტომ იმოწმებს ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე ჩვენი კონსტიტუციის განხილვას, სადაც ამის გამო იხარხარეს ექსპერტებმა(!).

ჯერ ერთი, რით არიან იქაური ექსპერტები ჩემზე უკეთესები და კომპეტენტურები? იქ იყვნენ ისეთებიც, ვისი სახელები არავის გაუგია. რატომ უნდა იყოს მათი ხარხარი უტყუარი არგუმენტი?!

ქალბატონი თინა ხიდაშელი, რომელიც ესწრებოდა ამ კონფერენციას, ამბობს, რომ იქ საერთოდ არავის უხარხარია, არამედ თქვეს, რომ ეს არის უფლების შეზღუდვა, ისეთივე, როგორიც ყველა უფლებას აქვს. მაგალითად, შეზღუდვაა მესამე ვადით პრეზიდენტის არჩევის დაუშვებლობა, რომ პარტიის წევრობა არ არის შეთავსებადი მოსამართლეობასთან და სხვა ასეთი შეზღუდვები. კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს ასეთია ჩვენი დამოკიდებულება, გადაწყვეტილება კი თქვენ თვითონ უნდა მიიღოთო.

უფრო მეტიც, წამძლია სულმა და ერთ ჩემს კოლეგას დავურეკე, რა ხდებოდა კონფერენციაზე: თუ ღმერთი გწამს, მითხარი-მეთქი, რატომ იხარხარეს?

ხატი-რჯული, მსგავსი არაფერი მომხდარაო.

ამის შესახებ დემეტრაშვილის ბანაკის წევრებს ვკითხეთ: რატომ თქვით იმ ხარხარის შესახებ, რომელიც არ ყოფილა?

ბოლო პასუხი ასეთი იყო და ამით დამთავრდა დებატები: მსოფლიოს არც ერთ კონსტიტუციაში ასეთი რამ არ არის ჩაწერილიო.

ჩვენ კვლავ ვეკითხებით: ძალიან დიდი ბოდიში, პატივცემულო თავმჯდომარევ, მაგრამ იყო დრო, როცა კონსტიტუცია საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ რომელიღაც ქვეყანამ დაწერა თავისი ქვეყნის კონსტიტუცია. რახან სხვას არ ჰქონდა, არ უნდა შეექმნა, არ უნდა დაეწერა?! დაწერა და წავიდა შემდეგ კონსტიტუციების ცვენა. კონსტიტუციები ყოველთვის მდიდრდებოდა ახალ-ახალი ინსტიტუტებით, მაგალითად, ობუდსმენის ინსტიტუტით, რომელიც თავიდან არსად იყო გათვალისწინებული. მაგრამ დასჭირდათ და შეიტანეს კონსტიტუციაში.

ასეა აქაც.

სამართალი შედგება ლოგიკით შეკრული ორი საწყისისგან ზნეობისა და პოლიტიკის ელემენტებისგან. თუ ერთს სჭირდება რაიმე თავისი კეთილდღეობისთვის და მიზანშეწონილია მისი დადგენა, მოინდომებს, რომ დაადგინოს, უნდა ჰქონდეს ზნეობის სანქცია.

არის იმ წინადადებაში, რომელიც შემოიტანეს განსახილველად და რომელზეც ვლაპარაკობთ, რაიმე მიუღებელი და უზნეო?

არ არის. მაშ რატომაა მიუღებელი? იმიტომ, რომ მე არ მსურს. არ მსურს კი იმიტომ, რომ უნდა გადავარჩინო ჩემი თავნებობა.

**კონსტიტუცია უნდა იყოს ზნეობრივი. თუ იგი გათვლილია საიმისოდ, რომ ვინმე ერთის პერსონალურ ინტერესებს მოერგოს, იგი ვერ დააკმაყოფილებს უპირველეს მოთხოვნას — ზნეობას. არ შეიძლება, რომ კონსტიტუცია უზნეობას ემსახურებოდეს.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**P.S. გამომშვიდობებისას ბატონ მინდიას ვკითხე: როგორი დახვდა მას, სტრასბურგიდან დაბრუნებულ თბილისელ კაცს, აქაურობა?**

**— ის თბილისი არ დამხვედრია, როგორსაც თქვენ გულისხმობთ. თბილისი, უწინარეს ყოვლისა, თბილისელებია, რომლებიც ძალიან გამდიდრებულან არათბილისელთა ნაკადით, რაც, ჩვეულებრივ, ურბანიზაციის პროცესს უკავშირდება. მაგრამ თვით ის თბილისელები, რომლებიც „ასეთებად" მახსოვს, დამხვდნენ „ისეთები"** ***(ეღიმება).*** **ბევრი „ისეთი" თბილისელი ძალიან სწრაფად გადასხვაფერებულა, სხვანაირი გამხდარა, რაც დიდი პროგრესის მაჩვენებელია** ***(გულიანად იცინის).***

**მოკლედ, ბატონი მინდია უგრეხელიძე დაბრუნდა და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.**



ევროსასამართლოს სხდომა

**იქ პირდაპირ მკითხეს, დათვი რომ გალიაში იჯდეს და თათს ილოკავდეს, შეუვარდებით და განცხრომაში ხელს შეუშლითო? არა-მეთქი. მაგრამ, თუ მაინც შეუვარდებით, გარეთ მაინც ნუ გამოათრევთ. თუ გამოათრევთ, იცოდეთ, რომ მარტო თქვენ კი არ დაგემუქრებათ, ევროპასაც დაემუქრებაო**

**ამ კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ჩანდნენ, არამედ უპირატესად სხვები. ძირითადად, სხვაგან და სხვა რეჟიმში კეთდებოდა ტექსტი**

**იმპიჩმენტის მოთხოვნაზე თუ შეგროვდება სათანადოდ დასაბუთებული ხელმოწერების დიდი რაოდენობა, ხალხს ეძლევა უფლება, განახორციელოს ის, რაც მას სურს**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# საწესდებო ამოცანები «ქართველი შევარდენისთვის», ანუ ეროვნული «პოლიტეკონომიის» თავისებურებანი



## როგორ აარიდა ობამამ მიშას თვალი

**ბედი არ სწყალობს მიშას. გამოცდილმა და ხანში შესულმა ჯო ბაიდენმაც არ მოისურვა, შეხვედროდა ქართველ ლიდერს ამერიკის მიწაზე გაეროს ფორმატის შემდეგ.**

იყო რაღაც „წვრილმანები“: შეხვედრები უნივერსიტეტში, ბიზნესმენებთან, პრეზიდენტის პრესსამსახურის მტკიცებით, ქალბატონ კლინტონთანაც. აი, ამერიკელმა „გვირგვინოსანმა“ ბარაკ ობამამ ამჯობინა, „კავკასიის ფორმატში“ შეხვედროდა მხოლოდ მზიური აზერბაიჯანის მეთაურს, დემოკრატსა და დემოკრატის შვილს ილხამ ჰეიდარის ძე ალიევს... მსოფლიო და აზერბაიჯანის მასმედიამ გულახდილად ასე განაცხადა: **აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღნიშნა პრეზიდენტ ალიევის ლიდერობა და ხაზი გაუსვა, რომ აზერბაიჯანი რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქვეყანაა**, მათ შორის, ვინც უმეტეს წარმატებებს მიაღწია (?!).

ეს არის საქართველოს პრეზიდენტისთვის ცხვირში წკიპურტის კვრა, რასაც უნდა მივმხვდარიყავით მაშინვე, როცა ცნობილმა აფროამერიკელმა კონდოლიზა რაისმა არ მოისურვა სააკაშვილთან შეხვედრა, რასაც, აგრეთვე, აფროამერიკელ ბარაკ ობამას თვალის არიდება მოჰყვა. შეიძლება, რომ ამ ყველაფრის მიზეზი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის „გაუწონასწორებელი“ რასისტული გამონათქვამები იყო? სავსებით შესაძლებელია...

დასკვნა ასეთია: ამ სამწუხარო ფაქტით თუ ვიმსჯელებთ, **ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას (და მასთან ერთად ეკონომიკასაც) არა თუ პირველ, არამედ მეორედაც არ მიიჩნევენ რეგიონში, ასეთია ოკეანისგაღმელთა სტატისტიკაც და, ასევე, თეთრი სახლის შეფასებაც.**

შევეცადოთ, გავერკვეთ, სადაა ძაღლის თავი დამარხული, რადგან ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებების (იგულისხმეთ — პრეზიდენტის მიერ პირადად!) პრეზიდენტისეული შეფასებები, რომლებიც მან პატივცემულ საზოგადოებას წარუდგინა ნიუ იორკში, წარმოუდგენლად განსაცვიფრებელი იყო და, ამდენად, გაუგებარი დარჩა საქმეში გარკვეული ხალხისთვის.

ამან საშუალება მისცა ორი წლის სტაჟის მქონე მხურვალე ოპოზიციონერს, პარლამენტის ექსსპიკერს, ნინო ბურჯანაძეს არცთუ კორექტულად განეცხადებინა „მიზნობრივ“ პრესკონფერენციაზე: **„სააკაშვილმა, უბრალოდ, იცრუა გაეროს ტრიბუნიდან. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომ სიღარიბე ჩვენთან დაძლეულია, არ ეთანხმება მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომლის შეფასებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი გაჭირვებულია“.** მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უცხოეთიდან კაპიტალდაბანდებათა დონითა და ეკონომიკის განვითარების ტემპებით საქართველო ჩამორჩება მეზობლებს — აზერბაიჯანსა და სომხეთს.

**ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას (და მასთან ერთად ეკონომიკასაც) არა თუ პირველ, არამედ მეორედაც არ მიიჩნევენ რეგიონში, ასეთია ოკეანისგაღმელთა სტატისტიკაც და, ასევე, თეთრი სახლის შეფასებაც**

## IN VINO VERITAS!

**ომისშემდგომ საქართველოში ყველაზე დიდი დეფიციტი „ჭეშმარიტი სიმართლეა“, რომელსაც ისეთი მონდომებით მალავენ, რომ ზოგჯერ მის წინააღმდეგობათა ტყვე ხდები, რადგან საქართველო შვეიცარიაში, სინგაპურსა ან ჰონკონგში აგერევა, ისევე, როგორც ჩვენი სახელმწიფოს პირველ პირებს.**

მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი გარეუბნებიდან ჩვენი დედაქალაქის ცენტრისკენ გზას თუ გაუყვები, სულ ცოტა, ას მათხოვარს გადაეყრები. მათ შესახებ სტატისტიკა არაფერს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდგომ წლებში ხელგაწვდილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. **ქვეყანაში, რომლისთვისაც მათხოვრობა, როგორც სოციალური მოვლენა, უცხო იყო, იშვა ახალი „დარგი“, რომელიც ჩვენი პოსტრევოლუციური წარმატებების ფონზე, სულ უფრო აქტიურად ვითარდება.** გასაოცარი დემოკრატიის ფენომენია, არა?

ხელისუფლება ვერ ამჩნევს ამ კატეგორიის მოქალაქეებს, არც სურს, იცოდეს რამე მათ შესახებ.

მართალია, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ წლებში დიდი ხმაური მოჰყვა მის მოწოდებას, უპოვართათვის 100 უფასო სასადილოს გახსნას, მაგრამ ინიციატივა ჩაკვდა მე-20 თუ 31-ე საზკვების ობიექტის გახსნის შემდეგ. დღეს კეთილი ქრისტიანების გარდა ამ კოლექტიურ სასადილოებს არავინ იხსენებს, რადგან მოწყალების იდეამ დაკარგა აქტუალობა, იმიტომ, რომ ვერ ეწერება ენერგიულად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში, რომელშიც არ არიან და არც შეიძლება იყვნენ ღარიბ-ღატაკნი.

კეთილდღეობის ილუზია არა მარტო ბათუმის სივრცეშია, არა მარტო წითელი ლენტების გაჭრას თან სდევს, არამედ არის ამჟამად დამუხრუჭებულ დარგშიც — მევენახეობასა და მეღვინეობაში. რა ერთიანობასა და ჰარმონიულობაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ ვითარებაში, როცა ღვინის ქარხნებს იარაღით აიძულებენ, მიიღონ მწარმოებლებისგან არაკონდიციური პროდუქცია, და პარალელურად წარმოთქვამენ საქებარ ოდებს სასმელისას, რომელსაც თურმე **„მალულად სვამს კრემლის დიდთავადობა, რომელიც მოკლებულია საშუალებას, ისიამტკბილოს ქართული ღვინით თავისი სპეციალური მაღაზიების მეშვეობით“.**

„ქართული ღვინის ექსპორტი შარშანდელთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა“, — აღნიშნა მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე პრემიერმა გილაურმა. ვენდოთ გილაურს. მაგრამ ამას მოჰყვება ისეთი აბდაუბდა, რომ შეიძლება კისერი მოიტეხო.

თანამდებობის პირთა განცხადებით, აღნიშნული ზრდის 20 პროცენტი შიდა ბაზარზე მოდის, რაც თითქოს ტურისტების რაოდენობის ზრდითაა გამოწვეული. ეტყობა, რეალიზაციის ზრდას ხელს უწყობს გამრავლებული პურისჭამა რესტორნებსა და კაფეებში მიმღები მხარის ანგარიშზე, როცა თამადა სტუმრების სადღეგრძელოებს ანბანის მიხედვით სვამს და სახსოვრად ატანს შესანიშნავ ნიმუშებს ქართული ღვინის. არადა, დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული დასავლური პრეფერენციები (გარკვეული სავაჭრო პრივილეგიები) აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებისთვის სათანადოდ არ მუშაობს.

რისი ბრალია ეს და ვინაა დამნაშავე?

**უმთავრესი ბრალი და მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკა, როგორც პოლიტიკა უმკაცრესი ადმინისტრირების ჩარჩოებშია მოქცეული.**

**მაგალითად, მთავრობის მიერ მეღვინეებზე განხორციელებული წნეხი და იძულებითი მიღება დაბალი ხარისხის პროდუქციისა, ვერ უპასუხებს აშშ-ისა და ევროპის ბაზრების მაღალ მოთხოვნას. ამასთან, ამ თამასის დაძლევის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ზოგიერთებს ვინც „მეგობრობს“ ხელისუფლებასთან და მისი მხარდაჭერით სარგებლობს. შედეგად კი ვიღებთ დაბალი ხარისხის საექსპერტო საქონელს და მცირე შემოსავალს ბიუჯეტში. იმიტომ კი არა, რომ არ გვსურს, არამედ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია.**

გასაგებად რომ ვთქვა, ჩვენს ბიზნესს ჯერ კიდევ არ შეუძლია, მასშტაბურად შეუტიოს ამერიკისა და ევროპის საბაზრო სიმაღლეებს, ქართული ღვინის მაღალი ხარისხის შესახებ პრეზიდენტის მრავალგზისი განცხადებების მიუხედავად.

სიტუაციის ტრაგიკომიზმი ის არის, მთავრობის იმავე სხდომაზე პრემიერი პირველ აგრარიკოსს რომ ავალებს, სასწრაფოდ შეხვდეს თურქ კოლეგას. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მეზობლებისთვის ერთი მილიონი ლიტრი ღვინოების მიწოდებას საბაჟო გადასახადის გარეშე. მაგრამ გილაურისავე თქმით, ამ კვოტიდან ათვისებული აღმოჩნდა 40.000-60.000 ლიტრი ქართული ღვინო! კვეზერელის მისია მიაწვეს და გაყიდოს გასაგებია, მაგრამ ძნელად არის შესასრულებელი, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ, მართალია, იგი თანამდებობის პირია, მაგრამ ადამიანური შესაძლებლობებითაა შეზღუდული და თავს ზემოთ ვერ ახტება. საკითხავია, რის გაკეთებას შეძლებს იგი ორიოდ სამივლინებო დღეში, თუნდაც ერთ თვეში, როცა არ არსებობს რეალური შესაძლებლობანი, ათწლეული უქმადაა დაკარგული. თანაც მეღვინეობაში უცვლელია ურთიერთობანი, რომელთაც ისტორიულად კორუფციული ფესვები და ასეთივე ურთიერთობა აქვს ხელისუფლებასთან.

**ფულს მართლაც გვაძლევენ, ბევრს, უმეტესად კრედიტებით, რომელთა გადახდა არაერთ თაობას მოუწევს, თუ ყველაფერი „კარგად“ იქნება. მაგრამ დღეს ისინი თითქმის მთლიანად იხარჯება იმ მიზნებისთვის, რომლებიც პატრონების მიერ არის განსაზღვრული**

## დიდი ხანია, რაც იარლიყებს ვიყენებთ

**სისულელის, უაზრობისა და სიცრუის მოზღვავება, რაც სიმართლის რანგშია აღზევებული და ეხება ჩვენს მრეწველობას, აგრარულ სფეროს და ა.შ., თურმე სისტემური რეფორმირების შედეგია.** ეკონომიკაზე, რომელიც ყვავის და არ ჭკნება, ჩვენს წარმატებებზე დაულალავად და აღფრთოვანებით წერენ უკრაინელი კალმოსნები, ლაპარაკობენ საქმიანი ადამიანები, რომლებიც, უეჭველია, ჩვენი პრეზიდენტის „ნარინჯისფერი მეგობრების“ ნარჩენები არიან. რას შეიძლება დავარქვათ „ფერადი“ და ყვავილოვანი რევოლუციონერების მსოფლიო სოლიდარობა, რომელიც აშკარად მხარდაჭერილია „ცენტრის“ მიერ და იქიდანვე იმართება?

**კერძოდ ვინ მართავს?**

**სავარაუდოდ, რეაქციული ძალები, კერძოდ, კონფრონტაციის ქორები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ოკეანის გაღმიდან. ეს უკანასკნელი დღეს ასეულობით მილიარდ საბიუჯეტო დოლარს კი არა, უკვე ტრილიონობით დოლარს ატრიალებს. მას თავისი შტატიანი წარმომადგენლები ჰყავს ამერიკის ადმინისტრაციაში (ვისთანაც მეგობრობა გვაკავშირებს). ალბათ, სწორედ ამიტომ ძალაში რჩება ჩვენი საგარეო პოლიტიკა და მუხლეზე დამხობილი ეკონომიკა, რომელიც წარმატებების „სასწაულებს“ ახდენს ვაშინგტონის სცენარების მიხედვით. რაც, საბოლოო ჯამში, თანამედროვე მსოფლიოს დანაწევრებისა და კონფრონტაციისთვის განხორციელებული ძალისხმევის გაგრძელებაა.**

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ რეალობას, რომელიც თითოეული ჩვენგანის თვალწინ ხდება. ლაპარაკია ვალუტის გაცვლაზე.

უპირველესად, მივულოცოთ ერთმანეთს ეროვნული ვალუტის განმტკიცება. შემდეგ მივულოცოთ ჩვენს ფინანსების მეფეებს, რომლებიც ახერხებენ, ძალა შეუნარჩუნონ ლარს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფასები ასი პროცენტით იზრდება. ეს ოპერაცია თავისი მასშტაბით შეიძლება შევადაროთ მეორე მსოფლიო ომში მეორე ფრონტის გახსნის ოპერაცია „ოვერლორდს“, როცა მოკავშირეებმა თავიანთი ჯარები გადმოსხეს საფრანგეთში, ფაშისტების „ზურგში“.

აწყობილად და ცენტრალიზებულად მოქმედებს მთელი ქართული საბანკო და ჯიხურების გადაცვლის სისტემა! პირობები თითქოს თავისუფალია, საბაზროა, მაგრამ სავალუტო რყევები მაინც და მაინც განსაკუთრებულ საათებში ხდება, როცა რომელიღაც საერთო ჩამრაზს ჩართავს ერთი დისპეტჩერი-ნათელმხილველი. ამ დროს კი სხვა ვალუტების კურსები იცვლება რბილად და არ უშლის ცხოვრებას ადამიანებს. მხოლოდ ლარია ისეთი, რომელიც ხან ავარდება, ხან არანაკლები სისწრაფით ეცემა...

ესეც ჩვენი თავისებურებების, ტრაიბალიზმისადმი ჩვენი მიდრეკილების შედეგია, საზოგადოების „დემოკრატიზაციისა“ და საბაზრო „პოლიტეკონომიის“ მიუხედავად, რომელსაც წარმართავს, აწესრიგებს ერთადერთი, ძალაუფლების მოყვარული ხელი — აბსურდის თეატრისა და ერთი მსახიობის თეატრის პრინციპის მიხედვით.

ასე ყალიბდება პირობები, როცა ამერიკასთან და ევროპასთან ვაჭრობის სასათბურო პირობების მიუხედავად, ადგილობრივ წარმოებას, რომელიც ძალიან ცუდად მუშაობს, ცოტა რამ თუ შეუძლია გაიღოს მომგებიანი ექსპორტისთვის. შედეგად საექსპორტო ნიშა, წარმატებების შესახებ ბაქიბუქის მიუხედავად, თითქმის ცარიელია.

**საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, წლევანდელ ექვს თვეში ფულადი გამოსახულებით ექსპორტმა 865 მილიონი შეადგინა, იმპორტმა — 2,642 მილიარდი დოლარი. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შეადგენდა 1,177 მილიარდს, რაც 2009 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე ერთი პროცენტით მეტია.** ციფრები წლის ბოლოსთვის, რა თქმა უნდა, გაიზრდება. მაგრამ შეფარდება ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ექსპორტსა და იმპორტს შორის, საეჭვოა, გაუმჯობესდეს. საამისო ობიექტური პირობები შექმნილი არ არის. კაცმა რომ თქვას, თხილის გარდა, განვითარებულ ქვეყნებში გასაყიდი არაფერი გაგვაჩნია. ეს კი განვლილი პერიოდის შეფასების საშუალებას გვაძლევს, როცა კრედიტები, საფონდო გადარიცხვები, ტრანშები და ა.შ. იხარჯებოდა ვითომ ტურისტული და სხვა ბიზნესისთვის აუცილებელ უსისტემო მშენებლობასა და ფსევდო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

და კიდევ ერთი, **ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურება, როცა უცხოეთის სამსახურები და მათი ცალკეული ფიგურანტები ჯიუტად არ ამჩნევენ ჩვენთან არსებულ უკულმართობას და გაჭირვებას და წარმატების იარლიყებს გვიბეჭდავენ. ნუ დავასახელებთ მათ, რადგან ისედაც ცნობილია მათი ვინაობა. მოდერატორების აზრით, ჩვენ სწორი გზით მივდივართ, მაგრამ ვერ ვმდიდრდებით. სიღატაკე და მოუწყობლობა გვთრგუნავს. გამონაკლისი ელიტაა და მისი პირველი რიგის გარემოცვა.**

კრიტერიუმი ყოველთვის ერთია: სიღარიბის დაძლევა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, რაც დემოკრატიულ ურთიერთობებთან არის შეთანხმებული, ანუ ყველაფერი ის, რაც დღევანდელ საქართველოში ფრიად სუსტადაა წარმოდგენილი და გადაფარულია ბათუმის, თბილისის, გორისა და სხვა ფეიერვერკების ჭრელა-ჭრულობით.

ეს ყველაფერი ხდება ნომენკლატურული კაპიტალიზმის ფონზე, რომელსაც ხელისუფლება და სტუმრები გვთავაზობენ, როგორც ერთადერთ გამაჯანსაღებელ პროგრამას განვითარებული სოციალიზმის სანაცვლოდ.

**იური ლევანიშვილი**
**(საქინფორმი)**

**P.S. მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ჩვენი პრეზიდენტი თავისუფლად მონავარდე შევარდენს. სინამდვილეში იგი მართული და მკაცრად კონტროლირებადი ფიგურაა. არაფერს ნიშნავს, რომ რიგი „უცნაურობანი და მოულოდნელობანი“ ჩაიდინა ხუთდღიანი ომის დროს, თავი გამოიჩინა გიგანტური საპორტო პროექტებით, ასაფრენი ზოლებისა და საიდუმლო ლაბორატორიების მშენებლობით, პატრიოტული ახალგაზრდული ბანაკების მოწყობით საზღვარზე, სვანეთში ტურისტული გზებისა და ტრასების გაყვანით მთიან აფხაზეთსა თუ ცეცხლით მოცულ ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელად... ეს ყველაფერი ომის გაგრძელებაა ოღონდ სხვა მეთოდებით, შრომის განაწილებაა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, სადაც „ქართველი შევარდენისთვის“ საწესდებო ამოცანებს შეიმუშავებენ იგივე მსოფლიო ქორები!**

**თუ ამ ყველაფერს ჩავუფიქრდებით, გაირკვევა, რომ არსობრივად იგი შიდა მოხმარების კატასტროფული მოდელია, განსაკუთრებით, ჩვენი ეკონომიკისთვის (გავიხსენოთ განვლილი ათწლეულის შედეგები). ფულს მართლაც გვაძლევენ, ბევრს, უმეტესად კრედიტებით, რომელთა გადახდა არაერთ თაობას მოუწევს, თუ ყველაფერი „კარგად“ იქნება. მაგრამ დღეს ისინი თითქმის მთლიანად იხარჯება იმ მიზნებისთვის, რომლებიც პატრონების მიერ არის განსაზღვრული.**

# არაადეკვატური მიშას ანამნეზი...

**„სიგიჟე: აკეთო ერთი და იგივე დაუსრულებლივ, სხვადასხვა შედეგის მისაღწევად“.**
**ალბერტ აინშტაინი ამ დასკვნამდე დიდი ხნის კვლევისა და დაკვირვების შემდეგ მივიდა. დამეთანხმებით, 6 წელი საკმარისი პერიოდია, გარკვეული დასკვნა, უფრო სწორად, მცირე ანამნეზი რომ შევკრიბოთ სააკაშვილის ვაგლახ პოლიტიკური მოღვაწეობისა.**



ზემოთ მოყვანილი აინშტაინის ეს ფრაზა ზედმიწევნით მიესადაგება იმ მმართველობის ფორმას, რასაც სააკაშვილი საქართველოში ატარებს. დიახ, ეს ყოველივე სიგიჟეა და მეტი არაფერი. **იგი ყოველდღე ერთსა და იმავე სპექტაკლს დგამს, სხვადასხვა დეკორაციებით, რომელშიც მთავარ როლს მუდმივად თვითონ ასრულებს. შედეგიც სახეზეა.**

სწორედ ამგვარმა ტრაგიკომედიამ მოიყვანა სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში, სწორედ ამიტომაა დღეს, რომ საკანონმდებლო ორგანო ერთი პარტიის ქაჯეთის ციხეა, სადაც მალულად იჭედება ახალი ვაიკანონები.

აქედან გამომდინარე, შევეცდები, სამედიცინო ლიტერატურის მოშველიებით (რა თქმა უნდა, სააკაშვილის ფსიქო-პოლიტიკური ანამნეზის გამოყენებით) გამოვარკვიო ის შესაძლო პათოლოგიები, რაც მას სჭირს.

## ხასიათის პათოლოგია

ემოცია თავისთავად წამიერია, მაგრამ ემოციური ფონი შედარებით მდგრადია და რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს. თუმცა სააკაშვილს ეს ემოციები 2003 წლიდან არ განელებია. ის ისევ რაღაცის მოლოდინშია; უნდა, რომ მისმა „სპექტაკლებმა“ მუდმივად ანშლაგით ჩაიაროს, მუდმივად ტაში დაუკრან, როგორც ეს იყო თუნდაც გაეროში გამოსვლისას, მისი მორიგი სიტყვა-მოგიჟიანების დროს.

**ამ პათოლოგიისას სავსებით შესაძლებელია წარმოიქმნას გაორების (მარგინალიზაციის) საფრთხეც. მაგრამ სააკაშვილი, შესაძლოა, არსებული ქცევებიდან გამომდინარეა გაორებული.**

აბა, ნახეთ მიშა როგორი უშუალო, მხიარული და ხანდახან გულჩვილია ბავშვებთან შეხვედრისას. აგერ მიშა პირველკლასელებს ტკბილეულით უმასპინძლდება, აგერ მიშა პატარას მისჯდომია გვერდით და დიდი გულმოდგინებით თამაშობს მასთან ერთად. ბავშვებთან ურთიერთობა მხოლოდ ამ თბილი შეხვედრებით არ შემოიფარგლება. წელს უფასოდ დაურიგა პირველკლასელებს სასკოლო წიგნები და ნოუთბუქები... უამრავი ბავშვი დაასვენა განმუხურსა და აჭარის შავიზღვისპირეთში...

მაგრამ უფროს თაობასთან მიმართებაში მისი გადაწყვეტილებები, მოქმედებები სრულიად არაადეკვატურია. მისი უშუალო დავალებით დაარბიეს, დაასახიჩრეს უსამართლობის წინააღმდეგ გამოსული ასობით ადამიანი. მიშას მფარველობით თავისუფლად დადის უამრავი მკვლელი.

**თუმცა აქ, შესაძლოა, გაორებასთან ერთად სხვა, კერძოდ, პოლიტიკურ თვალთმაქცობასთან გვქონდეს საქმე. ამიტომ მხოლოდ ფსიქოლოგიური ანამნეზით არ უნდა შემოვიფარგლოთ და სააკაშვილის არაადეკვატური მოქმედებები წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც უნდა შევაფასოთ.** იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილოა მისი მართვის 6-წლიანი შედეგით, **იგი ცდილობს, საზოგადოებაში შეინარჩუნოს მზრუნველი პრეზიდენტის იმიჯი და გარკვეული პიარ-აქციების, საბავშვო ბაღების, მუსიკალური კონცერტებისა თუ ზოგადად, იმიტირებული რეალობის ფონზე წარმოჩინდეს.**

## ილუზია

ილუზია რეალურად არსებული ობიექტების ადამიანების, საგნებისა თუ მოვლენების მცდარი აღქმაა. ამ დროს ჭეშმარიტი აღქმა შეიძლება შეიცვალოს. მაგ.: შპალერის ნაგლეჯი ადამიანმა შეიძლება აღიქვას როგორც მგლის თავი.

**ის ფაქტი, რომ სააკაშვილი, დიდი ხანია, გამოსულია რეალური, არსებული სიტუაციის ადეკვატური აღქმიდან, მკვეთრად გამოიხატება მის გამოსვლებშიც,** ანუ, თუ ჩვენ ახლა სააკაშვილს დავუჯერებთ, ქვეყნის ისტორიაში პირველადაა საქართველოში „ეკონომიკური ყვავილობა“, სტაბილური დემოკრატია, ანდა ინგლისურ ენაზე მოსაუბრე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილი 10000 „ყივჩაღი“. მაგრამ უბრალო გამვლელიც ხომ გეტყვით, ბატონო პრეზიდენტო, რომ ეს არაა ის რეალობა, რაც ქართველს სურს. რეალობა ის ხალხია, რომელიც სამართლიანობას ითხოვს, რეალობა ის შენობებია, რომლებიც თავზე გვენგრევა და რეალობა ის მღელვარებაა, რაც დღეს საქართველოშია.

ამის შემდეგ როგორ ვირწმუნო იმ კაცის გულჩვილობა, რომელიც არ უსმენს ამ ბავშვების მშობლებს, გაურბის მათ და არარსებულ, მოჩვენებით რეალობაში იმალება?! მაგრამ, **შესაძლოა, მიშას ამ ხალხის სახით მშიერი მგელი ელანდება და თავდაცვის მიზნით გარბის** (ანუ ადეკვატური რეაქციაა მგლის ეშინია და გარბის).

## ფობია

**ფობია განისაზღვრება როგორც ძლიერი და შფოთვის მომგვრელი შიში, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ან რაიმე საგანთან მიმართებაში აღმოცენდება. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმესი ან ვინმესი არ ეშინოდეს.**

ხავერდოვანი რევოლუციის გზით მოსული უშიშარი პრეზიდენტის იმიჯი 2008 წლის მოვლენების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ალბათ, ყველას კარგად გახსოვს გორში მიწაზე გართხმული პრეზიდენტი. ისიც გემახსოვრებათ, ჰალსტუხს რომ ღეჭავდა, თან ისე გულმოდგინედ, კაცს ეგონებოდა, გემოს უსინჯავსო, ნეტა რა ხილიაო. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე შიშით იყო გამოწვეული. თუმცა **ვის არ შეეშინდებოდა ჩრდილოელი მეზობლის შემონათვალი: „ხეზე... დაგკიდებო“ (ეს შემონათვალი ისევ ძალაშია). სხვათაშორის, სააკაშვილთან ინტერვიუზე ჩამოსულ ჟურნალ GQ-ს წარმომადგენელ ქსენია სოგჩაკს პუტინის გამოსახულებიანი მაისური ეცვა. სააკაშვილის ადმინისტრაციაში კი მოსთხოვეს მისი გამოცვლა, მიშას ხასიათი არ გაუფუჭოსო.**

## თერაპია

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი ეს პათოლოგიები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. **გაორება წარმოშობს ილუზიას, ილუზია — ფობიას, ანუ შიშს და ეს ყველაფერი ფსიქოპათოლოგიური დარღვევაა, რომელიც, შესაძლოა, მწვავე ნევროზში გადაიზარდოს.** ამისთვის გირჩევთ, დაისვენოთ, აიღოთ გრძელვადიანი შვებულება. ასევე, კარგი იქნება, თუ მოგზაურობას თავს დაანებებთ (ბიუჯეტიც დაიზოგება), განმარტოვდებით ბუნებაში და იფიქრებთ... რაზე? თუნდაც ცხოვრების განვლილ გზაზე მიღწევებსა თუ წარუმატებლობებზე, ბოლოს და ბოლოს, **„პოლიტიკოსობა არ არის ცუდი პროფესია. წარმატების შემთხვევაში ჯილდო გარანტირებული გაქვს, მარცხით დამწუხრებულს კი ყოველთვის შეგიძლია წერო წიგნები“ (რონალდ რეიგანი).**

**ოთარ დალაქიშვილი**

# ერეკლე კოდუას მეგობრებმა სასტუმრო «ფიროსმანის» თანამშრომლებს სცემეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მისივე აღზევებული სპეცოპერატიული დეპარტამენტის უფროსის — ერეკლე კოდუას გასანეიტრალებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში ლამის რევოლუცია მოაწყო.**



**ჯერ უფროსი გამოუცვალა ამ დეპარტამენტს — კოდუა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსად, ხოლო მისი წინამორბედი, დევი ჭელიძე, სოდის უფროსად გადაიყვანა, რომელსაც ერთ დროს შს სამინისტროს ყველაზე მძლავრ დეპარტამენტს მარტივ მამრავლებად აშლევინებს და, როგორც სამინისტროს კულუარებში საუბრობენ, მის კუდთან შერწყმას გეგმავს. თუმცა კოდუასა და მისი გარემოცვის განეიტრალება მაინც ვერ მოახერხა. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, 29 სექტემბერს, გვიან ღამით, სიღნაღში კოდუას მეგობრებმა სასტუმრო „ფიროსმანის“ ადმინისტრაციის თანამშრომლებს — გიორგი სინჯიაშვილსა და გიორგი მჭედლიშვილს სცემეს.**

ჩხუბის შედეგად სინჯიაშვილს ტვინის შერყევა და სხეულის მრავლობითი დაჟეჟილობა აღენიშნება, შედარებით მსუბუქად დაშავდა გიორგი მჭედლიშვილი. თვითმხილველების განცხადებით, ხუთმა პიროვნებამ, რომლებიც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს კოდუას მეგობრებად გაეცნენ, სასტუმროს ნომრები ითხოვეს. სასტუმროში ყველა ნომერი დაკავებული აღმოჩნდა, რასაც მათი აღშფოთება მოჰყვა. მათ სასტუმროს შესასვლელში ძვირფასი ნივთები დაამტვრიეს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სასტიკად სცემეს.

**დაზარალებული სინჯიაშვილი ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს, რისთვისაც პოლიციის წერილობითი მიმართვაა საჭირო, მაგრამ პოლიცია მას მიმართვას არ აძლევს. კოდუას გავლენა, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ ძლიერია. არადა, ცოტა ხნის წინათ (მიმდინარე წლის აპრილში), მას ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცოლის ძმა დაუჭირეს.**

დაკავებული ნათესავის გამოსაყვანად, როგორც ამბობენ, კოდუას თავისი დეპარტამენტის თანამშრომლები გაუშვია, თუმცა მათ ჟორჟოლიანამდე მისვლის საშუალებაც არ მისცეს და უკან გააბრუნეს. მიხეილ ჟორჟოლიანს ბრალად ედებოდა პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლა, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე, აშკარა ქმედებისთვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ჟორჟოლიანისა და მისი მეგობრების ქმედება ამ მუხლით იმის გამო დაკვალიფიცირდა, რომ მათ ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ბარში ყოფნის დროს სამართალდამცავებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და წინააღმდეგობა გაუწიეს.

**როგორც ამბობენ, ჟორჟოლიანმა ამ შეხლა-შემოხლის დროს „სტეჩკინის“ ტიპის იარაღიდან 21 ტყვია გაისროლა. პოლიციელებსა და ჟორჟოლიანის მეგობრებს შორის გაჩაღებული ხელჩართული ჩხუბის დროს დაზარალდა პოლიციელი, რომელსაც თავში ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული დაზიანება. ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ, ჟორჟოლიანი დუმილის უფლებას იყენებდა და, ალბათ, როგორც სხვები, ისიც იმედოვნებდა, რომ ციხეს მალე დააღწევდა თავს, მაგრამ იგი დღემდე პატიმრობაში იმყოფება და მისი საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს.**

ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილს ირაკლი კოდუასა და მისი ოჯახის თავნებობა ყელში ამოუვიდა და იმიტომაც აყურყუტებსო ჟორჟოლიანს ციხეში. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ფაქტი მაგალითი ვერ გახდა კოდუას გარემოცვისთვის.

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მუჰამედ ზია-ულ-ხაკი:

# ხალხს ფიქრის უფლება არ აქვს!

**მან 1977 წელს თავისი მფარველის, ქვეყნის მოქმედი მმართველის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალებას უხელმძღვანელა, მოქმედი ხელისუფლება დაამხო, თავისი რწმენის — ისლამის ერთ-ერთი ფუძემდებლური კანონის დარღევით სიკვდილით დასაჯა ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე გზას უკვალავდა, და პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური გახდა. მან გაანადგურა ქვეყნის კონსტიტუცია და ამით გატეხა ფიცი, რომელიც როგორც სამხედრო პირმა ამ კონსტიტუციის წინაშე დადო. მან ქვეყნის უმთავრეს კანონად შარიათი, ცხოვრების წესად კი ადამიანთა სახალხოდ წამება და სიკვდილით დასჯა აქცია.**





მუჰამედ ზია-ულ-ხაკი 1924 წელს ჯალანდხარაში, ამჟამად ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქში, დაიბადა. მამამისი გადამდგარი ოფიცერი იყო და შვილისთვისაც სამხედრო გზა არჩია. დაამთავრა რა სასწავლებელი, 1942 წელს, ზია-ულ-ხაკი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში მოხვდა და ბირმაში, მალაიესა და ინდონეზიაში იაპონიის ჯარის წინააღმდეგ გამართულ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდა.

1947 წელს ბრიტანეთი იძულებული გახდა, ინდოეთისათვის დამოუკიდებლობა მიეცა, მაგრამ ოკუპანტებმა, რომლებიც მოსახლეობის ორი ძირითადი რელიგიური კუთვნილების — ინდუსებისა და მუსლიმანების დაპირისპირებით სარგებლობდნენ, ქვეყანა საბოლოოდ გახლიჩეს ორად. ინდოეთი და პაკისტანი განცალკევდა. **განმათავისუფლებელ მოძრაობაში ზია-ულ-ხაკი არ მონაწილეობდა — მას ინგლისელების მმართველობა ძალიანაც მოსწონდა და როგორც მეგობრებს სწერდა, თვლიდა, რომ „მხოლოდ თეთრკანიანი ადამიანის გონებას და დასავლეთის ტექნიკას შეუძლია აღმოსავლეთში წესრიგის დამყარება“.**

1955 წელს კვეტაში საშტაბო კოლეჯი დაამთავრა და მოგვიანებით, უკვე მაიორის წოდებით, ორჯერ იმყოფებოდა აშშ-ში საშტაბო ოფიცრების კურსებზე. „ინგლისი კარგავს მნიშვნელობას, ამერიკაზე უნდა მოვახდინოთ ორიენტირება“, — ამბობდა მაიორი ზია და უკვე მაშინ ფიქრობდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ კარიერაზეც. **უეშმაკო, კეთილსინდისიერი და ოდნავ შეზღუდული შესაძლებლობების მებრძოლის ნიღაბქვეშ იმალებოდა ნამდვილად მოხერხებული სტრატეგი, რომელიც ცდილობდა, დიპლომატიასა და პოლიტიკურ ბრძოლაშიც სამხედრო ტაქტიკა გამოეყენებინა. პაკისტანში მომხდარი მრავალრიცხოვანი სამხედრო გადატრიალება მისთვის ერთგვარი პოლიტიკური სკოლა იყო — ზია-ულ-ხაკი ჯიუტად მიიწევდა უმაღლესი სამხედრო წოდებებისაკენ და თავის დროს ელოდა.**

1964 წელს პოდპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და კვეტას პროვინციაში შტაბის ინსტრუქტორად გაამწესეს. 1966-1968 წლებში ჯავშანსატანკო დივიზიას ხელმძღვანელობდა, სამსახურებრივ კიბეზე ალმასვლას განაგრძობდა და ეშმაკურად მოქმედებდა — **ერთის მხრივ პრემიერ-მინისტრის მიმართ „ლოიალობას“ მთელი ძალით გამოხატავდა, მეორეს მხრივ კი შეთქმულების ძაფებს ხლართავდა.** სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდში მისი კარიერა ერთბაშად შემობრუნდა.

იმ ტრიბუნალის თავმჯდომარეობისას, რომელიც 1973 წლის ანტისახელისუფლო სამხედრო შეთქმულების საქმეს განიხილავდა, ზია-ულ-ხაკმა სამხედრო ძალების დეპოლიტიზირების მწვავე გულშემატკივრად წარმოაჩინა თავი და შედეგიც უმალ მიიღო — მასზე ზემდგომი რამდენიმე გენერლის გვერდის ავლით 1976 წლის მარტში სახმელეთო ჯარების შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა. აქედან პოლიტიკურ ოლიმპამდეც სულ ცოტაღა იყო დარჩენილი — ბხუტოს ჩამოშორება. **ბხუტომ, რომელმაც თავად მოინდომა ზიას ამ თანამდებობაზე დანიშვნა, მასში მომავალი სამხედრო დიქტატორი ვერ ამოიცნო და ეს შეცდომა ძვირადაც დაუჯდა.**

შესაფერისი მომენტი 1977 წლის ზაფხულში დადგა. წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლო და ოპოზიციურ პარტიებს შორის მწვავე დაპირისპირებამ ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზაცია განაპირობა. **მოწინააღმდეგეები ბხუტოს არჩევნების შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ და ზია-ულ-ხაკმაც სწორედ ამით ისარგებლა — სათავეში ჩაუდგა თავისი მფარველის საწინააღმდეგო შეთქმულებას და დაამხო კიდეც.**

პირველი, რაც დიდი წარმატებით განახორციელა, ქვეყნის კონსტიტუციის ლიკვიდაცია იყო, იმ კონსტიტუციისა, რომლის დაცვის ფიციც, როგორც სამხედრო პირს, ჰქონდა დადებული. ადამიანის უფლებებს ყოველი მხრიდან უტევდნენ. **პირველ რიგში, უმაღლესი სასამართლო დაიქვემდებარა და მას სამხედრო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადახედვის უფლება ჩამოართვა.** სამოქალაქო თანამდებობების უმეტესობა სამხედრო პირებს ჩაბარდა, ყველა, ვისაც რაიმე პრეტენზია ჰქონდა ადმინისტრაციის საშინაო ან საგარეო პოლიტიკის მიმართ, შინა პატიმრობაში აღმოჩნდა.

**„ხალხს არ აქვს უფლება, იფიქროს და გადაწყვეტილება მიიღოს“ — ეს ზია-ულ-ხაკის ერთადერთი კანონი იყო. ამ კანონის ცხოვრებაში დანერგვის მეთოდებს კი წინა სამხედრო დიქტატორებს დაესესხა, სახალხოდ აწამებდა და სიკვდილით სჯიდა ყველას, ვისაც ვერ იმორჩილებდა.**

ზიას აზრით, ხალხს არა მხოლოდ სიმართლის თქმის, მისი მოსმენისა და წაკითხვის უფლებაც კი არ ჰქონდა. ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რეფორმას ემსხვერპლა. ჟურნალისტების **ყრილობაზე დიქტატორმა მათ „მამაშვილურად“ აუხსნა: „უნდა გესმოდეთ, რომ ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა, პაკისტანს ბევრი მტერი ჰყავს, ამიტომ ჟურნალისტებს თავშეკავების გამოვლენა გმართებთ“. ვინც გაიგო — გადარჩა.**



**ზია-ულ-ხაკმა, რომელიც მსოფლიოს ისლამის ერთგულებას ეფიცება, ისლამის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი დაარღვია — თავისი კეთილისმყოფელი სიკვდილით დასაჯა**

გადატრიალების შემდეგ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბხუტო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურების ბრალდებებით დააპატიმრეს. **ზია ყველანაირად ეცადა, რომ მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ და 1979 წლის აპრილში სასამართლოს სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს — ბხუტო ჩამოახრჩეს. მაშინ გაზეთ „ნიუ -იორკ თაიმსში“ პაკისტანელი ჟურნალისტი ე. ახმადი წერდა, რომ ზია-ულ-ხაკმა, რომელიც მსოფლიოს ისლამის ერთგულებას ეფიცება, ისლამის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი დაარღვია — თავისი კეთილისმყოფელი სიკვდილით დასაჯა.**

ზიას კი წარბიც არ შეუხრია, ისე დაიწყო წესრიგის დამყარება. ყველა სირთულიდან ერთადერთი გამოსავალი ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს ისლამიზაცია გახდა. იგივე მიდგომა იყო სახელმწიფო კურსის საფუძველიც. ღვთისმოშიშმა გენერალმა, პირველ რიგში, შარიათის კანონების აღორძინება დაიწყო. სახალხო გაროზგვა, ქურდისათვის ხელის მოკვეთა და მისთანანი თავიდან სასაცილოდაც კი ჩანდა. **ევროპაში განათლებამიღებული არისტოკრატი ბხუტოს შემდეგ, რომელიც თავდაჯერებული და ღირსეული ფიგურა იყო როგორც გაეროს ტრიბუნაზე, ასევე პაკისტანის მიყრუებული რაიონების მიტინგებზე, ზია-ულ-ხაკი აბსოლუტურად შემთხვევით და სასაცილო პერსონად აღიქმებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს შემთხვევითი ადამიანი ხელისუფლების არაერთ კრიზისს დაძლევდა, ქვეყნის შედარებით სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას მიაღწევდა და მმართველად უფრო მეტი ხნით დარჩებოდა, ვიდრე ვინმე ოდესმე ყოფილა.**

როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლისას ზია-ულ-ხაკს მოქმედების გეგმა საერთოდაც არ გააჩნდა და იძულებული იყო, გზადაგზა ეწერა. მეთოდების გამოცდა პირდაპირ ცხოვრებაში ხდებოდა, არც თუ იშვიათად გადაწყვეტილებები უქმდებოდა. **საზეიმო ვითარებაში დადებული პირობების შესრულების დრო რომ დგებოდა, ირკვეოდა, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანი მიზეზების გამო ამ პირობის შესრულება შეუძლებელი იყო.**

მისი მმართველობისას კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მთავრობა პირდაპირ ყიდულობდა არა მხოლოდ ცალკეული პირების, არამედ მთელი დაჯგუფებებისა და ხანდახან ეთნოსის ლოიალობასაც.

როგორც ჩანს, თავად ზია-ულ-ხაკს გულწრფელად სჯეროდა, რომ პაკისტანში სტაბილურობის შენარჩუნება და ეფექტური მართვა მხოლოდ სამხედროებს შეეძლოთ. 1979 წლის ბოლოს ქვეყანაში ყველანაირი პოლიტიკური მოღვაწეობა აიკრძალა, მაგრამ ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა დიქტატორის მომხრე მემარჯვენე-კონსერვატორულ და რელიგიურ-თემურ გაერთიანებებზე. იმავე წელს განუსაზღვრელი ვადით გადაიდო საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ **ზია ცდილობდა, ხალხი აჯანყებამდე არ მიეყვანა და რეგულარულად ატარებდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ხვდებოდა სტუდენტებს, მუშებს, გლეხებს, რელიგიურ მოღვაწეებს. ცხადია, ეს ყველაფერი ცალსახად დეკორაციული ხასიათისა იყო, მაგრამ არც თუ ცოტა ადამიანს ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ილუზია უჩნდებოდა.**

ზიამ ოქროს შუალედი დაიჭირა სახელმწიფო და კერძო კაპიტალის დაბალანსებისას და შეიძლება ითქვას, რომ ერთდროულად სახელმწიფო საწარმოებისა და კერძო ბიზნესის შედარებით გამოცოცხლებას მიაღწია. პარალელურად კი კანონების ისლამიზაციისა და შარიათის მეთოდების დანერგვის პროცესი უკმაყოფილოებისა და სხვაგვარად მოაზროვნეების „სახელმწიფოსკენ შემობრუნების“ საქმეში ახალ-ახალ შესაძლებლობებს აჩენდა. ლიბერალური ინტელიგენცია შარიათმა დაადუმა, მაგრამ ზია მუდმივად ადევნებდა თვალს, რომ მუსლიმან ფუნდამენტალისტებს ისლამიზაციის ატმოსფეროში პოლიტიკური ინიციატივების ხელში ჩაგდება არ მოსვლოდათ აზრად.

ის იღბლიანი იყო. მისი მმართველობისას პაკისტანს გვერდი აუარა და მეზობლებზე გადატყდა ყველა სტიქიური უბედურება, თავად პაკისტანში კი ყოველწლიურად მოსავლის ახალი რეკორდი მყარდებოდა. საბოლოოდ მისთვის ბედის ნამდვილ საჩუქრად იქცა 70-იანი წლების დასასრულს ერაყსა და ავღანეთში განვითარებული მოვლენები — პაკისტანი, ერთის მხრივ, აშშ-ის, მეორეს მხრივ კი, საბჭოთა კავშირის მოკავშირედ იქცა. **ამერიკის მიერ შეთავაზებულ პირველ დახმარებას, 400 მილიონ დოლარს, ზიამ თხილის საყიდელი ხურდა უწოდა და არ მიიღო. გენერალმა მშვენივრად იცოდა, რომ აშშ-ს პაკისტანი ძალიან სჭირდებოდა და იძულებული გახდებოდა, ჯიბეში უფრო ღრმად ჩაეყო ხელი. არც შემცდარა — შემდეგი წინადადება 3,2-მილიარდიანი „დახმარების პაკეტი“ გახდა.** „ჭირსა და ლხინში მეგობრად“ მოიხსენიებდა ჩინეთს, რომლისგანაც მნიშვნელოვანი დახმარება შეიარაღების განახლებისას მიიღო.

**1979 წლის დასასრულს, 1983 წლის აგვისტო-ოქტომბერსა და 1986 წლის აგვისტო-სექტემბერში სოციალური პროტესტის სახიფათო ამოფრქვევები ჩაახშო და უკვე 1986 წლისათვის მის რეჟიმს ლამის მუდმივობის გარანტია ჰქონდა — არა მხოლოდ მომხრეები, არამედ მტრებიც გენერალს აღიარებდნენ ვირტუოზ პოლიტიკოსად, რომელიც ნებისმიერი კრიზისიდან კიდევ უფრო გაძლიერებული გამოდიოდა.**

1984 წელს ისლამიზაციის პოლიტიკისადმი დამოკიდებულების დასადგენად რეფერენდუმი ჩაატარა. საკითხის დადებითად გადაწყვეტა მისი, როგორც პრეზიდენტის, უფლებამოსილების ხუთი წლით გახანგრძლივებას ნიშნავდა. მანდატის უპრობლემოდ გაგრძელების შემდეგ კი, როგორც იქნა, გარისკა საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. **მისმა ოპონენტებმა კანდიდატების წარდგენაზე უარი განაცხადეს და ამომრჩევლებს ბოიკოტისაკენ მოუწოდეს, მაგრამ ამით მხოლოდ საქმე გაუმარტივეს სამხედრო ადმინისტრაციას. ახლადარჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციის მერვე შესწორება დაამტკიცა, რითაც სამხედრო ადმინისტრაციის 1977-1985 წლების ქმედებები სასამარლო გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1985 წლის 30 დეკემბერს, ზია-ულ-ხაკმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გააუქმა, მაგრამ აბსოლუტურად ცხადი მინიშნებით, რომ ეს მხოლოდ სიმბოლური აქტი იყო და არა ცხოვრების წესის რამენაირად შეცვლის საფუძველი.**

დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ზიას სამოქალაქო პარტნიორებსა და, პირველ რიგში, მის მიერ დანიშნულ პრემიერ-მინისტრს მეორეხარისხოვან როლებში ყოფნა მობეზრდათ და გარკვეულწილად გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება მოინდომეს. შედეგად, **1986 წლის 29 მაისს დაითხოვა პარლამენტის ქვედა პალატა, პრემიერ-მინისტრი, მათთან ერთად კი ცენტრალური და პროვინციული მთავრობებიც, ზია-ულ-ხაკმა ფაქტიურად მეორე სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. ქვეყანამ ათწლეულებით დაიწია უკან და ისევ იმ მდგომარეობას დაუბრუნდა, როდესაც ქვეითი ჯარის შტაბის მეთაური საკუთარ თავს მთავარ ადმინისტრატორს, შემდეგ კი პრეზიდენტს უწოდებდა და ერთპიროვნულად ითავსებდა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს.** ყველაფერი თავიდან დაიწყო ნაცნობ რეჟიმში, ნაცნობი სცენარით. ერთადერთი რამ შეიცვალა: მისი სურვილი — შარიათი ქვეყნის უმაღლეს კანონად ექცია — თვით რელიგიური პარტიების მხრიდანაც კი პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების ხერხად ფასდებოდა.

**1988 წლის 17 აგვისტოს ზია-ულ-ხაკი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მიუხედავად ჩატარებული არაერთი გამოძიებისა, ამ ავარიის მიზეზების შესახებ ინფომაციის მოძიება ვერ მოხერხდა.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ანვარ ალ-ავლაკი — ახალი «№1 ტერორისტი»



**თანამედროვე მსოფლიოს „ № 1 ტერორისტის“, „დედამიწაზე ბოროტების განსახიერების“ ახალი სახელის დამახსოვრება მოუწევს. მან ეს წოდება უსამა ბენ ლადენისგან მემკვიდრეობით რამდენიმე დღის წინათ მიიღო, მას შემდეგ, რაც ამერიკის სპეცსამსახურებმა ყველაზე საშიშ ტერორისტთა ახალი სია შეადგინეს. სპეციალისტების შეფასებით, ალ-ავლაკი ამ ეტაპზე უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის, ვიდრე ბენ ლადენი. და რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ახალი „№1“ წარმოშობით იემენელი ამერიკელია.**



39 წლის ანვარ ალ-ავლაკი პირველ ადგილზეა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შედგენილ იმ პირთა სიაში, რომლებიც ტერორისტული საქმიანობის გამო იძებნებიან და დაუყოვნებლივ განადგურებას ექვემდებარებიან. აქამდე მსგავს სიებს სათავეში მუდამ ბენ ლადენი ედგა. დღეს კი ალ-ავლაკი ყველაზე ცნობილი რადიკალი ისლამისტია, რომელიც ტერორიზმის პროპაგანდისა და დასავლეთთან საბრძოლველად ფანატიკოსების მობილიზებისთვის ყველაზე აქტიურად იყენებს ინტერნეტსა და ვიდეოტექნიკას. **მხოლოდ პოპულარულ ქსელ Youtube-ზე ბოლო დრომდე ალ-ავლაკის ლექციების 1900 ვიდეორგოლი იდო. ამ რგოლებში კი ძალზე ხშირად ისმის შემდეგი მოწოდებები: „მივმართავ აშშ-ის ყველა მუსლიმანს, რა სინდისი გაძლევთ უფლებას, მშვიდობიანად იცხოვროთ ხალხთან, რომელიც თქვენი დებისა და ძმების წინააღმდეგ განხორციელებულ ტირანიასა და დანაშაულებზე არიან პასუხისმგებელნი? როგორ შეგიძლიათ, უერთგულოთ ხელისუფლებას, რომელიც ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ ომს აწარმოებს?“** ამერიკის სპეცსამსახურები უახლესი ტექნიკური საშუალებების გამოყენების მხრივ მას ყველაზე აქტიურ და გაცნობიერებულ ტერორისტად მიიჩნევენ. უამრავი ვიდეორგოლი, რომლებიც მან ინტერნეტში ტერორიზმის პროპაგანდის მიზნით განათავსა, გაჯერებულია ამერიკელი ჯარისკაცების დახოცვის მოწოდებებით. მთელ ვირტუალურ ქსელში მიმოფანტული ამ მასალის გარდა, ალ-ავლაკს საკუთარი ბლოგიც აქვს.

მისი მშობლიური ენა ინგლისურია და სწორედ მისი ინტერნეტაქტივობის მიხედვით დაასკვნეს ამერიკის სპეცსამსახურებმა, რომ **ალ-ავლაკი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე სადღაც ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე მდებარე რომელიღაც გამოქვაბულში დამალული ბენ ლადენი, რომელიც დროდადრო „მორალურად მოძველებული“ ვიდეოგზავნილებითღა ახსენებს მსოფლიოს საკუთარ არსებობას. ალ-ავლაკი კი სულ სხვა თემაა. ის მიმდინარე მოვლენებზე უსწრაფესად რეაგირებს და განსახორციელებელი ტერაქტების შესახებ ინფორმაციას შემსრულებლებს საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად აწვდის.**

ის პროპაგანდისტული ლექციების მეშვეობით ექსტრემისტთა რიგებში ევროპელი და ამერიკელი ახალგაზრდების ჩათრევას ცდილობს. **თითქმის ყველა ტერორისტი, ვინც ბოლო დროს დასავლეთის ქვეყნებში ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა ან რაიმე მსგავსს თუნდაც წარუმატებლად ცდილობდა, ალ-ავლაკის გავლენით ან მისი უშუალო მითითებით მოქმედებდა. უკლებლივ ყველას ან პირდაპირი კავშირი ჰქონდა მოძღვართან, ან მისი ჩანაწერების ვიდეოკასეტების არსენალი აღმოაჩნდა.** მისი ვიდეოჩანაწერები მეჩეთებში, დიდი ხანია, ვრცელდება. ამდენად, ვიდრე „მსოფლიოს №1 ტერორისტი“ გახდებოდა, დიდი ხნით ადრე იყო ალ-ქაიდას პირველი იდეოლოგი და გადამბირებელი.

**ჯერ კიდევ აპრილში ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების სამ მონაწილესთან კავშირის გამო ალ-ავლაკის განადგურების სანქცია გასცა. ამერიკის სპეცსამსახურების ინფორმაციით, მას კავშირი ჰქონდა ნიგერიელ უმარ ფარუკ აბდულმუტალაბთანაც, რომელიც 2009 წლის 25 დეკემბერს ამსტერდამ-დეტროიტის რეისის თვითმფრინავის აფეთქებას ცდილობდა.**

ალ-ავლაკს, როგორც სპეცსამსახურები ირწმუნებიან, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ამერიკული ჯარის მაიორთან, მალიკ ჰასანთანაც, რომელიც ისლამური ექსტრემიზმის იდეებს იზიარებდა. **მაიორმა გასული წლის შემოდგომაზე სწორედ რადიკალური ისლამიზმის იდეების საფუძველზე თავისი ჯარისკაცები დაცხრილა. მაშინ ტეხასის ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაზე 13 ჯარისკაცი მოკვდა.**

ანვარ ალ-ავლაკი ამერიკაში, ნიუ-მექსიკოს შტატში, წარმოშობით იემენელი ცოლ-ქმრის ოჯახში მოევლინა ქვეყანას. საშუალო განათლების მიღების შემდეგ კოლორადოს შტატის უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ მშენებლობას ნგრევა ერჩია, სამეცნიერო ან სამ-

**უამრავი ვიდეორგოლი, რომლებიც მან ინტერნეტში ტერორიზმის პროპაგანდის მიზნით განათავსა, გაჯერებულია ამერიკელი ჯარისკაცების დახოცვის მოწოდებებით**

რეწველო საქმიანობა კი საერთოდ არ აინტერესებდა. **მიუხედავად ამისა, ამერიკის ელიტური უნივერსიტეტები დაამთავრა და რელიგიის შესწავლა მექასა და მედინაში საერთო გაკვეთილებზე დაიწყო. შემდეგ დადიოდა შეიხ უსაიმინის საერთო გაკვეთილებზეც, გარდა ამისა, გაიარა სწავლება არაერთ იმამსა და შეიხთან, რომლებმაც იჯაზა (მოწმეობის გადაცემა) მისცეს. დიდხანს სწავლობდა, ცხოვრობდა და ყველგან თან დაჰყვებოდა შეიხ ჰასან ალ-ახდალას.**

2002 წელს იემენის იმანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან მიიღო ნებართვა, დასწრებოდა ნებისმიერი დონის ნებისმიერი კლასის ლექციებს, რის შედეგადაც დიდი სარგებელი მიიღო უნივერსიტეტის რექტორის შეიხ აბდულ მაჯიდა აზ-ზინდანისაგან.

გარდა ზემოხსენებულისა და კიდევ არაერთი იჯაზისა, აქვს ყურანის, ხადისახის, ტაფსირის, ფიკხის, უსულ ფიკხის იჯაზებიც. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გახდა რადიკალური ისლამის მიმდევარი და კოლორადოს შტატის ორი ქალაქის — სან-დიეგოსა და ფორტ-კოლინზის მეჩეთებში თავის იდეების ქადაგება დაიწყო.

**გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 1999 წელს იეჭვა, რომ ალ-ავლაკს კავშირი ჰქონდა ალ-ქაიდას ერთ-ერთ ემისართან, რომელიც თავად უსამა ბენ ლადენს თანამგზავრული კავშირით უზრუნველყოფდა. მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაშინ უკვე დაკავებულ ახლანდელ „№1“-ზე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ბრალის წასაყენებლად აუცილებელი მტკიცებულებები ვერ მოიძია და საქმე დაიხურა. ალ-ავლაკი კი გაათავისუფლეს.**

2001 წელს ალ-ავლაკი ვირჯინიის შტატის ქალაქ გრეიტფოლსში მდებარე მეჩეთის იმამი იყო. მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებს მიესალმებოდა, მისით კვლავ დაინტერესდნენ გამოძიების ფედერალური ბიურო და ამჯერად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც. დაინტერესდნენ, მაგრამ უფრო წინ საქმე არც ამჯერად წასულა, 2002 წელს კი რადიკალური მოძღვარი ამერიკიდან გაემგზავრა.

ერთი წლის შემდეგ ის ერაყში იმყოფებოდა და სხვა რადიკალ ისლამისტებთან ერთად ქვეყნის ოკუპანტ ამერიკულ ჯარს ებრძოდა. ამის შემდეგ კი წინაპრების სამშობლოში — იემენში გაემგზავრა.

**2004 წელს მსოფლიოს მეორედ მიეცა შანსი, თავიდან აეცილებინა დღევანდელი თავისტკივილი — ალ-ავლაკი იემენში დააკავეს და ამავე ქვეყნის ციხეში თითქმის ერთი წელი გაატარებინეს, მაგრამ ტერორიზმში მისი დადანაშაულება მაინც ვერ მოახერხეს და კვლავ გაათავისუფლეს.**

ამის შემდეგ ალ-ავლაკზე მხოლოდ ლეგენდები ისმის. ხანდახან ირწმუნებიან, რომ ის ისევ იემენშია და თითქოს ნახეს კიდევაც. ზოგიერთის მტკიცებით — სომალში იმალება, ზოგს კი ბრიტანეთშიც უნახავს. **გასული წლის ბოლოს იემენის სპეცსამსახურებმა ზარ-ზეიმით აცნობეს მსოფლიოს, რომ ალ-ავლაკი ლიკვიდირებულია, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ის, ვისი ლიკვიდირებაც იემენის სპეცსამსახურებმა განახორციელეს, ალ-ავლაკი არ იყო.**

გარდა ამისა, ალ-ავლაკს, როგორც რადიკალ ისლამისტს, გაცილებით „სუფთა“



ბიოგრაფია აქვს, ვიდრე ბენ ლადენს, რომელმაც განათლება ლონდონში მიიღო, „არსენალის“ საფეხბურთო გუნდის გულშემატკივარი გახდა, 1980-იან წლებში კი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ის სპეცსამსახურებთან. მსგავს საეჭვო გვერდებს ალ-ავლაკის ბიოგრაფიაში ვერავინ მიაგნებს. **ამდენად, „ჩაძინებული ურჩხული“ ბენ ლადენი, ტერორიზმის თვალსაზრისით და ანტიტერორისტების გულის გასახეთქად, მასზე ბევრად უფრო დახვეწილმა და უნაკლო პერსონამ ჩაანაცვლა.**

ამ ადამიანს გადაბირების უბადლო ნიჭი და საამისოდ აუცილებელი სათანადო განათლება აქვს. როგორც ამერიკის სპეცსამსახურების ინფორმაციებიდან ირკვევა, ნიუ იორკის 11 სექტემბრის ტერაქტის შემსრულებელთაგან ორი მფრინავი, რომლებმაც საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობისაკენ აიღეს გეზი, ვირჯინიის შტატის იმ მეჩეთში ლოცულობდა, სადაც იმამი ალ-ავლაკი გახლდათ.

**დაახლოებით ორი თვის წინათ ალ-ქაიდამ გადაწყვიტა, ჟურნალისტიკით დაკავებულიყო და სახელწოდებით „Inspire“ საკუთარი ინტერნეტ-ჟურნალი გამოსცა. ეს ალ-ქაიდასათვის საკუთარი იდეოლოგიის პროპაგანდისა და ჯიჰადის ახალი მომხრეების გადაბირების ინგლისურენოვანი იარაღია. 67-გვერდიან ჟურნალში დეტალურად ასწავლიდნენ, „როგორ უნდა დაამზადო ბომბი დედაშენის სამზარეულოში“.** ეს ალ-ქაიდას პირველი ინგლისურენოვანი მასიური გადაბირების მცდელობა იყო. ინტერნეტგამოცემა იემენში დაფუძნდა და მისი ერთ-ერთი მთავარი და მუდმივი ავტორი შეიხი ანვარ ალ-ავლაკი გახლავთ. პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო მასალას, რომელსაც ალ-ავლაკი აწერს ხელს, საშინელი სათაური აქვს „დაე ჩვენი სულები მსხვერპლად შეგეწიროს!“.

**ბოლო დროს ალ-ავლაკის სახელთან დაკავშირებით სკანდალი მაშინ მოხდა, როდესაც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ამერიკის სასამართლო სისტემისაგან კატეგორიულად მოითხოვა, არ განიხილონ მსოფლიოს ახალი №1 ტერორისტის, ალ-ქაიდას მთავარი იდეოლოგის — ანვარ ალ-ავლაკის სარჩელი. მოსარჩელის აზრით, ამ სასამართლოზე მოპასუხეებად აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო, ცენტრალური სადაზვერვო დეპარტამენტი და პრეზიდენტი ბარაკ ობამა უნდა წარსდგნენ.** სარჩელი ალ-ავლაკის მამის სახელით ვაშინგტონის საოლქო სასამართლოშია შესული. მოსარჩელეები მოითხოვენ, რომ სასამართლომ აღმასრულებელ ხელისუფლებას აუკრძალოს სასიკვდილო იარაღის გამოყენება საბრძოლო მოქმედებების ზონის მიღმა აშშ-ის იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც მოწინააღმდეგის მხარეს იბრძვიან.

**გარდა ამისა, მოსარჩელეები მოითხოვენ, სახელმწიფოს დაეკისროს იმ სტანდარტების გამხელა, რომელთა მიხედვითაც სასამართლო სანქციის გარეშე ახორციელებს ამერიკის მოქალაქეების შეყვანას სიაში, რომლის წევრების მიმართაც ამერიკულ სპეცსამსახურებსა და ჯარებს უფლება აქვთ, ბრძოლის ველის გარეთაც გამოიყენონ გამანადგურებელი იარაღი. მოსარჩელეების განცხადებით, ეს ამერიკის კონსტიტუციის, ქვეყნის სხვა კანონებისა და საერთაშორისო უფლებების დარღვევაა.**

მოგვიანებით სარჩელის განხილვაზე სასამართლოს უარის თქმა სთხოვა თეთრი სახლის ადმინისტრაციამაც, ვინაიდან ამ საქმის მოსმენა სახელმწიფო საიდუმლოებათა გახსნას განაპირობებს.

**67-გვერდიან ჟურნალში დეტალურად ასწავლიდნენ, «როგორ უნდა დაამზადო ბომბი დედაშენის სამზარეულოში»**

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# ჩაძირული და გადარჩენილი ძეგლები

## თრიალეთი

**თუ წინა მოგზაურობის დროს თრიალეთში ქციის ხრამიდან შევედით, ამჯერად ალგეთის ხეობიდან ვცადოთ ბედი. აქედან ორი გზა მიემართება: ერთი — კლდეკარიდან (იგი ადრე უმთავრესი გზა იყო, ახლა კი მხოლოდ ტურისტული ბილიკია), მეორე — გოხნარიდან, რომელიც თრიალეთთან და ჯავახეთთან დამაკავშირებელ უმთავრეს საავტომობილო ტრასად ყალიბდება.**





ჩაძირული ეკლესია და მისი წარწერა

ფაქტობრივად, თრიალეთი სწორედ გოხნარიდან იწყება. აქ არსებული ტაძრის ბალავრის წარწერაში თრიალეთის მფლობელი ოჯახის — ბაღვაშების სახელებია ჩამოთვლილი: ლიპარიტ IV, მისი ძე — რატი და შვილიშვილი ივანე (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 2009 წ. №31 გვ. 26).

ამ მიმართულებით თრიალეთის მომდევნო სოფელი იმერაა, მაგრამ ეს სახელწოდება შედარებით ახალია და ბერძნული გახლავთ. ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობის ჟამს მას საბოზკურო ან მეთრევანა უნდა რქმეოდა. საერთოდ, დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული, თრიალეთი უმეტესად სამეფო დომენი გახლდათ. ამიტომ არის, რომ 1678 წელს ეს სოფლები თავისი მიწებითა და ეკლესიებით გიორგი XI-ს მანგლისის ტაძრისთვის შეუწირავს. ამჟამად აქ უმეტესად აჭარიდან მოსული ქართველობა ცხოვრობს, წარსულის მოძიება კი მხოლოდ ურუმ-ბერძნების მიერ 1891 წელს აგებული მოზრდილი საყდრის ქვებში შეიძლება.

**საქმე ის არის, რომ ურუმებს თავიანთი ეკლესია ნაწილობრივ იმ უძველესი ქართული საყდრის ქვებით აუგიათ, რომელიც აქ დახვედრიათ. ეს რომ ასეა, ამას 3 საბუთი ამტკიცებს:**

სამხრეთ კედლის ქვათა წყობის ქვედა რეგისტრში ქართული ასომთავრულით დაწყებული წინადადება, მეორე ქვის დაკარგვის გამო, აღარ სრულდება. წინადადების ფრაგმენტი კი ასეთია: „ქრისტე შეიწყალე ს...“ იგივე მდგომარეობაა ჩრდილოეთ კედლის ქვედა წყობაში, სადაც რომელიღაც წინადადების ნაწყვეტია: „მშობელთა“...

მესამე და უმთავრესი საბუთი გალავანში ჩადებული ის ლოდია, რომელიც 100 წლის წინათ, ექვთიმე თაყაიშვილს ეზოში დაგდებული უნახავს. იგი უდავოდ ძველი საყდრის კუთვნილებაა, ზედ გამოქანდაკებული სამი ჯვარი კი გვეუბნება, რომ ტაძარი წმინდა სამებისა ყოფილა. წარწერის ზედა სტრიქონიც აკი ამას მოწმობს: „წმიდანი სამებანი“. ეკლესია რომ XI ს-შია აგებული, ტექსტში არსებული ლიპარიტ ბაღვაშის სახელი გვეუბნება: **„სახელითა ღმრთისაითა აღვაშენეი ესე საყდარი ზეობასა, ადიდენ ღმერთმან, ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა, ხელითა გიორგი ხუცისა, ფრიად ცოდვილისაითა. ქრისტე, შეიწყალე სული მაკარისაი და სული გიორგი ხუცისაი“.**

ვფიქრობთ, რომ ეს ქვა ძველი ტაძრის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე უნდა ყოფილიყო ჩასმული, რადგან ზომით ბალავრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს (ამის მაგალითია დიდი თონეთის „სამების“ ეკლესია). ასევე დასაშვებია, რომ სამების ტაძრის ბალავარი შეიძლება ყოფილიყო ახლანდელი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ჩასმული ვეება ქვა. მას, იოლი დასაშვებია, მეორე მხარეს რაიმე ნიშანი ან, სულაც, წარწერა ჰქონდეს. ზევით მოტანილ წარწერის ტექსტში ნახსენები ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი რომ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ლიპარიტ IV ბაღვაშია, ამაში სულ მალე დავრწმუნდებით.



იმერა. „სამების“ წარწერიანი რელიეფი



ახალი შიპიაკის ტაძარი

წმინდა ექვთიმე ბრძანებს, რომ იმერიდან სოფელ ახალიკისაკენ მიმავალი გზის მე-2 კილომეტრზე კიდევ ერთი დანგრეული ეკლესიაა, რომლის წარწერაში ქტიტორის სახით იგივე ლიპარიტ ბაღვაშია მოხსენიებულიო. იმერიდან ახალიკის მიმართულებით, ძველი გზის მე-2 კილომეტრზე ამჟამად სოფელი შიპიაკია.

სოფელში შემორჩენილი ურუმთა ერთადერთი ოჯახის უფროსმა სტეფან ჩარჩიევმა არა მარტო აქ არსებული ეკლესია გვიჩვენა, არამედ ორი შიპიაკის თაობაზეც გვესაუბრა.

ჩვენ, თურმე, ახალ შიპიაკში ვიმყოფებოდით, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დასახლებულა და ამდენად მისი არსებობა ექვთიმე თაყაიშვილს არ ეცოდინებოდა. ამიტომაა, რომ იგი იმერის მახლობლად მდებარე ტაძრის კოორდინატებად სოფელ ახალიკთან სიახლოვესა და ბარათაშვილთა ყოფილ მამულს ასახელებს.

ახალი (ძველი აღარ არსებობს) შიპიაკის ზედა უბანში, ანუ იგივე ბარათაშვილთა მამულში, მდგარი ის საყდარი, რომელსაც იმერის პარალელურად ახსენებს ექვთიმე თაყაიშვილი, თითქმის, სრულად დანგრეულა, მაგრამ წარწერები მაინც გადარჩენილა. არადა, თუ დასავლეთ სარკმლის შემორჩენილი საპირის ნაშთით ვიმსჯელებთ, იგი საკმაოდ მოხდენილი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ საპირეს შემოუნახავს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა: **„ქ. შეიწყალე ბათურაი და ივანე — ძმაი მისი და მამაი მათი გაბრიელ ხუცესი“.** მთავარი წარწერა ბალავარზეა ამოკოდილი: **„ქრისტე, ადიდენ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი, ძე სულკურთხეულისა ლიპარიტისა“.**

ლიპარიტი — ძე სულკურთხეული ლიპარიტისა მხოლოდ ლიპარიტ IV ბაღვაში შეიძლება იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც იმერის, ისე ახალი შიპიაკის ტაძარი ერთ პერიოდში — XI საუკუნეშია აგებული.

ბუნებრივია, რომ მკითხველს ძველი შიპიაკის და მისი ტაძრების ბედიც დააინტერესებს. ისინი დღეს აღარ არსებობენ, რადგან წალკის წყალსაცავმა დაფარა. მათ შესახებ მომდევნო მოგზაურობისას ვისაუბრებთ, ახლა კი დროა წალკაში შევიდეთ.

დღევანდელ წალკას ადრე ეძანი რქმევია.

აქ, ძველი ქვის ხიდის ხიმინჯებზე, არათუ ექვთიმე თაყაიშვილის დროს, არამედ უახლოეს წარსულშიც, თურმე, 3 წარწერა ჩანდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუს სამხედროებს ხიდის მშენებლობაში რომელიღაც დანგრეული ეკლესიის თლილი, წარწერებიანი ქვები გამოუყენებიათ. წმინდა ექვთიმეს ვარაუდით, ეს ყოფილი წალკის, ანუ ამჟამინდელი გუნიაყალის, საკათედრო, გუმბათიანი ტაძრის ქვები უნდა იყოს. აი მათი ტექსტები:

**1) „სახელითა ღვთისაითა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმიდაი ესე ეკლესიაი, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისაი, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან სიგრძესა შინა ჟამთას ბაგრატ მეფეთა-მეფე სევასტოსი. ამინ“.**

**2) „მამად-მთავარი წურწყაბელი ერისთავი გრიგოლ... ...ლს მირიანის მშობელთა სასუფეველსა სულ...“**

როგორც ჩანს, ორივე წარწერა დღესაც ადგილზეა, ოღონდ მილამულია და არ ჩანს. ჩვენ მხოლოდ ჩუქურთმის და ერთიც თავდაყირა ჩადგმული ქვის ნახვა შევძელით, რომლის ტექსტი იმთავითვე ვერ იკითხებოდა.

მილამული წარწერის ტექსტი იმას გვეუბნება, რომ წმ. დემეტრეს სახელზე აგებული ეკლესიის აგების დროს კლდეკარის ერისთავთა ინსტიტუტი დასუსტებულია, რადგან ისინი აქ არ ჩანან. და მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატ IV-მ სევასტოსობა 1059 წელს მიიღო, ამ დროისათვის კლდეკარის მპყრობელი ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ IV დამარცხებული და თრიალეთიდან წასულია. შესაძლოა, მის ნაცვლად, თრიალეთს სწორედ ის მირიან თარხონის ძე განაგებდა, რომელსაც არა მარტო ძველი წალკის ეს ტაძარი აუგია, არამედ, მანამდე, ატენის ხეობაშიც გამოუჩენია თავი ვერეს საყდრის ხელახალი აღშენებით.

**რაკი ძველ წალკაზე (ამჟამინდელი გუნიაყალა) ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც ვიტყვით, რომ იგი თანამედროვე წალკიდან (ძველი ეძანი) დასავლეთით მდებარეობს და მისი ერთ-ერთი ტაძარი წყალსაცავშია ჩაძირული და ზამთრობით, წყლის დონის დაწევასთან ერთად, მთელი ტანით „ამოყვინთავს“ ხოლმე.** წალკის მამათა მონასტრის იღუმენი დავით დავითაშვილი და ბარეთის ეკლესიის მღვდელი თორნიკე ნაცვლიშვილი შარშან, მრევლთან ერთად, წყალში შევიდნენ, ჩაძირული ეკლესია დაათვალიერეს და ერთი წარწერიანი ქვაც ნახეს. ამ წარწერის ფრაგმენტის ფოტო, რომელიც დავით გოცირიძეს გადაუღია, პალეოგრაფ ვალერიან სილოგავას გადავეცით. მან ტექსტი ასე წაიკითხა:

**„წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე ცოდვილი სვიმეონ“.**

ადრინდელი წალკის სიძველეებიდან ასევე შემორჩენილა დიდი ქვაჯვარი, რომელიც ამჟამად საქართველოს მუზეუმში ინახება.

დღევანდელ წალკაში ორი ეკლესია დგას. ერთი ურუმთა მიერ აშენებული და გუმბათიანი, მეორე — მათ მიერვე უხეიროდ აღდგენილ-გადაკეთებული VI-VII საუკუნეების ქართული სამნავიანი ტაძარი, რომელიც 1-1,5 მეტრით მიწაშია ჩამჯდარი. „რესტავრატორებს“ რატომღაც გაუუქმებიათ დასავლეთის ცალთაღიანი და სამხრეთის ორთაღიანი კარიბჭეები, ხოლო ინტერიერი თეთრად და ლურჯად შეუღებავთ. ახლა ძნელი დასადგენია, ურუმებმა გადააკეთეს თუ ამ სამნავიან ეკლესიას ადრეც ერთიანი გადახურვა ჰქონდა ბოლნისის „სიონის“ მსგავსად.

ტაძრის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებში ძალიან საინტერესო რელიეფური გამოსახულებებია, ხოლო აქა-იქ ე.წ. ბოლნური ჯვრებია ჩასმული კედლებში.

დღეს აქ წალკის ღვთისმშობლის შობის მონასტერი მოქმედებს, რომელიც ოლიანგის მონასტრებთან და ქართველ მოახალშენეებთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებს თრიალეთის აღორძინებაში.





წალკის ძველი ტაძარი და აღმოსავლეთ ფასადის რელიეფი

**ბელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ახალქალაქი და ხერთვისი

**გენერალ-ლეიტენანტი ვასილ პოტო ცნობილია როგორც უაღრესად საინტერესო მწერალი და სამხედრო ისტორიკოსი, კავკასიის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებული რუსეთ-თურქეთის ომის აქტიური მონაწილე. მოგვიანებით იგი ხელმძღვანელობდა კავკასიის ოლქის სამხედრო-ისტორიულ განყოფილებას, სადაც თავის დროზე თავმოყრილი იყო მეტად მდიდარი საარქივო მასალა. როგორც ისტორიული პროცესების მკვლევარი და შემფასებელი, პოტო გამოირჩევა იშვიათი პირდაპირობითა და ობიექტურობით. თავის ხუთტომიან ნაშრომში „კავკასიის ომი“ იგი სამხედრო საქმის ჩინებული და მაღალი დონის სპეციალისტად გვევლინება. ამასთანავე, დასახელებულ ნაშრომში პოტო ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. ეს გარემოება, ვფიქრობთ, მიიპყრობს ჩვენი მკითხველის ყურადღებას.**



**მას შემდეგ, რაც 1828 წლის 23 ივნისს რუსული კოლონების შტურმის შედეგად დაეცა ყარსი, ახალი საომარი მოქმედებების დაწყებამდე თითქმის თვე გავიდა. ეს მთელმა რიგმა სერიოზულმა მიზეზებმა განაპირობა, რომელთაგან ზოგი აუცილებლობით და ზოგიც შემთხვევითობით იყო გამოწვეული.**

საქმე ისაა, რომ რუსულმა ჯარებმა ძლივსძივობით მოახერხეს თურქული სიმაგრეების აღება, მაგრამ გამარჯვების სიხარული მათ რუსულ ბანაკში არსებულმა უკიდურესმა გაჭირვებამ და მასზე დართულმა შავმა ჭირმა ჩაამწარათ.

ჯერ კიდევ ომის დაწყებისას დადიოდა ხმები, რომ ეს საშინელი ავადმყოფობა ცოტა ხნის წინათ თურქეთის არმიაში მძვინვარებდა და რომ არზრუმის საფაშოში ის ჯერაც გრძელდებოდა.

მაგრამ სიტუაცია არ ითმენდა და თანაც რუსეთის არმიას შეტევის ბრძანება უკვე მიღებული ჰქონდა. ამასთან, ყარსიდან დამაიმედებელი ინფორმაციები მოსდიოდათ. პასკევიჩს ატყობინებდნენ, რომ შვიდი თვის წინათ ციხესიმაგრეში მართლაც გაჩნდა ჭირი, მაგრამ ეს დაავადება მალევე ჩაცხრა და რომ მას შემდეგ შავი ჭირით არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა.

ასე რომ, ყარსის მოსახლეობის მხრიდან დაავადების გავრცელების საშიშროება მოსალოდნელი არ იყო. მაგრამ სამხედრო მდგომარეობამ ქალაქში დამხმარე ძალები არზრუმიდან მოიზიდა. მათთან ერთად მოვიდა შავი ჭირიც.

როცა რუსული არმია გამარჯვებას ზეიმობდა და სიამაყით უყურებდა აღებულ სიმაგრეებსა და ათასობით თურქ ტყვეს, როცა ძლევამოსილი და დაუმარცხებელი არმიის ჯარისკაცს გული სიამაყით ევსებოდა, უცებ 26 ივნისს ბანაკში საშინელი ამბავი გავრცელდა — ერთ-ერთ დაჭრილ თურქს შავი ჭირი აღმოაჩნდა. ამ საშინელი ამბის წინაშე ყველაფერი შებარბაცდა, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს საშინელება გვერდს არ აუქცევდა რუს ჯარისკაცებს. ბრძოლებში, განსაკუთრებით შეტაკებებისას, გამორიცხული იყო, არ შეხებოდნენ შავი ჭირით დაავადებულებს, რადგან ჯარისკაცები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ თურქებთან, ართმევდნენ ცხენებს, იჭრებოდნენ მათ სახლებში, ისაკუთრებდნენ სხვადასხვა ნივთს... ბევრ მათგანს უკვე შეყრილი ჰქონდა ინფექცია. სიფრთხილის მიზნით სასწრაფოდ გამოცხადდა კარანტინი. თურქი ტყვეები კი 39-ე პოლკის მეთვალყურეობით დაუყოვნებლივ გაგზავნეს გუმრებში.

რუსული კორპუსი გაირინდა განგაშის მოლოდინში, მაგრამ ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. 27 ივნისს გრენადერთა ქართულ პოლკში ერთ რიგით ჯარისკაცს შავი ჭირის სიმპტომები გამოაჩნდა. ავადმყოფი კარანტინში მოაქციეს. პასკევიჩმა კი სასწრაფო ზომები მიიღო ბანაკის სხვა, უფრო მოსახერხებელ, ადგილას გადატანისათვის.

მკაცრი ზომების მიღებამ შეაჩერა შავი ჭირის გავრცელება. მიუხედავად ამისა, დაავადება აქა-იქ მაინც იფეთქებდა და ერთ ან ორ ადამიანს იმსხვერპლებდა ხოლმე. დაავადებული გრძნობდა საშინელ სისუსტეს, რასაც თან ახლდა გულისყრა, თავის ტკივილი, ღებინება, საშინელი წყურვილის გრძნობა. შემდეგ ავადმყოფს ემართებოდა კრუნჩხვები, ზოგი ერთ დღეში, უმრავლესობა კი 8-9 დღის შემდეგ კვდებოდა.

ავადმყოფებზე გამოყენებული იყო მკურნალობის ყველა არსებული მეთოდი. მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ძლიერებს შეეძლოთ ავადმყოფობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ დიდ უბედურებას ძალიან დიდი მასშტაბები არ მიუღია — მოძრავ კარანტინში მხოლოდ 293 კაცმა გაიარა.

**მადლიერი თანამედროვეების ხსოვნამ შემოინახა მოძრავი კარანტინის უფროსის, მამაცი პოლკოვნიკის, ბოროდინის სახელი, რომელიც იმ დროს შირვანის პოლკს მეთაურობდა. ის საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებასაც არ ერიდებოდა და ყოველთვის გაჭირვებულთა გვერდით იდგა. მოქმედი კორპუსი ბევრად იყო დავალებული ამ სულგრძელი ოფიცრისაგან.**

იმ დროს, როცა რუსული ბანაკი ებრძოდა მოულოდნელად თავსდამტყდარ უბედურებას — შავ ჭირს (რის გამოც ძნელი იყო შეტევითი მოქმედებების განხორციელება), მტრის მხრიდან საშიშროება იზრდებოდა. თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ თურქები ყარსის დაცემას ომის ბედის გადაწყვეტაში სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ისინი ყარსის დაცემაში ბრალს ემინ-ფაშას სდებდნენ. ეს რომ სიმართლეს შეეფერებოდა, ირკვევა ყარსის კომენდანტის ჩანაწერებიდან. მასში ნათქვამია, რომ არზრუმში დაგვიანებით შეიტყვეს გუმრებიდან პასკევიჩის გადაადგილების თაობაზე; მოახლოებული საფრთხის შეტყობისთანავე კიოსფაშა მხოლოდ ოთხი ქვემეხითა და საუკეთესო ჯარებით მიაწყდა ყარსს. გზიდან მან შეატყობინა ემინ-ფაშას, რომ 23 ივნისს იქნებოდა ციხესთან და რომ არზრუმის საფაშოს ცალკეული ოლქებიდანაც (ახალციხე, ლაზისტანი, ტრაპეზუნდი) მათ დასახმარებლად მნიშვნელოვანი ძალები მოემართებოდნენ. კიოს-ფაშამ შეასრულა თავისი დანაპირები. დილის ათი საათისთვის შეეძლო ყოფილიყო ბრძოლის ადგილას. რაც უფრო უახლოვდებოდა იმ ადგილს, მით უფრო ძლიერად ესმოდა სროლის ხმა. ყარსის დაცემის ამბავმა მას ყიჩიკყევსკის ბანაკიდან სულ რაღაც 5 ვერსზე მოუსწრო. მაშინ კიოს-ფაშა გაჩერდა და არდაღანთან დაიხია. ემინფაშა ციტადელზე ცოტა მეტ ხანს რომ გაჩერებულიყო, შეტევაზე გადასულ რუსთა კოლონებს ოციათასიანი თურქული კორპუსი ზურგში მოექცეოდა.

ყველაფერი ეს ჩრდილს აყენებდა ყარსის კომენდანტის საქმიანობას. დადიოდა ჭორები მის სულმოკლეობაზე და ღალატზეც კი. წარმოშობით მდაბიომ ფაშად გახდომა პროტექციითა და სხვადასხვა მაქინაციებით მოახერხა, მაგრამ ემინი ყოველთვის უჭკუო, სულმოკლე ადამიანად რჩებოდა, რომელსაც არც განათლება, არც სამხედრო ტალანტი და არც კარგი წარმომავლობა ჰქონდა.

ამდენად, ყარსის დატოვებას თურქები რუსული იარაღის ძლევამოსილებას კი არ მიაწერდნენ, არამედ შემთხვევითობას და ემინის უილაჯობას. იმასაც ამბობდნენ, ემინმა პასკევიჩს ციტადელი მიჰყიდაო. რა თქმა უნდა, ამას ამბობდნენ ისინი, ვისაც არ ენახა, როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ ჯარისკაცები ორივე მხრიდან და, იმ მომენტიდან, როცა რუსები შეიჭრნენ სიმაგრეში, თურქების ჯარები და მოსახლეობაც როგორმა პანიკამ მოიცვა იმის გამო, რომ რუსები ქალაქში საყოველთაო ხოცვაჟლეტას მოაწყობდნენ, სომხები უღალატებდნენ და რომ რუსული ზარბაზნები ციხესიმაგრეს ქვების გროვებად აქცევდა.

ასე იყო თუ ისე, ემინ-ფაშას დადანაშაულებით თურქები დიდ იმედებს ამყარებდნენ კიოსზე.

ყარსის დაცემით შეშინებული მოსახლეობის ნაწილი ჩქარობდა, რუსებს ჩაბარებოდა, ზოგი კი ყველაფერს აკეთებდა კიოს-ფაშას დასახმარებლად. რუსულ არმიაში შავი ჭირის გაჩენის ამბავი კი ამხნევებდა თურქებს.

ამდენად, პასკევიჩი აღმოჩნდა მტრულად განწყობილ მოსახლეობას შორის მოწინააღმდეგის შემდგომი მოქმედების თაობაზე ყველანაირი ინფორმაციის გარეშე. მცირერიცხოვან და დაჭირიანებულ რუსულ კორპუსს ყველა მხრიდან საშიშროება ელოდა.

საბედნიეროდ, კიოს-ფაშა უმოქმედოდ იყო. მას ვერ გადაეწყვიტა, არტილერიისა და საბრძოლო მასალების მარაგის გარეშე ყარსის შტურმის დღეს შეტევაზე გადასულიყო და ხელიდან გამოეგლიჯა რუსებისათვის დაპყრობილი ქალაქი. კიოს-ფაშა არდაღანში იდგა, რათა იგი (რუსებისაგნა ახალციხეზე შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში) დაეცვა.

**პასკევიჩმა ყარსის აღებისთანავე გენერალ-მაიორ მურავიოვს ჩააბარა რა გრენადერთა ბრიგადის ოთხი ბატალიონი, კაზაკთა ნაწილი და ათობით ქვემეხი, დაავალა, შეეგროვებინა ზუსტი ცნობები თურქთა არმიის ადგილმდებარეობის შესახებ.**

გამოაღწია რა ამ რაზმმა ბანაკიდან, იმავდროულად კიოს-ფაშას აცნობეს რუსთა მთელი ბანაკის სამხრეთისაკენ (არზრუმისაკენ) გადაადგილების თაობაზე. მან იმწამსვე უკან დაიხია — სოღანლუღის მთებს იქით. ეს გადაადგილება ძალიან სწრაფად ხდებოდა. თურქმა ქვეითებმა შეუჩერებლად ათეულობით ვერსი გაიარეს და ჰასან-ყალესთან (დედაქალაქიდან 30 ვერსის დაშორებით) შეჩერდნენ.

ამდენად, მურავიოვის რაზმმა თურქი ჯარისკაცები ვერსად იპოვა. უკანდაბრუნებულს ბანაკი კარანტინის ჯაჭვში მოქცეული დახვდა. მოწინააღმდეგე უკვე შორს იყო, ახალციხის საპირისპირო მხარეს.

**თურქი სამხედრო მეთაურის უმოქმედობამ და შეცდომებმა რუსთა კორპუსს საშუალება მისცა, დრო მოეგო. შავი ჭირი მიცხრა, პასკევიჩმა ახალი ლაშქრობის ბრძანება გასცა.**

საფიქრალიც არაფერი იყო. იერიში არზრუმზე უნდა მიეტანათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ეზრუნათ ყარსის დაცვაზე. საამისოდ სამი პოლკი — ყირიმის ქვეითთა, ეგერთა 39-ე და მე-40 გარნიზონში რჩებოდა. მოქმედ კორპუსში კი ცხრა ქვეითთა ბატალიონი, ექვსი საცხენოსნო პოლკი და 48 ქვემეხი იყო — უმნიშვნელო ძალა არა მარტო არზრუმის, არამედ „რიგში მდგომი“ ახალციხის დასაპყრობად (რაც გადაჯაჭვული იყო საქართველოს სიმშვიდესთან).

**გაგრძელება იქნება**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეათე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

6 — 12 ოქტომბერი, 2010 წელი. №36 (79)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე, ყველაზე მდიდარი ამერიკელები

**ჟურნალ „Forbes"-ის 2010 წლის რეიტინგის მიხედვით, ამერიკის ყველაზე მდიდარი 400 მოქალაქის საერთო ქონება ერთი წლის მანძილზე 8%-ით გაიზარდა. მათი საერთო კაპიტალი 1,37 ტრილიონი დოლარია, თუმცა ეს 2008 წლის რეკორდულ მაჩვენებელზე, 1,7 ტრილიონ დოლარზე, გაცილებით ნაკლებია.**




ამერიკის ყველაზე მდიდარი მოქალაქის ტიტული კორპორაცია „Microsoft"-ის დამფუძნებელმა **ბილ გეიტსმა** შეინარჩუნა. წინა წელთან შედარებით მისი ქონება 4 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 54 მილიარდს გაუტოლდა. კრიზისის დაწყებამდე, 2007 წელს ბილ გეიტსის ქონება 59 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. კორპორაცია „Microsoft"-ის დამფუძნებელი ზედიზედ მეჩვიდმეტედ მოექცა სათავეში უმდიდრესი ამერიკელების სიას. ქველმოქმედებისა და შეწირულობების სახით მთელი ამ დროის განმავლობაში მან 30 მილიარდი დოლარი დახარჯა და ამით პლანეტაზე ყველაზე ხელგაშლილი სპონსორის ტიტულიც მოიპოვა.



ისევე, როგორც შარშან, მეორე ადგილი ახლაც ინვესტორ **უორენ ბაფეტს** ერგო. მისი კაპიტალი უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 44 მილიარდი შეადგინა.



ქონება ზუსტად შარშანდელ მაჩვენებელზე შეინარჩუნა და 27 მილიარდით სიის მესამე ადგილი დაიკავა „Oracle Corporation"-ის დამფუძნებელმა და დირექტორმა **ლორენს ელისონმა.**




ყველაზე მდიდარი ამერიკელების სიის პირველ ათეულში ძველებურად არიან **უოლტონებისა** და **კოჩების** ოჯახთა წარმომადგენლები, ათეულის ბოლოს კი ნიუ იორკის მერი **მაიკლ ბლუმბერგია.**

აბსოლუტურ ფულად ექვივალენტში მილიარდელების საიდუმლო შეჯიბრში სათამაშო ბიზნესის მეფემ **შელდონ ადელსონმა** გაიმარჯვა. ლას-ვეგასის უმსხვილესი აქციონერი 5,7 მილიარდით გამდიდრდა და 14,7-მილიარდიანი ქონებით მე-13 ადგილზე მოხვდა.

პროცენტულად ყველაზე მეტად ტემპი „Facebook"-ის დამფუძნებლის **მარკ ცუკერბერგის** ბიზნესმა აკრიფა — ერთი წლის მანძილზე მისი ქონება გასამმაგდა და 6,9 მილიარდ დოლარს მიაღწია. ახლა მის ვირტუალურ იმპერიას, სულ მცირე, 24 მილიარდ დოლარად აფასებენ.

400 უმდიდრესი ამერიკელის სიის წლევანდელი უმთავრესი სიახლე 16 ახალბედას შემომატებაა.

ყველაზე მეტი ახალი კაპიტალის მფლობელები, ძირითადად, გაზის სფეროს წარმომადგენლები არიან. მათ შორისაა **ტერენს პეგულაც**, რომელიც სიაში პირველად 3 მილიარდი დოლარით გამოჩნდა. კიდევ ერთმა ახალბედამ — **ტომას კაპლანმა** 1,7 მილიარდი ინვესტიციების სფეროში იშოვა, **დასტინ მოსკოვიტცა** და **ედუარდო სევარინა** სიაში კომპანია „Facebook"-ში თანამშრომლობის წყალობით მოხვდნენ. ორივე მათგანი ცუკერბერგის სტუდენტობის მეგობარია.

# ინტერნეტ-აუქციონ eBay-ს ყველაზე უცნაური ლოტები




**ვინაიდან ეს ინტერნეტ-აუქციონი მსოფლიო ქსელის უკლებლივ ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია და მასში ნებისმიერი აზროვნების, შეგნების, ინტელექტისა და ცნობიერების ადამიანს შეხვდებით, ზუსტად ანალოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება მისი ლოტებიც. პრაქტიკულად შეუძლებელია, უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციას მთლიანად გაეცნო და მასში ყველაზე უცნაური შემთხვევები გამოარჩიო, მით უფრო, რომ პროცესი უწყვეტი და მუდმივად ცვალებადია, მაგრამ დროდადრო მაინც გამოიკვეთება ხოლმე შემთხვევები, რომლებზეც ფიქრობენ, რომ ყველაზე უცნაურ ხუთეულში საპატიო ადგილს იმსახურებს.**

### მეხუთე ადგილი

თუ ადამიანებმა მთვარეზე მიწების გაყიდვა მოახერხეს, რატომ არ უნდა **გაიყიდოს ინტერნეტი**? ალბათ, სწორედ ამ მოტივით მოინდომა ანონიმმა გამყიდველმა მთელი მსოფლიო აბლაბუდა აუქციონზე მილიონ დოლარად გაეყიდა. ლოტს მყიდველი რომ გამოსჩენოდა, ეს საუკუნის აფიორა იქნებოდა.




### მეოთხე ადგილი

**უცხოპლანეტელების დეტექტორის** — ამ უცნაური ინსტრუმენტის პროტოტიპი ბრაზილიაში შეიქმნა. მწარმოებლის თქმით, ეს არის ცოტათი გაუმჯობესებული მაგნიტომეტრი, რომელიც აფიქსირებს მფრინავი თეფშების აქტივობას და რომლის ეფექტურობაც დადასტურდა, როცა უცხოპლანეტელები სან-პაულოს თავზე გამოჩნდნენ. ლოტი 135 ამერიკულ დოლარად გაიყიდა.



### მესამე ადგილი

როგორც იქნა, ვიღაცამ საბოლოოდ აღმოაჩინა ს**იცოცხლის მთავარი აზრი** და სიხარულით განათავსა აუქციონზე.

ვინაიდან მყიდველები ჩვენ არ ვართ, ვერც სიცოცხლის არსს გავიგებთ, მაგრამ ანონიმმა მყიდველმა ეს უკვე იცის და თანაც მხოლოდ 326 დოლარის საფასურად.



### მეორე ადგილი

**კომპლექტი ვამპირებზე დამწყები მონადირეებისთვის** იყო განკუთვნილი და მასში არბალეტი, ვერცხლისთავიანი ისრები, ნაკურთხი წყლით სავსე ბოთლი და ქირურგიული ინსტრუმენტები შედიოდა.

ნივთები მასიური ხისგან გამოთლილ ელეგანტურ ყუთში ეწყო და 4550 დოლარად გაიყიდა.





### პირველი ადგილი

**მოჩვენებიანი ბოთლის** გამყიდველმა ერთ მშვენიერ დღეს იპოვა ძველი ყუთი, რომელშიც ორი შუშის ბოთლი და დღიური იდო. ერთ-ერთი ბოთლი შემთხვევით გატყდა და მპოვნელი კვამლში გაეხვა. ბოთლი და დღიური სახლში წაიღო და მას შემდეგ აედევნა ის, რასაც „შავ ქმნილებას" უწოდებს. ამ ისტორიამ ისე დააინტერესა აუქციონის მონაწილეები, რომ ლოტის ფასმა 90 მილიონ დოლარს მიაღწია. თუმცა ვინ შეიძინა ბოთლი და ეწვივნენ თუ არა მას ზებუნებრივი ძალები, უცნობია.

# ვინ ხატავს წრეებს გაყინულ ბაიკალზე?

**„საიდუმლოებით მოცული მოვლენა" — ასე უწოდეს წრეებს, რომელიც გაყინულ ტბაზე საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ახლოს აღმოაჩინეს.**

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ საოცრების მიზეზი ტბის ფსკერიდან ამოსული მეთანია და არა უცხოპლანეტელების ცელქობა. წრეების დიამეტრი 4,4 კილომეტრს აღწევს.

მეთანის გამოყოფამ, შესაძლოა, თბილი წყლის ნაკადები წარმოშვას. ეს ნაკადები კი წრიულ მოძრაობას იწყებენ და მიაღწევენ რა ყინულის ზედაპირს, ადნობენ მას და წრიულ კვეთს აჩენენ. მსოფლიოს ყველაზე ღრმა და მოცულობით ყველაზე დიდი ტბის ზედაპირზე ამგვარ წრეებს თანამგზავრები, უკვე მრავალი წელია, ფოტოსურათებზე აღბეჭდავენ.



# მხატვარი ქათამი

**ამერიკელმა ქათამმა, რომელსაც პატრონებმა სახელად სეიმონი დაარქვეს, მხატვრობის უბადლო ნიჭი გამოავლინა. მისი ნამუშევარი ინტერნეტ-აუქციონ „eBay"-ზე 535 დოლარად იყიდებოდა.**

სეიმონი დედალია, მაგრამ რატომღაც მამაკაცის სახელი ქვია და, როგორც უკვე დავრწმუნდით, ეს მისი ცხოვრების ერთადერთი უცნაურობა არ არის. ნახატი, რომელსაც **„ფეიერვერკი"** ჰქვია, ყვითელი, წითელი და ნარინჯისფერი საღებავებითაა შესრულებული. ავტორის „ხელმოწერა" კი რატომღაც ცისფერია. ეს სეიმონის პირველი ნამუშევარია, მაგრამ მასზე შეჩერებას არ აპირებს და საშობაოდ ერთდროულად რამდენიმე ნამუშევარს წარმოადგენს. სეიმონი სხვა 33 ქათამთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ მისი საქათმის მეზობლები მხატვრობისადმი მიდრეკილებას არ ამჟღავნებენ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 5 ყველაზე ექსტრემალური მოწყობილობა პლანეტაზე

**მსოფლიოში არსებობს ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც ამჟამად ყველაზე პოპულარულ კოლეიდერზე არანაკლებ საინტერესოა. უბრალოდ, კოლეიდერს ყველაზე მეტად გაუმართლა (ან პირიქით) და მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამან კი აღნიშნული მოწყობილობის მშენებლობას, ამუშავებასა და გამოყენებას ზიანი უფრო მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებელი. მაგრამ დედამიწაზე არსებობს კიდევ არაერთი ტექნიკური გიგანტი, რომლებიც მასობრივი ყურადღების ცენტრში ვერ მოექცნენ, მაგრამ არანაკლებ სამუშაოს ასრულებენ მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.**

## ქარიშხლის სიმულატორი

**ეს საშინელი დანადგარი საშუალებას იძლევა, მეცნიერები ქარიშხალს არ ელოდონ და, როცა უნდათ, თავად შექმნან ის. მთელი დატვირთვით მუშაობისას ვენტილატორები წუთში 1800 ბრუნს ასრულებენ და წარმოქმნიან ჰაერის ნაკადს, რომლის სიჩქარეც საათში 160 კილომეტრს აღწევს.**



**ჰაერის ნაკადის შემზღუდავი მილის დახმარებით მეცნიერები ამ სიჩქარეს საათში 210 კილომეტრამდეც უპრობლემოდ ზრდიან, ეს კი უკვე, საფირა-სიმპსონის შკალის მიხედვით, მესამე კატეგორიის ქარიშხლის სიძლიერეს უტოლდება.** ეს მონსტრი ფლორიდის უნივერსიტეტში „ბინადრობს“ და, გარდა ზემოხსენებული ქარიშხლებისა, 80 სმ/სთ ინტენსივობის ნალექიანობის წარმოქმნაც შეუძლია. ამისთვის 1,5-მეტრიანი რვა ვენტილატორი და ძლიერი წყლის ტურბინები გამოიყენება. დანადგარის დაახლოებით 6000 ცხენის ძალის შესაბამისი ძრავების გასაგრილებლად 5000 გალონი წყლის მოცულობის რეზერვუარი გამოიყენება.

## სუპერ-k



**ეს დედამიწაზე ყველაზე დიდი და ყველაზე მგრძნობიარე მოწყობილობაა ნეიტრინოებზე დასაკვირვებლად. ამ მოწყობილობის წყალობით მეცნიერები აუცილებლად შეიტყობენ ირმის ნახტომში ახალი ვარსკვლავის დაბადების შესახებ. ის იაპონიის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე მიწის ქვეშ 1000 მეტრის სიღრმეზეა განთავსებული და 50.000 გალონ დისტილირებულ წყალს შეიცავს. მისი მთავარი დანიშნულება სხვადასხვა სახის ნეიტრინოების განსაზღვრაა. მოწყობილობა ჩერენკოვის ეფექტის წყალობით მუშაობს, რომლის თანახმადაც სინათლის სიჩქარეზე მეტი სისწრაფით მოძრავი ნაწილაკი გამოსხივების განსაკუთრებულ სახეობას წარმოქმნის.**

სუპერ-K უჟანგავი ფოლადის 40-მეტრიანი ცილინდრისა და მის ცენტრში განთავსებული შედარებით მომცრო ზომის დეტექტორების ბლოკისგან შედგება. სწორედ ამ მოწყობილობის საშუალებით დამტკიცდა, რომ მზე ნეიტრინოებს გამოყოფს და განისაზღვრა მათი მასა, რომელიც მანამდე ნულოვნად ითვლებოდა.

ახლა სუპერ-K-ის მთავარი დანიშნულება ირმის ნახტომში ახალი ვარსკვლავების პოვნაა. ამგვარი ვარსკვლავის აფეთქებას თავისი გამა-გამოსხივების წყალობით დედამიწაზე სიცოცხლის განადგურება შეუძლია. როდესაც ასეთი კატასტროფაა მოსალოდნელი, ვარსკვლავი ნეიტრინოების მთელ ფეიერვერკს აფრქვევს, ისინი კი სხვა ყველაფერზე სწრაფად მოძრაობენ გალაქტიკაში და სუპერ-K-ს „თვალს“ ვერ დაემალებიან. შედეგად, დედამიწელებს რამდენიმე საათი გვექნება იმისათვის, რომ პლანეტის სავარაუდო დაღუპვამდე თავი ტრანსგალაქტიკურ ბუნკერებს შევაფაროთ, ან, რაც უფრო რეალურია, ვილოცოთ.

## ჰიბრიდი ტესლა 45

**როგორც გინესის რეკორდების წიგნი ირწმუნება, ეს დედამიწაზე ყველაზე მძლავრი მაგნიტია. ფლორიდის შტატის ძლიერი მაგნიტური ველების ეროვნულ ლაბორატორიაში ეს ჰიბრიდული მაგნიტი უწყვეტი და ძლიერი მაგნიტური ველის გენერირებას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უფრო ძლიერი ველის წარმომქმნელი იმპულსური მაგნიტები, ეს 7 მეტრის სიგრძის 35-ტონიანი გიგანტი ტესლა 45 მუდმივ მაგნიტურ ველს წარმოქმნის. ეს დედამიწის მაგნიტური ველის სიმძლავრეზე მილიონჯერ მეტია და 20-ჯერ აღემატება შინაგანი ორგანოების სკანირებისთვის შექმნილ სამედიცინო ტომოგრაფიული აპარატების მაგნიტების სიმძლავრეს.**



ესოდენ ძლიერი ველის წარმოსაქმნელად გამოიყენება ორი მაგნიტი, რომელთაგან ერთი, 11,5 ტესლა, ზეგამტარი დაძაბულობისაა; მეორე კი, 33,5 ტესლა, — ჩვეულებრივი დაძაბულობის. ისინი გარშემორტყმულნი არიან გაგრილების სისტემით, რომელშიც დისტილირებული წყალი და ჰელიუმი მოძრაობს. ამ დროს სისტემის ტემპერატურა მინუს 271 გრადუსს არ აღემატება, უფრო ზუსტად კი აბსოლუტურ ნულზე 1,8 გრადუსით მეტია. ამ მაგნიტის დახმარებით მეცნიერები ნივთიერებათა მოლეკულების ანალიზს ახორციელებენ და ხანდახან მათ ახალ თვისებებსაც შესძენენ ხოლმე.

ამავე მაგნიტის დახმარებით მიიღწევა ნებისმიერი ფიზიკოსის ოცნება — ზეგამტარიანობა ოთახის ტემპერატურაზე, რაც უდიდეს წინსვლას განაპირობებდა ელექტრონულ ტექნოლოგიებში. ჯერჯერობით უცნობია, დაეხმარება თუ არა კაცობრიობას ტესლა 45 ამ პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ის, რომ იგი დედამიწაზე ყველაზე სასარგებლო მაგნიტია, არავინ დაობს.

## ტელესკოპი «Green Bank»-ი

**ოფიციალურად ეს დედამიწაზე ყველაზე დიდი მართვადი რადიოტელესკოპია, რომლის სიმაღლე 100 მეტრს, წონა კი 5 ათას ტონას აღწევს. მეტიც, ეს ყველაზე დიდი მოძრავი ობიექტია დედამიწაზე. ამ თეფშის სიგრძე და სიგანე შესაბამისად 100 და 110 მეტრია და ხარვეზების შესამცირებლად უნიკალური არასწორი ფორმები აქვს. ის 2000-ზე მეტი ალუმინის ფირფიტისგან შედგება.**



კონსტრუქტორებს ტელესკოპის გადაადგილება უძლიერესი ძრავის დახმარებით შეუძლიათ. იმის გამო, რომ ალუმინის ორი ათასი სექტორის ქვედა მხარეს სარკეებია დამონტაჟებული, შესაძლებელია 5 გრადუსის საზღვრებში ცის ნებისმიერი წერტილის მიზანში ამოღება. ესოდენ დიდი და მგრძნობიარე მოწყობილობისთვის ეს ძალიან ბევრია. ზონა, სადაც ტელესკოპია განთავსებული, დაცულია ყველანაირი რადიოსიგნალებისგან და ამას თავად აშშ-ის მთავრობა აკონტროლებს. ამგვარი სიფრთხილე იმისთვისაა საჭირო, რომ გარეშე რადიოსიგნალებმა დაკვირვებებს ხელი არ შეუშალოს; ამგვარი მიდგომით დიდი ნაბიჯი გადაიდგა კოსმოსის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საიდუმლოებით მოცული ობიექტების — პულსარების შესწავლის საქმეში.

## ბურღი «Chikyu»

**ამ ხომალდმა არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი მოხსნა. პირველ რიგში, ის მსოფლიოში ყველაზე დიდი საბურღი გემია, მეორეც განკუთვნილია დედამიწის ქერქის ყველაზე ღრმად გაბურღვისთვის. მართალია, სიღრმის მხრივ რეკორდი საბჭოთა ჭაბურღილებს ეკუთვნის, ვინაიდან მათმა სიღრმემ 12 კილომეტრს მიაღწია, მაგრამ „Chikyu“-ის უპირატესობა ისაა, რომ მას ოკეანის შელფის ნებისმიერ წერტილში შეუძლია გადაადგილება.**



მისი საბურღი მოწყობილობის სიმაღლე 120 მეტრს აღემატება, ბურღვის სიღრმე კი, სულ მცირე, 7 კილომეტრია. ბურღი სპეციალურად იაპონიის სანაპიროების მახლობლად დედამიწის ქერქის გათხელებისა და სეისმური აქტივობის მომატების შესასწავლად შეიქმნა. მეცნიერებს სურთ, გაიგონ, რატომაა, რომ ჩვეულებრივ ნელა მოძრავი ტექტონიკური ფენები ხანდახან აჩოჩქოლდება ხოლმე და მიწისძვრების მიზეზი ხდება. იაპონიაში ეს პრობლემა უდავოდ აქტუალურია.

„Chikyu“ მსოფლიოში პირველი კვლევითი საბურღი ხომალდია, რომელიც ნავთობის საბურღი პლატფორმების მსგავსი პრინციპებით ბურღავს და იცავს ჭაბურღილებს. ამ დროს ჭაბურღილი ყველა მხრიდან შემოფარგლულია პროცესის სტაბილიზაციისთვის აუცილებელი წნევის წყლით.

გარდა ამ ყველაფრისა, გემი აღჭურვილია კომპიუტერულ კონტროლს დაქვემდებარებული მძლავრი მოწყობილობებით და წყალში ადგილმდებარეობის სტაბილიზებისთვის „GPS“ სიგნალებს იყენებს. რომ არა ეს სისტემები, მთელი სამუშაო საფრთხის ქვეშ იქნებოდა, რადგან გემის სულ რამდენიმე მეტრით ადგილიდან დაძვრა მთლიანად გაანადგურებდა ჭაბურღილს.

6 — 12 ოქტომბერი, 2010 წელი. №36 (79)
www.geworld.net
გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ყველაზე ლამაზი მონეტა




**ავსტრიაში ჩატარებული მსოფლიო სამონეტო კონფერენციის მონაწილეებმა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მონეტა აარჩიეს. 2010 წლის გამარჯვებულად რევოლუციის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი მექსიკური ვერცხლის მონეტა აღიარეს.**

ამ მონეტის ნომინალი 10 მექსიკური დოლარია. მის ერთ მხარეს შეიარაღებული მეამბოხეები არიან გამოსახულნი, მეორე მხარეს კი — მექსიკის გერბი. მონეტის დიამეტრი 48 მილიმეტრია და 60 გრამზე მეტს იწონის. ის 999 სინჯის ვერცხლისგანაა დამზადებული.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მექსიკური მონეტები ყოველწლიურ კონკურსში იმარჯვებს. 2008 წელს ყველაზე ლამაზ მონეტად აღიარეს მონეტა, რომლის ერთ მხარეს აცტეკების კალენდარი იყო გამოსახული, მეორეზე — მექსიკის გერბი.

## თურქული ცეკვა ოჯახურ ძალადობად აღიარეს






**ახალ ზელანდიაში თურქი იმიგრანტი თავის ცოლზე თავდასხმაში დაადანაშაულეს და 1,5 ათასი ახალზელანდიური დოლარის (დაახლოებით 1,1 ათასი ამერიკული დოლარი) ოდენობის ჯარიმა დააკისრეს. ბრალდებული ირწმუნება, რომ, უბრალოდ, ტრადიციულ ცეკვას ასრულებდა.**

ინციდენტი 2010 წლის აგვისტოში მოხდა. პატარა სასადილოს გვერდით გამვლელმა უცნობმა პოლიციას აცნობა, რომ სასადილოში კაცი ქალს სცემდა. თურქი დააკავეს და ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულეს. როგორც გაირკვა, კაცი თავის ცოლთან ერთად ცეკვავდა, თურქების ტრადიციული ცეკვის „კოლბასტის" განუყოფელ ელემენტებს კი ქალისთვის ხელის კვრა, დარტყმა და სილის გაწვნა შეადგენს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მოსამართლეს თურქული ტრადიციები ვერაფრით დააჯერეს; ასე რომ, კაცს ცოლის ცემისთვის ჯარიმის გადახდა მოუწევს. თანხა ახალი ზელანდიის ერთ-ერთ ორგანიზაციას გადაერიცხება და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების რეაბილიტაციას მოხმარდება.

## სამი მილიონი გოგრა დევიდის ფერმაში



**ფერმერმა დევიდ ბოუმენმა ბრიტანეთის ლინკოლნშირის საგრაფოში ერთბაშად სამი მილიონი გოგრა მოიწია. ბოუმენი აღნიშნავდა, რომ გასულ ზაფხულს ამინდი ცვალებადი იყო და ამის გამო ცოტა გაუჭირდა მოსავალზე ზრუნვა, სხვა სირთულეებს კი არ წასწყდომია.**

ახლა ფერმერს უამრავი დროებითი მუშის დაქირავება სჭირდება, რათა ჰელოუინამდე, 31 ოქტომბრამდე, მთელი მოსავლის აღება მოასწროს. ამ დროში სამუშაოს მოსწრებისთვის დღეში 100 ათასი გოგრის მოჭრაა საჭირო. დასავლეთში გოგრა სწორედ ჰელოუინის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ხდება ყველაზე პოპულარული.

# ევროპის სტრატეგიული სისუსტე

**ახლა მხოლოდ ზარმაცები არ გამოთქვამენ სინანულს იმ ღრმა უფსკრულის გამო, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკურ ძლიერებასა და მსოფლიოში მის პოლიტიკურ გავლენას შორის გაჩნდა. როდესაც 500-მილიონიანი მოსახლეობა გყავს და მთელი მსოფლიოს საერთო შიდა პროდუქტის 22%-ის მწარმოებელი ხარ, ალბათ, იმედი გაქვს და ელი, რომ შენს აზრს გაითვალისწინებენ. მაგრამ მიმდინარე წლის მაისში, როდესაც ევროკავშირს ესპანეთი ედგა სათავეში და მადრიდში აშშ-ევროკავშირის სამიტი იმართებოდა, ბარაკ ობამამ ამ სამიტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და შედეგად ევროკავშირის პრესტიჟი ყველაზე დაბალ ნიშნულს ქვემოთ დაეცა. თეთრი სახლის მეთაურმა მაშინ განაცხადა, რომ უძველეს კონტინენტზე წელიწადში ერთხელ ჩასვლაც სავსებით საკმარისია.**




უკეთესი მდგომარეობა ევროკავშირს არც რუსეთთან და ჩინეთთან დაკავშირებით აქვს. მოსკოვმაც და პეკინმაც, უკვე დიდი ხანია, პირდაპირი კავშირები დაამყარეს ევროპის ცალკეული სახელმწიფოების დედაქალაქებთან და ამ სახელმწიფოთა გაერთიანება, ფაქტობრივად, არაფერში დასჭირვებიათ. უფრო მეტიც, ევროკავშირს ასეთი კონტაქტების შესახებ, როგორც წესი, საქმის კურსშიც კი აღარ აყენებენ.

**გაეროში ერთადერთი სფერო, სადაც ევროკავშირი თავს მეტ-ნაკლებად მყარად გრძნობდა, კლიმატის ცვალებადობის შესახებ მოლაპარაკებები იყო. ახლა მან ამ სფეროშიც წარუმატებლობა განიცადა და დღითიდღე სულ უფრო ნაკლები ქვეყანა უჭერს მხარს ევროკავშირის პოზიციებს თვით დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში.**

ყოველივე ზემოთქმულს, ცხადია, გარკვეული გამართლება აქვს. დასაწყისისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი სახელმწიფო არ არის და ამის გამო არ შეიძლება უდიდესი ზესახელმწიფოების ლიგაში სრულუფლებიან მოთამაშედ ჩართვას ისახავდეს მიზნად. გარდა ამისა, ვაშინგტონი, მოსკოვი, პეკინი და დელი მარტივი ურთიერთობების საშუალებას არ იძლევიან. მათ თავიანთი წესები აქვთ. მაგრამ **შეუძლებელია, რაიმე გამართლება მოეძებნოს მწარე სინამდვილეს, რომ ევროკავშირი ვერანაირად ახერხებს შეთანხმებების მიღწევას იმ განვითარებად ქვეყნებთან, რომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელები ბევრად უფრო ახლოსაა ევროპულთან. საუბარია ბრაზილიაზე, თურქეთზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაზე.** მართალია, თითოეულ ამ ქვეყანას გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს, მაგრამ თავისებურებები, როგორც ვხედავთ, არც დღევანდელ ევროპას აკლია. სამაგიეროდ, ისინი საბაზრო ეკონომიკის მქონე დემოკრატიული ქვეყნები არიან. მიუხედავად ამისა, **ყოველთვის, როდესაც საუბარია ბრაზილიაზე, თურქეთსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაზე, ევროკავშირი უკიდურესად უთავბოლოდ მოქმედებს და მათი გადაბირების აბსოლუტურ უუნარობას ავლენს, რაც უფრო მეტად უნდობლობას იწვევს, ვიდრე დაინტერესებას.**

**საქმის არსი ისაა, რომ, როდესაც ევროპის დედაქალაქების უმრავლესობაში დაინახეს, ზემოხსენებული ქვეყნების ლიდერები ბრიუსელის მიმართ მისი უგულებელყოფის პირველ ნიშნებს ავლენენ, სტრატეგიული მოთმინების ფიალაც მომენტალურად აივსო.**

შეეჯახნენ რა ამგვარ ვითარებას, ევროპის ლიდერებმა ერთი შეხედვით რაღაც ზომების მიღებაზე დაიწყეს ფიქრი. ევროპული საბჭოს თავმჯდომარის, ბელგიელ ჰერმან ვან რომპიუს ინიციატივით, ისინი

> **დღითიდღე სულ უფრო ნაკლები ქვეყანა უჭერს მხარს ევროკავშირის პოზიციებს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში**




პირველად იკრიბებიან „სტრატეგიული" პერსპექტივის თვალსაზრისით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განსახილველად, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემების ჩამოყალიბების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და მათი განხილვისათვის. **მიზანი იმის გარკვევაა, თუ რომელ ქვეყნებზე შეუძლია დაყრდნობა ევროკავშირს ამ მრავალპოლარულ მსოფლიოში.**

ამრიგად, ტრადიციები ირღვევა. ევროსაბჭოს სხდომებზე აქამდე, როგორც წესი, შინაარსს მოკლებული დასკვნების გრძელ ჩამონათვალს კითხულობდნენ და საქმე ამით მთავრდებოდა. ახლა კი, როგორც იქნა, მოიწვიეს მთავართა კრება, რომელიც რეალურად არსებული პრობლემების განხილვით დაკავდება. ეს სასიხარულო სიახლეა, ვინაიდან შეკრება ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის მუშაობის დაწყებას დაემთხვევა. ამ სამსახურის შექმნის ინიციატორი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი გახლდათ. მან ეს-ესაა თავისი 27 ელჩი დანიშნა. თვით ევროპარლამენტიც კი გამოცოცხლდა და, აშშ-ის სენატის გამოცდილების გამოყენებით, ახლა ამ ელჩების კომისიის სხდომაზე მოწვევასა და საგარეო საქმეების მათთან ერთად განხილვას აპირებს. ელჩები სამუშაოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონკრეტულ ინსტრუქციებს მიიღებენ.

**ეს ყოველივე მშვენიერია, მაგრამ კეთილგონიერების მოხმობაა საჭირო. ეკონომიკურ ძლიერებასა და პოლიტიკურ გავლენას შორის გაჩენილი უფსკრულის დაძლევა არც ისე იოლი საქმეა, განსაკუთრებით იმ სისტემის ფარგლებში, რომლის ძალაუფლება სხვადასხვა დონეზე მყოფ უამრავ სტრუქტურას შორისაა დახლეჩილი.** ევროპის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე დაკვირვებისას ძალიან ძნელია, დაიჯერო, რომ მან რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მართლაც მიაღწია 2500 წლის მანძილზე, როცა ძველი საბერძნეთი ათი თემიდან თითო სამხედრო მეთაურს ირჩევდა, რომლებიც კოლეგიის წევრი ხდებოდნენ.

**ზოგიერთი არაკეთილმოსურნე ევროპელებს ურჩევს, შფოთვასა და ღელვას თავი დაანებონ, რადგან, თუ ეკონომიკა კვლავ უძრაობის მდგომარეობაში დარჩება და შობადობა კლებას განაგრძობს, პრობლემა ცოტა ხანში თავისთავადაც გადაწყდება, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ამ შემთხვევაში კი პრობლემის მოგვარებაში რაც იგულისხმება, ადვილი მისახვედრია.**

გამოდის, რომ ახლანდელი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში დაახლოებით ორი ათწლეულის შემდეგ ევროპის ეკონომიკაც და მოსახლეობის რაოდენობაც მისი ამჟამინდელი პოლიტიკური გავლენის დონემდე დაეცემა და აღარც უფსკრული იქნება სადარდებელი. სწორედ აქ იმალება ევროკავშირის საბჭოს ახლანდელი საგანგებო სხდომის პარადოქსულობა. სწორედ მაშინ, **როდესაც ევროპა ფიქრობს, როგორი მოქმედება ჯობია საგარეო პოლიტიკაში, მსოფლიოში ევროპის პრესტიჟი უფრო მეტადაა დამოკიდებული მის მიერ შიდა პრობლემების, კერძოდ კი ეკონომიკის უძრაობის, მოსახლეობაში შობადობის შემცირების, სოციალური სფეროების შეზღუდვისა და ქსენოფობიური დამოკიდებულების ზრდის საკითხების გადაჭრაზე.**

> **უფსკრულის დაძლევა არც ისე იოლი საქმეა, განსაკუთრებით იმ სისტემის ფარგლებში, რომლის ძალაუფლება სხვადასხვა დონეზე მყოფ უამრავ სტრუქტურას შორისაა დახლეჩილი**

„El Pais"

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ზესახელმწიფო დიდი თამაშისთვის ემზადება

**ირანის ირგვლივ უცნაური სიტუაცია ყალიბდება. რაც უფრო მკაცრდება გაეროსა და აშშ-ის სანქციები ამ ქვეყნის მიმართ, მით უფრო თავდაჯერებულად ჟღერს მისი ხელმძღვანელის განცხადებები. თეირანში დარწმუნებულნი არიან, რომ დასავლეთი სპარსეთის ყურეში ცეცხლთან თამაშს არ დაიწყებს. ირანი უკვე ხედავს საკუთარ თავს ენერგეტიკული ზესახელმწიფოს როლში.**



გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომასთან დაკავშირებით ნიუ იორკში მყოფმა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ ახმადინეჯადმა არა მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებთან კავშირში დაადანაშაულა ამერიკის ხელისუფლება, არამედ თავისი ქვეყანა და ამერიკა თანასწორადაც გამოაცხადა. მისი თქმით, **ახლა მსოფლიოში სულ ორი ზესახელმწიფოა, რომლთაც მოვლენებზე კარდინალური ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ, ესენია აშშ და ირანი. მაგრამ აშშ-მა გლობალური მნიშვნელობის ისეთ ამოცანებს ვერ გაართვა თავი, როგორიც ერაყი და ავღანეთია. გამოდის, რომ ირანი რჩება ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელმაც მსოფლიოში აღიარება „მშვიდობის, მეგობრობისა და სამართლიანობის პოლიტიკით“ (თეირანის მიერ სამხედრო ძლიერების დემონსტრაციული ზრდა და ისრაელის მიმართ მუდმივი საომარი რიტორიკა არ ითვლება) მოიპოვა.** ირანის ბირთვული პროგრამა კი ამ პირობებში მხოლოდ ის მიზეზია, რომელსაც ვაშინგტონი იყენებს: ამერიკამ იცის, რომ ირანი არ მიილტვის ბირთვული იარაღის შექმნისკენ. **ირანის ლიდერის აზრით, აშშ, უბრალოდ, ერთადერთი ძლიერი კონკურენტის ჩამოშორებას ცდილობს, თანაც, ახმადინეჯადის მტკიცებით, — არაეფექტური სანქციებით.**

ცხადია, მთელი ეს აბდაუბდა ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, ქვეყნისა, რომელიც სანქციების წნეხქვეშ სულაც არ ცხოვრობს დალხენილად. **ირანის „ზესახელმწიფოებრივი“ და პროვოკაციული რიტორიკის მიღმა კი ხშირად შეტევითი ხასიათის სავსებით ჯანსაღი პოლიტიკა დგას. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ბოლო დროს თეირანი საგრძნობლად აფართოებს რეგიონში საკუთარ გავლენას.**

ირანის მთავრობის მიზანია, ქვეყნის ეკონომიკური კავშირები იმ პარტნიორებზე გადაანაწილოს, რომლებიც აშშ-ის სანქციების რეჟიმს მხარს არ უჭერენ. 2009 წლის მონაცემებით, ირანის უმსხვილესი სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორები ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, თურქეთი, სამხრეთი კორეა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იყვნენ. ირანის საგარეო საქონელბრუნვაში მათი ჯამური ხვედრი თითქმის 50%-ს აღწევდა. ამავე დროს **ევროკავშირის ქვეყნების (რომლებიც, როგორც ცნობილია, მხარს უჭერენ ამერიკულ სანქციებს) წილი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ირანის იმპორტში 2005 წელს ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა, 2009 წელს კი — 27%-მდე დაეცა, ხოლო ექსპორტში 24%-დან 15%-ზე ჩამოვიდა.** ახლა სამხრეთ კორეაც საკუთარი წილის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას, დაახლოებით ერთი თვის წინათ ის აშშ-ის ზეწოლის შედეგად სანქციებს შეუერთდა. რუსეთმა უკანასკნელ მომენტში უარი განაცხადა თეირანისათვის სარაკეტო კომპლექს „С-300“-ის მიწოდებაზე და შესაბამისად, წამყვანი პარტნიორების საპატიო სიიდან ამოშლის კანდიდატი გახდა.

**განსაკუთრებულ მნიშვნელობას ირანი იმ ქვეყნებს ანიჭებს, რომლებიც მასთან ენერ-**

## ახმადინეჯადის აზრით, აშშ ერთადერთი ძლიერი კონკურენტის ჩამოშორებას ცდილობს, თანაც — არაეფექტური სანქციებით




**გეტიკულ კავშირებს ამყარებენ და ავითარებენ. პირველ რიგში ასეთ სახელმწიფოდ ჩინეთი მოიაზრება. მან, ირანის შეფასებით, ამ ქვეყნის ნავთობ-გაზის სექტორში 40 მილიარდამდე დოლარი დააბანდა.** კერძოდ, ჩინური „Sinopec“-ი ირანის ერთ-ერთ უდიდეს ნავთობგაზის საბადოს „იადავარანს“ ითვისებს. ორი ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით შენდება უზარმაზარი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელშიც ჩინეთის კაპიტალი 6,5 მილიარდს შეადგენს.

**ირანის მნიშვნელოვანი ენერგოპარტნიორია თურქეთი, რომელიც, ტრადიციულად, მისგან გაზს ყიდულობს და რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელიც აქვს.** გასულ წელს თეირანმა და ანკარამ ხელი მოაწერეს სტრატეგიულ შეთანხმებას ევროპაში გაზის ტრანზიტის თაობაზე, მიმდინარე წლის ივლისში კი თურქეთისათვის ირანული გაზის მიწოდების მოცულობის გასაზრდელად გაფორმდა შეთანხმება ირან-თურქეთის 600-კილომეტრიანი გაზსადენის ასაშენებლად.

**ირანი ერთობლივი გაზსადენის აშენებას პაკისტანთანაც აპირებს. ივნისში მხარეებმა უკვე მოაწერეს ხელი შესაბამის შეთანხმებას, რომლის ბიუჯეტი 7,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.** დაახლოებით იმავე პერიოდში გაზის მიწოდების თაობაზე მიღწეული იქნა შეთანხმება თურქმენეთთანაც, თუმცა ამ შემთხვევაში ირანი იმ გაზის იმპორტიორი გამოდის, რომელიც მის ჩრდილოეთ რეგიონებს ხმარდება. გამორიცხული არაა, რომ მომავალში ტრანზიტის საკითხიც დადგეს, თურქმენულ-ირანული გაზსადენის პირველი ნაწილი ხომ უკვე ამოქმედდა, ხოლო მომავალი წლის იანვრიდან მეორე ნაწილიც ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მილის გამტარიანობა წელიწადში 16 მილიარდ კუბურ მეტრს გაუტოლდება. **აზერბაიჯანმა, რომელიც ირანის ჩრდილოეთ რეგიონებს გაზს აქამდეც აწვდიდა, ცოტა ხნის წინათ მოცულობის გაათმაგების წინადადება მიიღო.**

**თეირანმა დაადასტურა, რომ აზერბაიჯანისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი ნავთობსადენის მშენებლობას აპირებს, გარდა ამისა, გაზსადენის (ირანი-სომხეთი) საქართველოში გაგრძელებას გეგმავს და, შესაძლოა, უფრო შორსაც, აღმოსავლეთ ევროპამდე.** პარტნიორები ჰყავს სხვა რეგიონებშიც, მაგალითად ვენესუელა. ამერიკასთან დაპირისპირების ფონზე თეირანსა და კარაკასს მშვენიერი ენერგეტიკული ალიანსი უყალიბდებათ: მხარეებს მოლაპარაკებები აქვთ ერთობლივი ნავთობგაზის კომპანიის ასაშენებლად. ამ კომპანიამ ახალი საბადოების აღმოჩენაზე უნდა იზრუნოს.

**ამრიგად, ირანი დიდ თამაშში ჩასართველად ყველა ენერგეტიკულ კოზირს აგროვებს. თავისი უდიდესი საბადოების გარდა, ცდილობს, სხვა ქვეყნების მარაგებიც აკონტროლოს და ტრანზიტებიც. ამასთან, როგორც ჩანს, თეირანში ოდნავაც არ ღელავენ იმაზე, რომ დასავლეთმა, შესაძლოა, უკიდურეს ზომებს მიმართოს და სამხედრო ძალის გამოყენება მოინდომოს. სიმშვიდის მიზეზი კი ისაა, რომ ირანს ხელი უდევს მსოფლიო ნავთობის მთავარ არტერიაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სპარსეთის ყურის ყველა ქვეყნის ნავთობის ექსპორტი. ნებისმიერი საომარი მოქმედება ან საამისო მზადება ნავთობის ბაზრის ისეთ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, რომ აქამდე ცნობილი ყველა კრიზისი მსოფლიოს ბავშვურ გართობად მოეჩვენება.** როგორც ყველაფრიდან ჩანს, ირანს ამ არტერიის გადაკეტვისათვის საკმარისი სამხედრო პოტენციალიც აქვს. გარდა ამისა, ყბადაღებული ბუშერის ატომური ელექტროსადგურიც იმავე სპარსეთის ყურის სანაპიროზეა, რასაც თეირანი ხელშეუხებლობის კიდევ ერთ გარანტიად განიხილავს.

**უკანასკნელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ირანის უსაფრთხოება ძალზე ფარდობითი საკითხია. მართალია, მის დაბომბვას არავინ აპირებს, მაგრამ გამორიცხული არაა კიბერნეტიკული თავდასხმები. ორიოდე დღის წინათ კომპიუტერულმა ვირუსმა „Stuxnet“-მა ქვეყნის ყველა სამრეწველო დაწესებულებას შეუტია, მათ შორის ბუშერის ატომურ ელექტრო სადგურსაც და ახლადმოვლენილ ზესახელმწიფოს მისგან თავდაცვის რაიმე საშუალება არ აღმოაჩნდა.**

*utro.ru*

## ბირთვულ ობიექტებს უცხოპლანეტელები უთვალთვალებდნენ



**ამერიკის ჯარის შვიდი გადამდგარი ოფიცერი ირწმუნება, რომ „ცივი ომის“ წლებში ბირთვულ ობიექტებს უცხოპლანეტელები უთვალთვალებდნენ. მათ ტერიტორიაზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ჩნდებოდა.**

როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი, კაპიტანი რობერტ სალასი ირწმუნება, 1967 წელს, როდესაც ბაზის ჭიშკრის თავზე დიდი, ოვალური, მანათობელი, წითელი ობიექტი გამოჩნდა, საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ყველა რაკეტა მწყობრიდან გამოვიდა. ამ დრომდე მას ამის შესახებ ლაპარაკი აკრძალული ჰქონდა და არც ხელმძღვანელობისგან მიუღია რაიმე ახსნა-განმარტება. მსგავს ამბებს ყვებიან დანარჩენი სამხედროებიც, ოღონდ შემთხვევის ადგილი და დრო სხვადასხვაა. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ არაერთი წიგნის ავტორი რობერტ ხასტინგსი ირწმუნება, რომ უცხოპლანეტელები საბჭოთა ბირთვულ რაკეტებსაც „სტუმრობდნენ“ ხოლმე.

## გარბენა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით



**ავსტრალიაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სირბილის ტრადიციული შეჯიბრი გაიმართა და მასში კენბერელმა კვარტეტმა გაიმარჯვა. გოგონებმა 80-მეტრიანი დისტანცია ერთ წუთსა და ოთხ წამში დაფარეს და ამით შეჯიბრის არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს. მათი მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირდა.**

გოგონებმა ჯილდოს სახით ათი ათასი ავსტრალიური დოლარი (დაახლოებით 9,5 ათასი ამერიკული დოლარი) მიიღეს და ამ თანხით ტაილანდში აპირებენ მოგზაურობას. ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათისა იყო და მკერდის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის სახსრების მოგროვებას ისახავდა მიზნად. სულ 20 ათასამდე დოლარი მოგროვდა. შეჯიბრში ასამდე ქალი და ერთადერთი მამაკაცი მონაწილეობდა.

## გასეირნება ვეშაპით



**ავსტრალიელმა მოზარდმა სამხრეთული ვეშაპის ზურგზე შემომჯდარმა ისეირნა. ამ ამბის თვითმხილველებმა უმალ მიმართეს გარემოს დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს და როგორც გაირკვა, ბავშვი სასწაულებრივად გადარჩა.**

სპეციალისტების მტკიცებით, ამ ვეშაპთან მიახლოება უკიდურესად სახიფათოა. მისი სიგრძე 18 მეტრამდე აღწევს და დაახლოებით 80 ტონას იწონის. მხოლოდ მისი კუდის მოქნევას თავისუფლად შეუძლია ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ავსტრალიაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მცურავები, სერფერები და ყველა, ვისაც რაიმე ფორმით მოუწევს ამ ვეშაპის სიახლოვეს ყოფნა, ვალდებულია, სულ მცირე 30-მეტრიანი დისტანცია შეინარჩუნოს. ამრიგად, გარდა იმისა, რომ საკუთარ სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა, ბავშვმა თავისი ქვეყნის კანონმდებლობაც დაარღვია. ავსტრალიაში ცხოველების შეწუხებისთვის ჯარიმა 10 ათას ავსტრალიურ დოლარს შეადგენს და ჯერჯერობით არავინ იცის, ამ თანხის გადახდა თუ ასცდება ვეშაპით „მოსეირნე“ მოზარდს.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## «დონ პასკუალესა» და «აიდას» წარმოადგენს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 9 ოქტომბერს, 19 საათზე, გიწვევთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტოდ შესრულდება გაეტანო დონიცეტის ოპერა „დონ პასკუალე“. მთავარ პარტიებს შეასრულებენ — **გოჩა დათუსანი-ჯილაური, გიორგი მახარაძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, ნინო ჩაჩუა, გოჩა გაბიძაშვილი.**

10 ოქტომბერს, 19 საათზე კი, ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი და სოლისტები ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127) საკონცერტო ვერსიით წარმოადგენენ ჯუზეპე ვერდის „აიდას“. სცენა დაეთმობათ **ირინე რატიანს, თეიმურაზ გუგუშვილს, ელენა პუტილოვას, ელდარ გეწაძეს, ლევი იმედაშვილს, ტარიელ ჭიჭინაძეს, მარიკა მაჩიტიძეს, თამაზ საგინაძეს.**

„დონ პასკუალეს“ და „აიდას“ წარუძღვება იტალიელი დირიჟორი ***ჯანლუკა მარჩიანო.***




# უნივერსალური წყალი „ისიდა“

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

FACT
www.fact.ge
ACM Group

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net